


ՃՄԿՃ ԲԵՐՆԵՐԸ ՉՄՆ ՅՈՒՑՄԻՆՈՒՆԻ



FB.COM/GROUPS/ELLIB

შოუ ჯორჯ ბერნარდ

პიგმალიონი

თარგმანი ინგლისურიდან -
მოქმედება პირველი.

ლონდონი. ღამის 11 საათი და 15 წუთია. თავსხმაა. ავტომანქანების საყვირი აყრუებს იქაურობას. გამვლელ-გამომვლელები თავშესაფარებლად გარბიან კოვენტის ბაღის ბაზრისა და წმიდა პავლეს ეკლესიისაკენ, რომლის ტალანში ხალხს თავი მოუყრია. მათ შორისაა ვიღაცა ლედი ქალიშვილით, რომელსაც საღამური სამოსი აცვია.

წვიმას ყველა შეუწუხებია, გარდა ერთი კაცისა, რომელსაც დანარჩენთათვის ზურგი შეუქცევია და წიგნაკში გულმოდგინედ რაღაცას ინიშნავს. ეკლესიის საათი 15 წუთს რეკავს.

ქალიშვილი (დგას შუა სვეტებს შორის, მარცხენა სვეტის ახლოს) გავითომე, პირდაპირ გავითომე. ნეტავი ფრედი სად დაიკარგა ამდენ ხანს? ოცი წუთი წავიდა.

დედა - (ქალიშვილის მარჯვნივ) არც ისე დიდი დრო გასულა, მაგრამ აქამდე მაინც უნდა ეშოვა მანქანა.

მაყურებელი (ლედის მარჯვნივ) ახლა, ქალბატონო, ხალხი თეატრებიდან ბრუნდება, ასე რომ თორმეტის ნახევრამდე ტაქსს ვერ იშოვის. ყველა დაკავებული იქნება.

დედა კი, მაგრამ უტაქსოდ რა ვქნათ? თორმეტის ნახევრამდე აქ რა გაგვაჩერებს? ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა!

მაყურებელი კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ, ქალბატონო?

ქალიშვილი ფრედი მოუხერხებელია, თორემ მანქანის შოვნა თეატრთანაც შეიძლება.

დედა თუ ვერ იშოვა, რა ქნას საწყალმა ბიჭმა?

ქალიშვილი სხვებმა ხომ იშოვეს?

(ოციოდე წლის ბიჭი შემოვარდება საუთჰამპტონის ქუჩიდან, საღამური ტანისამოსი დასველებია. ზედ მიკვრია შარვლის ტაოტები. დედა-შვილს შორის დგება და ახურავს ქოლგას, რომელსაც წყალი წურწურით ჩამოსდის).

ქალიშვილი იშოვე ტაქსი?

ფრედი თუ გინდა ჯვარს ეცვი, არ არის.

დედა- ფრედი, ფრედი, მოგენდომებინა, იშოვიდი.

ქალიშვილი ეს რა უბედურებაა! როგორა გგონია ჩვენ წავალთ ტაქსის მოსაყვანად?

ფრედი აკი გითხარით, ყველა დაკავებულია-მეთქი. ისე უცებ გაწვიმდა, რომ არავინ მოელოდა, ამიტომაც ყველა ტაქსს ეცა. რა მექნა? ჩირინგ კროსამდე გავვარდი, მერე თითქმის ლუდგეიტის ცირკამდე მივედი და ყველა დაკავებული იყო.

დედა - ტრაფალგარის მოედანზე იყავი?

ფრედი- არც ტრაფალგარის მოედანზე იყო.

ქალიშვილი რატომ ტყუი, იყავი?

ფრედი როგორ არა, ჩირინგ კროსის სადგურამდეც კი მივედი.ჰოდა ამ თავსხმაში ჰამერსმიტში ხო მარ გადავიდოდი?

ქალიშვილი არა, არა, არ გიმეზნია.

დედა რა უსუსური ხარ, ფრედ? წადი ისევ და, იცოდე, უტაქსოდ არ დაბრუნდე..

ფრედი ტყუილად ამოვიწუწები.

ქალიშვილი მაშ, ჩვენ რას გვიპირებ? თხელ კაბაში მთელი ღამე ამ სიცივეში უნდა გავატაროთ? შე ეგოისტო ღორო.

ფრედი კარგი, მივდივარ, მივდივარ.

(ხსნის ქოლგას და გაეშურება სანაპიროსაკენ. გასვლისას დაეჯახება ყვავილების გამყიდველ გოგონას, რომელიც თავის შესაფარებლად შემოდის.გოგონას კალათი ხელიდან უვარდება. ამ დროს იელვებს და გაისმის მეხის გამაყრუებელი ხმა).

ყვავილების გამყიდველი გოგო ერთი ამას დამიხედეთ! თვალები არ გაბია, ფრედი? რო დადიხარ, წინ იყურე.

ფრედი ბოდიში. (გარბის).

ყვავილების გამყიდველი გოგო (დაცვივებულ ყვავილებს აჰკრეფს და კალათაში აწყობს). კიდევ იტყვის თავი მაზიანო. ორი კონა ია გამიჭყლიტა და ტალახში ამომიზილა. (ლედის მარჯვნივ სვეტთან ჩამოჯდება და ყვავილებს აწყობს. ვერ ვიტყვით რომ მიმზიდველია. 18-20 წლის თუ იქნება, მეტი კი არა.ახურავს შავი ჩალის ქუდი, რომლისთვისაც, როგორც ეტყობა, უცხო არაა ლონდონის მტვერი და მჭვარტლი, ალბათ ჯაგრისი არც კი გაჰკარებია. მისი თმის არაბუნებრივი თავგისფერი თავის დაბანვის საჭიროებაზე მიუთითებს. იაფფასიანი, წელში გამოყვანილი შავი პალტო ძლივს წვდება მუხლამდე. პალტოს ქვეშ ყავისფერი კაბა მოუჩანს ტილოს წინსაფრით. ფეხსაცმელი დიდი ხანია გადასაყრელია. როგორც ჩანს, რაც შეუძლია იცავს სისუფთავეს, მაგრამ ამ ბანოვანებთან შედარებით ჭუჭყიანი გეჩვენებათ. სახის ნაკვთები მათზე უარესი როდი აქვს, მაგრამ მოუვლელია. ეტყობა კბილის ექიმის ხელიც აკლია).

დედა ერთი ეს მითხარით, საიდან იცით, რომ ჩემს ვაჟს ფრედი ჰქვია?

ყვავილების გამყიდველი გოგო ოო, ეგ რა! თქვენი შვილია? დიდი ბედენა გაგიზრდია რაღა, საწყალ ქალს ყვავილები გამაყრევინა და ჰაიდა მოუსვა, თითქოს საფასურს გადახდა არ უნდოდეს, ანდა გროშებს, აი, თქვენ ჩამითვლიდეთ მის მაგივრად. (სამწუხაროდ მისი მეტყველების მანერის გადმოცემას თავი უნდა მივანებოთ, სულერთია ლონდონის მცხოვრებთა გარდა მას ვერავინ გაიგებს).

ქალიშვილი არ გასულელდე, დედა, და არ გადაიხადო, ახლა ეგლა გვაკლია.

დედა მოიცა, კლარა! ხურდა გაქვს?

ქალიშვილი 6-პენანზე ნაკლები არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო ხურდას მომცემთ, კეთილო ქალბატონო.

დედა (კლარას) მომეცი (კლარა ყოყმანით აწვდის ფულს) აი, შენი ყვავილების საფასური.

ყვავილების გამყიდველი გოგო მადლობელი გახლავართ, ლედი.

ქალიშვილი ხურდა? თითო კონა ია ერთ პენიზე მეტი არა ღირს.

დედა ენა გააჩერე, კლარა! (ყვავილების გამყიდველ გოგონას) ხურდა საჭირო არ არის.

ყვავილების გამყიდველი გოგო მადლობელი გახლავართ, ლედი.

დედა აბაა, ეხლა მითხარი, საიდან იცი იმ ახალგაზრდა ჯენტლემენის სახელი?

ყვავილების გამყიდველი გოგო მე რა ვიცი მისი სახელი?

დედა სახელით არ მიმართე? რას მატყუებ?

ყვავილების გამყიდველი გოგო (აღშფოთებით) ვის რატ უნდა თქვენი მოტყუება? სულ ერთი არ არის, ფრედის დაუმახებდი თუ ჩარლის? თქვენც ასე არ შვრებით? ზრდილობის გულისტვის უცხო კაცს სახელით არ მიმართავთ?

ქალიშვილი ტყუილად წყალში გადაყარე 6 პენი, დედა, ჯობდა ფრედისთვის მიგეცა. (გაბრაზებული სვეტისკენ იხევს. სადამურ ტანსაცმელსა და საზაფხულო პალტოში გამოწყობილი, მიმხიდველი გარეგნობის, შუახნის სამხედრო კაცი შემოვარდება ტალანში და ხურავს ქოლგას, რომელსაც წურწურით ჩამოსდის წყალი).

ჯენტლემენი ფუი!

დედა ოჰ, სერ! გადაღებას არ აპირებს?

ჯენტლემენი პირი არ უჩანს, ის კი არა, ორი წუთის წინ უფრო წამოუშინა.
(ყვავილების გამყიდველ გოგონას გვერდით სვეტის ძირზე ფეხს ჩამოდგამს და შარვლის ტოტებს ჩამოუშვებს).

დედა ღმერთო ჩემო! (ამოიოხრებს და თავის ქალიშვილთა მივა).

ყვავილების გამყიდველი გოგო (ცდილობს ისარგებლოს სამხედრო კაცის მეზობლობით და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს) დარდი ნუ გაქვს, „კაპიტანო თუ მართლა მაგრა დასცხო, მალე გადაიღებს. იყიდეთ, ყუაილები, იყიდეთ საწყალი გოგონასაგან.

ჯენტლემენი სამწუხაროდ ხურდა არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო მე მაქვს ხურდები, კაპიტანო.

ჯენტლემენი სოვერენის? ამაზე წვრილი ფული არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო მერე რა, იყიდეთ ყუაილები, კაპიტანო, იყიდეთ. ნახევარ კრონიანს დაგიხურდავებთ. აი, 2 პენი წაიღეთ.

ჯენტლემენი რას გადამეკიდეთ, ქალიშვილო (ისინჯავს ჯიბეებს) თუმცა, თუმცა, მოიცა, ერთ-ნახევარი პენი მქონია, თუ გაწყობს, აიღე. (მიდის მეორე სვეტისაკენ).

ყვავილების გამყიდველი გოგო (შეწუხდება მაგრამ გადასწყვიტა, რომ სულ არარაობას ერთნახევარი პენი სჯობია) მაღლობელი გახლავართ, სერ, მაღლობელი.

მაყურებელი (ყვავილების გამყიდველ გოგოს) შენ, ცოტა არ იყოს, ფრთხილად იყავი: ფული რომ გამოათვი, ყვავილი მიეცი, თორემ უკან რომ კაცი დგას, შენს ყოველ სიტყვას იწერს. (ხალხი მოუბრუნდება კაცს, რომელიც რაღაცას ინიშნავს).

ყვავილების გამყიდველი გოგო (შეშინებული წამოვარდება) ვიტომ რა მოხდა, თუ ჯენტლემენს დაველაპარაკე? მე ასეთ ადგილებში ყუაილების გაყიდვის უფლება დიახაც რომ მაქვს. (ისტერიულად). მე წესიერი გოგო ვარ, მიშველეთ, დამეხმარეთ. მის მეტი რა ვუთხარი, ყუაილი-იყიდე მეთქი. (საერთო არეულობა. უმრავლესობა ყვავილების გამყიდველ გოგონას უთანაგრძნობს, ზოგიერთები ამშვიდებენ: „ნუ ყვირი

„შენთან ვის რა უნდა , „შენთან ვის რა საქმე აქვს , „კარგი, აურზაური ნუ ასტეხე , „თავი შეიკავე , „დამშვიდდი და ასე შემდეგ. ფიცხი მაყურებლები კი უხეშად მიმართავენ: - „ ხმა ჩაიკმინდე შენ ვის რაში სჭირდები? მოშორებით მდგომნი კი, რომელთაც ვერ გაიგეს რა მოხდა, მოცვივდებიან და კითხულობენ: „რა მოხდა? , „რა იყო? „რა ჩაიდინა ამ გოგომ? „სად არის ის კაცი? , „რომელი? , „ისა? „სვეტთან რომ დგას? „ფული ამოაცალეს იმ ჯენტლემენს? და ასე შემდეგ.).

ყვავილების გამყიდველი გოგო (რის ვაი-ვაგლახით მივა ჯენტლემენტან და გულამოსკვნილი ტირის) ოჰ, სერ. უთხარი ასეთ რამეს ნუ მაბრალევენ. ნუთუ არ იცით,

რას ნიშნავს ეს ჩემთვის? თქვენთან დალაპარაკებისთვის ცუდ სახელს მომაკერებენ და ქუჩაში გამაგდებენ. ისინი...

კაცი წიგნაკით (გვერდით ამოუდგება ყვავილების გამყიდველს. ირგვლივ შემოეხვევიან) რაო, რაო? რაო? რაო? შენ ვინ რას გერჩის, ბრიყვო? ნ მე ვინა გგონივარ?

მაყურებელი ყველაფერი გასაგებია. ჟენტლემენია, აბა, ფეხსაცმელებს დახედეთ. (უხსნის წიგნაკიან კაცს) გოგოს, აი, ის... რა ჰქვია... მბეზღარა ეგონეთ, სერ.

კაცი წიგნაკით რაო? მბეზღარა რა არის?

მაყურებელი რა არის? აბა, როგორ გითხრათ. მბეზღარა, მბეზღარაა, მეტს არს ეძახიან? ჰო, მართლა, ჯაშუში... ჯაშუში...

ყვავილების გამყიდველი გოგო (ისევ ისტერიულად) ღმეთმანი, გე სიტყვა არ მითქვამს.

კაცი წიგნაკით (მბრძანებლურად მაგრამ გულკეთილად) კარგი გაჩუმდი, გაჩუმდი. პოლიციელს რა მიგავს?

ყვავილების გამყიდველი გოგო (ჯერ კიდევ დაუწყნარებელი) მაშ, რატომ იწერდი ჩემს სიტყვებს? საიდან ვიცი მართალი ჩაიწერე თუ არა? აბა მიჩვენეთ არ ჩაიწერე.

კაცი წიგნაკით (ამოიღებს წიგნაკს და ცხვირთან მიუტანს ყვავილების გამყიდველ გოგოს. ჩნობისმოყვარე ხალხი ისე გადმოაწვება, რომ მასზე სუსტი კაციც ვერ გაუძლებდა, გათელავდნან).

ყვავილების გამყიდველი გოგო რა არის ეგ? ჩვენებურად არა სწერია. ვერაფერი გავიგე.

კაცი წიგნაკით მე გაგაგებინებ. (კითხულობს. ზუსტად აჯავრებს გოგონას გამოთქმას: „დარდი ნუ გაქვთ, „კაპტანო , იყიდეთ, იყიდეთ ყუაილები საწყალი გოგონასაგან).

ყვავილების გამყიდველი გოგო (კიდევ უფრო შეურაცყოფილი) მაშ, იმიტომ ჩაიწერეთ ჩემი სიტყვები, რომ მე მას „კაპტანი დაუძახე? ცუდი განძრახვით ხო მარ მითქვამს? (ჯენტლემენს) ოჰ, სერ! უთხარით ერთი სიტყვის გულისთვის შარში ნუ გამხვევს. თქვენ...

ჯენტლემენი ბრალს გდებენ? ვინა გდებს ბრალს?! (წიგნაკიან კაცს) მართლაცდა, სერ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რა თქვენი საქმეა დამიცვით გოგოების შემოსევისაგან, თუ მე ეს თქვენთვის არ მითხოვია. ყოველ შემთხვევაში ამ გოგონას ცუდი არაფერი ჩაუდენია. ამდენი ხალხია მოწმე.

ხალხი _ (გამოსთქვამს აღშფოთებას პოლიციური ჯაშუშობის წინააღმდეგ „წყეულიმც იყავით , „სხვის საქმეში რას ეჩრებით? , „თქვენ თავს მოუარეთ ? „დაწინაურება

მოუნდა , „ხალხის ნალაპარაკებს იწერს , „ამ გოგონას სიტყვაც არ უთქვამს მისთვის , „ტუნდაც ეთქვა, მერე რა მოხდა? , „კარგი საქმეა სწორედ, გოგოს თავი ისე ვერსად შეუფარებია, რომ არ შეურაწყონ . და ასე სჰემდეგ. გულშემატკივრები დააბრუნებენ ყვავილებს გამყიდველ გოგონას და დასვამენ თავის ადგილზე, სვეტთან, გოგონა ცდილობს დამშვიდდეს).

მაყურებელი - რა თქმა უნდა, ჯაშუში არ არის. ერთი ახირებული კაცია, ესაადა ეს, დამერწმუნეთ. აბა ფეხსაცმელს დახდეთ.

კაცი წიგნაკით - (მხიარულად მოუბრუნდება მაყურებელს) რა მაგის პასუხია და როგორ არიან თქვენები სელში?

მაყურებელი - ვინ გითხრათ, რომ ჩემები სელში ცხოვრობენ?

კაციწიგნაკით - ნუ გეშინიათ, არავის უთქვამს. (ყავილების გამყიდველ გოგოს) იმ სიშორიდან აქ რამ მოგიყვანა? შენ ხომ ლისონ გროვში ხარ დაბადებული?

ყვავილების გამყიდველი გოგო - (შეშინებული) მერე რა დავაშავე ლისონ გროვიდან რომ ჩამოვედი. იქ საღორეზე უარეს ბინაში ვცხოვრობდი, კვირაში 4 შილინგი და 6 პენი უნდა მეხადა. (ტირის) ო-ო-ოჰო-ო-ო-ო.

კაციწიგნაკით - სადაც გენებოს იქ იცხოვრე, ოღონდ ტირილი შეწყვიტე.

ჯელტმენი - (ყვავილების გამყიდველი გოგოს) კარგი, ნუ ტირი, გეყოფა, ხელს არ გახლებს, სადაც გინდა იქ იცხოვრე.

გამქირდავი მაყურებელი - (ჩადგება წიგნაკიან კაცსა და ჯელტმენს შორის) მაგალითად პარკ- ლეინში. მართლა, მე თქვენთან კამათი მინდა შაცხოვრებელი ბინის საკითხზე.

ყვავილების გამყ. გოგო - (ტავს ჩარგავს კალტაში და ბუტბუტებს სასოწარკვეთილი) მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

გამქირდავი მაყურებელი - (ყურადღებას არ აქცევს გოგოს) იქნება ისიც იცოდე მე საიდანა ვარ?

კაცი წიგნაკით - (სწრაფად) ჰოქსტონიდან. (გაისმის ხარხარი. ხალხი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს წიგნაკიან კაცს).

გამქირდავი მაყურებელი - (გაოცებული) თქვენ ვინ ყოფილხართ! სწორედ რომ ჰოქსტონიდან ვარ. მარტლაც ყველაფერი გცოდნიათ.

ყვავილების გამყ. გოგო - (ჯერ კიდევ აღელვებული) არავითარი უფლება არა აქვთ ჩემს საქმეში ჩაერისო, არავითარი.

მაყურებელი - (გოგოს) რა თქმა უნდა, არა აქვს. პასუხი მომთხოვე ასე არ მოეშვა. (წიგნაკიან კაცს) ერთი ეს მითხარით, რა უფლება გაქვთ ყველაფერი იცოდეთ იმ ადამიანებზე, რომელთაც თქვენთან, არაფერი ჰქონიათ და არც უნდათ იქონიონ?

ყვავილების გამყ. გოგო - რაც უნდა, ისა თქვას, მასთან მაინც არაფერი საერთო არ მინდა.

მაყურებელი - ალბათ, იმიტომ გვეპყრობით ასე, რომ არაფრად გვაგდებთ. ასე არ უნდა იქცეოდეთ, არა.

გამქირდავი მაყურებელი - მართლა ბრძანებაა. თუ მაინც და მაინც მარჩიელობა დაიწყეთ, მაშინ ამ ჯელტმენსაც უთხარიტ საიდანაა ჩამოსული.

კაცი წიგნაკით - ჩელტენ ჰამიდან, ჰაროუდან და ბოლოს ინდოეთიდან.

ჯელტმენი - სრული სიმართლეა. (სიცილ-ხარხარი, წიგნაკიანი კაცისადმი უფრო და უფრო მეტი განეწყობა სიმპათიურად. გაისმის შემახილები: „მან ყველაფერი იცის? „პირდაპირ მოუჭრა, „იმ წარმოსადეგ ჯელტმენს ზუსტად უთხრა საიდანაა ჩამოსული, „საოცარია და ასე შემდეგ) ნება მომეცით სეგეკითხოთ, სერ. თავს იმით ირჩენთ, რომ ამ ნომრით გამოდიხართ მიუზიკ-ჰოლში?

კაცი წიგნაკით - არ, მაგრამ, მიფიქრია კი. ოდესმე შეიძლება მართლა გავაკეთო. (წვიმამ გადაიღო, ხალხი თანდათან იშლება).

ყვავილების გამყ. გოგო - (შეურაწყოფილი იმით, რომ ხალხი სიმპათიურად განეწყობა წიგნაკიანი კაცისადმი) ის ჯელტმენურად რომ იქცეოდეს, საბრალო გოგოს არ შეურაცხოვდა, არა.

ქალიშვილი - (მოთმინებიდან გამოსული უხეშად გაემართება ჯელტმენისაკენ, ეს უკანასკნელი თავაზიანად უთმობს ადგილს) მიწამ ხომ არ ჩაყლაპა ფრედი? ამ სიცივეში, თუ კიდევ ცოტახანს დავრჩი ფილტვების ანთება ხელსი მიჭირავს.

კაცი წიგნაკით - (ნიშნავს ამ ქალიშვილის გამოთქმას და თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ნამდვილად ერლსკორტიდანაა).

ქალიშვილი - (აღშფოთებით) კეთილი ინებეთ და თქვენი უხეში შენიშვნები თქვენთვის სემონახეთ.

კაცი წიგნაკით - რაო? რაიმე ხომ არ მითქვამს ხმამაღლა? უნებურად მომსვლია, მაგრამ... დედათქვენი კი უეჭველად ეპსომიდანაა.

დედა - (ჩადგება ქალიშვილსა და წიგნაკიან კაცს შორის) პირდაპირ საოცარია, მე ბავშობა სწორედ ეპსომის ახლოს ლარჯლედის პარკში გავატარე.

კაცი წიგნაკით - (უცნაურად გახარებული) ხა, ხა, ხა, ეს რა ბგერები გავიგონ, ბოდიში. (ქალიშვილს) თქვენ ტაქსი გნებავტ არა?

ქალიშვილი - როგორ მიბედავთ ლაპარაკს?

დედა - დამშვიდდი, კლარა, დამშვიდდი (ქალიშვილი უკამყოფილოდ აიჩეჩავს მხრებს და ამპარტავნულად განზე გადგება) დიდი მადლობელი ვიქნებით, სერ, ტაქსს თუ გვიშოვით. (წიგნაკიანი კაცი ამოიღებს სასტვენს და უსტვენს) ოჰ, გმადლობ. (მივა ქალიშვილთან. წიგნაკიანი კაცი გამაყრუებლად უსტვენს).

გამქირდავი მაყურებელი - ესეც თქვენ! ხომ გითხარით გადაცემული ჯაშუშია მეთქი.

ყვავილების გამყ. გოგო - (ისევ შეურაცხყოფილი) მას უფლება არა აქვს სახელი გამიტეხოს, არა. მე ისევე მჭირდება კარგი სახელი, როგორც რომელიმე ლედის.

კაცი წიგნაკით - არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა, მაგრამ უკვე ორი წუთია, რაც წვიმამ.

გადაიღო.

მაყურებელი - მართლა გადაუღია. ღომ გვასმენინებთ ამ თქვენ სულელურ ლაპარაკს, აქამდე ვერ თქვით? (გაემართა სტრენდისაკენ).

გამქირდავი მაყურებელი - ახლა მეც შემძლია გითხრათ თქვენ საიდან ხართ. ჰანველის საგიჟეთიდანა ხართ გამოქცეული. ჰოდა, გირჩევნიათ ისევ იქ დაბრუნდეთ.

კაცი წიგნაკით - (უმწეოდ) ჰანველის საგიჟეთიდან?

გამქირდავი მაყურებელი - (ცდილობს, რაც შეუძლია გარკვეულად და მოხდენილად გამოსთქვას) მადლობელი გახლავართ, მასწავლებელო ხა, ხა, ხა, ნახვამდის. (დამცინავად მიიღებს ხელს ქუდზე თითქოს ესალმებაო და გადის).

ყვავილების გამყ. გოგო - ტყუილად აშინებს ხალხს, ნეტავი ერთი მაგასაც ვინმე დაუფრთხობდეს ანგელოზებს.

დედა - უკვე გამოიდარა. კლარა, ავტობუსის გაცკერებამდის ფეხით მოვიდეთ. წავიდეთ, წავიდეთ. (კაბის ბოლოს აიკრეფს და გაეშურება სტრენდისაკენ).

ქალიშვილი - ტაქსი? (დედამისს არ ესმის) ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! (გაბრაზებული მიჰყვება დედას, ხალხი ნელ-ნელა იშლება. რჩებიან მხოლოდ წიგნაკიანი კაცი, ჯენტლმენი და ყვავილების გამყიდველი გოგონა, რომელსაც წესრიგში მოჰყავს თავისი კალათა და ისევ უკამყოფილოდ ბუტბუტებს).

ყვავილების გამყ. გოგო - ეხ, შე საბრალო გოგონავ! ისედაც რა ცხოვრება გაქვა და კიდევ შენ შეურაცყოფენ.

ჯელტმენი - (უბრუნდება თავის ადგილს, წიგნაკიანი კაცის მარცხნივ) ნება მომეცით გკითხოთ, როგორ ახერხებთ ყოველივე ამას?

კაციწიგნაკით - სრულიად უბრალოდ, ფონეტიკის საქმეა. ფონეტიკა ბგერების შემსწავლელი მეცნიერებაა. ესაა ჩემი პროფესია და ჩემი მოწოდება. ბედნიერია ის კაცი,

რომლის ცხოვრების წყაროც მისი საყვარელი საგანია. თქვენ ალბათ ირლანდიელ იორკლშირელისაგან არჩევთ, მე კი ექვსი მილის სიზუსტით შემოძლია გამოვიცნო ვინ სადაურია. ლონდონში ორი მილის სიზუსტითაც ვარჩევ. ზოგჯერ იმასაც ვარკვევ, რომელი ქუჩის მცხოვრებია.

ყვავილების გამყ. გოგო - რცხვენოდეს მაინც ამ ლაჩარს.

ჯენტლმენი - მერე, ეს საკმაო შემოსავალს იძლევა საცხოვრებლად?

კაცი წიგნაკით - როგორ არა, ჩინებულ შემოსავალს იძლევა. ჩვენი საუკუნე გადიდკაცებულ მდაბიოთა საუკუნეა. ზოგიერთი ქალაქ კენტში იწყებს მოღვაწეობას 80 გირვანქა წლიური შემოსავლით და კარიერას პარკ ლეინში ამთავრებს 100 ათასით. მათ უკვე ქალაქ კენტის ხსენებაც აღარ უნდათ, მაგრამ სალაპარაკოდ პირს დააღებენ თუ არა, მაშინვე მჟღავნდება, რომ პროვინციელები არიან.

ყვავილების გამყ. გოგო - მაგას ურჩევნია თავისთვის ეგდოს, სხვის საქმეებში ნუ ერეება და მეც თავი დამანებოს.

კაცი წიგნაკით - (გაშმაგებული) ქალო, ან შეწყვიტე ეგ აუტანელი ბუზდუნნი ანდა წადი და რომელიმე სხვა ეკლესიას შეეფარე.

ყვავილების გამყ. გოგო - (გაუბედავად, მაგრამ გამომწვევად) მე ისეთივე უფლება მაქვს აქ ყოფნისა, როგორც თქვენ.

კაცი წიგნაკით - ქალს, რომელიც ასე ლაპარაკობს და ასეთ საშინელ ბგერებს უშვებს, საერთოდ არა აქვს ცხოვრების უფლება. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ადამიანური არსება ხარ, ადამიანური სული გიდგას და ღვთისაგან მეტყველების უნარი გაქვს მონიჭებული, რომ შენი მშობლიური ენა შექსპირის, მილტონის და ბიბლიის ენაა. ჰოდა, ასე საცოდავად ნუ ზიხარ მანდ და ნუ კრუსუნებ.

ყვავილების გამყ. გოგო - (ღონემიხდილია, სახესე ეხატება გაოცება და მუდარა, მაგრამ თავის აწევას ვერ ბედავს) ვაი,-უ-ოი-უ-უ-უ-უ-უ-.

კაცი წიგნაკით - (სასწრაფოდ ამოიღებს ჯიგიდან წიგნს) ღმერთო ჩემო, ეს რა ბგერებია! (იჭერს. შემდეგ კითხულობს და ზუსტად აჯვარებს გოგონას) ვაი,-უ-ოი-უ-უ-უ-უ-.

ყვავილების გამყ. გოგო - (ეს მიბაძვა ისე იმოქმედებს, რომ ძალაუნებურად ეცინება) უჰ-შენი...

კაცი წიგნაკით - დააკვირდით ამ არსებას თავისი ქუჩური ინგლისურით, რომელიც მთელი სიცოცხლე ცხოვრების ფსკერზე მიაჯაჭვავს მას. აი რა, სერ, მომეციოთ 3 თვე და ამ გოგონას ისე გარდავქმნი, რომ ელჩის მისაღებ დარბაზობაზეც კი ჰერცოგის ასულად მიღონ, გნებავთ,, გამყიდველად. მათ ხომ უკეთესი ინგლისური ესაჭიროებათ..

ყვავილების გამყ. გოგო - ეგ რა თქვით?

კაცი წიგნაკით - ქალიშვილო, შენი გაუნათლებლობით შეურაწყოვ ამ სვეტების კეთილშობილურ არქიტექტურას, შეურაქყოფას აყენებ ინგლისურ ენასაც და ეს მაშინ, როცა მე შემძლია ტუნდაც შებას დედოფლად გადაგაქციო. (ჯელტმენს) რაო, არა გჯერათ?

ჯელტმენი - რა თქმა უნდა, მჯერა მე თვითონ ინდურ დიალექტებს ვსწავლობ და...

კაცი წიგნაკით - (მოუთმენლად) მართლა? იქნება იცნობთ სამეცნიერო სანსკრიტის ავტორს პოლკოვნიკ პიკერინგს?

ჯელტმენი - პოლკოვნიკი პიკერინგი მე გახლავართ. თქვენ ვინა ბრძანდებით?

კაცი წიგნაკით - თქვენს წინაშეა „ჰიგინსის უნივერსალური ანბანი“ -ს ავტორი ჰენრი ჰიგინსი.

პიკერინგი - (აღტაცებული) ინდოეთიდან თქვენ სანახავად ჩამოვედი.

ჰიგინსი - მე კი ინდოეთში თქვენს შესახვედრად მოვეშურებოდი.

პიკერინგი - სად ცხოვრობთ?

ჰიგინსი - უიმპოლის ქუჩის 27 - ა - ში. ხვალვე მობრძანდით ჩემთან.

პიკერინგი - მე კარსტონში დავბინავდი. ხვალვე წამობრძანდით ჩემთან, ვივახშმით კიდეც და ვისაუბროთ.

ჰიგინსი - ასე აჯობებს.

ყვავილების გამყ. გოგო - (პიკერინგს, ჩავლის დროს) იყიდეთ ყვავილი, კეთილო ჯელტმენო, იყიდეთ, ბინის ქირა ვერაფრით გადამიხდია.

პიკერინგი - ძალიან მწუხვარ, მაგრამ ხურდა არა მაქვს.

ჰიგინსი - (გოგონას მათხოვრობით აღმფოთებული) მატყუარა, შენ არ სთქვი, ნახევარ კრონიანს დაახურდავებო?

ყვავილების გამყ. გოგო - (სასოწარკვეთილი წამოვარდა) გულის მაგივრად ლურსმნები გქონიათ! (კალათას ჰიგინსის ფეხებთან დააგდებს) აი, მთელი კალათა ყვავილები 6 პენიდ წაიღეთ. ეკლესიის ზარი 12 ნახევარს რეკავს.

ჰიგინსი - (ამ ზარის ხმაში ჰიგინსს მოესმის ღვთაებრივი ხმა, რომელიც თითქოსდა საბრალო გოგონას მიმართ გამოჩენილი სიმკაცრისათვის შაყვედურობს) თვითონ ზეცა მკარნახობს: (მოიხდის ქუდს, გოგონას მუჭით ჩაუყრის ფულს კალთაში და მერე პიკერინგს გაედევნება).

ყვავილების გამყ. გოგო - (დაიხრება და აიღებს ნახევარ კრონიანს) ი-ი-ი-ი-ი-ი.
(აიღებს ორ ფლორინს) ო-ო-ო-ო-ო-ო (აიღებს რამდენიმე გროშს) ე-ე-ე-ე-ე-ე (აიღებს
ნახევარ სოვერენს) უ-უ-უ-უ-უ-უ.

ფრედი - (ჩამოხტება ტაქსიდან) როგორც იქნა ვიშოვე. ამარჯობა. სად წავიდნენ ის
ქალბატონები, აქ რომ იცდიდნენ?

ყვავილების გამყ. გოგო - როგორც კი წვიმამ გადაიღო, ავტობუსის გაჩერებისკენ
წავიდნენ.

ფრედი - ახლა, ამ ტაქს რა ვუყო? აი, სეირი..

ყვავილების გამყ. გოგო - (ამაყად) დარდი ნუ გაქვს, ახალგაზრდავ, მე წავალ ტაქსით
სახლში. (მედიდურად გაემართება ტაქსისკენ მძღოლოლი მოუკეტავს მანქანის კარს.
გოგო მიხვდება თურატომ არ ენდობა მძღოლოლი და მთელ მუჭა ფულს უჩვენებს) აი,
ტაქსის ფულის გადახდა არაფერია ჩემთვის ჩარლი.(მძღოლს გაელიმება და გაუღებს
მანქანის კარს).

ყვავილების გამყ. გოგო - აქ? კალათი?

მძღოლოლი - აქ მოიტა, ორი ზედმეტი პენი კალათისათვის უნდა გადაიხადო.

ელიზა - მხოლოდ ისე, რომ კალათი არავინ დაინახოს (ჩააგდებს კალათს მანქანაში და
ჯდება. მანქანის ფანჯრიდან აგრძელებს ფრედისთან საუბარს) მშვიდობით, ფრედი!

- (ზანტად მოიხდის ქუდს) მშვიდობით.

მძღოლოლი - საით?

ელიზა - ბუკინგამის სასახლეში.

მძღოლოლი - ბუკინგამის სასახლეში?

ელიზა - რაო, არ იცი? მწვანე პარკთანაა. იქ, სადაც მეფე ცხოვრობს. მშვიდობით,
ფრედი. ნუ მაყურებინებ შენ საცოდაობას, წადი, მშვიდობით.

ფრედი - მშვიდობით. (მიდის).

მძღოლოლი - მაშ ბუკინგამის სასახლეში? კი მაგრამრა საქმე გაქვს ბუკინგამის სასახლეში?

ელიზა - არაფერი. არ მინდოდა იმ ახალგაზრდას გაეგო სადა ვცხოვრობ. ახლა სახლში
წამიყვანე.

მძღოლოლი - სად?

ელიზა - ანჟელ კორტი, დრიური ლეინი, ნავთის წერტის პირდაპირ.

მძლოლი - ოი, აი ეს უკვე მართალსა ჰგავს. (მანქანა მიდის) მოდი, ჩვენც მივდიოთ მანქანასანანაჟელკორტის შესასვლელამდე. მანქანა ჩერდება ვიწრო თაღთან, რომელიც ორ დუქანს შორისაა მოქცეული. ერთ - ერთი ნავთის წერტია. ელიზა თავისი კალათით გადმოვა მანქანიდან.

ელიზა - რამდენი გინდა?

მძლოლი - (უჩვენებს თაქსომეტრს) კითხვა არ იცი? შილინგი.

ელიზა - რა ამბავია ორ წითში შილინგი?

მძლოლი - ორი წუთია თუ ათი,სულ ერთია.

ელიზა - აიღე, მაგრამ ვიცი, რომ მატყუებ.

მძლოლი - რა? ირველად ზიხარ ტაქსში?

ელიზა - (ამაყად) ასჯერ მჯდარვარ თუ ათასჯერ.

მძლოლი - (დაცინვით)კარგი, კარგი, შენთვის შეინახე ეგ შილინგიც, ძვირფასო. თქვენები მომიკითხე, კარგა იყავი. (მიდის).

ელიზა - (დამცირებული) უსირცხვილო. (აიღებს კალათს და მიაქვს ბინაში, რომელიც წარმოადგენს ერთ პატარა ოთახს. მის სველ კედლებზე ჩამოძენძილია გახუნებული შპალიერი. ფანჯრის ჩამტვრეული მინის მაგივრად ქაღალდი გაუკრავს. კედელზეა ვიღაცა უბრალო მსახიობის სურათი და ჟურნალიდან ამოხეული ქალის კაბის ნიმუშები. ფანჯარასთან კიდია ჩიტის გალია ჩიტი დიდი ხანია მკდარია, გალია ალბათ მის მოსაგონებლად ჰკვდია.მარტო ეს ფუფუნების საგნები მოჩანს სხვა ყველაფერი სიღარიბეზე მეტყველებს.დანჯღრეული საწოლი, რომელზედაც ჰყრია ყოველგვარი კონკები, რასაც კი გათბობა შეუძლია. აქეცილი ჩემოდანი, რომელზედაც აწყვია თეფში, სურა, და პატარა სარკე მოჩანს სკამი, მაგიდა და სამზარეულოს ზოგიერთი ნივთიც. მერიკული მალვიძარა დგას ბუხრის თავზე, რომელშიაც ცეცხლი დიდი ხანია არ დანთებულა. ოთახ ლამპით ნათდება. ქირა: კვირაში ოთქი შილინგი აი, ელიზაც შემოდის. საშინლად დაქანცულია, მაგრამ იმდენად აღელვებულია, რომ იძინებს. ჩამოჯდება. ითვლის თავის სიმდიდრეს და ფიქრობს რა გააკეთოს ამ ფულით ლამპაში ნავთი იღევა და ქრება ელიზას სიამოვნებს იმის შეგრძნებას რომ შეუძლია ერთი პენის სინათლეს დახარჯოს და არ დაინანოს, თუმცა არც მომჭირნეობის გრძნობას ჰკარგავს. ხომ შეუძლია ზედმეტი პენი არ დახარჯოს სინათლისათვის, სიბნელეში ჩაწვეს ლოგინში და იოცნებოს... ამგვარად მოიხსნის შალს, გაიხდის კაბას და ამ თავის მორთულობას საბნის სამაგიერო კონკებს უმატებს.ფეხსაცმელს გაიხდის და ჩაწვება).

პირველი მოქმედების დასასრული.

- ფ ა რ დ ა - .

მოქმედება მეორე.

მეორე დღე. დილის 11 საათი. ჰჰიგინსის ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. ოთახი მეორე სართულზეა. ფანჯრები ქუჩის მხარეს გადის. ეს ოთახი თავის დროზე სასტუმრო ოთახად იყო განკუთვნილი. უკანა კედლის შუა ორმაგი კარია. ოთახში შემსვლელი მარჯვენა კუთხეში ხედავს ერთმანეთთან სწორი კუთხით იდგმულ ორ კარტოთეკას. იმავე კუთხეში დგას საწერი მაგიდა, რომელზედაც დადგმულია ფინოგრაფი და ლარინგოსკოპი, პატარა- პატარა ორღანის მილები საბერველით, შუმის მილები მოცახცახე ალისათვი, სანთურათი, რომელიც კედელთან შეერთებულია რეზინის მილით. სხვადასხვა კამერტონები, ბუნებრივი სიდიდის ადამიანის თავის ჭრილი, რომელშიაც მოჩანს სახმო ორგანოები. იქვეა ყუთი ცვილისლილვებით ფონოგრაფისათვის.

იმავე მხარეს ოთახის სიღრმეში ღუმელია, იქვე კარის ახლოს დგას რბილი სავარძელი და ნახშირის ყუთი. ღუმელის თავზე დევს საათი. ღუმელსა და ფონოგრაფის მაგიდას შორის პატარა მაგიდაა გაზეთებისათვის.

მთავარი შესასვლელი კარის მარჯვნივ ვხედავთ უჯრებიან კარადას, მასზეა ტელეფონი და სამისამართო წიგნი, თითქმის მთელი კედლის გასწვრივ დგას საკონცერტო როიალ, რომლის კლავიატურა კარისაკენ ზურგითაა მიმართული. როიალთან მოთავსებულია კლავიატურის სიგრზის სკამი. როიალზეა ვაზა ხილით და ტკბილეულობით, რის უმრავლესობას შოკოლადი შეადგენს. გარდა სავარძლისა, როიალის სკამის და ფონოგრაფის მაგიდასთან მდგარი ორი სკამისა, ღუმელის ახლოს ვამჩნევთ ერთ სათადარიგო სკამსაც.

კედელზეა უმთავრესად პირინეზის გრაფიურება და მეცოტინტო ორტრეტები, სურათები არ ჩანს.

პიკირინგი უზის მაგიდას, აწყობს ბარათებს და სდებს კამერტონს რომელიც ეს-ესაა უხმარია. ის ახლოს დგას ჰიგინსი და ხორავს გამოღებულ უჯრებს. ილის სინათლეზე იგი ცოცხალ, ჩაფსკვნილ ორმოციოდე წლის მამაკაცად მოჩანს. აცვია თავისი პროფესიონალური შავი სერთუკი, გახამებული თეთრი საყელოთი და შავი აბრეშუმის ჰალსტუხით. ესაა ენერგიული მეცნიერის ტიპი, რომელიც ფანატიკურად ინტერესდება ყველაფრით, რაც შეიძლება მეცნიერული შესწავლის საგანი იქცეს, მაგრამ უყურადღებოა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გრძნობების მიმართც. თავისი აღნაგობისა და ხნოვანობის მიუხედავად, ის ჩამოგავს ცელქ ბავშვს, რომელიც დიდი ამბით ეხმაურება ყოველგვარ მოვლენას და რომელსაც ესაჭიროება მუდმივი ზედამხედველობა, რომ რაიმემისდაუნებურად არ გააფუჭოს. ისი გულკეთილი ბუზღუნი, როდესაც კარგ გუნებაზეა, გადადის სასტიკ მრისხანებასი, როცა რაიმე მისი სურვილის წინააღმდეგ კეთდება. მაგრამ მაინც იმდენად გურწფელია და შორსაა

ბოროტებისაგან, რომ, მაშინაც კი, როცა აშკარად ტყუის. არ შეიძლება მის მიმართ სიმპათიურად არ განეწყოს.

ჰიგინსი - (ხურავს უკანასკნელ უჯრას) კეთილი, მგონი ამით მოვრჩით.

პიკერინგი - პირდაპირ საოცარია, უნდა გითხრათ, რომ ნახევარიც ვერ დავიმახსოვრე.

ჰიგინსი - იქნება ზოგიერთის ხელმეორედ მოსმენა გენებოთ?

პიკერინგი - (წამოდგება, მიდის ღუმელთან და დგება ცეცხლთან ზურგშექცევით) არა, გამადლობთ. სხვა დროს იყოს, ახლა ძალიან დავიღალე.

ჰიგინსი - (გამოყვება მას და მარცხენა მხრიდან ამოუდგება) ბგერების მოსმენით დაიღალეთ? პიკერინგი - დაიხ, დიდ დამაბულობას მოითხოვს. წარმოიდგინეთ, ვამაყობდი კიდევ, რომ 24 ხმონის წარმოთქმა შემეზლო, მაგრამ თქვენმა 130-მა პირდაპირ ბოლო მომიღო. მათს უმრავლესობას შორის მცირეოდენ განსხვავებასაც ვერ ვამჩნევ.

ჰიგინსი - (სიცილით მიდის როიალთან და ჭამს ტკბილეულს) ო, ეს პრაქტიკის საქმეა, პირველად, რა თქმა უნდა ვერ შეამჩნევთ განსხვავებას, მაგრამ განმეორებით მოისმენთ თუ არა, დარწმუნდებით, რომ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ანსა და ბანს შორის. (შემოიხედავს ჰიგინსის დიასახლისი, ქალბატონი პირსი) რა მოხდა?

ქ-ნი პირსი - (გაუბედავად ყოყმანით) ვიგაცა ახალგაზრდა ქალს, თქვენი ნახვა სურს!

ჰიგინსი - ახალგაზრდა ქალს? რა უნდა?

ქ-ნი პირსი - არ ვიცი, სერ! ასე თქვა: როცა გაიგებს რისთვისა ვარ მოსული, გაუხარდებაო. დაბიო ქალია, სერ, მეტად მდაბიო. გავაზრუნებდი, მაგრამ გავიფიქრე, იქნებ პროფესორს უნდა თავის მანქანაში ალაპარაკოს---მეთქი. მგონი კარგად მოვიქეცი, მაგრამ, ხანდახან მეტად უცნაური ხალხი დადის და... მაპატიეთ, სერ, მე...

ჰიგინსი - კეთილი, კეთილი, ქ-ნი პირს, საინტერესო გამოთქმა აქვს?

ქ-ნი პირსი - ოჰ, რაღაც საშინელი, სერ, ნამდვილად საშინელი. მაკვირვებს, რა საინტერესოა ასეთი გამოთქმები?

ჰიგინსი - (პიკერინგს) შემოუშვათ? ქ-ნი პირს, შემოუშვით. (სწრაფად მიდის სამუშაო მაგიდასთან და აიღებს ლილვაკს ფონოტრაფისათვის).

ქ-ნი პირსი - (ნახევრად დარწმუნებული უცხო ქალიშვილის შემოშვების საჭიროებაში) კეთილი, თქვენი ნებაა, სერ. (პირს ჩადის) პიგმალიონი.

ჰიგინსი - პირდაპირ მისწრებაა. ფირის დამზადებას გაჩვენებთ. დავსვამ და მის ნალაპარაკებს ბელის ასოებით ჩავიწერ, შემდეგ ლათინურად, ბოლოს კი

ფონოგრაფიულად, ასე რომ, როდესაც მოგინდებათ, შეგიძლიათ, რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ მოუსმინოთ მის ხმას, თანაც ჩანაწერი მოიშველოთ.

ქ-ნი პირსი - (ბრუნდება) აი, აის ახალგაზრდა ქალი, სერ. (ოთახში მედიდურად შემოდის ყვავილების გამყიდველი გოგონა. ღუდზე უკეთია ფარშევანგის სამი ბუმბული: მწვანე, ცისფერი და წითელი. ახლა მისი წინსაფარი შედარებით უფრო სუფთაა. წელში გამოყვანილი პალტო ცოტა დაუგრძელებია. ამ სავალალო არსების აღზნეულება თავისი უმანკო ამაოებითა და თვითკმაყოფილებით ააღელვებს პიკერინგს, რომელიც ქ-ნი პირსის თანდასწრებით წელში სწორდება. რაც შეეხება ჰიგინსს, ერთადერთი განსხვავება, რასაც იგი ხედავს მამაკაცსა და ქალს შორის ისაა, რომ როცა უმნიშვნელო რამეზე გაბრაზებული არ არის, ქალებს ისევე ელონიავება, როგორც ბავშვი ძიძას, რომელმაც მას რაიმე უნდა გამოსტყუოს).

ჰიგინსი - (ერთბაშათ იცნობს გოგონას და ბავშვურად გამოსთქვამს იმედის გაცურებით გამოწვეულ სინანულს). ეს ხომ ის გოგონა, რომელსაც წუხელ ვესაუბრე, უსარგებლოა ჩემთვის, ლისონგროუული გამოთქმბი სულ ჩაწერილი მაქვს, ამისათვის ლილვავს არ გავაფუჭებ. (გოგოს) წადი; საჭირო არა ხარ. ყვავილების გამყ. გოგო - ნუ ჩქარობთ, ჯერ ხომ არ იცით რისთვის ვარ მოსული? (ქ-ნი პირსს, რომელიც კარებთან უცდის შემდგომ მითითებებს) ტაქსით რომ მივედი, უთხარით?

ქ-ნი პირსი - ნუ სულელობ, გოგო. ისეთ ჯელტმენს, როგორიც მისტერ ჰიგინსია, რაში აინტერესებს რითი მოხვედით? ყვავილების გამყ. გოგო - რაში და ჩვენ ვამაყოფთ. გავიგე, რომ ის გაკვეთილებს იძლევა. თვითონ. თქვა. ჰოდა, მე ქათინაურებისათვის კი არ მოვსულვარ. თუ ჩემი ფული აქ არ ფულობს, სხვაგან წავალ.

ჰიგინსი - რისთვის არ ფულობს? ყვავილების გამყ. გოგო - რისთვისა და თქვენთვისა, გაიგეთ? მე გაკვეთილების მისაღებათ მოვსულვარ, საფასურს გადავიხდი - თქო. რისი გეშინიათ?

ჰიგინსი - (გაშეშებული) რაო? (ძლივს მოითქვამს სულს) შენის აზრით, რის თქმას ელი ჩემგან?

ყვავილების გამყ. გოგო - თუ ნამდვილი ჯელტმენი ხართ, სკამის შემოთავაზებას.

ხომ გითხარით, საქმეზე მოვედი - მეთქი - თქო.

ჰიგინსი - პიკერინგ, ეს საფრთხობელა დავსვათ თუ ფანჯრიდან გადავადლოთ?

ყვავილების გამყ. გოგო - (შეშინებული გაიქცევა როიალისაკენ და კედლის კიდეს მიეკვრება).

ა-ო-უ-უ-უ-უ. (შეურაცხოფილ საბრალო ხმით) რატომ მეძახით საფრთხობელას. მე ხომ.

საფასურს ისევე გაძლევთ, როგორც ყოველი ლედი? (გაოცებული ჯენლტმენები ოთახის მეორე კუთხიდან მდუმარედ შესცქერიან გოგოს).

პიკერინგი - (დაუვავებით) კი, მაგრამ მაინც რა გნებავთ?

ყვავილების გამყ. გოგო - მე მიდა საყუაილე მაღაზიაში ვიმუშაო, როგორც ლედიმ, ტოტენჰამ კორტროუდზე აღარ ვიწანწალო ყვავილებით ხელში. ჩემი ლაპარაკი არ მოსწონთ და არ მიღებენ. აი ამან კი თქვა, შემოდლია გასწავლოვო - ო. ჰოდა, მოვედი, ქირასაც ვიხდი, - წაყალობას კი არ ვთხოულობ. ეს კი ისე მეპყრობა თითქოს მისი ფეხის მტვერი ვიყო.

ქ-ნი პირსი - რატომ ხარ ასეთი სულელი და გაუნათლებელი, რომ გგონია შესძლებ მისტერ ფიგინსს შესაფერი გასამრჯელო გადაუხადო?

ყვავილების გამყ. გოგო - რატოაც არა! მეც ისევე ვიცი რა ღირს გაკვეთილი, როგორც თქვენ. ჰოდა, გადავიხდი კიდეც.

ჰიგინსი - რამდენს?

ყვავილების გამყ. გოგო - (გახარებული მიუახლოვდება ჰიგინსს) აი, ეს სხვა საქმეა ვიცოდი, რომ ხელიდან არ გუშვებდით შემთხვევას იმ ფულის ნაწილი მაინც დაგებრუნებინათ, რომელიც გუშინ მომეცით. (შინაურულად) ცოტა გადაყლაპული იყავით, არა?

ჰიგინსი - (ბმანებლურად) დაჯექით!

ყვავილების გამყ. გოგო - მაგრამ, თუ ცალი ყბით ამბობთ ამას?

ჰიგინსი - (უყვირის) დაჯექი!

ქ-ნი პირსი - დაჯქი, გოგო. გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან.

ყვავილების გამყ. გოგო - ა-ო-უ-უ-უ-უ (დგება აღმფოთებული, გამმაგებული).

პიკერინგი - (დაყვავებით) დაბრძანდით. (ის დგამს სკამს მასა და ჰიგინსს შორის).

ელიზა - (დარცხვენით) თუ არაფერი გაქვს საწიააღმდეგო... (ჯდება პიკერინგი ღუმელს უბრუნებდა).

ჰიგინსი - (კითხულობს პათოსით) ელიზა, ელისაბედი, ბესი და ბეტსი ბუდის საქმეებზე გაემუონენ ტყეში.

პიკერინგი - ნახეს რა ბუდე და ოთხი კვერცხი მასში,

ჰიგინსი - სამი აქ დატოვეს, თითოწამმოიღეს სახლში. (თავიანტ ხუმრობაზე თვითონვე ეცინებად).

ელიზა - ნუ სულელობთ.

ქ-ნი პირსი - ასე უნდა მიმართო ჯენტლმენს?

ელიზა - თვითონ რატომ არ მელაპარაკება ადამიანურად?

ჰიგინსი - საქმეს დავუბრუნდეთ. გაკვეთილში რას მომცემ?

ელიზა - ოჰ მე ვიცი რა ღირს გაკვეთილი. ერთი ჩემი მეგობარი ლედი 18 პენის უხდის საათში ნამდვილ ფრანგ ჯენტლმენს, ფრანგული ენის გაკვეთილში და თქვენ ნუთუ ესეთი უსინდისო იქნებით, რომ იგივე საფასური მომთხოვთ ჩემი მშობლიური ენის სწავლებაში? შილინგს მოგცემთ, აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

ჰიგინსი - (ბოლთას სცემს, ჯიბეში გასაღებს და ხურდა ფულს აჩხანურებს) იცით რა, პიკერინგ, თუ ამ შილინგს შევხედავთ არა როგორც უბრალო შილინგს, არამედ, როგორც ამ გოგონას სემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს, დავინახავთ, რომ ეს იგივე იქნება, რაც მილიონერისაგან 60 ან 70 გინიას მიღება.

პიკერინგი - როგორ?

ჰიგინსი - აი, იანგარიშე. მილიონერი დღეში 150 გირვანქა სტერლინგს მაინც იღებს, ეს გოგო კი დღეში ნახევარ კრონს შოულობს.

ელიზა - (შემფოთებული) ვინ გითხრათ? მე მხოლოდ...

ჰიგინსი - (განაგრძობს) ეს გოგონა გაკვეთილში მთავაზობს თავისი დღიური შემოსავლის 2/5-ს. მილიონერის შემოსავლის 2/5. კი დღეში 60 გირვანქა სტერლინგია. ღმერთმანი, უდიდესი საფასურია. ასეთი ფასი ჩემთვის არასოდეს არ მოუციათ.

ელიზა - (წამოდგება შეშინებული) 60 გირვანქა სტერლინგი? რას ამბობთ, რასა? მე როდის ვთქვი 60 გირვანქა სტერლინგს მოგცემთ მეთქი? საიდან ვიშოვი ამდენს?

ჰიგინსი ენა გააჩერე!

ელიზა (ტირილით) საიდან ვიშოვო 60 გირვანქა სტერლინგი?

ქ ნი პირსი ნუ ტირი, სულელო. იჯექი მანდ. შენს ფულს არავინ ეხება.

ჰიგინსი შეგეხებიან იატაკის საწმენდი ჯოხით, თუ ახლავე ტირილს არ შეწყვეტ. დაჯექი.

ელიზა (დაემორჩილება) ა ო უ უ უ უ. რას მიჯავრდებით? ვიღაცას მამაჩემი ეგონებით.

ჰიგინსი თუ მოწაფედ აგიყვანე, იცოდე, ორ მამაზე უარესი ვიქნები შენთვის. აჰა, გამომართვი (აძლევს აბრეშუმის ცხვირსახოცს).

ელიზა რისთვის?

ჰიგინს თვალების მოსაწმენდად. სახის ყველა იმ ნაწილის მოსაწმენდად, რომელიც სველი აღმოგაჩნდება. დაიმახსოვრე: ეს შენი ცხვირსახოცია, ეს კი შენი სახელო და, თუ მაღაზიის გამყიდველი გოგო გინდა გახდე, ერთის საქმეს მეორეს ნუ აკეთებინებ.

(გაშმაგებული ელიზა უმწეოდ შესცქერის მათ).

ქ ნი პირსი მისტერ ჰიგინს, ამასთან ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს: ამოდ ირჯებით, სულ ერთია, მაინც არ იჯერებს.

(ცხვირსახოცს გამოართმევს).

ელიზა (ცხვირსახოცს გამოსტაცებს) მოიტა, მოიტა, ეს ცხვირსახოცი მე მომცა, შენ კი არა.

პიკერინგი (სიცილით) მართალს ამბობს! ქ ნო პირს, ახლა ეს ცხვირსახოცი მის კუთვნილებათ უნდა ჩაითვალოს.

ქ ნი პირსი (მდგომარეობა შეურიგებელი) კარგი, კარგი, ჰქონდეს,

პიკერინგი ჰიგინს, ამ ამბავმა ძალზე დამაინტერესა. გახსოვთ რა თქვით ელჩის მისაღებად გამართულ წვეულებასთან დაკავშირებით, თქვენს სიტყვას თუ შეასრულებთ, ჩვენი დროის უდიდესი პედაგოგად მიგიჩნევთ. დავნადღენდეთ, თუ თქვენ მოიგებთ, მე დავფარავ ექსპერიმენტისათვის გაწეულ ხარჯებს და გაკვეთილების საფასურსაც მე გადავიხდი.

ელიზა კეთილი ბრძანებულხართ გმადლობთ კაპტანო.

ჰიგინსი (შესცქერის ელიზას) ეს გოგო იმდენად მდაბიო და ჭუჭყიანია, რომ მართლა ღირს მისი აყვანა.

ელიზა (სამინლად ღმფოთებული) აა ოო უ უ უ ო ო!!! მე ჭუჭყიანი არა ვარ, არა, წამოსვლის წინ ხელპირი დავიბანე, დავიბანე.

პიკერინგი მჯერა, რომ ამ გოგონას გულს ქათინაურებით უთუოდ მოინადირებთ.

ქ-ნი პირს - (შეშფოთებული) ოჰ, ნუ იტყვით ამას, სერ:გოგოს გულის მონადირებას ბევრი არაფერი უნდა. ამისთვის უამრავი საშვალეა არსებობს. მისტერ ჰიგინსზე უკეთესი ოსტატი კი ამ საქმეში არავინაა. თუმცა, ხანდახან შეიძლება ამის გაკეთება არც კი უნდოდეს. იმედი მაქვს, სერ, რომ არ წააქეზებთ მას რაიმე სისულელე ჩაიდინოს.

ჰიგინსი - (რაც უფრო გაუჯდება თავში პიკერინგის აზრი, მით უფრო აღიგძნება) რა არის ცხოვრება, თუ არა შთაგონებულ სისულელეთა წყება? ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ პოულობს მათი განხორციელების საშვალეებს. თუ შესაძლებლობამოგეცა, ხელიდან არ უნდა გაუშვა: ყოველდღე როდი მოგეცემა იგი. ამ შავტუხა ქუჩის მაწანწალას მე ჰერცოგის ასულად გადავაქცევ, გადაწყვეტილი ამბავია.

ელიზა - (თავი დახასიათებით მეტად განაწყენებული) ა-ოო-ეე-უუ- ვაი!

ჰიგინსი - (გატაცებული) დიახ გადაწყვეტილია. ექვს თვეში, არა, უფრო ადრეც, სამ თვეში, - თუ ამ გოგონას კარგი ყურები და მოქნილი ენა გააჩნია. სწავლებას დღესვე შევუდგები. თუმცა, რაღა დღესვე, ახლავე, ამ წუთას. ქ-ნო პირს ახლავე წაიყვანე და გაასუფთავე. თუ ისე არ მოსცილდეს ჭუჭყი, ფხვნილით გახეხე. სამზარეულოში ცეცხლი გინთია?

ქ-ნი პირსი - (აღშფოთებული) მინთია, მაგრამ...

ჰიგინსი - (ყვირილით) ტანსაცმელი გახადე და დასწვი უიტლეისან ვინმე სხვას დაურეკე, ახალი ტანისამოსი მოუტანონ. მათ მოვლამდე კი ქალაქში გაახვიე.

ელიზა - თქვენ ჯელტმენი არა ყოფილხართ, ამის თქმას როგორ კადრულობთ, არა, არა ყოფილხართ, მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი და კარგად ვიცი რანი ხართ თქვენა და თქვენისთანები, ვიცი, ვიცი.

ჰიგინსი - გოგო, ჩვენ რაში გვესაჭიროები შენი ლისინგროული სათნოება? ჰერცოგის ასულის მიხრა - მოხრა უნდა ისწავლო. წაიყვანე, ქ-ნო პირს, თუ არ დაგემორჩილოს, ერთი მაგრად მიტყვიპე.

ელიზა - (წამოვარდება და ჩადგება პიკერინგსა და ქ-ნ პირსს შორის, მფარველობას ეძებს მათთან) პოლიციას დავუძახებ, პოლიციას.

ქ-ნი პირსი - კი, მაგრამ სად უნდა დავაბინავოთ არ ვიცი.

ჰიგინსი - სანაგვე ყუთში.

ელიზა - ა-ა-ა-ე-ე-ე-უ-უ-უ.

პიკერინგი - კარგი, ჰიგინსს, კარგი ისე ცუდად ნუ ეპყრობით.

ქ-ნი პირსი - (გაბედულად) დიხ, უფრო გონივრულდ მოექცეცით, მისტერ ჰიგინს! ასე ყველას შეურაცხყოფა არ იქნება. (გაკიცხული ჰიგინსი მოლბება. ქარიშხალს გაოცების სიო შეცვლის).

ჰიგინსი - (პროფესიონალური მოხდენიობით იცვლის ტონს) მე განა ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ? ჩემო ძვირფასო ქ-ნო პირს, პიკერინგ ძვირფასო, ფიქრადაც არასოდეს მქონია ვინმეს სეურაცხყოფა. ახლა კი ჩემი ერთადერთი განზრახვაა კარგადმოვეპყრათ ამ საბრაჯო გოგონას. დავენმართო მას ცხოვრების ახალი პირობების შეასაგუებლად მოემზადოს. თუ მაშინათვე ასე მკაფიოდ ვერ გამოვთქვი ეს აზრი, მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინოდათქვენი და მისი გრძნობები არ შემელახა.

ელიზა - (ამ სიტყვებით გამხნეებული, ფეხაკრეფით უბრუნდება თავის სკამს.).

ქ-ნი პირსი - რაო? ასეთი ამბავი ოდესმე გსმენიათ, სერ?

პიკერინგი - (გულიანად იცინის) არსოდეს, ქ-ნო პირს, არასოდეს.

ჰიგინსი - (მშვიდად) რა მოხდა?

ქ-ნი პირსი - საქმე ისაა, სერ, რომ არ შეიძლება ისევე უბრალოდ აიყვანო უცხო გოგონა, როგორც კენჭს იღებენ ზღვის პირიდან.

ჰიგინსი - რატომ?

ქ-ნი პირსი - რატომ და მის შესახებ არაფერი იცით. არ იცით ვინაა მისი მშობლები, იქნება გათხოვილიცაა.

ელიზა - კიდევ რა!

ჰიგინსი - კარგად მოგიჭრა: კიდევ რაო. აბა, რა უგავს გათხოვილს? განა არ იცი, რომ მისი კლასის ქალიშვილები გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ ორმოცდაათი წლის ბებრუცუნებს ემსგავსებიან.

ელიზა - მე ვის ვუნდივარ?

ჰიგინსი - (ერთბაშად გადავა დაბალ მშვენიერ ტონზე, რომელიც ენამზეობის ნიმუშადაა მიჩნეული) დმერთმანი, ელიზა, ჰერცოგის ასულად გაქცევ თუ არა, იმდენს მოაჯადოებ, რომ ქუჩები შენი თაყვანისმცემლების ცხედრებით მოიფინება.

ქ-ნი პირსი - სისულელეს ამბობთ, სერ, ასე ნუ ელაპარაკებით, ნუ.

ელიზა - (გაბედულად წამოდგება) მივდივარ. გიჟია, სულელია. მე სულელი მასწავლებელი არ მინდა.

ჰიგინსი - (განაწყნებული იმით, რომ ელიზა გულგრილად მოეკიდა მის დახვეწილ მეტყველებას) მართლა? გიჟი ვარ? კეთილი პატიოსანი. ქ-ნო პირს, საჭირო აღარ არის ამისათვის ახალი ტანსაცმლის შკვეთა, წაიყვანე და გააგდე.

ელიზა - ო,ო, თქვენ უფლება არა გაქვთ ხელი შემახოთ.

ქ-ნი პირსი - ხომ ხედავ თავხედობას რა მოსდევს. (კარებისაკენ მიუთითებს) აი, აქედან გადი.

ელიზა - (თითქმის აცრემლებული) რად მინდოდა თქვენი ტანსაცმელი.

ჰიგინსი - (მოხერხებულად დაიჭერს ცხვირსახოცს და კარებისაკენ მიმვალ ელიზას გზას გადაუღობავს) სულელი და უმაღური ხარ. მე მინდოდა წუმპედან ამომეყვანე, ლამაზად გამომეწყვე და ნამდვილ ლედიდ მექციე, ამით მიხდი?

ქ-ნი პირსი - კმარა, მისტერ ჰიგინს, სმის ნებას აღარ მოგცემთ. სულელი ის კი არაა, თქვენა ხართ. (გოგოს) მშობლებთან წადი, გოგო, - და უთხარი ცოტა უფრო გაგიფრთხილდნენ.

ელიზა - მშობლები აღარა ყავს. ასე მითხრეს, საკმაოდ მოზრდილი ხარ იმისათვის რომ ლუკმა - პური იშოვო და გამოაგდეს.

ქ-ნი პირსი - სად ცხოვრბს დედაშენი?

ელიზა - დედა არა მყავს. ის ქალი კი, რომელმაც გამომაგდო, ჩემი მეექვსე დედინაცვალია. უიმათოდ ვცხოვრობ და, ცუდი არაფერი იფიქროთ, წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

ჰიგინსი - კეთილი და პატიოსანი. ხედავ რა ტყუილად ატეხეთ აურზაური? ეს გოგო არავის არ ეკუთვნის და არც არავის სჭირდება ჩემს გარდა (მივა ქ-ნ პირსთან და შემპარავად ეუბნება) რა იქნება იშვილოთ, ქ-ნო პირს? მგონი ურიგო არ იქნება ქალიშვილი იყოლიოთ! ახლა მეტი აურზაური არ ატეხოთ, ჩაიყვანეთ ძირს და...

ქ-ნი პირსი - მერე? რა ვუყოთ? ფული ვაძლიოთ? გონს მოდით, სერ.

ჰიგინსი - თუ საჭირო იქნება, მიეცით კიდევ და დავთარში შეიტანეთ. (მოუთმენლად) თუმცა რაში დასჭირდება ფული? საჭმელი ექნება და ტანსაცმელიც. ფული რომ მისცე, დალევს და ეგ იქნება.

ელიზა - (მოუბრუნდა ჰიგინსს) სულელი ხართ, სულელი. სიცრუეა ჯერ არავის უნახავს, რომ დამელიოს (პიკერინგს) ოჰ, სერ, თქვენ ჯელტმენი ხართ, თხარით ასეთ რამეებს ნუ ლაპარაკობს ჩემზე.

პიკერინგი - (დამრიგებლური ტონით) ჰიგინს, რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ გოგონასაც გააჩნია თავისი გრძნობები.

ჰიგინსი - (ახედ - დახედავს ელიზას) არა მგონია რაიმე გრძნობა გაჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი გრძნობა არ გააჩნია, რომ ჩვენს შეწუხებად ღირდეს. (მხიარულად) გაქვს კი რამე გრძნობა, ელიზა?

ელიზა - თქვენ რომ გაქვთ ისეთივე მაქვს მე გრძნობები.

ჰიგინსი - (პიკერინგს ჩაფიქრებული) ჰხედავ რა ძნელია?

პიკერინგი - რა არის ძნელი?

ჰიგინსი - რა და, გრამატიკულად რომ ალაპარაკო, გამოთქმის გამოსწორებაშედარებით ადვილია.

ელიზა - არ მინდა გრამატიკის ლაპარაკი. მე მხოლოდ ისე მინდა ვილაპარაკო, როგორც ყვაილები მაღაზიაში მოვაჭრე ლედიმ.

ქ-ნი პირსი - მისტერ ჰიგინს, დაუფიქრდით რას აკეთებთ. გამაგებინეთ რა პირობით იქნება გოგო აქ მიეცემა თუ არა ჯამაგირი, რა უნდა ვუყოთ მას, როცა სწავლებას დაამთავრებთ? ყველაფერი ეს წინასწარ არ უნდა იცოდეთ?

ჰიგინსი - (მოუთმენლად) წუმპეში რომ დავტოვოთ, მაშინ რა მოუვა? რატომ ამაზე არაფერს ამბობთ, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი - ეს მისი საკუთარი საქმეა და არა თქვენი, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი - სწავლას რომ მოვრჩებით, ისევ წუმპეში გადავისვრით და მერე რას გააკეთებს, ისევ მისი საკუთარი საქმე იქნება. ეს არის და ეს.

ელიზა - გრძნობები სრულებით არა გქონიათ გულში, არა.მარტო საკუთარ თავზე ზრუნავს. (წამოდგება და მტკიცედ წარმოსთქვამს) მეყო, რაც აქ დრო დავკარგე, მივდივარ. (გაემართა კარისაკენ) უნდა გრცხვენოდეს უსირცხვილო.

ჰიგინსი - (ვაზადან აიღებს შოკოლადს. თვალებს ეშმაკურად აუციმციმდება) მიირთვი შოკოლადი, ელიზა.

ელიზა - (ვეღარ გაუძლებს ცთუნებას და შეჩერდება) საიდან ვიცი რა არის მასში? გამიგია, რომ ბევრი გოგო მოუწამლავთ თქვენისთანებს (ჰიგინსი ამოიღებს დანას, შუაზე გაჭრის შოკოლადს, ნახევარს თვითონ ჩაიდებს პირში, ხოლო მეორე ნახევარს შესთავაზებს).

ჰიგინსი - აი, ელიზა, რომ არ დაექვდე, ნახევარს მე შევჭამ, ნახევარი შენ შეჭამე. (ელიზა გააღებს პირს, ჰიგინსი შოკოლადის ნახევარს ჩაუდებს) ყუთობით, კასრობით გექნება ყოველდღე. სულ შოკოლადიჭამე, თუ გინდა. რას იტყვი?

ელიზა - (როგორც იქნა გადაყლაპა შოკოლადი, რომელმაც კინაღამ დაახრჩო) არაფრისათვის არ შევჭამდი, მაგრამ რა მექნა. პირიდან რო გადმომეგდო, უზრდელობა.

ჰიგინსი - მომისმინე, ელიზა. მგონი ასე თქვი, ტაქსით მოვედიო, არა?

ელიზა - მერე რა, რომ მოვედი? მეც ისევე უფლება მაქვს დავიქირაო ტაქსი, როგორც ვინმე სხვას.

ჰიგინსი - გაქვს, ელიზა, გაქვს: მომავალში რამდენიც გინდა იმდენი ტაქსი გეყოლება. ტაქსით შეგეძლება ყოველდღე გაიარო, გამოიარო, ქალაქს შემოუარო, აბა, იფიქრე.

ქ-ნი პირსი - მის ასაკში? სისულელეა. მომავალზე ფიქრი მაშინაც ეყოფა, როდესაც გაიგებს, რომ მომავალი არ აქვს. დამიჯერე. ელიზა. აი, ამ ლედის მიზამე: მუდამ იფიქრე სხვის მომავალზე, შენს მომავალზე კი - არასოდეს, იფიქრე შოკოლადზე, ტაქსებზე, ოქროზე, მარგალიტებზე.

ელიზა - არა. მე არც ოქრო მინდა და არც მარგალიტები. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი (ჯდება და ცდილობს თავი ღირსეულად დაიჭიროს).

ჰიგინსი - ჰოდა, ქ-ნი პირსის ზედამხედველობის ქვეშ ასეთივე დარჩებით, შემდეგ ვინმე უღვაშებიან გვარდიის ოფიცერზე გაგათხოვებთ: მარკიზის შვილზე, რომელსაც

მამამისი შენი შერთვისათვის ჯერ მემკვიდრეობას წაართმევს, მაგრამ, როცა დაინახავს შენ სილამაზეს და სათნოებას, მოლბება და...

პიკერინგი - მაპატიეთ, ჰიგინს, მაგრამ არ შემიძლია არ ჩავერიო. ქ-ნი პირსი მართალია. თუ ეს გოგონა პედაგოგიური ექსპერიმენტისათვის ექვსი თვე თქვენს ხელში დარჩება, მან გარკვეულად უნდა იცოდეს რას აკეთებს.

ჰიგინსი - საიდან უნდა იცოდეს? მას არფრის გაგების უნარი არა აქვს. და მერე, რომელიმე ჩვენთაგანს ესმის თვითონ რას აკეთებს? რომ გვესმოდეს რას ვაკეთებთ, მაშინ, განა გავაკეთებდით?

პიკერიგი - მოსწრებულად კი თქვით, ჰიგინს, მაგრამ აქ ეგ რა მოსატანია? (ელიზას) ქალბატონო დულიტლ.

ელიზა - (თავზარდაცემული) აა-აა-ოო-ოო,-უუ-უუ!

ჰიგინსი - ესეც თქვენ! ამის მეტს მისგან ვერაფერს გაიგონებთ. აა-აა-ოო-ოო-უუ! ახსნა - განმარტებას რა აზრი აქვს: შეაყარე კედელს ცერცვი! სამხედრო კაცი ხართ და ეგ არ უნდა იცოდეთ? ბრძანება და მისი ჯანი. ელიზა, შენ აქ 6 თვე უნდა იცხოვრო და ისწავლო ყვავილების მაღაზიაში მოვაჭრე ლედივით ლამაზი ლაპარაკი. თუ ჰკვინად იქნები და გაგვიგონებ, საუკეთესო საწოლ ოთახს მიგიჩენთ და საჭმელშიც ყელამდე იქნები, ფული კი - რამდენიც გინდა: მოგინდება, შოკოლდები იყიდე, მოგინდება, ტაქსით ისეირნე. მაგრამ, თუ იჭირვეულებ და იზარმაცებლ, ხოჭოებით გავსებულ საკუჭნაოში დაგამინებთ და დღე ისე არ გავა, რომ ქ-ნმა პირსმა იატაკის საწმენდი ჯოხით არ მოგტყეპოს. ექვსი თვის ბოლოს მშვენივრად ჩაგაცმევთ და ეტლით გაემგზვრები ბუკინგამის სასახლეში. თუ მეფე დაეჭვდება, შენ ლედი ხარ თუ არა, პოლიცია დაგაპატიმრებს, ტაურში წაგათრევს და სხვა თავხედი ყვავილების გამყიდველი გოგონების ჰკუისსასწავლებლად თავს მოგკვეთს. თუ ლედიდ მიგიღებენ და არავის ეჭვი არ აღედრება, შვიდ შილინგსა და 6 პენის გაჩუქებენ, რათა რომელიმე მაღაზიაში ყვავილების გამყიდველად მოეწყო. თუ ამ სიკეთეზე უარს იტყვი, შენ ყველაზე უმადური და სულელი გოგო იქნები ქვეყანაზე და შენს დანახვაზე ანგელოზები ცრემლებს დაღვრიან. (პიკერინგს) ახლა კმაყოფილი ხართ, პიკერინგ? (ქ-ნ პირსს) ამაზე გარკვევით და გასაგებად როგორ ავუხსნა, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი - (მშვიდად) მგონი ამას ის აჯობებდა, რომ აქედან გავიყვანო და ცალკე ველაპარაკო. თუმცა ჩემი მფარველობის ქვეშ აყვანას არ ვაპირებ და არც ის მინდა ამ საქმეში თქვენ დაგთანხმდეთ. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ამ გოგონას მიმართ ცუდი განზრახვა არ გიდევთ გულში, მაგრამ, როცა ვინმეს გამოთქმით დაინტერესდებით, როგორც წესი, თქვენი თავიც გავიწყდებათ და ცდის პირიც: მომყევი, ელიზა.

ჰიგინსი - ეს კი კარგია! გმადლობთ, ქ-ნო პირს. ახლავე აბაზანაში შეაგდე.

ელიზა - (დაეჭვებული ზანტად დგება) თქვენ დიდი უხეში ვინმე ხართ, უხეში! თუ მე არ მინდა, არც დავიცდი. ჩემი გატყევის ნებას არავის მივცემ. ბუკინგამის სასახლეში წაყვანა არავისთვის მითხოვია, პოლიციასთან საქმე არასოდეს მქონია. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი....

ქ-ნი პირსი - სიტყვას ნუ უბრუნებ, გოგო, შენ ვერ გაიგე რას გეუბნებიან, მომყევი (კარს უღებს ელიზას და ელოდება).

ელიზა - (მიმავალი) დიახ, მე სიმართლე ვთქვი: მეფესთან ფეხის მიმდგმელი არა ვარ, თავიც რომ მომაჭრან. რომ მცოდნოდა რა დღეში ჩავვარდებოდი, არც აქ მოვიდოდი. მე მუდამ წესიერი გოგო ვიყავი. ამას მე კი არ ავკიდებია, თვითონ ამეკიდა. მისგან მე არაფრით არა ვარ დავალებული. თავზეც არ დავისვამ, მეც ისეთივე გრძნობები გამაჩნია, როგორც ყველა სხვას...(ქ-ნი პირსი ხურავს კარებს, ელიზას ბუზღუნის უკვე არ ისმის. ელიზა აჰყავთ მესამე სართულზე, ის გაოცებულია: ეგონა საკუჭნაოში ჩაიყვანდნენ. ქ-ნი პირსი გააღებს კარებს და შედიან მშვენიერ საწოლ ოთახში).

ქ-ნი პირსი - აი, შენი საწოლი ოთახი.

ელიზა - ოო,-ო-ო, აქ ვერ დავიძინებ, მისუს! ეს ზედმეტად კარგია ჩემისთანასათვის. აქ ვერაფრის ხელის ხლებას ვერ გაუბედავ. ხომ იცით, რომ მე ჯერ კიდევ არ ვარ ჰერცოგის ასული, მისუს!

ქ-ნი პირსი - შენ ისევე უნდა დასუფდავდე, როგორც ეს ოთახი და მაშინ აქ დაწოლის არ დაგერიდება. მერე „მისუს რა სიტყვაა? მის პირსი დამიძახე (ფართოთ გააღებს სააბაზანო ოთახის კარს).

ელიზა - ეს რა არის? ამაში რეცხავთ? უცნაური ქვაბია, ღმერთმანი.

ქ-ნი პირსი - ეს ქვაბი არაა. ამაში ვბანაობთ, ელიზა, და შენც ამაში უნდა გაბანაოთ.

ელიზა - რაო? თქვენ გინდათ აქ ჩავიდე და დავსველდე? არა, არ შემიძლია. ეს რომ გავაკეთო, ღმერთმანი, მოვკვდები. ეთი ჩემი მეზობლის ქალი ყოველ შაბათლამეს ბანაობდა და მოკვდა.

ქ-ნი პირსი - მისტერ ჰიგნისს ქვემოთ მამაკაცთა აბაზანა აქვს და ყოველდღე ცივ წყალში ბანაობს.

ელიზა - ოო! რკინისგან ყოფილა გაკეთებული.

ქ-ნი პირსი - თუ გინდა მასთან და პოლკოვნიკთან ერთად დაჯ. დე და ისწავლო, შენც ისევე იბანავო. თუ ამას არ გააკეთებ, შენს სუნს ვერ გაუძლებენ. წყალი როგორც გესიამოვნება, ისე დააყენე. აქ ორი ონკანია. ეთი ცივი წყლისათვის ერთი თბილისათვის.

ელიზა - (ტირილით) არ შემიძლია, ვერ გავბედავ, ეს ხომ ბუნებრივი არ არის. რომ ვიბანაო, მოვკვდები. ჩემს დღეში არ მიბანავია. თქვენ კი ამბობთ კარგაო.

ქ-ნი პირსი - კარგი, მაშ, არ გინდა რომ სუფთა იყო, ჯანსაღი და მიმზიდველი, როგორც ლედი? იცი შიგნიდან ვერ გამშვენიერდები, თუ გარედან ჭუჭყიანი იქნები.

ელიზა - ო-ო-ო-ო-ო-!

ქ-ნი პირსი - ახლა, ტირილი შეწყვიტე, შედი შენს ოთახში და ყველაფერი გაიხადე. მერე იმაში გაეხვიე. (ჩამოსაკიდიდან ჩამოხსნის მოსასხამს და გაუწვდის) და აქ მოდი. ამასობაში აბაზანას გაგიმზადებ.

ელიზა - (აცრემლიანებული) არ შემძლია. ვერ გავაკეთებ. ნაჩვევი არავარ, ყველაფერი ერთათ არასოდეს არ გამიხდია, ამის გაკეთება სწორი არ არის, სწორი არ არის....

ქ-ნი პირსი - რას სულელობ, ბავშვო! დაძინების წინ ტანისამოს არ იხდი?

ელიზა - (გაოცებული) არა. რატომ უნდა გავიხადო? რომ გავიხადო, მოვკვდები ქვედა ტანს კი, რა თქმა უნდა ვიხდი.

ქ-ნი პირსი - შენ ისე ამბობ, თითქოს იმ საცვლებში გეძინოს, რომელიც დღისითგაცვია?

ელიზა - აბა, რაში უნდა დავიძინო?

ქ-ნი პირსი - ამას აწი არასოდეს არ გააკეთებ, სანამ აქ იცხოვრებ. სადამურ პერანგს მოგცემ და იმაში დაიძინებ.

ელიზა - როგორ? თბილი საცვლების მაგივრად ცივი ჩავიცვა და მთელი ნახევარი ღამე ვიძაგძაგო? თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ, ჩემი მოკვლა.

ქ-ნი პირსი - მინდა ჭუჭყიანი გოგონადან ისეთ მიმზიდველ სუფთა ქალიშვილად გადაგაქციო, რომ შეგეძლოს იმ ჯენტლმენების გვერდით დაჯდე კაბინეტში. ერთი ის მითხარი, დამიჯერებ და გააკეთებ იმას, რასაც გეუბნები, თუ უნდა გაგაგდოთ და ისევ შენს ყვავილების კალათას დაუბრუნდე?

ელიზა - თქვენ არ იცით, სიცივე რა ძნელია ჩემთვის. თქვენ არ იცით სიცივის როგორ მეშინია, როგორ.

ქ-ნი პირსი - შენი ლოგინი ცივი არ იქნება. ბოთლებში თბილ წყალს ჩაასხამ და საწოლში ჩაიდგამ. (უბიძგებს საწოლი ოტახისაკენ) მიდიდა გადა გაიხადე.

ელიზა ო, რომ მცოდნოდა რა საშინელებაა სისუბთავე, არასოდეს არ მოვიდოდი, თურმე არა მცოდნია რა კარგად ვცხოვროდი. (ქ-ნი პირსი გაიკეთებს თეთრ რეზინის ხელთათმანებს, გაავსებს აბაზანას ნელთბილი წყლით, რომელსაც აბანოს თერმომეტრით სინჯავს, ჩაყრის შიგ ერთ მუჭა სააბაზანო მარილს და ცოცტაოდენ მდოგვს. მერე აიღებს უცნაური მოყვანილობის სახეხ ჯაგრისს და მაგრად გასაპნავს სურნელოვან საპნიტ. ელიზა გამოდის ხალათით, რომელიც მაგრად შემოუხვევია ტანზე; საბრალო და საშინელი შესახედავია).

ქ-ნი პირსი- შემოდი, ესეც გაიხადე.

ელიზა ო, ო. არ შემძლია, ქ-ნო პირს: მართლა არ შემძლია, ამგვარი რამე ჩემს დღეში არ გამიკეთებია.

ქ-ნი პირსი ნუ სულელობ ერთი. მიდი, ჩადი აბაზანაში და მიტხარი საკმაოდ თბილია თუ არა?

ელიზა ოო-ოო, უუ-უუ-ცხელია, ცხელი.

ქ-ნი პირსი (ერთბაშად მოაძრობს ხალატს და ზურგიტ დააწვენს) დაწეჲი, დაწეჲი, არაფერი მოგივა. (ხეხავს ჯაგრისით. ელიზა ტირის გულგამგმირავად). (ამასობაში პოლკოვნიკი ელიზას შესახებ თავის აზრებს გამოთქვამს ჰიგინსთან. პიკერინგი შორდება ღუმელს, ზურგშექცევით ჯდება სკამზე და ხელებს მის ზურგზე დააწყობს).

პიკერინგი მაპატიეთ პირდაპირობისათვის, ჰიგინს, ქალების საკითხში პატიოსანი კაცი ხართ?

ჰიგინსი (როიალზე ხელებით დაეყრდნობა მზრძანებლურად) მე კი არ შემხვედრია. გამოცდილებიდან ვიცი, რომ ქალი, დავიმეგობრებ თუ არა, მაშინვე დაიწყებს ექვიანობას, ჭირვეულობას, სცენების გამართვას და ათასგვარი აყალ-მაცალის ატეხვას. და მეც, ქალებთან მეგობრობას გავაბამ თუ არა, ეგოისტად და მტარვალად ვიქცევი ხოლმე. ქალებისაგან მოდის ყოველგვარი არევ-დარევა. თუ ქალს თკვენს ცხოვრებაში შეჭრის უფლებას მისცემთ, დაინახავთ, რომ ის სხვა მხრით ექაჩებით.

პიკერინგი მაგალითად, რაში?

ჰიგინსი (ერთ ადგილას ვერ ჩერდება, სცილდება როიალს) ღმერთმა უწყის რამდენ რამეში! ჩემის აზრით, ქალს უნდა თავისი ცხოვრებით იცხოვროს, კაცს კიდეც თავისით და ყოველი მათგანი ცდილობს მეორე წაიყვანოს მცდარი გზით. ერთი ჩრდილოეთისკენ ეზიდება, მეორე კი სამხრეთისაკენ და საბოლოოდ ორივე აღმოსავლეთისაკენ მიდის, თუმცა, აღმოსავლეთის ქარი ერთსაც ეჯავრება და მეორესაც (ჩამოჯდება კლავიატურის წინ გრძელ სკამზე) ამიტომაც, აი, ამდენი ხანია უცოლო ვარ და ალბათ, სულ ასე დავრჩები...

პიკერინგი (მივა ჰიგინსთან და ეუბნება სერიოზული ტონით) ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ, ჰიგინს! ხომ იცით რაზე გელაპარაკებით? თუ ამ საქმეში გავერევი, პასუხისმგებელი ვიქნები გოგოს წინაშე. იმედი მაქვს რომ მდგომარეობას ბოროტად არ გამოიყენებთ.

ჰიგინსი რაო? ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თითსაც არ მივაკარებ. (წამოდგება) ხომ იცით, ის ჩემი მოწაფე იქნება, ჰოდა სწავლება ნაყოფს არ გამოიღებს, თუ მოწაფე შებღალული იქნა. ვინ მოთვლის ამერიკელი მილიონერების რამდენი ქალიშვილისათვის მისწავლებაა წესიერი ინგლისური ლაპარაკი.

და ისინი ხომ ულამაზესი ქალებია მთელს მსოფლიოში. უკვე ნაცადი და გამოწრთობილი ვარ: როცა ვასწავლი, თითქოს ჩემ წინ ქალი კი არა, ხის კუნძი იდოს და მეც თითქოსდა მორი ვიყო. აი, ხომ ხედავ...

ქ-ნი პირსი შემოადებს კარებს. ხელში ელიზას შლიაპა უჭირავს. პიკერინგი უკან დაიხვეს და ღუმელთან.

მდგარ სავარძელში ჩაჯდება.).

ჰიგინსი (მოუთმენლად) როგორაა საქმე ქალბატონო პირს? კარგად მიდის?

ქ-ნი პირსი (კარებთან მდგარი) თუ არ შეგაწუხებთ, ორიოდ სიტყვა მინდა გითხრათ, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი თქვით, რას მეზოდისებით. შემობრძანდით (ქალბატონი პირსი წამოიწევს წინ) ამას ნუ დასწვავთ, ქ-ნო პირს: შევინახოთ როგორც იშვიათობა. (გამოართმევს შლიაპას).

ქ-ნი პირსი ოღონდ ცოტა ფრთხილად იყავით, სერ, მართალია დავპირდი არ დავწვავ მეთქი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა ცოტა ხნით მაინც გამეჩერებინა ანთებულ ღუმელთან.

ჰიგინსი (სწრაფად გააგდებს ხელიდან) ოჰ, გმადლობთ, ქ-ნო პირს. რა უნდა გეთქვათ?

პიკერინგი მე ხომ არ გიშლით?

ქ-ნი პირსი სრულიადაც არა, სერ. მისტერ ჰიგინს, მე მინდა გთხოვოთ, რომ იმ გოგონასთან დაფიქრებულად და წესიერად ილაპარაკოთ, უშვერი სიტყვები არ იხმართ.

ჰიგინსი (მკაცრად) ამას თქმა რად უნდა? მე საერთოდ დაფიქრებულად და წესიერად ვლაპარაკობ. მაინც, რატომ ამბობთ ამას?

ქ-ნი პირსი (აუღელვებლად) არა, სერ როცა რაიმეს ვერ იპოვნით ანდა აღელვებული ხართ ლაპარაკში არავითარ სიფრთხილეს არ იჩენთ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, შევეჩვიე, მაგრამ იმ გოგონას თანდასწრებით კი მართლა არ უნდა შეიგინოთ.

ჰიგინსი (აღშფოთებული)მე ვიგინები? (უფრო ხაზგასმით) მე არასოდეს ვიგინები. გინება ჭირივით მეჯავრება. რა თხრობას ემახით თქვენ გინებას?

ქ-ნი პირსი (შთამაგონებლურად) სწორედ ამ თხრობას ვემახი! დიახ, სერ, თქვენ ძალზე ბევრს იგინებით, ხოლო სად ეშმაკში, ვინ ეშმაკში, რა ეშმაკმა, ხომ არის და არის, ამის გარდა...

ჰიგინსი ქ-ნო პირს! რა სიტყვები ამოგდით პირიდან?

ქ ნი პირსი (აგრძელებს ლაპარაკს) არსებობს ერთი სიტყვა, რომლის ხმარებას როგორმე უნდა გადავეჩვიოთ. გოგომაც იხმარა ეს სიტყვა, როცა ჩვენი ჯამთასი დაინახა. ის სიტყვაც იმავე ასოთი იწყება, რითაც ბროწეული. მას აკვნიდანვე ასეთი ლაპარაკი ესმის და ეპატიება, მაგრამ თქვენთვის კი მიუტევებელია. იმ გოგოსთან მაინც ნუ ამბობთ...

ჰიგინსი (ამაყად) დავიფიცებ, რომ ეგ სიტყვა, ალბათ არასოდეს არ წარმომითქვავს, ქ ნო პირს, (ქ ნი პირსი გამომცდელი თვალებით უყურებს მას, მისტერ ჰიგინსი მიუკერძოებელი მოსამართლის სახეს იღებს, რათა დაფაროს, რომ ამ საქმეში, ცოტა არ იყოს, ტყუის) თუ ძალიან და სამართლიანად აღელვებული არ ვყოფილვარ.

ქ ნი პირსი აი, ამ დილით სამჯერ იხმარეს ის სიტყვა, როცა ახსენეთ ბატონი, ბალი და ბუნება.

ჰიგინსი ოჰ, ეგ სიტყვა? ეგ უბრალო ალიტერაციაა, ქ ნო პირს, რაც პოეტისათვის მეტად ბუნებრივია.

ქ ნი პირსი კეთილი სერ. რაც გნებავთ, ის შეარქვით, მაგრამ იმ გოგონსთან მაინც ნუ იტყვი.

ჰიგინსი კეთილი, კეთილი. სულ ეს გინდოდათ?

ქ ნი პირსი არა, სერ. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ჩაცმულობას და სიკობტავეს.

ჰიგინსი (დინჯად მიდის ქ ნ პირსთან) მართალი ბრძანდებით. მე თვითონ მინდოდა ან საკითხიასთვის თქვენი ყურადღება მიმექცია. (მიდის პიკერინგთან რომელიც ყურადღებით უსმენს საუბარს) სწორედ ამ წვრილმანებს აქვს დიდი მნიშვნელობა, პიკერინგ კაპიკობით მილიონი გროვდებაო, რომ ამბობენ, ეს ისევე მიუდგება ადამიანის ჩვევის ჩამოყალიბებას, როგორც ფულს. (ღუმელის წინ, ხალიჩაზე ჩამოჯდება და უძლეველი ადამიანის პოზას მიიღებს).

ქ ნი პირსი დიახ, სერ, კიდევ ერთი რამე უნდა გთხოვოთ. საუზმეზე ხალათით ნუ ჩამოდიხართ, ან ყოველშემთხვევაში, მას ხელსახოცის მაგივრად მაინც ნუ იხმართ. ყველა კერძის ერთი და იგივე თეფშიდან ნუ სჭამთ და მერე, კერძიან ქვაბ ქოთანს პირდაპირ სუფთა სუფრაზე ნუ დებთ. ამის გაკეთება იმ გოგოსათვის, დამიჯერეთ, კარგი მაგალითი არ იქნება. ხომ გახსოვთ, ამკვირას რომ თევზის ძვალი დაგადგათ ყელზე და კინალამ დაიხრჩვით.

ჰიგინსი (ხალიჩიდან წამოვარდება და ისევ როიალთან მივა) ასე შეიძლება დაბნეულობის დროს მართლა მომდიოდეს, მაგრამ ყოველთვის ასე კი არ ვიქცევი. (გაბრაზებული) მართლა, ჩემს ხალათს ძალიან ასდის ბენზინის სუნის.

ქ ი პირსი მართლაც რომ ასდის, მისტერ ჰიგინს, და თუ თითებს იმაზე შეიხოცავთ...

ჰ ი გ ი ნ ს (ყვირილით) კარგი, კარგი, ამიერიდან თითებს ქოჩორზე შევიხოცავ.

ქ ნი პირსი ხომ არ გეწყინათ, მისტერ ჰიგინს?

ჰიგინსი (ნაწყენი იმით, რომ დაეჭვდნენ, თითქოსდა არ შეუძლია დარიგების ატანა) სრულიადაც არა, სრულიადაც არა. თქვენ სავსებით მართალი ხართ, ქ ნო პირს. გოგონასთან ფრთხილად მოვიქცევი, მორჩით?

ქ ნი პირსი არა, სერ, შემოდელია წავულო იაპონური კაბა, რომელიც თქვენ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეთ? თავის ძველ კონკებს ველარ ჩავაცმევ.

ჰიგინსი რათქმაუნდა, რაც გინდათ, ყველაფერი წაიღეთ. გინდათ კიდევ რამე?

ქ-ნი პირსი არა, სერ. გმადლობთ. (გადის).

ჰიგინსი იცით, პიკერინგ, ამ ქალს რაღაცა უცნაური შეხედულება აქვს ჩემზე. აი მე ხომ მორცხვი და თავმდაბალი კაცი ვარ. თითქოს დღემდე თავი მოზრდილად არ მიგრძენია-ამ მხრივ სხვებს არა ვგევარ. ამ ქალს კი დესპოტი, მტარვალი და თავნება ვგონივარ. არ ვიცი ეს რითი ავხსნა!

ქ-ნი პირსი (ბრუნდება) სეირი ახლა იწყება, სერ, ვიღაც მენაგვე ალფრედ დულიტლია მოსული და თქვენი ნახვა სურს. ჩემი ქალიშვილი ჰყავსო, გაიძახის.

პიკერინგი ფუი! ნახე!

ჰიგინსი შემოუშვი ის არამზადა.

ქ-ნი პირსი როგორც გნებავთ, სერ. (გადის).

პიკერინგი ჰიგინს, იქნება ის არამზადა არ არის!

ჰიგინსი სისულელეა. რათქმაუნდა, არამზადა იქნება.

პიკერინგი არ ვიცი ვინ იქნება, მაგრამ ეტყობა უჩხუბრად ვერ გადავრჩებით.

ჰიგინსი (დაჯერებული) არა, არა. მგონი ჩხუბამდე არ მივა საქმე, და თუ მართლა მიდგა ჩხუბზე საქმე, არაფერი გამოუვა. ჩემგან უფრო ელოდეს უსიამოვნებას, ვიდრე მე მისგან. ისე, კი შეიძლება რაიმე საინტერესო გავიგოთ?

პიკერინგი გოგოს შესახებ?

ჰიგინსი არა, არა. მე მისი მეტყველება მაინტერესებს.

პიკერინგი ა, ა?

ქ-ნი პირსი (კართან) დულიტლ, სერ. (შემოუშვებს ოთახში და თვითონ გავა.).

(აღფრედ დულიტლი ხნიერი, მაგრამ ჯანდონით სავეს კაცია, აცვია სპეც-ტანსაცმელი. შლიაპას წინა ნაწილი მოჭრილი აქვს, ხოლო უკანა ნაწილი უფარავს კისერს და მხრებს. გამოკვეთილი, საინტერესო სახის.

ნაკვთები გააჩნია. ეტყობა თავისუფალია, როგორც შიშის, ისე სინდისისაგან. აქვს შესამჩნევი მკვეთრი ხმა,

რაც გრძნობებისათვის თავისუფლების მიცემის შედეგია. ახლაც ისე გამოიყურება, თითქოს მისი თავმოყვა-რეობა შეულახავთ და რაღაცა მტკიცე გადაწყვეტილება მიუღიაო.).

დულიტლი (კარებთან დგას და ვერ გაურჩევია რომელია მისი მსხვერპლი) პროფესორი ჰიგინსი რომელი ხართ?

ჰიგინსი მე გახლავართ, დილა მშვიდობისა. დაბრძანდით.

დულიტლი მშვიდობისა, უფროსო, (გაჭიმული დაჯდება) სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული, უფროსო.

ჰიგინსი (პიკერინგს) ვფიქრობ ანსლიუშია გაზრდილი, დედა კი უელსელი უნდა ყავდეს. (დულიტლი გაოცებული პირს დააღებს. ჰიგინსი განაგრძობს) რა გნებავთ, დულიტლ?

დულიტლი (მუქარით) ჩემი ქალიშვილი. აი, რა მინდა, გესმით? .

ჰიგინსი რასაკვირველია, უნდა გინდოდეთ, აბა, სხვას რად უნდა თქვენი ქალიშვილი? მოხარული ვარ, რომ ოჯახის სიყვარული ჯერ კიდევ შეგრჩენიათ. მაღლაა, ახლავე წაიყვანეთ.

დულიტლი (შეშინებული უკან იხევს) რაო?

ჰიგინსი წაიყვანეთ, აბა, როგორ გინდათ, მე გირჩინოთ?

დულიტლი (პროტესტით) დაიცათ, დაიცათ, ყური მიგდეთ, უფროსო. ეს რა სინდისია? მჯაბნით? ქალიშვილი ჩემია. თქვენ კი წამოგიყვანიათ და როგორ? აქ მე არაფერ შუაში ვარ?

ჰიგინსი თქვენი ქალიშვილი თავხედურად შემოიჭრა ჩემს სახლში და მთხოვა მესწავლებინა წესიერი ინგლისური, რადგანაც უიმისოდ მაღაზიაში ყვავილების გამყიდველად არ იღებენ. აი, ეს ჯენტლმენი და ჩემი მნე ქალი ამ ამბავის დამსწრენი არიან. (შეტევით) ჰოდა, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა და ცილისწამება? ქალიშვილი განგებ გამოგზავნეთ?

დულიტლი არა, რას ამბობთ, უფროსო?..

ჰიგინსი არა, ალბათ განგებ გამოგზავნეთ, თორემ საიდან იცოდით, რომ აქ იყო?

დულიტლი ასეთ კაცად ნუ მიმიღებთ, უფროსო.

ჰიგინსი შენ პოლიცია მიგიღებს, პოლიცია. შეთქმულება მოაწყეთ ფულის დასაცინცლად? ახლავე დავურეკავ პოლიციას. (მტკიცე გადაწყვეტილებით მიდის ტელეფონთან და გადაშლის სამისამართო წიგნს.).

დულიტლი აბა ერთი გროში მითხოვია შენთვის? ეს კაცი აქ არ იყო? ფულზე კრინტი დამიძრავს?

ჰიგინსი (დააგდებს სამისამართო წიგნს, გაემართება დულიტლისაკენ და უცქერის გამომცდელი თვალებით).

აბა, რისთვის მოხვედით?

დულიტლი რისთვის მოვიდოდი? კაცი არა ხართ, უფროსო?

ჰიგინსი (განიარაღებული) ალფრედ, არ მოგიგზავნია?

დულიტლი ღმერთმანი, უფროსო, არ მომიგზავნია. გინდათ ხატზე დავიფიცებ, რომ ორი თვეა ჩემი გოგოსათვის თვალის არ მომიკრავს.

ჰიგინსი - მაშ, საიდან იცოდი, რომ აქ იყო?

დულიტლი - (უფრო მელანქოლიურად და უფრო მუსიკალურად) იცით რა გითხრათ, უფროსო! ორიოდე სიტყვის უფლება მომეცით და ყველაფერს გეტყვით. მე მინდა გითხრათ, მე მსურს გითხრათ, მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ...

ჰიგინსი - პიკერინგ, ამ კაცს ორატორობის ბუნებრივი ნიჭი აქვს. შეამჩნიე მის ველურ მეტყველებაში თავისებური რიტმი: მე მინდა გითხრათ , მე მსურს გითხრათ , მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ ? ეს არის უელსელისათვის დამახასიათებელი სენტიმენტალური რიტორიკა. ისი მატყუარობა უსინდისობაც უელსიდან მომდინარეობს.

პიკერინგი - რას ამბობთ, ჰიგინს! მეც იქაური ვარ. (დულიტლს) თუ არ მოგიგზავნიათ, მაშ, აბა საიდან გაიგეთ, რომ თქვენი ქალიშვილი აქ იყო?

დულიტლი - საქმე ასე იყო, უფროსო, თქვენთან რომ წამოვიდა გოგო ტაქსით, მეზობლის ბიჭუნა გამოიყოლია. ბიჭს იმედი ჰქონდა უკანაც ტაქსით და დაბრუნდებოდა, ამიტომაც თქვენს სახლთან ტრიალებდა. ღოცა ჩემმა გოგონამ გაიგო, რომ აქ ტოვებდით, ის ბიჭუნა სახლში გააგზავნა თავისი ბარგი-ბარხანის მოსატანად. ჰჰოდა, იმ ბიჭს ღონე აკრის და ენდელის ქუჩის კუთხეში შევხვდი.

ჰიგინსი - ლუდხანასთან, არა?

დულიტლი - დიახ, უფროსო, ღარიბების კლუბი ლუდხანაა. ეგ რა დასაზრახია!

პიკერინგი - ათქმევინეთ ბოლომდე, ჰიგინს.

დულიტლი - ჰოდა, ბიჭმა მიაშბო, რაც მოხდა, ახლა თქვენ გეკითხებით, რა გრძნობები უნდა აღმძვროდა მე და რა იყო ჩემი როგორც მამის მოვალეობა?

წადი მომიტანე მისი ბარგი-ბარხანა, - ბიჭს ვეუბნები.

პიკერინგი - თვითონ რატომ არ წამოიღეთ?

დულიტლი - დიასახლისი არ მენდობოდა, ერთი იმნაირი ქალია, უფროსო! არც ბიჭი მენდო, სანამ ერთი პენში არ მივეცი. ის გოჭი, ისა! აი მოვატრიე კიდეც ბარგი-ბარხანა. მიმნოდა სიკეთე მექნა. ეს იყო და ეს.

ჰიგინსი - რა ნივთებია? დულიტლი - მუსიკალური ინსტრუმენტი, უფროსო, რამდენიმე სურათი, რაგაცა სამკაულები და ჩიტის გალია. ტანისამოსი არ მინდაო, ასე დაეხარებინა. რა უნდა მეფიქრა, უფროსო? მე თქვენ გეკითხებით, როგორც მამა, რა უნდა მეფიქრა?

ჰიგინსი - მაშ, თქვენ იმიტომ მოხვედით, რომ სიკვდილზე უარესი განსაცდელისაგან გეხსნათ თქვენი ქალიშვილი?

დულიტლი - (გაუხარდა რომ ასე კარგად გაუგეს) აი, სწორედ ასე, უფროსო, ამისათვის მოვედი.

ცვი მაგრამ, თუ წაყვანა გინდოდათ, ბარგს რაგას მოათრევდით?

დულიტლი - კრინტი დამიძრავს იმის წაყვანაზე, კრინტი დამიძრავს?

ჰიგინსი - (გადაწყვეტილებით) დაუყონებლივ წაიყვანეთ (მიდის ლუმელთან და ზარს რეკავს).

დულიტლი - (დგება) როგორ გეკადრებათ უფროსო? მე განა ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემს ქალიშვილს ხელი შევუშალო, როცა მისი, ასე ვთქვათ, მისი კარიერის გზა იხსნება, როგორც თქვენ იტყოდით და... (ქალბატონი პირსი ალებს კარს და განკარგულებას ელოდება).

როგორც თქვენ იტყოდით დაშეგუშალო და ზარს რეკავს)ვენი ქალიშვილინ სახლთან ტრიალებდალაჰიგინსი - ქალბატონო პირს, ელიზას მამაა, მის წასაყვანად მოვიდაგაატანე. (ჰიგინსი ბრუნდება როიალთან ისეთი კაცის სახით, რომელმაც თავისი საქმე მოათავა).

დულიტლი - არა, აქ რაღაცა გაუგებრობაა, ყური დამიგდეთ უფროსო.

ქ - ნი პირსი - ვერ წაიყვანს, მისტერ ჰიგინს, აბა როგორ წაიყვანს? თქვენ ხომ მითხარით, მისი ტანსაცმელი დაწვიო?

დულიტლი - ჰოდა, მეც მანდა ვარ! შიშველს ქუჩაში მაიმუნვით ხომ არ წავიყვან? ე თქვენ გეკითხებით.

ჰიგინსი - ხომ მოითხოვეთ ქალიშვილი, ჰოდა წაიყვანეთ, თუ ტანსაცმეკი არ აქვს, უყიდეთ.

დულიტი - (სასოწარკვეთილი) სად არის ის ტანსაცმელი, რომლითაც მოვიდა? მე დავწვი ისინი თუ თქვენმა დედაკაცმა?

ქ - ნი პირსი - თუ გნებავთ იცოდეთ, მე აქ დიასახლისი ვარ. კაცი მყავს გაგზავნილი თქვენი ქალიშვილის ტანსაცმლისათვის. აი, მოიტანენ და წაიყვანეთ, მანამდე კი, იქ, სამზარეულოში დაიცადეთ. მომყევით. (დულიტი შეწუხებული მიდის კარებამდე, შემდეგ მობრუნდება და მიდის ჰიგინსთან).

დულიტი - მომისმინე, უფროსო, მე და თქვენ გამოცდილი ხალხი ვართ, ხომ?

ჰიგინსი - ოჰ, გამოცდილი ხალხი? თქვენ ჯობია წაბრძანდეთ, ქ-ნო პირს.

ქ - ნი პირსი - მეც ასე ვფიქრობ, სერ. (მიდის ამაყად).

პიკერინგი - სიტყვა თქვენ გეკუთნოდათ, მისტერ დულიტი.

დულიტი - (პიკერინგს) გმადლობთ უფროსო. (ჰიგინსს, რომელიც როიალის წინ გრძელ სკამზე ჩამოჯდა, რათ ცოტა მოშორებით იყოს თავისი სტუმრისაგან, ვინაიდან დულიტლს მისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სუნი ასდის) აი რა! მე თქვენ ძალიან მომეწონეთ, უფროსო: ჰოდა თუ თქვენ გინდათ ჩემი ქალიშვილი, მეც არ აგიხირდებით და მაინც და მაინც არ დავიჯინებ წავიყვან-მეთქი, მოვილაპარაკებთ და მოვრიგდებით. ისე რომ შეხედო, როგორც გოგოს, ელიზა მშვენიერი ქალიშვილია, ხოლო როგორც შვილი, მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს, რჩენად არა ღირს. აგრამ მე მამა ვარ და მამის უფლებები გამაჩნია. ჰოდა, თქვენ უკანასკნელი ადამიანი იქნებით დედამიწის ზურგზე, თუ მეტყვით, შვილი ტყუილ-უბრალოთ დამითმეო. მე ვხედავ, რომ თქვენც პირდაპირი ლაპარაკი გიყვართ, უფროსო. თქვენთვის 5 გირვანქა სტერლინგი არაფერია და ჩემთვისაც ელიზა არაფერია. (დაუბრუნდება თავის სკამს და გაჭიმული ჩამოჯდება).

პიკერინგი - თქვენ უნდა იცოდეთ, დულიტი, რომ მისტერ ჰიგინსს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კეთილშობილური განზრახვა ამოძრავებს.

დულიტი - რა თქმა უნდა, უფროსო, წმინდა გრძნობები, რომ არ ამოძრავებდეს, 50 გირვანქა სტერლინგს მოვთხოვდი.

ჰიგინსი - (ამბოხებული) რაო, თქვენს ქალიშვილს 50 გირვანქა სტერლინგად გაყიდლით?

დულიტი - გაყიდვა არა, მაგრამ ისეთი სანდომიანი პიროვნებისათვის, თქვენ რომ ბრძანებულხართ, რას არ გავაკეთებ. დამერწმუნეთ, მართალს ვამბობ.

პიკერინგი - კაცო, ნუთუ თქვენ მორალის ნატამალი არ გაგაჩნიათ?

დულიტლი - (აუღელვებლად) მორალი სარფიანი საკმე არ გახლავთ. თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით, ჩემებრ ღარიბი რომ იყოთ. რა არის ამაში დასაძრახი? თუ ელიზა ისარგებლებს ამ საქმიდან, მე რატო არ უნდა ვისარგებლო?

ჰიგინსი - (შეშფოთებული) არ ვიცი რა ვქნა. პიკერინგ, მორალის თვალსაზრისით ამ ჯენტლმენისათვის თუნდაც ერთი გირვანქა სტერლინგის მიცემა აშკარა დანაშაულია, და მაინც, მე ვხედავ ერთგვარ ტლანქ სიმართლეს მის მოთხოვნაში.

დულიტლი - სწორედ რომ ასეა, უფროსო, მეც ამას ვამბობ, რაც უნდა იყოს მამის გული მაქვს.

პიკერინგი - მესმის თქვენი, მაგრამ მართლა ძნელია ასეთ რამეზე დათანხმება.

დულიტლი - ასე ნუ ამბობთ, უფროსო, ასე ნუ უყურებთ ამ საქმეს. მითხარით, ვინ ვარ მე, ორივე უფროსო, მე გეკითხებით, ვინ ვარ მე? მე ერთი უღირსი ღარიბ-ღატაკი ვარ. აი, ვინა ვარ მე. და მერე, იცით ეს რას ნიშნავს კაცისათვის? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კაცს განუწყვეტლივ აქვს უთანხმოება ბურჟუაზიულ მორალთან. სადმე რამე საშოვარი თუ გამოჩნდება და ჩემი წილისათვის ხელს თუ გავიშვერ, სულ ერთსა და იგივე პასუხს მაძლევენ: შენ არ გერგება, შენ არ გეკუთვნის და ეს მაშინ, როცა მეც ისეთივე მოთხოვნილება გამაჩნია, როგორც თუნდაც ყველაზე ღირსეულ ქვრივ ქალს, რომელმაც ერთი და იგივე ქმრის სიკვდილისათვის ერთ კვირაში ექვსი სხვადასხვა საზოგადოებისაგან მაინც მიიღო დახმარება. მე არც ერთ ღირსეულ მამაკაცზე ნაკლები არა მჭირდება, პირიქით, მეტი მჭირდება, მეტი. მასზე ნაკლებს არა ვჭამ და სმით კი მეტსა ვსვამ. მე ერთგვარი გართობაც მინდა, მეც მოაზროვნე ადამიანი ვარ. მეც მინდა გამხიარულება სიმღერა და მუსიკა, როცა ცუდ გუნებაზე ვარ. მეც ხომ იმდენს მახდევინებენ, რამდენსაც ღირსეულ ადამიანს? მაშ, რას წარმოადგენს ბურჟუაზიული მორალი? იგი სიტყვის მასალაა იმისათვის, რომ მე არაფერი მომცენ. მიტომაც მე გთხოვთ თქვენ, ორივე უფროსო, ამ ოინს მე ნუ გამიკეთებთ მე თქვენ გულახდილად გელაპარაკებით. მე ხომ არ ვამბობ ღირსეული ვარ-მეთქი. მე უღირსი ვარ და უღირსი ვიქნები. მე მომწონს ეს. აი, სიმართლე თუ გინდათ. ჰოდა, ნუთუ თქვენ ისარგებლებთ ადამიანის სისუსტით და არ გადაუხდით ქალიშვილის ფასს, რომლისათვის წვითა და დაგვით უჭმევია, ჩაუცმევია და იმ სიდიდე გაუზრდია, რომ თქვენც კი დაუინტერესებხართ, ორივე ჯენტლმენო? 5 გირვანქა სტერლინგი დიდი ფასია? აბა, თვითონვე განსაჯეთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ჰიგინსი - (ადგება და პიკერინგთან მივა) პიკერინგ, ეს კაცი რომ ერთი სამი თვე ავიყვანოთ, ან მინისტრის სავარძელში ჩაჯდება, ან უელსის მოძღვრის კათედრას დაიჭერს.

პიკერინგი - ამაზე რას იტყვი, დულიტლ?

დულიტლი - არა, მაღლობთ, უფროსო, უიმისოდაც თავს კარგად ვგრძნობ.

მე გამიგონია ვინ არის ეს მოძღვრები და პრემიერ-მინისტრები. მე ხომ მოაზროვნე ადამიანი ვარ-პოლიტიკით რელიგიითა დასოციალური რეფორმებით ისევე ვერთობი, როგორც სხვა გასართობებით და უნდა გითხრათ რომ იგი, რა მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ მას, ნამდვილი ძალღური ცხოვრებაა და მეტი არაფერი. უღირსი სიღარიბეა

ჩემი პროფესია. სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობა ერთმანეთს რომ შევადაროთ, იცით რა... ჰო... გემო ერთადერთ სიღარიბეშია, ჩემის აზრით.

ჰიგინსი - ჩემის აზრით, უნდა მივცეთ მას ხუთი გირვანქა სტერლინგი.

პიკერინგი - მივცეთ, მაგრამ ტყუილ უბრალოდ მიახარჯავს.

დულიტლი - არა, უფროსო, ცუდად არ მოვიხმარ, ნუ გეშინიათ. ხელს არ მოვუჭერ, ცოტ-ცოტათი არ დავხარჯავ და არ გავზარმაცდები, ორშაბათამდე სულ ერთნაირად მივაფლანგავ და სამუშაოზე ისე წავალ, თითქოს არასოდეს არ მქონოდეს იგი. გეფიცებით ლატაკების სიაში არ ჩავვეწერები, ცოტას ვისიამოვნებთ მე და ჩემი მუსუსი, სხვებს სარგებლობას მოვუტანთ და თქვენც კმაყოფილი იქნებით, რომ თქვენი ფული ტყუილად არ გადაყრილა. ჩემზე უკეთ ვერც თქვენ დახარჯავთ იმ ფულს.

ჰიგინსი - (ამოიღებს ჯიბიდან საბანკო ქვითრებს და დადგება დულიტლს და როიალს შორის) ამაზე უარს ვერ ეტყვი, მოდი 10 გირვანქა მივცეთ. (მენაგვეს ორ ქვითარს გაუწვდის).

დულიტლი - არა, უფროსო, არ მინდა, ჩემს დედაკაცს ანდენის დახარჯვა დაენანება, მეც შეიზლება დამენანოს, 10 გირვანქა დიდი თანხაა. ამდენი თანხა ადამიანს მომჭირნეს გახდის და მაშინ, ჰე, მშვიდობით ბედნიერებავ. ე იმდენი მომეცით რამდენიც გითხარით: არც მეტი და არც ნაკლები.

პიკერინგი - რატომ არ დაქორწინდები იმ შენ მუსუსზე ? მე ასეთი ამორალური ცხოვრება არ მომწონს.

დულიტლი - ეს ჩემს დედაკაცს უთხარით, უფროსო, იმას უთხარით! მე მინდა მაწუხებს ეს ამბავი. მაგრამ მასთან ვერაფერი გავაწყვე. ძალიან კარგად ვექცევი. პატივსაცემ, საჩუქრები მიმაქვს; კაბებიც კი ვუყიდე, მაგრამ მაინც არაფრად მაგდებს, რადგანაც კანონიერი ქმარი არა ვარ. განა ეს ამბავი თითონაც არ იცის? აბა მოდით და აიძულეთ იქორწინოს ჩემზე. იცით რას გირჩევთ, უფროსო? შეირთეთ ელიზა, სანამ ახალგაზრდაა და სანამ უკეთესი ცხოვრება არ უნახავს. თუ ამასა არ გააკეთებთ, შემდეგ ინანებთ და, თუ გააკეთებთ, შემდეგში ელიზა ინანებს, ჰოდა, სჯობია ელიზან ინანოს, ვიდრე თქვენ, რადგანაც თქვენ მამაკაცი ხართ, ელიზა კი დედაკაცი. დედაკაცის გულს კი ეშმაკიც ვერ გაიგებს.

ჰიგინსი - პიკერინგ, ამ კაცის ლაპარაკს კიდევ ცოტახანს რომ დავუგდოთ ყური, ყოველგვარ რწმენას დავკარგავთ. (დულიტლს) 5 გირვანქა ითხოვეთ, არა?

დულიტლი - დიახ, უფროსო.

ჰიგინსი - მაშ, 10-ს არ აიღებთ?

დულიტლი - ახლა არა, სხვა დროს იყოს, უფროსო.

ჰიგინსი - (აძლევს 5 გირვანქის ქვითარს) ია, ინებეთ.

დულიტლი - გმადლობთ, უფროსო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გაეშურა კარისაკენ. ჩდილობს ჩქარა გავიდეს, რათა წაიღოს თავისი ნადავლი. კარს რომ გააღებს შეეფეთება სუფთად და გემოვნებით ჩაცმულ იაპონელ ლედის, რომელსაც აცვია პატარ-პატარა ჟანსონის თეთრი ყვავილებით მოხატული ბამბის უბრალო ცისფერი კიმონო, ქალბატონი პირსიც მასთანაა. დულიტლი თავაზიანად უთმობს გზას.).

ბოდიში, ქალბატონო.

ელიზა - რაო! შვილს ვეღარ ცნობ? დულიტლი.

ჰიგინსი - (წამოიძახებენ ერთხმად) ერთი ამას შეხედეთ! ელიზაა! რა არის ეს! საოცარია ღმერთმანი. პიკერინგი.

ელიზა - სულელურად არ გამოვიყურები?

ჰიგინსი - სულელურად?

ქ - ნი პირსი - (კარებთან) მისტერ ჰიგინს, აბა, ისეთი რამე არ უთხრათ, რომ გოგომ თავას თავზე დიდი წარმოდგენა იქონიოს.

ჰიგინსი - (თანხმობით) სავსებით მართალი ხართ, ქ-ნო პირს. (ელიზას) ეშმაკმა იცის რანაირი გამოხედვა გაქვთ.

ქ - ნი პირსი - რას ამბობთ, სერ!

ჰიგინსი - (ასწორებს თავის ნათქვამს) მე მიწოდდა მეთქვა, რომ სულელური გამოხედვა გაქვს.

ელიზა - ამ ტანსაცმელს ჩემი შლიაპა მოუხდება. (აიღებს შლიაპას, დაიხურავს და ამაყად გაივლის ოთახში ღუმელამდე).

ჰიგინსი - ახლა მოდა არ არის თუ! მე კი მეგონა არ მოუხდებოდა.

დულიტლი - (მამობრივი სიამაყით) საოცარია, უფროსო, რას ვიფიქრებდი, რომ გახეზვის შემდეგ ასეთი ლამაზი გამოჩნდებოდა! ჩემი მასახელებელია.

ელიზა - უნდა გითხრათ რომ აქ გასუფთავება ადვილია: თბილი და ცივი წყალი ონკანებიდან, რამდენიც გინდა არის, რბილი პირსახოციც არის, პირსახოცის ჩამოსაკიდი ისეთი ცხელია, რომ თითებს დაგწვავს. რბილი ჯაგრისებიც გასახეხად არის, ხის ჯამიც გავსებული საპნის ქაფით, რომელსაც ფურისულას სუნი ასდის. ხლა კი ვიცი, რატომ არიან ლედები ასეთი სუფთა, ბანაობა მათთვის სიამოვნებაა. ნეტავი მათ იცოდნენ რა კარგია ეს ჩემისთანებისათვის.

ჰიგინსი - მოხარული ვარ, რომ ჩემი აბაზანა მოგეწონათ.

ელიზა - სულაც არ მომწონებია: ესე იგი, ზოგი რამ არ მომწონებია. ღაც გინათ ის იფიქრეთ, მაინც ვიტყვი. აგერ ქ-ნი პირსია მოწმე.

ჰიგინსი რა მოხდა, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი (მშვიდად) არაფერი, სერ. თქმადაც არ ღირს.

ელიზა კინალამ გავტეხე. რ ვიცოდი საით გამეხედა, მერე მივედი და პირსახოცი ჩამოვაფარე.

ჰიგინსი რაზე?

ქ-ნი პირსი სარკეზე, სერ.

ჰიგინსი დულიტლ ძალიან მკაცრად გაგიზრდია შენი ქალიშვილი.

დულიტლი მე? სულაც არ გამიზრდია. თუ იმას არ ჩამითვლით, რომ ხანდახან მიმიტყეპია, მე ნულარაფერს მაზრალეხთ, უფროსო. მიჩვეული არ არის, მაგრამ ეგეც არაფერი, მალე მიეჩვევა და თქვენზე თავისუფლად მოიქცევა.

ელიზა არა, მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი. მე თავისუფლად არ მოვიქცევი.

ჰიგინსი ელიზა, თუ კიდევ გაიმეორებ, „წესიერი გოგ ვარო“, მამაშენი სახლში წაგიყვანს.

ელიზა არაფერსაც არ წამიყვანს. თქვენ არ იცნობთ მამაჩემს, ის ჩემს წასაყვანად კი არა, იმიტომ მოვიდა, რომ ფულეები დაგცანცლოთ და ერთი კარგად გამოილემოს.

დულიტლი კარგი ერთი, გაჩუმდი. მაშ რა ჯანდაბათ მინდა ფული, თუ არ დავლიე, აბა, ეკლესიას შევწირო? ჩემის აზრით... (ელიზა ენას აგმოუყოფს მამამისს. დულიტლი ისე გაცეცხლდება, რომ პიკერინგი საჭიროდ ჩათვლის ჩადგეს მათ შორის) ასე ნუ მელაპარაკები და ამ ჯენტლემენებსაც ნუ ეჭიკჭიკები, თორემ ისე აგამღერებ, რომ თავიც დაგავიწყდეს. ცოტა ფრთხილად იყავი.

ჰიგინსი იქნება წასვლი წინ რაიმე დარიგება მისცეთ, დულიტლ? იქნება დალოცვა გინდათ.

დულიტლი არა, უფროსო. მე ისეთი ბრიყვი როდი ვარ, ჩემ შვილებს ყველაფერი გადმოულაგო, რაც ვიცი. უამისოდაც ძლივს მიჯერებენ. თუ ელიზას გონების განვითარება გინდათ, უფროსო, მათრახს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ჯერჯერობით, ჯენტლემენებო. (მიბრუნდება წასასვლელად).

ჰიგინსი (მბრძანებლურად), შეჩერდით, ხშირად უნდა იაროთ თქვენი ქალიშვილის სანახავად, ეს თქვენი მამობრივი მოვალეობაა. ჩემი ძმა მღვდელია და მას შეუძლია წარმართოს თქვენი საუბარი.

დულიტლი (ორჭოფულად) რა თქმა უნდა უფროსო, ვივლი. ამ კვირას კი ვერ მოვალ. ცოტა მოშორებით მაქვს სამუშაო შემდეგში კი, იმედი იქონიეთ, უსათუოთ მოვალ. ნახვამდის ჯენტლემენებო, ნახვამდის, ქალბატონო. (მოიხდის შლიაპას ქალბატონი

პირსის ცხვირწინ. ქალბატონი პირსი უფულებელჰყოფს მის მისაღებასა და გადის. დულიტილი თვალს ჩაუკრავს ჰინგინსს, იმ აზრით, თითქოსდა შენც ხშირად იტანჯები მისი ცუდი ხასიათისგანო და გაჰყვება ქ-ნ პირსს).

ელიზა ნუ გჯერათ ამ ბებერი მატყუარასი. მას ურჩევნია ქოფაკი ძაღლები წაუსიოთ, ვიდრე მღვდელს ელაპარაკოს. ახლა ფეხს დიდხანს არარ მოადგამს.

ჰიგინსი არც მინდა, რომ მოვიდეს. ელიზა, თქვენ გინდათ?

ელიზა არც მე მინდა. მე საერთოდ არ მინდა მისი ნახვა, არ მინდა. ჩემი შემარცხვენელია: თავის ხელობაზე მუშაობის ნაცვლად ნაგავში იქექება.

პიკერინგი რა ხელობა აქვს, ელიზა?

ელიზა ეჩიჩინება ხალხს და მათი ჯიბეებიდან თავის ჯიბეში გადმოაქვს ფული. ისე კი მიწის მთხრელია: ხანდახან თავის ხელობაზე მუშაობს და ბევრ ფულს აკეთებს. ღოგორ თქვენ ქალბატონ დულიტლს მეტად აღარ დამიძახებთ?

პიკერინგი მაპატიეთ, ქ-ნო დულიტლ, სახელი წამომცდა, თორემ, როგორ არ დაგიძახებთ.

ელიზა არა, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ისე, კარგად ჟღერდა. ურიგო არ იქნებოდა ახლა ტაქსით გამესეირნა ტოტენჰამ კორტ როუდის კუთხემდე. ჩამოვსულიყავი იქ და მძღოლისთვის მეთქვა, დამიცადე მეთქი. შურით დავხოცავდი გოგოებს, არც კი დაველაპარაკებოდი.

პიკერინგი სჯობია დაიცადო, სანამ ახალ ტანსაცმელს მოიტანენ.

ჰიგინსი ესეც არ იყოს, შენი ყოფილი მეგობრების წინ ცხვირაწეული არ უნდა იყო, ამას ჩვენ სნობიზმად მივიჩნევთ.

ელიზა მე იმათ ახლა ჩემს მეგობრებს აღარ ვეძახი. როცა რამეს იშოვიდნენ, სასაცილოდ მიგდებდნენ, ახლა მეც მინდა სამაგიერო გადავუხადო, მაგრამ, თუ მართლა კარგ კაბებს მომიტანენ, დავიცდი, მე მინდა კარგი კაბები, ქალბატონი პირსი ამბობს, რომ თქვენ გინდათ მიყიდოთ ღამის ტანსაცმელი, განსხვავებული იმისგან, რაც დღისით მაცვია. ტყუილად ფულს რატომ ხარჯავთ? ამას ის არა სჯობია, ისეთი რამე მიყიდოთ, რაშიაც ხალხს დავენახვები? გარდა ამისა, ზამთრის ცივ ღამეებში, თბილ საცვლებს ცივი საცვლებით არ შევიცვლი.

ქ-ნი პირსი (დაბრუნდება) წამოდი, ელიზა, ტანისამოსი მოიტანეს, უნდა გაისინჯო.

ელიზა ა-ო-უ-უ-უ. (გარბის).

ქ-ნი პირსი (მისდევს) ცოტა ნელა იარე, გოგო. (კარებს მოიხურავს).

ჰიგინსი პიკერინგ, ჩვენ ძნელი საქმე ვიკისრეთ.

პიკერინგი (თანხმობით) მართლაც, რომ ძნელი საქმეა, ჰიგინს. (შეიძლება მკითხველს აინტერესებდეს, რა სახის გაკვეთილები ჩაუტარა ჰიგინსმა ელიზას. აი მაგალითად პირველი გაკვეთილი. წარმოიდგინეთ ელიზა ახალ ტანსაცმელში, აფორიაქებული უცნაური საუზმით, სადილითა და ვახშმით, რასაც მიჩვეული არ არის, ზის ჰიგინსთან და პოლკოვნიკთან კაბინეტში და თავს ისე გრძნობს, როგორც მომსვლელი ავადმყოფი ექიმის წინაშე. ჰიგინსი ერთ ადგილას ვერ ჩერდება და ამით უფრო არღვევს ელიზას ისედაც დარღვეულ სიმშვიდეს. მაგრამ, რაკი ელიზა პატივცემით ეპყრობა თავის მეგობარ პოლკოვნიკს, არ გარბის უკან დრუერი ლეინში.).

ჰიგინსი თქვით ანბანი.

ელიზა მე ვიცი ანბანი. თქვენ მთლად უცოდინარი გგონივართ? ბავშვი კი არა ვარ, რომ მასწავლით.

ჰიგინსი - თქვით ანბანი.

პიკერინგი თქვით, ქალბატონო დულიტლ. ახლავე გაიგებთ, რისთვისაა ეგ საჭირო. გააკეთეთ, რასაც გეუბნებით. მიეცით ნება, როგორც უნდა ისე გასწავლოთ.

ელიზა ახლა ეგლა მაკლია, დამაწყებინოთ ეჰიი, ბიჰიი, სიჰიი, დიჰიი.

ჰიგინსი (დაჭრილი ლომივით ღრიალებს) შეჩერდით, ყური დაუგდეთ, პიკერინგ. ასეთ პირველ დაწყებით განათლებას აძლევენ ჩვენში. ეს უბედური ცხოველი 9 წელი ჩამწყვდეული იყო სკოლაში და ჩვენი ხარჯებით ასწავლიდნენ, რომ კარგად ელაპარაკა შექსპირის და მილტონის ენაზე და ამის მეტი კი ვერაფერი ისწავლა: ეჰიი, ბიჰიი, სიჰიი. (ელიზას) თქვი: ეი, ბი, სი, დი.

ელიზა (აცრემლებული) მე ხომ ვთქვი; ეჰიი, ბიჰიი, სიჰიი, დიჰიი.

ჰიგინსი შეჩერდი. აბა თქვი: ე კაპ ოფ ტიი.

ელიზა ეკაპოტიი.

ჰიგინსი წინ წამოილე ენა, ვიდრე შეეხებოდეს ქვემო წინა კბილებს. ახლა თქვი „კაპ“.

ელიზა კ-კ-კ-არ შემოდლია. კ-კაპ.

პიკერინგი მშვენიერია, ქალბატონო დულიტლ.

ჰიგინსი ღმერთმანი, მალე კი მოახერხა, პიკერინგ, მისგან ნამდვილად ჰერცოგის ასულს გამოვიყვანთ. აბა ახლა სცადეთ სთქვათ ტიი, იცოდეთ არა სთქვათ ტჰიი. იცოდეთ, თუ ოდესმე გითქვამთ ეჰიი, ბეჰიი, სიჰიი, დიჰიი, თმაში წაგავლებთ ხელს და თრევით სამჯერ შემოგატარებთ ოთახს.

ელიზა (ტირილით) მე არავითარ განსხვავებას არ ვგრძნობ, გარდა იმისა, რომ, როცა თქვენ ამბობთ, ცოტა უფრო ტკბილად ჟღერს.

ჰიგინსი მერე თუ ამ განსხვავებას ხედავთ, რა ჯანდაბა გატირებთ? პიკერინგი, შოკოლადი მიეცით.

პიკერინგი ნუ ტირით, ნუ ტირით, ქალბატონო დულიტლ. კარგად ითვისებთ. ეს გაკვეთილები თქვენთვის სასარგებლოა. მე მგონია, ისე ისწავლით, რომ თმით სათრევი არ გახდებით.

ჰიგინსი წადით ქალბატონ პირსთან და უამბეთ. თვითონაც იფიქრეთ, ივარჯიშეთ. ენას წარამარა გარეთ ნუ ყოფთ. მეორე გაკვეთილი ხუთის ნახევარზე გვექნება დღესვე, წადით.

ელიზა (ქვითინით გავარდება ოთახიდან. აი, ასე მიდის საბრალო ელიზას ცხოვრება თვეების მანძილზე, ვიდრე მას ისევ შევხვდებოდეთ ლონდონის ერთ-ერთ მაღალ საზოგადოებაში).

მეორე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე.

ქ-ნ ჰიგინსს მიღების დღე აქვს. ჯერ არავინ მოსულა. მისი სასტუმრო ოთახი ჩელსის სანაპიროს მხრიდანაა. ფანჯრები მდინარისაკენ გადის. ოთახების ჭერი ამ ტიპის ძველი სახლების ჭერზე უფრო დაბალია. ფანჯრები ღიაა. მოჩანს აივანი, სადაც აწყვია ქოთნები ყვავილებით. პირით ფანჯრისაკენ თუ დაგებით, ღუმელი ხელმარცხნივ იქნება, კარი კი ფანჯრების ახლოს ხელმარჯვნივ.

ქ-ნი ჰიგინსი მორისის და ბარნ ჯონის ყაიდაზეა აღზრდილი. მისი ოთახი, რომელიც სულაც არა ჰგავს ჰიგინსის ოთახს, ავეჯეულობით, პატარა-პატარა მაგიდებითა და სხვა უსარგებლო ნივთებით გადატვირთული არ არის, ოთახის შუაგულში დიდი ტახტია, რომელიც თავისი ხალიჩით, შპალერით, მორისის ჩითის ფარდებითა და მოქარგული ბალიშებით შეადგენს ოთახის ერთადერთ მორთულობას. რომლის უსარგებლო ნივთებით დაფარვა, ცოტა არ იყოს, დასანანი იქნებოდა. კედელზე მოჩანს ზეთის საღებავებით შესრულებული რამოდენიმე სურათი, რომლებიც გამოფენილი იყო გროსსვენორის გალერეაში 30 წლის წინით. (ბარნ ჯონისა და უისლერის სკოლა) ვხედავთ სესილ ლოუსონის ერთად-ერთ პეიზაჟს, რომელიც რუბენსის მასშტაბითაა შესრულებული. კედელზეა ქ-ნი ჰიგინსის იმდროინდელი პორტრეტი, როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და იცვამდა როსეტის მშვენიერ კოსტუმს, რაც შემდგომი

დროის ბრიყვა მიმბაძველებმა მე-18 საუკუნის 70-იან წლების პოპულარულ უგემოვნო ესთეტიზმით შეცვალეს.

კარის პირდაპირ კუთხეში, სადა, მაგრამ ძვირფას საწერ მაგიდას უზის და წერს ქ-ნი ჰიგინსი, სამოც წელს გადაცილებული ქალი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მოდური ჩაცმისათვის თავი დაუნებებია. ერთი ხელი ზარის ღილაკზე უდევს. აგიდასა და უახლოეს ფანჯარას შორის, ოთახის სიღრმეში, ჩიპენდალის სავარძელია მოთავსებული. ოთახის მეორე მხარეს, ცოტა უფრო წინ, დგას ელისაბედის დროინდელი ინიგო ჯონის გემოვნების ტლანქი კუთხვილიანი სავარძელი. იმავე მხარეზე ვხედავთ მოქარგულ-შალითიან როიალს. ღუმელსა და ფანჯარას შორის კუთხეში დგას მორისის ჩითგადაფარებული დივანი.

სალამოს ექვსი საათია დაწყებული. ერთბაშად იღება კარი და შემოდის ჰიგინსი შლიაპით.

ქ-ნი ჰიგინსი - (შემკრთალი) ჰენრი! (საყვედურით) დღეს აქ რა გინდა? ხომ იცი, რომ ჩემი მიღების დღეა? აკი დამპირდი, არ მოვალო.

ჰიგინსი - (დედის საკოცნელად დაიხრება, ქ-ნი ჰიგინსი შლიაპას მოხდის და მიაწვდის) ახ, დალახვროს ეშმაკმა. (შლიაპას მაგიდაზე დააგდებს).

ქ-ნი ჰიგინსი - ახლავე წადი.

ჰიგინსი - (კოცნის) ვიცი, დადა, ვიცი, მაგრამ განგებ მოვედი.

ქ-ნი ჰიგინსი - სერიოზულად გეუბნები, ჰენრი, შენი დარჩენა არ იქნება. ჩემს მეგობრებს შეურაცხყოფას აყენებ და მიფრთხობ. შაკმარისია ერთხელ მოგკრან თვალი, რომ ფეხი ამოიკვეთონ.

ჰიგინსი - სისულელეა. მე მაღალი საზოგადოების ლაპარაკს ჩვეული არა ვარ, მაგრამ ეს ვის რაში ედარდება, არ ვიცი. (ტახტზე ჩამოჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი - მაღალი საზოგადოების ლაპარაკი! შენებური საზოგადოების ლაპარაკი როგორიდაა? ძვირფასო, სჯობია წახვიდე.

ჰიგინსი - ვერ წავალ, დედა, საქმე მაქვს, ფონეტიკასთან დაკავშირებული საქმე.

ქ-ნი ჰიგინსი - სულ ერთია, უნდა წახვიდე. იმ შენს ხმოვნებს თავი მაინც ვერ გავართვი, თუმცა ძალიან კი მიხარია, როცა სტენოგრაფიულ ჩანაწერებიან ერთად ღია ბარათს ვიღებ შენგან, მაგრამ იმათ ისე მაინც ვერ ვიგებ, ტუ ჩვეულებრივი ასოებით დაწერილ სტრიქონებრივ თარგნასს ვერ შევაშველებ, რასაც მასთან ერთად მიგზავნი ხოლმე.

ჰიგინსი - კი, მაგრამ იმ საქმეს რომელზედაც ახლა მოვედი, ფონეტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ქ-ნი ჰიგინსი - აკი, თქვი აქვსო?

ჰიგინსი - მე აქ ერთი გოგო მოვიყვანე.

ქ-ნი ჰიგინსი - გოგო მოიყვანე თუ გოგოს სიყვარულმა მოგიყვანა?

ჰიგინსი - სრულიადაც არა, აქ სიყვარული არაფერ შუაშია.

ქ-ნი ჰიგინსი - სამწუხაროა.

ჰიგინსი - რატომ?

ქ-ნი ჰიგინსი - ჯერ არ მახსოვს ოდესმე ისეთი ქალი შეგეყვარებინოს, რომ ორმოცდახუთს არ ყოფილიყო გადაცილებული. ნეტავი როდის მიხვდები რომ ლამაზები ახალგაზრდებშიაც არიან?

ჰიგინსი - ახალგაზრდა ქალების ლოლიაობის თავი სად მაქვს? ჩემი იდეალი ზუსტად შენისთანა ქალია. ახალგაზრდებს ვერასოდეს შევიყვარებ. ამ აზრს უკვე შევეჩვიე და ხომ გაგიგონია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია . (წამოვარდება და გაივლ-გამოივლის. ჯიბეში გასაღებს და ხურდა ფულს აჩხრიალებს). მერე და, ახალგაზრდა ქალები თავქარიანები არიან.

ქ-ნი ჰიგინსი - ჰენრი, თუ გიყვარდე, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე.

ჰიგინსი - რა, ცოლი შევირთო?

ქ-ნი ჰიგინსი - არა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღებ და წინ და უკან ნუ დადიხარ.

ჰიგინსი - (დაემორჩილება და განაწყენებული ჩამოჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი - აი, ეს მომწონს, კარგი ბიჭი ხარ. ახლა მიაშვებ ვინაა ის გოგო?

ჰიგინსი - დხეს გესტუმრება. .

ქ-ნი ჰიგინსი - მე რომ არ დამიფატიუნია?

ჰიგინსი - შენ, რა თქმა უნდა, არ დაგიპატიუნია, მე დავპატიე. შენ რომ იცოდე ვინაა, არასოდეს არ დაპატიებდი.

ქ-ნი ჰიგინსი - მართლა? რატომ?

ჰიგინსი - იცი რა უბრალო ხვავილების გამხიდველი გოგოა ქუჩიდან ავიყვანე.

ქ-ნი ჰიგინსი - მერე და რაღა ცემი მიღების დღეს დაპატიე.

ჰიგინსი - (წამოდგება და დედასთან დასამოშმინებლად მივა) საშიში არარფერია. წესიერი ლაპარაკი უკვე ვასწავლე. დავარიგე როგორ მოიქცეს. ლაპარაკში სულ ორ

საკითხს შეეხება: იკითხავს ვინ როგორ ბრძანდება და როგორი ამინდია. სხვა საკითხებში არ ჩაერევა. ასე რომ, დარდი ნუ გექნება, საშიში არაფერია.

ქ-ნი ჰიგინსი - საშიში არაპერია! ჩვენს ჯანმრთელობაზე ილაფარაკებს!? ჩვენს შინაგან ორგანოებზე? იქნება ჩვენს გარეგნობაზეც ილაპარაკებს? ეს რა სისულელე ჩაგიდენია, ჰენრი?

ჰიგინსი - (მოუთმენლად) კი, მაგრამ რამეზე ხომ უნდა ილაპარაკოს? (თავს შეიკავებს და ჯდება) ნუ აფორიაქდი, ტავს წესიერად დაიცერს, პიკერინგიც ამ საქმის მონაწილეა. მასთან დანადლევებული ვარ, რომ ეს გოგონა ექვს ტვეში ჰერცოგის ასულს დავამსგავსო, რამოდენიმე თვეა მეცადინეობა დავიწყე. საოცარი სისწრაფით იტვისებს ყველაპერს. სანადლეოს უსათუოდ მოვიგებ. მახვილი ყურის პატრონია. ჩვენი ბურჟუების ქალიშვილებზე უკეთ სწავლობს, ვინაიდან მას სრულიად ახალი ენის შესწავლა უხდება. ინგლისურად ისევე კარგად ლაპარაკობს, როგორც შენ ფრანგულად.

ქ-ნი ჰიგინსი - ასე თუა, ყოველ შემთხვევაში კარგია.

ჰიგინსი - კარგიცაა და კიდევ არაა კარგი.

ქ-ნი ჰიგინსი - რათა?

ჰიგინსი - აი, რა! გამოთქმები გავუსწორე, მაგრამ საქმე მარტო ის როდია როგორ გამოთქვამს. საქმე ისაა, რას გამოთქვამს. ამიტომაც... (მათ საუბარს აწვწვტინებს მოსამსახურე ქალი, რომელიც სტუმრების მოსვლას აუწყებს).

მოსამსახურე ქალი - მისის ეინსფორდ ჰილი, მის ეინსფორდ ჰილი (გადის).

ჰიგინსი - ოჰ, ღმერთო ჩემო. (წამოდგება, სასწრაფოდ აიღებს შლიაპას მაგიდიდან და კარისაკენ გაემართება, მაგრამ, ვიდრე იქამდეს მიაღწევდეს დედა სტუმრებს აცნობს. მისის ეინსფორდ ჰილი და მის ეინსფორდ ჰილი ის დედა და ქალიშვილია, რომლებიც წვიმის დროს კოვენტ გარდენში შეეფარნენ. დედა კარგად აღრზდილი დინჯი ქალია, როგორც ჩანს, ღარიბია და ეს აწუხებს კიდევ. ქალიშვილს ეტყობა, რომ ადვილად უშინაურება ამა თუ იმ საზოგადოებას. თავს ძალად იმხიარულებს - სიღარიბეს არ იმჩნევს).

მისის ეინსფორდ ჰილი - (ქ - ნ ჰიგინსს) სადამო მშვიდობისა, (ხელს ართმევს).

ქ-ნი ჰიგინსი - ჩემი ვაჟიშვილი, ჰენრი. .

მისის ჰილი - თქვენი სახელგანთქმული ვაჟიშვილი? როგორ მენატრებოდა თქვენთან შეხვედარა, პროფესორო ჰ ჰ.

ჰიგინსი - (პირქუშად, მისის ეინსფორდ ჰილისკენ ფეხსაც არ გადადგამს) მოხარული ვარ. (როილისკენ დაიხევს და უხეშად ესალმება).

მის ჰილი - (შინაურად მივა ჰიგინსთან) სადამო მშვიდობისა.

ჰიგინსი - (გაოცებით შესცქერის) სადხაც მინახიხართ, წარმოდგენაც არ მაქვს სად, მაგრამ თქვენი ხმა უთუოდ გამიგონია (მოწხენილად) თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. სჯობია დაბრძანდეთ.

ქ-ნი ჰიგინსი - უნდა ვალიარო, რომ ჩემმა სახელგანთქმულმა ვაჟიშვილმა არ იცის საზოგადოებაში როგორ მოიქცეს და გთხოვთ თქვენც არ მიაქციოთ ყურადღება.

მის ჰილი - (მხიარულად) ჩემთვის სულერთია (ჩამოჯდება ელისაბედის დროინდელ სავარძელში).

მისის ჰილი - (განაწყენებული) ცემთვის კი არაა სულერთი. (ტახტზე დაჯდება ქალიშვილისა და ქ - ნ ჰიგინსს შორის, რომელმაც საწერ მაგიდას მოაშორა სკამი).

ჰიგინსი - უხესად ხომ არ მოგეკვიტით? უნებურად მომივიდა (ზურგშექცეული დაჯდება შუა ფანჯარასთან და გაჰყურებს მდინარესა და ბატერსის პარკის ყვავილნარს ტემზას გაღმა, რომელიც ისე მოჩანს, თით-ქოს ყინულით დაფარული უდაბნო იყოს. მოსამსახურე ქალი შემოდის და აცნობებს პოლკოვნიკი პიკერინგის მოსვლას.

მოსამსახურე ქალი პოლკოვნიკი პიკერინგი (გადის).

პიკერინგი სადამო მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს.

ქ-ნი ჰიგინსი მოხარული ვარ, რომ მობრძანდით. გაიცანით მისის ჰილი. (თავს უკრავენ ერთი მეორეს. პოლკოვნიკი დაიდგამს ჩიპენდალის სკამს, მისის ჰილსა და ჰიგინსის წინ და დაჯდება.).

პიკერინგი გითხრათ ჰენრიმ რისთვის მოვედით?

ჰიგინსი (მხოლოდ თავს მოაბრუნებს) ვინ გაცალა? დასწყევლოს ღმერთმა, სიტყვა გაგვაწყვეტინეს.

ქ-ნი ჰიგინსი მართლა და მართლა, გეყოფა, ჰენრი, გეყოფა. (მისის ჰილი ნახევრად წამომდგარი).

მისის ჰილი ჩვენ ხომ არ გიშლით?

ქ-ნი ჰიგინსი (ადგება და ისევ დასვამს ადგილზე) არა, არა, რასა ბრძანებთ? პირიქით, დროზე მოხვედით. ერთ ჩვენს მეგობარს უნდა შეგახვედროთ.

ჰიგინსი (მობრუნდება დაიმედებული) ღმერთმანი, ასე იყო. ჩვენ ორი-სამი კაცი მაინც გვინდოდა. ნეტავი, თქვენს გარდა კიდევ ვინმე მოვიდოდეს. (შემოვა მოსამსახურე ქალი და ფრედის მოსვლას ამცნობს).

მოსამსახურე ქალი მისტერ ჰილი.

ჰიგინსი (ხმამაღლა, მოთმინება დაკარგული) ღმერთო ჩემო, კიდევ ამათი ოჯახიდან.

ფრედი (ხელს ართმევს ქ-ნ ჰიგინსს) გაუ!

ქ-ნი ჰიგინსი ძალიან კარგია, რომ მობრძანდით. (აცნობს) პოლკოვნიკი პიკერინგი.

ფრედი (თავს უქნევს) გაუ!

ქ-ნი ჰიგინსი მგონი არც ჩემ ვაჟს იცნობთ? პროფესორი ჰიგინსი.

ფრედი (მივა ჰიგინსთან) გაუ! (ჰიგინსი ისე უყურებს თითქოს ფრედი ჯიბგირი იყოს).

ჰიგინსი დავიფიცავ, რომ სადღაც უსათუოდ მინახავხართ. ნეტავი სად?

ფრედი მე კი არა მგონია.

ჰიგინსი (მშვიდად) თუმცა რა მნიშვნელობა აქვს სად? დაბრძანდით.

(ხელს ართმევს ფრედის და თითქმის ძალად დასვამს ტახტზე პირით ფანჯრისკენ და თვითონ მეორე მხრით.

შემოუვლის).

ჰიგინსი აჰა, შევიკრიბებით, მაგრამ (მისის ჰილის მარცხნივ დაჯდება ტახტზე) ელიზას მოსვლამდე რა ჯანდაბაზე ვილაპარაკოთ?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, სამეფო სამეცნიერო საზოგადოების სული და გული შენა ხარ მაგრამ რა მოგივიდა, რომ ჩვეულებრივ საზოგადოებას სრულებით ვერ იტან?

ჰიგინსი მართლა? ვწუხვარ, თუ ასეა. (სახე გაუბრწყინდება) თუმცა, მართალი ხარ, მართალი, ასეთი ვარ, ასეთი. (როხროხით) ხა,ხა,ხა.

მის ჰილი (რომელიც ჰიგინსს შესცქერის, როგორც სასურველ საქმროს) ეგ მომწონს, არც მე მიყვარს ცერემონიებით ლაპარაკი. ნეტავი ადამიანები გულწრფელები იყვნენ და იმას ამბობდნენ, რასაც ფიქრობენ.

ჰიგინსი (მოიღუშება) ღმერთმა დაგვიფაროს.

მისის ჰილი (ყური მოკრა თავისი ქალიშვილის უკანასკნელ სიტყვებს) რატომ?

ჰიგინსი რაზედაც ისინი ფიქრობენ, კარგი ნაფიქრალიაო, - საკმაოდ ცუდი ნაფიქრალია. ღმერთმა უწყის, რომ, თუ მათი ნაფიქრალი ახდა, ყველაფერი აირევდაირევა. როგორა გგონიათ, კარგი იქნება, რომ მე ახლა საჯაროდ გამოვთქვა რასაც ვფიქრობ?

მისის ჰილი ასეთ ცუდს რას ფიქრობთ?

ჰიგინსი ცუდი? ვინ ეშმაკმა თქვა ცუდიაო? ცუდი კი არა, მე მგონია კარგ რამეს ვფიქრობ.

მისის ჰილი (სერიოზულად) მჯერა, რომ გულში ისე არა ფიქრობთ, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი აი, მომისმინეთ. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ველურები ვართ და მაინც მივაჩნევართ ცივილიზებულ და კულტურულ ხალხად, რომელსაც ესმის პოეზია, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება და ასე შემდეგ. მაგრამ, მითხარით, რამდენ ჩვენთაგანს გაეგება თუნდაც მხოლოდ ამ სიტყვების მნიშვნელობა? (მის ჰილს) რა გესმით თქვენ პოეზიის? (მისის ჰილს) თქვენ მეცნიერების რა გესმით? (მიუთითებს ფრიდზე) ან ამან რა იცის ხელოვნებისა, ან მეცნიერებისა, ან სხვა რაიმესი, ანდა, როგორა გგონიათ, რა ჯანდაბა მესმის მე ფილოსოფიისა?

ქ ნი ჰიგინსი ანდა საზოგადოებაში თავის დაჭერისა.

მოსამსახურე ქალი (კარს შემოადებს) მის დულიტლი. (გადის).

ჰიგინსი (სწრაფად დგება და მიდის ქ-ნ ჰიგინსთან) მოვიდა, დედა. (ფეხისწვერზე შედგება და თვალებით ანიშნებს რომელია დედამისი, რათა ელიზა მიხვდეს ვინაა მისი მასპინძელი. ელიზა მშვენივრადაა მორთული. ერთბაშად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი სილამაზით მოხიბლულები ფეხზე დგებიან. ჰიგინსის ნიშნების თანახმად, ნასწავლი მოხდენილობით მივა ქ-ნ ჰიგინსთან).

ელიზა (პედანტურად იცავს გამოთქმის წესებს. ლაპარაკობს ლამაზად და მუსიკალურად) სადამო მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს! (ჰ-ს წარმოთქმის დროს ცოტა შეიბორძიკებს, მაგრამ საბოლოოდ კარგად გამოთქვამს) ბატონმა ჰიგინსმა დამართო თქვენთან მოსვლის ნება.

ქ-ნი ჰიგინსი (გულწრფელად) კარგი უქნია. ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა.

პიკერინგი სადამო მშვიდობისა, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა (ხელს ართმევს) ეს თქვენა ბრძანდებით, პოლკოვნიკო პიკერინგ?

მის ჰილი - სადღაც შემხვედრიხართ, ქ-ნო დულიტლ, თქვენს თვალებს ვცნობ.

ელიზა სადამო მშვიდობისა. (პიკერინგის გვერდზე მოხდენილად ჯდება).

მისის ჰილი (აცნობს) ჩემი ქალიშვილი კლარა.

ელიზა სადამო მშვიდობისა.

კლარა (თითქოს უნებურად) სადამო მშვიდობისა. (დაჯდება ტახტზე ელიზას გვერდით და მას გამწყრალი თვალებით შესცქერის.).

ფრედი (გადმოვა მათ მხარეზე) მე კი ნამდვილად მქონდა პატივი მენახეთ.

მისის ჰილი (აცნობს) ჩემი ვაჟიშვილი ფრედი.

ელიზა - სადამო მშვიდობისა. (ფრედი თავს დაუკრავს და თავგზააბნეული ჩაჯდება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

ჰიგინსი (ერთბაშად) სწორედ ასეა, გამახსენდა, გამახსენდა. (ყველა მას შეაჩერდა) კოვენტ გარდენში. რა დაწყევლილი მეხსიერება მაქვს?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი! (ჰიგინსი მაგიდის კიდეზე აპირებს ჩამოჯდომას) საწერ მაგიდაზე ნუ ჯდება, გატეხავ.

ჰიგინსი (გულმოსული) ბოდიში. (მიდის დივანისკენ. ფეხს წამოკრავს მაშებსა და მათ დასადგამს. ბუზლუნითა და წყევლით განაგრძობს გზას და თავისი ამ უბედური მგზავრობის დასასრულს ისე მაგრა დაეშვება დივანზე, რომ კინალამ ჩამტვრევს. ქ-ნი ჰიგინსი შეხედავს შვილს, მაგრამ თავს შეიკავებს და არაფერს არ ეტყვის. ამას მოსდევს ხანგრძლივი და მძიმე დუმილი.).

ქ-ნი ჰიგინსი (ბოლოს და ბოლოს დაარღვევს სიჩუმეს) როგორ გგონიათ გაწვიმდება?

ელიზა ბრიტანეთის კუნძულების დასავლეთიდან ცვალებადი მოღრუბლელობა, როგორც ეტყობა, აღმოსავლეთისაკენ მძიმე-მძიმედ მიემართება. ბარომეტრი არ მიუთითებს ამინდის შესამჩნევ მოსალოდნელ ცვლილებებზე.

ფრედი ხა, ხა, ხა, რა სასაცილოა.

ელიზა რა გამოვთქვი ცუდად, ახალგაზრდავ?

ფრედი გასაყეყეჩებელია.

მისის ჰილი იმედი მაქვს არ აცივდება, ისეა ინფლუენცია მოდებული. ობელ გაზაფხულზე უთუოდ ემართება.

ინფლუენცია მთელ ჩვეს ოჯახს.

ელიზა (მოწყენილი) როგორც ამბობენ, ბიცოლა ჩემიც ინფლუენციით მომკვდარა.

მისის ჰილი (ენას მრავალ მნიშვნელოვნად აწკლავუნებს).

ელიზა (იმავე ტრაგიკული ტონით) მაგრამ, მე მგონია, რომ ინფლუენცია მხოლოდ ბებრუცუნებს უგრეხს კისერს.

ქ-ნი ჰიგინსი (შემკრთალი) კისერს უგრეხს?

ელიზა დ-დიახ! თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ. იცით, ბიცოლაჩემი როგორ მოჰკლა ინფლუენციამ? ერთი წლით ადრე დიფთერიტი მოიხადა. ჩემი საკუთარი თვალებითა ვნახე. სულ გაღურჯებული იყო, ყველას ეგონა მკვდარიაო, მაგრამ მამაჩემმა იმდენი სპირიტ ასვა და ასვა კოვზით, რომ საწყალი ქალი ერთბაშად მოვიდა გონს და კოვზს კინალამ პირი მოაჭამა.

მისის ჰილი (შემკრთალი) ღმერთო ჩემო.

ელიზა (აზვიადებს ამბავს) აბა, თვითონა თქვით, როგორ უნდა მორეოდა ისეთ ღონიერ ქალს გრიპი? ანდა სად წავიდა მისი ახალი ჩალის ქუდი, რომელიც ჩემთვის უნდა მოეცა? აწაპნეს და იცით რა გითხრათ? იმის ასაწაპნავად გააცხოზინეს სული.

მისის ჰილი სულის გაცხებინება რას ნიშნავს?

ჰიგინსი (სწრაფად) ეს ახალი გამოთქმაა. სულის გაცხებინება ნიშნავს მოკვლას.

მისის ჰილი (ელიზას შეშინებული) დარწმუნებული ხართ, რომ ბიცოლათქვენი მოკლეს?

ელიზა როგორ არა, ისეთ ხალხთან ცხოვრობდა, რომ ქუდისათვის კი არა, ქუდის ქინძისთავისთვისაც კი მოკლავდნენ.

მისის ჰილი არც მამაშენი მოქცეულა კარგად. იმდენი სპირტი, რომ ასვა და ასვა, იმასაც ხომ შეეძლო მოეკლა?

ელიზა არა, სპირტი დედის რძე იყო ბიცოლაჩემისათვის. ესეც არ იყოს, მამაჩემს იმდენი სპირტი ჩაუსხავს ყანყრატოში, რომ იცის მისი ყადრი.

მისის ჰილი რაო? თვრება?

ელიზა თვრება რომელია, ყოველთვის გამოლემილია.

მისის ჰილი რა საშინელება იქნება ეს თქვენთვის?

ელიზა სრულიადაც არა, ჩემს დღეში არ მინახავს, რომ მამაჩემისათვის სპირტს ეწყენინებინოს. მერე ყოველთვის ხომ არ სვამდა? (მხიარულად) ქეიფის დროს თვრებოდა, დროგამოშვებით. ცოტა ნასვამი თუ იყო, უფრო მშვიდი და მოსიყვარულე ხდებოდა. თუ არ მუშაობდა, დედა 4 პენსს მისცემდა და ეტყოდა: წადი და მანმადე არ მოხვიდე, სანამ იმდენს არ დალევი, რომ მხიარული და მოსიყვარულე გახდეო. ბევრია ისეთი ქალები, რომლებიც იმისათვის ათრობენ ქმრებს რომ მათთან ცხოვრება შეიძლებოდა. (თავისუფლად) იცით ეს ასე.

რატომ ხდება? თუ კაცს სინდისის ნატამალი მაინც გააჩნია, სიფხიზლეში გააჩნია და ის ხდის უგუნებოდ, ჰოდა როგორც კი თვრება, სინდისი ქრება და კაციც ბედნიერდება. (ფრედის, რომელიც სიცილს ვერ იკავებს) რაო, რას იკრიჭები?

ფრედი თქვენ მშვენივრად ხმარობთ ახალ გამოთქმებს.

ელიზა თუ კარგად ვხმარობ, მაშ რაღას იკრიჭები?

ქ-ნი ჰიგინსი (ჩაერევა) სრულიადაც არა, ქ-ნო დულიტლ.

ელიზა ესეც კარგია. (გულახდილად) უნდა გითხრათ, რომ...

ჰიგინსი (ადგება საათს შეხედავს) ოჰო.

ელიზა (შეხედავს ჰიგინსს, მიხვდება რას ანიშნებენ და დგება) დიახ, მე უნდა წავიდე (ყველანი დგებიან, ფრედი მიდის კარისაკენ) მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა. ნახვამდის. (ხელს ართმევს ქ-ნ ჰიგინსს).

ქ-ნი ჰიგინსი ნახვამდის.

ელიზა ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ.

პიკერინგი ნახვამდის, ქ-ნო დულიტლ. (ხელს ართმევს ერთმანეთს).

ელიზა (თავს უკრავს დანარჩენებს) ნახვამდის, ნახვამდის!

ფრედი (კარს უღებს) პარკისაკენ მიდიხართ, ქ-ნო დულიტლ? თუ ასეა...

ელიზა (ამბობს დახვეწილი დიქციით) ფეხით? არა. ფეხით? ხეია გიცხონდეს! (სენსაცია) ტაქსით მივდივარ. (გადის, პიკერინგი ამოიოხრებს და დაჯდება. ფრედი აივანზე გადის, რომ ელიზას კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი).

მისის ჰილი (ჯერ კიდევ ელდანაცემი) ვერა, მე ვერ შევეჩვევი ამ ახალ გამოთქმებს.

კლარა (უკმაყოფილოდ ჩაეშვება ელისაბედისდროინდელ სავარძელში) ოჰ, ეს არაფერია, დედი, არაფერი. ნუ გაიოცებ, თორემ, თუ დაინახავენ, რომ ისეთი ძველი ყაიდისა ხარ, ხალხი იფიქრებს, თითქოს არსად არ დავდიოდეთ და არაფერი გვენახოს.

მისის ჰილი მე არა მრცხვენია ვალიარო, რომ ძველი ყაიდისა ვარ. მაგრამ იმედი მაქვს შენ არ იხმარ ამ გამოთქმებს. მე შევეჩვით შენგან ისეთი სიტყვების გაგონებას, როგორცაა „გარეწარი“ . „ჭუჭყიანი“ , „მხეცური“ , თუმცა ლედისათვის ესენიც შეუფერებელ სიტყვებად მიმაჩნია. ეგ უკანასკნელი გამოთქმა კი მეტის მეტია. თქვენ როგორ ფიქრობთ, პოლკოვნიკო პიკერინგ?

პიკერინგი ნუ მეკითხებით. რამდენიმე წელი დავყავი ინდოეთში და ისე გამოიცვალა აქაური მეტყველება, რომ ხშირად ვერ გამირკვევია წესიერ საზოგადოებაში ვარ თუ მეზღვაურების კაიუტაში.

კლარა ეს ჩვევის საქმეა. შწორი და არა სწორი მეტყველებაში არ არსებობს. ასეთ სიტყვებს განგებ არავინ იგონებს, მაგრამ ისინი მაინც მიმზიდველნი არიან, რადგანაც ხანდახან მეტად გონებამახვილურად და ხაზგასმით გამოხატავენ ზოგიერთ რამეს, რომლებშიაც თავისთავად არაფერია გონებამახვილური. ეს ახალი გამოთქმა, ჩემის აზრით, მშვენიერიცაა და მიაბიტიურიც.

მისის ჰილი (დგება) კარგი, გეყოფა ამაზე ლაპარაკი. დროა წავიდეთ. (პიკერინგი და ჰიგინსი დგებიან).

კლარა (დგება) დროა, დრო. თორემ ამ საღამოს კიდევ სამ ადგილას უნდა შევიაროთ. ნახვამდის, ქ-ნო ჰიგინს. ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ, ნახვამდის, პროფესორო ჰიგინს.

ჰიგინსი (მოლუშული მივა მასთან და მიაცილებს კარებამდე) ნახვამდის. სამგანვე იხმარეთ ეს ახალი გამოთქმა. არ დაგავიწყდეთ. გაბედულად იხმარეთ.

კლარა (სახეგაბადრული) ვეცდები, ნახვამდის, ნამდვილი სისულელეა ეს ვიქტორიანული წესიერება.

ჰიგინსი (აქეზებს) წყეული სისულელეა.

კლარა ბებია უცხოხდეს.

მისის ჰილი (შეშფოთებული) კლარა!

კლარა ხა,ხა,ხა. (გადის იმის შეგნებით სახეგადიმებული, რომ სავსებით თანამედროვე გოგოა. კიბეზე სიცილ-კისკისით ჩადის.).

ფრედი (ზეცას) შენ გემუდარები... (გაწყვეტს სიტყვას და მივა ქ-ნ ჰიგინსთან) ნახვამდის.

ქ-ნი ჰიგინსი (ხელს ართმევს) ნახვამდის. გინდათ ისევ შევხვდეთ ქ-ნ დულიტლს?

ფრედი (მოუთმენლად) მინდა, ძალიან მინდა.

ქ-ნი ჰიგინსი მერე, ხომ იცით ჩემი მიღების დღეები?

ფრედი - ვიცი, დიდათ გმადლობთ. ნახვამდის. (გადის).

მისის ჰილი - (პიკერინგს) ვერა, ვერა, იმ სიტყვას მე ვერ შევეჩვევი.

პიკერინგი არცაა საჭირო, ვინ გამძალებთ, გინდათ თუ არა იხმარეთო? უიმისოდაც იოლად გახვალთ.

მისის ჰილი- მხოლოდ საქმე ისაა, რომ კლარა ძალიან მიჯავრდება, რატომ ახალ-ახალ გამოთქმებს არ ხმარობო. ნახვამდის.

პიკერინგი ნახვამდის.

მისის ჰილი (ქ-ნ ჰიგინსს) არ გაგიკვირდეთ კლარასგან. (მისის ჰილის გადასვლა ჩურჩულზე მიახვედრებს პიკერინგს, რომ მათი საუბარი მის მოსასმენად არაა განკუთვნილი. ფეხაკრეფით მივა ჰიგინსთან. რომელიც ფანჯარასთან დგას) ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, იშვიათად თუ დავდივართ სადმე. საბრალო გოგო! რც კი იცის როგორ მოიქცეს საზოგადოებაში. (ქ-ნი ჰიგინსი როცა დაინახავს აცრემლებულ მისის ჰილს, თანაგრძნობით მოჰკიდებს ხელს და წაიყვანს კარებისკენ) ბიჭი კი კარგი მყავს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

ქ-ნი ჰიგინსი ჩინებული ყმაწვილია. ყოველთვის გამახარებს მისი ნახვა.

მისის ჰილი ნახვამდის, ძვირფასო, ნახვამდის. (გადის).

ჰიგინსი (მოუთმენლად) როგორაა საქმე? შეიძლება ელიზას კარგ საზოგადოებაში გარევა თუ არა? (ხელს ჰკიდებს დედას და მიჰყავს ტახტისაკენ, სადაც ქ-ნი ჰიგინსი ელიზას ადგილზე ჯდება, ჰიგინსი მის მარცხნივ; პიკერინგი კი ქ-ნი ჰიგინსის მარჯვნივ დაჯდება სკამზე).

ქ-ნი ჰიგინსი ოჰ, რამ გამოგასულელა, ბიჭო. რათქმაუნდა, არ შეიძლება. ელიზა თერძისა და შენი ხელოვნების გამარჯვებაა, მაგრამ ერთი წუთითაც თუ წარმოგიდგენია, რომ ყოველ წინადადებაში არ ამჟღავნებს თავის თავს, მაშინ გაუგებებინარ და ეგ არის.

პიკერინგი მაგრამ, თქვენის აზრით, ზოგი რამის გაკეთება ხომ შეიძლება? თუნდაც მისი მეტყველებიდან უშვერი გამოთქმების მოცილების თვალსაზრისით.

ქ-ნი ჰიგინსი სანამ ჰენრის ხელშია, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

ჰიგინსი (ნაწყენი) რა, მე ენა არ მივარგა?

ქ-ნი ჰიგინსი არ გივარგა, ჩემო კარგო. შენი ენა მარტო მეზღვაურებისათვის არის გამოსადეგი. მაგრამ ელიზას საზოგადოებაში გამოსაყვანად კი, რა მოგახსენო.

ჰიგინსი (დრმად შეურაცხყოფილი) უნდა გითხრათ, რომ..

პიკერინგი (აწყვეტინებს) აი რა, ჰიგინს. დროა საკუთარ თავს იცნობდეთ. იმისთანა სიტყვები, რომელსაც შენ ხმარობ მართალი გითხრა, ოცი წლის წინათ ჰაიდ პარკში მე და შენ მოხალისეებს რომ ვათვალისწინებდით, მას შემდეგ არა მსმენია.

ჰიგინსი (გულმოსული) თქვენ ისე ამბობთ, თითქოს, თუ ყოველთვის ეპისკოპოსივით არ ვილაპარაკებ, დამნაშავე ვიყო.

ქ-ნი ჰიგინსი (ხელს შეახებს და ამშვიდებს ჰენრის) პოლკოვნიკო პიკერინგ, ვერ მეტყვით, დანამდვილებით რა კეთდებაუიმპოლის ქუჩაზე?

პიკერინგი (გახარებული, თითქოსდა ამ კითხვას საუბრის თემა შეეცვალოს) მე იქ ჰენრისთან ჩამოვედი, ინდურ დიალექტებზე ვმუშაობთ, ჰოდა, უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია.

ქ-ნი ჰიგინსი ეგ არ მაინტერესებს, ეგ ყველაფერი ვიცი, კარგად მოგიწყვიათ საქმე; მაგრამ ერთი ეს მითხარით: ის გოგო სად ცხოვრობს?

ჰიგინსი რა თქმა უნდა, ჩვენთან. აბა სად უნდა იცხოვროს?

ქ-ნი ჰიგინსი რა პირობით? ხელზე მოსამსახურეა თუ ვინ არის, რა არის?

პიკერინგი (მშვიდად) მგონი მივხვდი რისი თქმაც გნებავთ, ქ-ნო ჰიგინს!

ჰიგინსი წყეული ვიყო თუ რამე მესმოდეს. ეს რამდენიმე თვეა, რაც იმ გოგონასთან ვმუშაობ, რომ ისეთი გამეხადა, როგორც ახლაა. ესეც არ იყოს, ელიზა ჩემთვისაც სასარგებლოა. იცის სად აწყვია ჩემი ნივთები და მაგონებს ხოლმე როდის რა გავაკეთო.

ქ-ნი ჰიგინსი შენი მნე-ქალი როგორ შეეწყო?

ჰიგინსი ქ-ნი პირსი? ძალიან გახარებულია, რომ ბევრი საქმე მოაკლდა. ელიზას მოსვლამდე, მას უნდა მოენახა ჩემი ნივთები და მოეგონებინა როდის რა გამეკეთებინა. მაგრამ ბოლო დროს ელიზას შესახებ რაღაცა აიჩემა და სულ ჩამჩინებს: „არ ფიქრობთ, ბატონო , „არ ფიქრობთ , ხომ ასეა, პიკერინგ?

პიკერინგი სწორედ რომ ასეა. აჩემებული აქვს, თქვენ არა ფიქრობთ, ბატონო, და ყოველ საუბარს, რომელიც ელიზას ეხება, ამით ამთავრებს.

ჰიგინსი თითქოსდა მე ოდესმე შემეწყვიტოს ფიქრი როგორც ელიზაზე, ისე მის წყეულ ხმოვნებსა და თანხმოვნებზე. ის კი არა, დავიღალე როგორც მათზე ფიქრით, ასევე ელიზას ტუჩების, კბილების და ენის ყურებითაც, სული რომ არც კი ვახსენოთ, რაც ამათში ყველაზე უმნიშვნელოა.

ქ-ნი ჰიგინსი თქვენ ორივენი მართლაც რომ ნამდვილი ბავშვები ხართ. ცოცხალ დედოფალს ეთამაშებით.

ჰიგინსი ვეთამაშებით? თამაში კი არა, დედა, ამაზე მძიმე შრომა არასოდეს გამიწევია, მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა საშინლად საინტერესოა აიყვანო ადამიანური არსება და სრულიად განსხვავებულ არსებად იმით გარდაქმნა, რომ შეუქმნა ახალი სალაპარაკო ენა, ურომლისობაც ღრმა უფსკრულს ქმნის და აშორებს როგორც კლასს კლასისაგან, ისე სულს სულისაგან.

პიკერინგი (სკამს ქ-ნი ჰიგინსთან მისწევს და მისკენვე გადაიხრება) დიახ, მეტად საინტერესოა. ქ-ნო ჰიგინს, დამიჯერეთ, რომ ელიზას ძალიან სერიოზულად მოვკიდეთ ხელი. არა მარტო ყოველ კვირას, არამედ თითქმის ყოველ დღეს რაიმე ცვლილება მოაქვს. (უფრო ახლო მიიწევს) ჰოდა, ვიწერთ ყოველ სიახლეს. უამრავი ფირი ჩავწერთ და ფოტოსურათი გადავიღეთ.

ჰიგინსი (მეორე ყურში ჩასმახებს) ღმერთმანი, ასეთი ცდისათვის, რომელიც მთელ დროს მართმევს, ხელი არასოდეს მომიკიდნია, მთელს ჩვენს ცხოვრებას ელიზა ავსებს, არა პიკერინგ?

პიკერინგი სულ ელიზაზე ვლაპარაკობთ.

ჰიგინსი ელიზას ვასწავლით.

პიკერინგი ელიზას ვაცმევთ.

ქ-ნი ჰიგინსი რაო?

ჰიგინსი ვიგონებთ ახალ ელიზას.

პიკერინგი ისეთი არაჩვეულებრივად მახვილი ყური აქვს...

ჰიგინსი დამიჯერეთ, ჩემო ძვირფასო, ქალბატონო ჰიგინს,

რომ ეს გოგო...

ჰიგინსი როგორც თუთიყუშს. მე ვავარჯიშე ის...

პიკერინგი პირდაპირ გენიაა. მშვენივრად უკრავს როიალზე.

ჰიგინსი ყოველგვარი ადამიანური ბგერების გამოთქმაში, რაც გვხვდება...

პიკერინგი გვყავდა კლასიკური მუსიკის კონცერტზე და მიუზიკ.

ჰიგინსი კონტინენტის დიალექტებში, აფრიკულ დიალექტებში,

პიკერინგი ჰოლში; იმისათვის ორივე ერთნაირად... ადვილია; რასაც ყურს მოკრავს ან მოისმენს.

ჰიგინსი ჰოტენტოტის კილოკავებში, რომელთა გაგებას მე წლობით მოუნდი.

პიკერინგი და, სახლში რომ მოვა, ყველაფერს უკრავს ბეთხოვენი...

ჰიგინსი ისე სწრაფად აითვისა, რომ გეგონებოდათ მთელი...

პიკერინგი იქნება ეს თუ ბახი, ლეჰარი თუ ლიონელ მონკტონი: თუმცა...

ჰიგინსი თავისი სიცოცხლე სულ ამ კილოზე ლაპარაკობდაო.

პიკერინგი ამ ექვს თვემდე როიალისთვის თითიც არ დაუკარებია.

ქ-ნი ჰიგინსი (ყურებს დაიცავს, რადგან ჰიგინსი და პიკერინგი საშინლად ღრიალებენ) ო-ო-ო-ო-! (გაჩუმდებიან).

პიკერინგი ბოდიში, ქალბატონო (სინანულით სკამს უკან გასწევს).

ჰიგინსი ბოდიში, პიკერინგი რომ ყვირილს გააბამს, კაცს არ მოუსმენს.

ქ-ნი ჰიგინსი გაჩუმდი, ჰენრი. პოლკოვნიკო პიკერნიგ, რატომ არ გესმით, რომ, როცა ელიზა უიმპოლის ქუჩაზე მოვიდა, თან რაღაცაც მოჰყვა?

პიკერინგი მამამისი, მაგრამ ჰენრიმ მალე გაისტუმრა.

ქ-ნი ჰიგინსი აჯობებდა დედამისს გადაეწყვიტა ეს საქმე, მაგრამ, რაკი მან ვერ გადასწყვიტა, მისი გადაჭრა ვინმემ სხვამ უნდა იკისროს.

პიკერინგი რა?

ქ-ნი ჰიგინსი (ძალაუნებურად, ერთი სიტყვით გასცემს თავისთავს, რომ აღზრდილია მორისის იდეებზე) ესაა პრობლემა.

პიკერინგი მიგიხვდით, მიგიხვდით, პრობლემა როგორ უნდა ვაქციოთ ლედიდ.

ჰიგინსი ეს პრობლემა მე უკვე გადავჭერი, ნახევრად გადავჭერი.

ქ-ნი ჰიგინსი რა სულელები ხართ ორივენი? რატომ ვერ ხვდებით? ესაა პრობლემა თუ რა გზას დაადგეს შემდეგში ელიზა?

ჰიგინსი ამაში მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ: ჩვენთან მოპოვებული უპირატესობებით გზა ხსნილი აქვს: საითაც უნდა, იქით წავიდეს.

ქ-ნი ჰიგინსი აბა, რა უპირატესობა გააჩნია იმ საბრალო ქალს, რომელიც ეს-ეს არის აქ იყო! თუ ლედიდ ისე იქცა, რომ ლედის შემოსავალი არ ექნება, ლედის მიხრა-მოხრა და ჩვევები, ცხადია ხელს შეუშლის თავისი ოფლით მოიპოვოს პური არსებობისა. ესაა უპირატესობა?

პიკერინგი (დამნაშავესავით, თითქოს პატიებას ითხოვს) არა, არა, უპატრონოდ არ დავტოვებთ,

ქ-ნო ჰიგინს. (წასასვლელად დგება).

ჰიგინსი (ისიც დგება) ვუშოვით რაიმე მსუბუქ სამუშაოს.

პიკერინგი ელიზა საკმაოდ ბედნიერია. თქვენ მასზე ნუ სწუხართ. ნახვამდის (ისე ართმევს ხელს, თითქოსდა შეშინებულ ბავშვს ამშვიდებსო და კარისკენ გაემართება).

ჰიგინსი მართლაც რომ ასეა. ამაზე დარდს ახლა აზრი არა აქვს. ყველაფერი მოგვარდება. ნახვამდის, დედა (აკოცებს და პიკერინგს გაჰყვება).

პიკერინგი (შემობრუნდება საბოლოო ნუგემისცემისათვის) ათასი შესაძლებლობაა. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია ნახვამდის.

ჰიგინსი (კარებში გამავალ პიკერინგს) მოდი წავიყვანოთ ერლს კორტში, შექსპირის გამოფენაზე.

პიკერინგი კარგი, კარგი. წავიყვანოთ, მშვენიერ შენისვნებს გააკეთებს:

ჰიგინსი შინ რომ დავბრუნდებით, ყველას გამოაჯავრებს.

პიკერინგი ჩინებული აზრია. (სიცილით ჩადიან).

ქ-ნი ჰიგინსი (შემფოთებული დგება და უბრუნდება თავის სამუშაოს საწერ მაგიდაზე, წესრიგში მოჰყავს მიყრილ მოყრილი ქაღალდები, უჯრიდან იღებს ერთ ფურცელ ქაღალდს და გადასწყვეტს აუცილებლად წეროს, მაგრამ არ გამოუდის, მესამედ თავს მიაწვებს. დააგდებს საწერკალამს. დასტოვებს მაგიდას და გულმოსული წარმოსთქვამს). ოხ, მამაკაცებო! მამაკაცებო! მამაკაცებო! ცხადია, ელიზა ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ჰერცოგის ასულად. ჰიგინსს ჯერ კიდევ არ მოუგია სანაძლეო. თუმცა ჯერ კიდევ არ გასულა ექვსი თვეც. თავის დროზე იგი გარდაიქმნება ჰერცოგის ასულად. იმაში გასარკვევად, თუ როგორ მიაღწია ამას ელიზამ, წარმოიდგინეთ ლონდონის საელჩოს შენობა იმავე ზაფხულში, შებინდებისას. ქუჩის მხრიდან დარბაზის კარებზე, სტუმრების მიღების ნიშნად გაუკრავთ ხალიჩა და ფარდა. ბევრ სტუმარს ელიან. რამდენიმე კაცი ჩამწკრივებულია, რათა უყუროს სტუმრების მოსვლას. როულს როისის მდიდრული ეტლი გაჩერდება. საღამურ ტანსაცმელში ჩაცმული, მედლებითა და ორდენებით მორთული პიკერინგი ჩამოხტება და ჩამოიყვანს ელიზას, რომელსაც მარგალიტებითა და სხვადასხვა სამკაულებით მორთული საოპერო მოსასხამი აცვია, ხელში მარაო უჭირავს. ჰიგინსი მათ მოსდევს, ეტლი წავა. კიბით ადიან სახლში. გამოჩენისთანავე უღებენ კარს. სახლში შესვლისას აღმოჩნდებიან ფართო დარბაზში, საიდანაც სადარბაზო კიბე ადის. მარცხნივ მამაკაცთა გარდერობია, სადაც ტოვებენ შლიაპებსა და პალტოებს. მარჯვნივ მოჩანს ქალთა გარდერობის კარები. აქ შესული პალტოიანი ქალები, კაბებით გამოდიან. პიკერინგი რაღაცას ჩასჩურჩულებს ელიზას და კარებისკენ მიუთითებს. ელიზა შედის. პიკერინგი და ჰიგინსი იხდიან პალტოებს და ნომრებს იღებენ. ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც ჰიგინსსა და პიკერინგისაკენ ზურგშექცეული დგას, პალტოს იხდის. აიღებს ნომერს და მობრუნდება. სერიოზულ ყმაწვილკაცს ჰგავს, გრძელი ულვაშები და ბაკენბარდები აქვს. ხშირი კულულები შუბლზე ჩამოშლია. მოკლედ შეჭრილი თმა ზეთისგან უბრწყინავს. კოხტად აცვია. გულზე იაფფასიანი ორდენები ჰკიდია. ეტყობა უცხოელია. ულვაშებიან უნგრელ დაქირავებულ ჯარისკაცს ჩამოგავს. თუმცა გრძელი ულვაშები პირქუმ შესახედაობას.

აძლევს, მაგრამ მაინც კეთილი და ჰკვიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

იცნობს ჰიგინსს და ფართოდ ხელებგაშლილი მხიარულად ეგებება.

ულვაშა მაესტრო, მაესტრო. (შემოეხვევა ჰიგინსს და ორივე ლოყაზე კოცნის) ვერ მიცანით?

ჰიგინსი ვერა, ვინ ეშმაკი ხართ?

ულვაშა თქვენი მოწაფე. თქვენი პირველი მოწაფე. თქვენი საუკეთესო და უნიჭიერესი მოწაფე. მე პატარა ნეპომუკი ვარ თქვენი მომხიბვლელი ბიჭუნა. თქვენი სახელი მთელ ევროპას მოვდე. თქვენ მასწავლეთ ფონეტიკა. შეუძლებელია, არ გახსოვდეთ.

ჰიგინსი რატომ არ გაიპარსები?

ულვაშა მე არ გამაჩნია თქვენი გარეგნობა, თქვენი შუბლი, თქვენი ნიკაპი. ღოცა გავიპარსავ, კაცი არ მაქცევს ყურადღებას, ახლა კი ცნობილი ვარ, როგორც „წვერებიანი დიკი“.

ჰიგინსი მერე, რას აკეთებ ამ კარგ საზოგადოებაში?

ნეპომუკი თარჯიმანი ვარ. ოცდათორმეტ ენაზე ვლაპარაკობ. ყოველ საერთაშორისო შეხვედრას ვესწრები. თქვენ კილოკავების დიდი სპეციალისტი ბრძანდებით: საკმარისია კაცმა პირი დაალოს, რომ შეუცდომლად თქვათ, ლონდონის რომელი ნაწილიდანაა. მე კი იმასვე ვაკეთებ ევროპის მასშტაბით. (ლაქია ჩამოდის საზეიმო კიბით და მიდის ნეპომუკთან).

ლაქია მაღლა გთხოვენ. მისმა ბრწყინვალეებამ, ჩემმა ქალბატონმა, ვერ გაიგო რას ეუბნება ბერძენი ჯენტლემენი.

ნეპომუკი გმადლობთ... დიახ... ახლავე მოვალ.

ნეპომუკი (ჰიგინსს) ბერძენი დიპლომატი თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა ინგლისურის არაფერი გაეგებოდეს. ვერ მომატყუებს კლერკენუელელი მესაათის შვილია. ინგლისურადაც მშვენივრად ლაპარაკობს, მაგრამ ერთი სიტყვის წარმოთქმასაც ვერ ბედავს, რადგან მაშინვე გამომჟღავნდება, რომ ინგლისელია. მე მას ვეხმარები როგორც თარჯიმანი, მაგრამ სამაგიეროდ ტყავს ვაძრობ. მე ყველას ვაძრობ ტყავს. ხა, ხა, ხა. (აირბენს კიბეს).

პიკერინგი ეს კაცი მართლა ექსპერტია? ნუთუ შეუცდომლად გამოიცნობს ელიზას?

ჰიგინსი ვნახოთ. თუ მართლა გამოიცნო, ნიძლავი წავაგე. (ელიზა გარდერობიდან გამოვა და მათ შეუერთდება).

პიკერინგი კარგი, წავიდეთ, ელიზა. მზადა ხართ?

ელიზა დელავთ პოლკოვნიკო?

პიკერინგი საშინლად. ასევე ვღელავდით, როცა პირველად გავდიოდი ბრძოლის ველზე. პირველად ყველაფერი აშინებს ადამიანს.

ელიზა ჩემთვის კი ეს პირველი შემთხვევა არ არის. ვინ მოთვლის რამდენჯერ მიშენებია ოცნების ციხე-კოშკები ანუ კორტის წუმპეში მთვლემარეს. ხლაც სიზმარში ვარ. პირობა მომეცით, რომ პროფესორი ჰიგინსი არ გამომაფხიზლებს, თორემ ყველაფერი გადამავიწყდება და ისევე ავლაპარაკდები, როგორც დღიურილეინში ყოფნის დროს.

პიკერინგი კრინტი არ დასძრათ, ჰინგინს. (ელიზას) ახლა მზადა ხართ?

ელიზა დიახ.

პიკერინგი წავიდეთ. (ადიან კიბეზე. ჰიგინსი უკან მიყვება. პიკერინგი რაღაცას უჩურჩულებს ლაქიას, რომელიც კიბის პირველ ბაქანზე დგას).

პირველ ბაქანზე მდგომი ქ-ნი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

მეორე ბაქანზე მდგომი ქ-ნი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

(კიბის ბოლოში ელჩი და მისი მეუღლე, რომლისათვისაც ნეპომუკს ხელი გაუყრია, სტუმრებს დებულობენ).

დიასახლისი (ართმევს ხელს ელიზას) გამარჯობა!

მასპინძელი (ესალმება ყველას) გამარჯობა, გამარჯობა, პიკერინგ.

ელიზა (გრაციოზული სერიოზულობით, რაც ხიბლავს დიასახლისს) გამარჯობა. (შედის სასტუმრო ოთახში).

დიასახლისი თქვენი შვილობილი ხომ არ არის, პოლკოვნიკო პიკერინგ? გადარევეს ყველას.

პიკერინგი მაღლობელი ვარ მისი მოპატიჟებისთვის. (გაივლის).

დიასახლისი (ნეპომუკს) გაიგე ვინ არის?

ნეპომუკი (თავს დაუკრავს) მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ (ხალხში გაერევა).

მასპინძელი გამარჯობათ, ჰიგინს! აქ თქვენ ერთი მეტოქე გყავთ. თავი თქვენს მოწაფედ გაგვაცნო. მათლა ნიჭიერია?

ჰიგინსი ოც დღეში ერთი ენის შესწავლა შეუძლია. ათობით ფლობს ენებს, რაც მისი სისულელის უტყუარი მაჩვენებელია. როგორც ფონეტიკოსი კი დიდი არაფერია.

დიასახლისი გამარჯობათ, ჰიგინს!

ჰიგინსი გამარჯობათ. გაწუხებთ, მაგარამ რას იზამთ. ჩემის მხრიდან პატიებას ვითხოვ. (ჩაივლის).

(სასტუმრო დარბაზში და მეზობელ ოთახში სტუმრების გახურებული მიღებაა. ელიზა შტანთქმული თავისი მძიმე გამოცდით, ისე გაივლის მაღალ საზოგადოებაში, როგორც მთვარეული გაივლიდა უდაბნოში. ყველა ჩუმდება და მიაჩერდება მას, მის მშვენიერ ტანსაცმელს, სამკაულებს და მეტად მიმზიდველ პიროვნებას. უკანა რიგში მდგომი ახალგაზრდები მის დასანახად სკამზე შედგებიან. დიასახლისი და მასპინძელი შემოდინ კიბის მხრიდან და სტუმრებში შეერევინ. ჩაპიქრებული და მოღუშული ჰიგინსი მათ შეუერთდება).

დიასახლისი - აჰ, აი, პროფესორი ჰიგინსი. ის გვეტხვის. პროფესორო, გვიამბეთ ყველაფერი, რაც იცით ამ საოცარი ახალგაზრდა ლედის შესახებ.

ჰიგინსი - (გაკვირვებული) რომელი საოცარი ლედის შესახებ?

დიასახლისი - თქვენ მშვენივრად იცით, რომელზედაც ვლაპარაკობთ. ასე ამბობენ, მას შემდეგ, რაც ხალხი სკამებზე დგებოდა ქ - ნი ლანტრის დასანახავად, ამისთანა სილამაზე მთელს ლონდონში არ გამოჩენილაო. (ნეპომუკი, რომელსაც ახალი ამბები მოაქვს, ჯგუფს უერთდება).

დიასახლისი - აჰ, მადლობა ღმერთს, ნეპომუკ, რომ გამოცდით. რა გაიგეტ ლედი დულიტლის შესახებ?

ნეპომუკი - გავიგე, ხვე;ლაფერი გავიგე, უცხოელია.

დიასახლისი - უცხოელი? შეუცლებელია.

ნეპომუკი - სრულიადაც არა. მე არ მოვტყუვდები. შეუცლებელია მისი გვარი დულიტლი იყოს.

ჰიგინსი - რატომ?

ნეპომუკი - იმიტომ რომ დულიტლი ინგლისური გვარია. ის კი ინგლისელი არ არის.

დიასახლისი - ეგ სისულელეა! ჩინებული ინგლისური ენით ლაპარაკობს.

ნეპომუკი - მშვენივრად ლაპარაკობს. ჰოდა, გინახავთ რომელიმე ინგლისელი ქალი, რომელიც ისე ლაპარაკობდეს ინგლისურად, როგორც საჭიროა? მხოლოდ უცხოელები, რომლებსთვისაც ინგლისური უსწავლებიათ ლაპარაკობენ ამ ენაზე კარგად.

დიასახლისი - მართლაც რომ ასეა. შემეშინდა, როცა გავიგონე როგორ თქვა: გამარჯობათ. სკოლაში გვხავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც სწორედ ასე ლაპარაკობდა და მისი ისე მეშინოდა, როგორც სიკვდილის, მაგრამ თუ ინგლისელი არ არის, მას სადაურია? ნე პ ო მ უ კ ი - უნგრელი.

ყველანი - უნგრელი?

ნეპომუკი - უნგრელი. ისიც მეფური შთამომავლობისა. მეც უნგრელი ვარ და მეც მეფური შთამომავლობისა ვარ.

ჰიგინსი - უნგრულად ელაპარაკეთ?

ნეპომუკი - ველაპარაკე. მაგრამ ჰკვიანურად მოიქცა. სე მითხრა: გეთაყვა, მელაპარაკეთ ინგლისურად: მე ფრანგული არ მესმისო . ფრანგული! თავს ისე აჩვენებს თითქოს ფრანგულსა და უნგრულს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდეს. ეს კი შეუძლებელია: ერთიც იცის და მეორეც.

ჰიგინსი - როგორ შეიტყვეთ, რომ მეფური შთამომავლობისაა?

ნეპომუკი - ინსტიქტით, მაესტრო, ინსტიქტიტ. ხოლოდ მადიარულ რასას აქვს მომადლებული ასეთი ხვთაებრივი იერი, ასეთი ცოცხალი თვალები. ელიზა უფლისწულია.

მასპინძელი - თქვენ რას იტყვით, პროფესორო?

ჰიგინსი - ჩემის აზრით, ლონდონის წუმპედან ამოყვანილი უბრალო გოგონაა, რომელსაც კარგი ოსტატის ხელში წესიერი ლაპარაკი უსწავლია. დრიური ლეინიდან უნდა იყოს.

ნეპომუკი - ხა,ხა,ხა!! ოჰ, მაესტრო, მაესტრო. კილოკავებით ისე ხართ გაგიჟებული, რომ ლონდონის წუმპე მტელი ქვეყნიერება გგონიათ.

ჰიგინსი - რას იტყვის თქვენი ბრწყინვალება?

დიასახლისი - მე, რათქმა უნდა, ვეთანხმები ნეპომუკს. ელიზა ყოველ შემთხვევაში სეფექალი მაინცაა.

მასპინძელი - შეიძლება მხოლოდ მამის მხრიდან, მაგრამ, მაინც უსათუოდ მეფური.

შთამომავლობისაა.

ჰიგინსი - მე კი, მტკიცედ ვადგავარ ცემს აზრს.

მასპინძელი - ოჰ, თქვენ ჯინიანი ხართ, ჯინიანი. (მათი წრე იშლება ჰიგინსი მარტო რჩება. მასთან მიდის პიკერინგი).

პიკერინგი - ელიზა სადაა? მასზე თვალი უნდა გეჭიროს. (ელიზა უერთდება მათ).

ელიზა - წავიდეთ აქედან მეტი აღარ შემიძლია. ველა მე მომჩერებია ერთმ მოხუცამა ლიდმი მითხრა: ზუსტად ისევე ლაპარაკობთ როგორც დედოფალი ვიქტორიაო ვწუხვარ, თუ ნიძლავი წაგებინეთ. ცად არ დამიკლია მაგრამ ამ ხალხს მაინც

ვერაფრით ვერ დავემსგავსე. პიკერინგი - ჩემო ძვირფასო, კი არ წააგე, ათმაგად მოიგე, ათმაგად.

ჰიგინსი - მოდი წავიდეთ, ამ სულელებთან საუბარი საშინლად მომბეზრდა..

პიკერინგი - მართალს ამბობთ, ელიზა დაღლილია. მეც მშია. წავიდეთ და ვივახშმოთ სადმე.

მესამე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე.

ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. შუაღამეა. ოთახში არავინაა. ღუმელზე მდგარი საათი რეკავს თორმეტს. ჩეცხლი არ ანთია, ზაფხულია ღამეა. კვიბეზე გაისმის ჰჯიგინსისა და პიკერინგის ფეხის ხმა.

ჰიგინსი - (ჩასძახებს პიკერინგს) იცით რა, პიკ, კარები ჩაკეტეთ. ამაღამ სახლიდან გამსვლელი არა ვარ.

პიკერინგი - კეთილი. შეუძლია ქ - ნ პირს დაიძინოს? ხომ არაფერი გინდა?

ელიზა - (გაახებს კარებს და კიბის ბაქანზე გამოჩნდება მთელი თავისი სილამაზითა და მორთულობით, რომელშიაც ეს - ეს არის მოიგო ნიძლავი ჰიგინსის სასარგებლოდ. ღუმელთან მივა, აანთებს ელექტრონათურებს. დახლილია. მისი შავი თვალები და თმა ჰქმნის კონტრასტს მის ფერმკრთალ სახესთან ტრაგიკული გამომეტყველება აქვს. მოიხსნის მოსასხამს.. მაროსა და ხელთათმანებს და როიალზე დადებს მდუმარე და თავ ჩაქინდრული ჩამოჯდება გრძელ სკამზე, შემოდის ჰიგინსი, საგამურ სამოსშია. ახურავს ცილინდრი, ხელში ხალათი უჭირავს. რომელიც ახლა ჩამოუხსნია. გაიხდის პალტოს, მოიხდის ცილინდრს და საგაზეთე მაგიდაზე დაყრის. ასევე გაიხდის და დააგდებს ფრაკსაც: ჩაიცვამს ხალათს და დაღლილი მძიმედ ჩაეშვება ღუმელის ახლოს მდგარ სავარძელში. შემოდის მასავით ჩაცმული პიკერინგი. ისიც იხდის პალტოსა და ცულინდრს და უნდა დააყაროს ჰიგინსის პალტოსა და ცულინდრს, მაგრამ შეეყოყმანდება).

პიკერინგი - იცი რაა, ქ-ნი პირსი დილით ერთ აყალმაყალს აგვიტეხს, თუ ტანსაცმელს მისაღებ ოთახში დაყრილს დაინახავს.

ჰიგინსი - მაშ, დარბაზში შეიტანეთ და დივანზე დაყარეთ. დილით ქ-ნი ნახავს და წესრიგში მოიყვანს. იფიქრებს, მთვრალეები მოსულანო.

პიკერინგი - ცოტა დალეულები მართლაც ვართ, წერილები ხომ არ მოსულა?

ჰიგინსი - არ მინახავს. (პიკერინგი პალტოებსა და ქუდებს აიღებს და ძირს ჩააქვს. ნახევრად მთვლემარე ჰიგინსი ღიღინებს მელოდიას ოპერიდან ლა ფანსიულ დელ გოლდენ უესტ . უცებ შეჩერდება და წამოიძახებს: ნეტავი სად ჯანდაბამია ჩემი ფოსტლები? ელიზა პირქუშად შეხედავს ჰიგინსს, წამოდგება და გადის. ჰიგინსი ამოქნარებს და განაგრძობს ღიღინს. პიკერინგი ბრუნდება წერილებით ხელში).

პიკერინგი - მხოლოდ რეკლამებია და სასიყვარულო ბარათი რომელიც თქვენთვის ვიღაცა ბანოვანს გამოუგზავნია. (რეკლამებს შეყრის ღუმელში და ზურგით მიაცვება მას).

ჰიგინსი - (სიჯავს სასიყვარულო ბარათს) მევახშისაგანაა (შეაგდებს ღუმელში).

(ელიზა ბრუნდება: ხელში უჭირავს ქუსლებ-ჩაჭყლეტილი ფოსტლები, რომლებსაც ჰიგინსისი წინ ხალიჩაზე დადებს და ტავის ადგილზე უხმოდ დაჯდება) .

ჰიგინსი - (კვლავ ამოქნარებს) ოხ! ღმერთო ჩემო, რა საღამო იყო! რა ხალხი! რა ყბედობა! - - ფეხს აწევს, რომ გახსნას ფეხსაცმლის ზონარი, როცა თვალს მოკრავს ფოსტლებს, ზონრის გახსნას თავს მიანებებს და ფოსტლებს ისე დაამტერდება, თითქოს ისინი თავისით გაჩნდნენო.) აა ფოსტლები აქა ყოფილა?

პიკერინგი - (აზროვნებს) ცოტა არ იყოს, დავიღალე: სეირნობაო, წვეულებაო, მიღებაო, მეტისმეტი რეტის-რეტი. მაგრამ ნუძლავი კი მოვიგეთ, ჰიგინს. ელიზამ თავისი მოვალეობა შეასრულა და მერე როგორ?

ჰიგინსი - (აღზნებული) მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მორჩა. (ელიზა უსიამოვნოდ შეიშმუშნება, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს: ისევ შეიკავებს თავს და წინანდებურად გაქვავებული ზის).

პიკერინგი - მიღებაზე ღელავდით? მე ძალიან ვღელავდი. ელიზას კი არაფერი ეტყობოდა.

ჰიგინსი - ოჰ, ის არ ღელავდა. ვიცოდი ასეც მოხდებოდა მე კი ამ უკანასკნელ თვეების შრომამ გადამღალა. შანა საკმე პონექტიკას ეხებოდა, მაინტერესებდა იგი. აგრამ შემდეგ კი საშინლად ვიქნებოდი. ნიძლავი რომ არ მკონოდა დადებული, ორი თვით ადრე მივანებებდი თავს. მართლა გითხრათ, მეტად უაზრო და სულელურ საქმეს მოვკიდეთ ხელი.

პიკერინგი - რას ამბობთ! გული საშინლად მიცემდა, მიღების დროს მძიმე წუთებიც იყო.

ჰიგინსი - მართალია, ასე იყო მხოლოდ პირველი სამი წუთი. მერე კი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩვენ გიგებდით, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც გალიაში

მობინადრე დათვი. შადილი უარესი იყო: მთელი საათი იჯდე, ილუკმებოდე და მოდის მიმდევარი სულელი კალის გარდა არავინ გყავდეს თანამოსაუბრე! იცით რა, პიკერინგ, ამიერიდან ასეთ სისულელეს აღარ ჩავიდენ, მეყო! ხელოვნურ ჰერცოგის ასულთა მრავლებაზე ხელი ამიღია. პირდაპირ გავწამდი.

პიკერინგი - ეს იმიტომ გემართებათ, რომ მაღალ საზოგადოებაში თავისუფლად თავდაჭერის გამოცდილება გაკლიათ. მე კი ხანდახან მიყვარს იქ მოხვედრა: თითქოსდა ვახალგაზრდავდები, ყოველ შემთხვევაში ეს დიდი წარმატება იყო, უდიდესი წარმატება. ელიზას ისე კარგად ეჭირა თავი, რომ ერთ-ორჯერ შემეშინდა კიდევ. იცით რა, ნამდვილმა ჰერცოგის ასულებმა თავის დაჭერა არ იციან. იმ ბრიყვებს ჰგონიათ, რომ მათ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ეს ჩვევა თანდაყოლილი აქვს. ამიტომაც გაურბიან სწავლას. მაგრამ, როდესაც რაიმე ჩინებულად კეთდება, შეუძლებელია მასში პროფესიულობა არ ჩანდეს.

პ ი გ ი ნ ს ი - ასეა და სწორედ ეგ მაგიჯებს. ბრიყვებს თავიანთი სიბრიყვისა არაპერი გაეგებათ. (დგება) მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ყველაფერი მორჩა. ახლა შემძლია ძილს მივცე თავი და ხვალინდელ დგეს შიშით არ ვუცქირო. (ელიზა იგუშება).

პ ი კ ე რ ი ნ გ ი - სჯობია დავიძინო. ეს მართლაც რომ დიდი მოვლენა იყო. თქვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ. ძილი ნებისა. (გადის).

ჰიგინსი - (მიჰყვება) ძილი ნებისა. (კარებთან მისული თავს ოდნავ მიაბრუნებს) ელიზა, სინათლე ჩააქრეთ და ქ-ნ პირსს უთხარით დილისთვის ყავას ნუ მომიმზადებს. ჩაის დავლევ. (გადის) (ელიზა დგება და სინათლის ჩასაქრობად ღუმელისკენ მიდის. ჩდილობს გულგრილობა გამოიჩინოს და თავა შეიკაოს, მარამ ღუმელთან მისულს ისეთ განწყობილება ეუფლება, რომ საცაა იყვირებს. ჰიგინსის სავარძელში ჩაჯდება და მის ზურგს მძიმედ მიეყრდნობა. ბოლოს ვედარ მოითმევს და გამძვინვარებული იატაკზე ვარდება).

ჰიგინსი - (გარედან, შემფოთებული) სად ეშმაკებშია ჩემი პოსტლები? (გამოჩნდება კარებში).

ელიზა - (წამოავლებს ფოსტლებს ხელს და რაც ძალი და ღონე აქვს ერთი მეორეზე ესვრის ჰიგინსს) აჰა, თქვენი ფოსტლები! ჰა წაიღეთ ტქვენი ფოსტლები! ერთი ბედნიერი დღე არ გენახოთ მაგ ფოსტლებში.

ჰიგინსი - (გაოცებული)რა ეშმაკი... (ძილის ელიზასთან) მოგივიდა, ადექი, (წამოაყენებს) რა მოგივიდა?

ელიზა - (სუნთქვაშეკრული) მე კი არა თქვენ მოგივიდათ. ხომ მოგაგებინეთ ნიძლავი. დაკმაყოფილდით? ახლა საჭირო აღარ ვარ?

ჰიგინსი - შენ მომაგებინე ნიძლავი? შენ? შე საბრალო ჭიავ! ნიძლავი თვითონ მე მოვიგე. რატომ მესროლე პოსტლები?

ელიზა - მინდოდა ცხვირი გამეჭეჭყა თქვენთვის. რომ მოგკლათ არ დამენანებით. ეგოისტო პირუტყვო. რატომ არ დამტოვებ იქ, საიდანაც ამომიყვანეთ-იქ, წუმპეში. ახლა ღმერთს მაძლობას სწირავთ, რომ ყველაფერი მორჩა და შეგიძლიათ ისევ წომპეში გადამისროლოთ.

ჰიგინსი - (გულცივი გაოცებით შესცქერის მას) თურმე ნუ იტყვიტ ამ არსებასაც შეუძლია აღელვება.

ელიზა - (სიშმაგისაგან გულსაკლავად იკივლებს და ინსტიკტურად ფრჩხილებით ჩააფრინდება ჰიგინსს სახეში).

ჰიგინსი - (ხელებს დაუჭერს) ოჰ, ესა გაკლდა. ბრჭყალები შორს, კატავ. როგორ მიბედავ ამას? აჯექი და ხმა გაიკმინდე (უხეშად ჩააგდებს სავარძელში).

ელიზა - (ჰიგინსის ღონით ძლეული) რა მომივა? ღა მომივა?

ჰიგინსი - რა ჯანდაბა ვიცი რა მოგივათ? რა ჩემი საქმეა რა მოგივათ?

ელიზა - თქვენთვის სულერთია რა მომივა. მე ვიცი, რომ თქვენთვის სულერთია. გინდა მოვკვდე, გინდა დავრჩე, თქვენთვის სულერთია. მე არაფერს არ წარმოვადგენ თქვენთვის. ფოსტლები აი, ესენი უპრო გიღირთ, ვიდრე მე!

ჰიგინსი - (ღრიალით) ეს ფოსტლები!

ელიზა - (მწარე მორჩილებით) დიახ, ფოსტლები, მაგრამ ამას თქვენთვის ახლა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. (დუმილი. სასოწარკვეთილი ელიზა თავს ჩაჰქინდრავს. ჰიგინსი რაღაც უხერხულობას გრძნობს).

ჰიგინსი - (გულზვიადად) რამ გამოიწვია ყველაფერი ეს? ერთი ეს მითხარით, რითი ხართ უკმაყოფილო? აკ ცუდად გექცეოდნენ?

ელიზა - არა.

ჰიგინსი - ვინ მოგექცათ ცუდად? პოლკოვნიკი პიკერინგი? ქალბატონი პირსი? რომელიმე მსახური?

ელიზა - არა.

ჰიგინსი - მგონი ვერც იმას იტყვიტ რომ მე გექცეოდით ცუდად?

ელიზა - ვერ ვიტყვი.

ჰიგინსი - მოხარული ვარ. (ტონს შეიცვლის) იქნებ დღეს დაიღალეთ? ერთ ჭიქა შამპანურს არ დალევთ? (კარებისაკენ მიდის).

ელიზა - არა. (აგონდება კარგი ჩვევები) გმადლობთ.

ჰიგინსი - (ისევ კარგ გუნებაზე დგება) ამ ბოლო დროს რაღაცა გემართებათ, ალბათ მიღებაზე ღელავდით. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ახლა ხომ ყველაფერმა ჩაიარა. (ალერსიანად ადებს ხელს მხარზე. ელიზა ისევ განრისხდება) ახლა სადარდელი ახარაპერი გაქვთ.

ელიზა - აღარაფერი. თქვენ, მარტლა აღარაპერი გაქვთ სადარდებელი. (უცებ წამოდგება, დასტოვებს ჰიგინსს და მიდის როიალის გრძელი სკამისაკენ, რომელზედაც ჯდება და თავს კალთაში ჩარგავს) ოჰ, ღმერთო ჩემო! ნეტავი მომკლა.

ჰიგინსი - (გულწრფელად გაოცებული შესცქერის მას) რათა? ღვთის გულისატვის, მითხარიტ, რატომ? (ჩაფიქრებული მიდის ელიზასთან) მომისმინეთ, ელიზა, მთელი თქვენი აღელვება სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული.

ელიზა - ეს მე არ მესმის, არ გამეგება.

ჰიგინსი - თქვენ მიზეზი არა გაქვთ ცუდ გუნებაზე იყოთ, თქვენთან ვის რა უნდა? ვინ რას გიშავებთ? თქვენ ჭკვიანი გოგონა ხართ. ახლა წახვალთ და დაიძინებთ. ცოტა იტირეთ, მერე ილოცეთ და გულზედაც მოგეშვებათ.

ელიზა - უკვე მოვისმინე თქვენი ლოცვა: მაღლობა ღმერთს, რომ ყველაპერი მორჩა .

ჰიგინსი - (მოუთმენლათ) მერემე, თქვენ არა ხართ ღმერთის მაღლობელი, რომ ყველაფერი მორჩა? ახლა თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ, რაც გინდათ, ის გააკეთოთ.

ელიზა - (სასოწარკვეთილი) რისთვის გამოვდგები ახლა? რისთვის? სად წავიდე? რა გავაკეთო? რა მომივა?

ჰიგინსი - (თითქოს მიხვდა რაშია საქმე, მაგრამ მასზე გავლენა მაინც არ მოახდინა) ოჰ, ამაზე წუხხართ? (ჯიბეში ხელს ჩაიწყობს და ჩვეულებისამებრ მიდი-მოდის. ხურადა ფულს და გასაღებს ისე აჩხარუნებს, ტიტკოს და სურს ვინმე გაიკითხოსო) თქვენს ადგილას რომ ვიყო, ამაზე სულაც არ ვიდარდებდი. სე მეგონა, არ გაგიჭირდებოდათ სადმე სამუშაოზე მოწყობა, მერე არც იმაზე მეფიქრია, რომ წასვლას აპირებდით. (ელიზა გაოცებული შეხედავს. ჰიგინსი ელიზას არც კი უყურებს. ღოილზე შენიშნავს ხილის ვაზას და გადასწყვეტს ვაშლი შეჭამოს) იცით რა, შეგიძლიათ გათხოვდეთ. (ვაშლის მადიანად მოკბეჩს და ახრამუნებს) მომისმინეთ, ელიზა, ყოველ მამაკაცს როდი გადაუწყვეტია უცოლოდ დარჩენა, როგორც მე და პოლკოვნიკს. მამაკაცთა აშკარა უმრავლესობა ცოლს ირთავს, საბრალონი! თქვენ ულამაზო არ გეთქმით, პირიქით, ხანდახან მეტად სასიამოვნო შესახედავიც ხართ, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ახლა კი არა, რადგანაც ტირილმა ეშმაკივით დაგჯღანათ. მაგრამ, როცა არაფერი გაწუხებთ და კარგ ხასიათზე ხართ, მე ვიტყვოდი, მიმზიდველიც ხართ და ეს სწორედ იმათთვის, ვინც ცოლს ირთავს. წადით ახლა, დაწექით, კარგად გამოიძინეთ და დაისვენეთ. მერე, ადექით სარკეში ჩაიხედეთ და ნახავთ, რომ ამ ცუდი განწყობილების ნატამალიც არ დაგრჩებათ. (ელიზა კვლავ უსიტყვოდ შეხედავს მას და ადგილიდან არ იძვრის. მის მზერას ჰიგინსი არც კი ამჩნევს და ისე შეექცევა ვაშლს, თითქოსდა ტკბილი ოცნების ბურუსში დაცურავდეს).

ჰიგინსი - (თითქოს გენიალური აზრი მოუვიდაო) ვინ იცის, იქნება დედაჩემმა გამოგინახოს შესაფერისი საქმრო.

ელიზა - ტოტენჰამ კორტ როუდში ჩვენ უკეთესი იყავით.

ჰიგინსი - (თითქოს გამოფლიზლდაო) ამით რისი თქმა გნებავთ?

ელიზა - მე ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ საკუთარ თავს კი არა ახლა ლედიდ რომ მაქციეთ, სხა არაფრის გაყიდვა არ შემიძლია, გარდა საკუთარი თავისა. რატომ არ დამტოვეთ იქ, საიდანაც ამიყვანეთ?

ჰიგინსი - (ვაშლის გულს გაბრაზებული შეაგდებს ღუმელში) ნუ სულელობთ, ელიზა. ადამიანთა ურთიერთობას იმით ნუ შეურაცხყოფთ, რომ მას ყოველგვარი ყოდვა გაყიდვა, მიაწეროთ. თუ ბიჭი არ მოგეწონებათ, კეთილი ინებეთ და ნუ გაჰყვებით.

ელიზა - აბა, სხვა რა გავაკეთო?

ჰიგინსი - საქმის მეტი რა არის. რას იტყვით მაგალითად იმაზე, ერთ დროს რომ საყვავილე მაღაზიაში გამყიდველად აპირებდით მოწყობას? პიკერინგს შეუძლია რომელიმე მაღაზიაში მოგაწყობოთ, ფულები ბლომად აქვს. (სიცილით) იმ ტანსაცმელსაც გიყიდით, დღეს რომ გეცვათ. ჰოდა, ყველაფერი ეს ქირით აღებულ სამკაულებთან ერთად, ორას გირვანქა სტერლინგს მაინც შადგენს. აბა, დაფიქრდით, ექვსი თვის წინათ თქვენ ვერც კი იოცნებებდით საკუთარი საყვავილე მაღაზია ჰქონდათ. ახლა კი, რა გადარდებს? თქვენი საქმე ჩინებულად წავა. წავალ, დავიძინებ, თორემ საშინლად მეძინება. ჰო, მართლა აქ რაღაცაზე ჩამოვედი, მაგრამ დამავიწყდა რაზე? ელიზა - პოსტლები გინდოდათ.

ჰიგინსი - მართალი ხართ. აკი, მომყარეთ კიდეც (ფაჩუჩებსა ჰკრეფს და წასცლას აპირებს, მაგრამ ელიზა წამოდგება და ეუბნება).

ელიზა - სერ, ვიდრე წახვიდოდეთ...

ჰიგინსი - (იმით გაოცებულს, რომ ელიზამ „სერდაუძახა, ფაჩუჩები ხელიდან უვარდება) რა გნებავთ?

ელიზა - ჩემი ტანსაცმელი მე მეკუთნის თუ პიკერინგს?

ჰიგინსი - (ისე მობრუნდება ოთახში, თითქოსდა ელიზას შეკითხვა ყოფილიყოს მათ შორის უთანხმოების კულმინაციური წერტილი) პიკერინგს რა ჯანდაბად უნდა?

ელიზა - იქნება ამ ახალ გოგონასათვის გამოგადგეთ, რომელსაც ჩემს მერე აიყვანთ საექსპერიმენტოდ?

ჰიგინსი - (შერცხვენილი და ნაწყენი) ჩვენ ასეთ ხალხად მიგაჩნევართ?

ელიზა - მე ამაზე სიტყვის გაგონებაც არა მსურს. მარტო ის გამაგებინეთ, რაიმე მეკუთნის თუ არა? ჩემი ტანსაცმელი ხო დასწვით?

ჰიგინსი - მერე ეგ რა შუაშია? ამ შუალამისას ამაზე რა გადარდებთ?

ტტტტტ ელიზა - უნდა ვიცოდე, რისი წაღება შემძლია. არ მინდა ქურდობა დამაბრალოთ.

ჰიგინსი - (ღრმად შეურაცხყოფილი) ქურდობა? ეგ არ უნდა გეთქვას, ელიზა. უგრძნობო ყოფილხ ელიზა - ვცწუხვარ, თუ ასეა. მაგრამ მე ხომ ერთი გაუნათლებელი გოგონა ვარ და.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს სიფრთხილე მმართვეს. შეუძლებელია.

რაიმე გრძნობა არსებობდეს თქვენისთანებსა და ჩემისთანებს შორის.

ნ კეთილ ინებეთ და მითხარით, რა მეკუთნის და რა არა.

ჰიგინსი - (მოღუშული) თუ გინდათ, ყველაფერი წაიღეთ, რაც სახლშია, გარდა ამ.

სამკაულებისა. ესენი ქირითაა აღებული.(ქუსლზე შემობრუნდება და.

უაღრესად შეურაცხყოფილი წასვლას აპირებს).

ელიზა - (ჰიგინსის აღშფოთებით გახარებული ცდილობს კიდე უფრო გაახელოს იგი.

ცოტა ხანს კიდევ შეიცადეთ.(მოიხსნის სამკაულებს).

წაიღეთ, თქვენს ოთახში დააწყვეთ, რომ გული საგულეს გქონდეთ და დაკარგვის არ შეგეშინდეთ.

ჰიგინსი (გახელებული) მოიტა! (ელიზა ხელში ჩაუდებს სამკაულებს) ესენი რომ ოქრომჭედლის არ იყოს, ყველას მაგ უმაღურ ხახაში ჩაგჩრიდი. (ანგარიშმიუცემლად ჯიბეში ჩაიყრის. ძეწკვის ბოლოები ჩამოეკიდება.).

ელიზა (ბეჭედს მოიხსნის) ეს ოქრომჭედლის ბეჭედი არ არის. იგი თქვენ ბრაიტონში მიყიდეთ, აჰა, მიიღეთ. აღარ მჭირდება. (აღელვებული ჰიგინსი ბეჭედს ღუმელში შეაგდებს და ელიზას ისე შეუბღვერს, რომ ეს უკანასკნელი სახეზე ხელს აიფარებს, შეშინებული როიალს ამოეფარება და წამოიძახებს) არ დამარტყათ!

ჰიგინსი დაგარტყათ? საზიზღარო არსებავ, როგორ ბედავთ ამის თქმას? მე კი არა, თქვენ დამარტყით, თქვენ და პირდაპირ გულში დამჭერთ.

ელიზა (ფარული სიხარულით ათრთოლებული) მოხარული ვარ, თუ ცოტათი მაინც ვიძიე შური.

ჰიგინსი (ღირსეულად ლაპარაკობს პროფესიონალურად დახვეწილი სტილით) დღეს თქვენ გუნება გამიფუჭეთ. ასეთი რამე არასოდეს მომსვლია.ახლა მეტს არაფერს გეტყვით, წავალ და დავიძინებ.

ელიზა (აგდებულად) გირჩევნიათ წერილი დაუტოვოთ ქ-ნ პირს, რომ ყავა მოგიმზადოთ, თორემ მე ვეღარ გავაფრთხილებ.

ჰიგინსი (ოფიციალური ტონით) წყეულიმც იყოს ქ-ნი პირსი, წყეულიმც იყოს ყავა, წყეულიმც იყავით თქვენ და წყეულიმც ვიყო მე იმ შეცდომებისათვის, რომ ასე ანგარიშმიუცემლად შევალე ჩემი დიდი ხნის მძიმე შრომით მოპოვებული ცოდნა, მზრუნველობა და პატივისცემა წუმპედან ამოთრეულ მაწანწალას. (ისე გადის, რომ აშკარად უსვამს ხაზს თავის ღირსებას, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას კარის მოჯახუნებით აფუჭებს. ელიზა ბეჭდის მოსანახავად ბუხრის წინ ჩაიჩოქებს, იპოვის ბეჭედს და ერთხანს ფიქრობს რა უყოს. მერე ხილის ვაზაზე დააგდებს და ისე გაცოფებული ავა ზევით, თითქოსდა უნდოდეს რომ ვინმე შუაზე გაგლიჯოს. ელიზას ოჯახის ავეჯეულობას შემატეხია დიდი ტანსაცმლის კარადა და ძვირფასი სატუალეტო მაგიდა. ელიზა შემოდის. აანთებს სინათლეს, მიდის ტანისამოსის კარადასთან, გააღებს, გამოიღებს სამგზავრო კაბას და ფეხსაცმელს. ტანისამოსის კარადიდან გამოიღებს საკიდარს, ფრთხილად გაუყრის საღამურ კაბაში და დაკიდებს კარადაში, რომელსაც ჯახუნით მიხურავს. ჩაიცვამს სამგზავრო ტუფლებსა და სამგზავრო კაბას, დაიხურავს სამგზავრო შლიაპას, სატუალეტო მაგიდიდან აიღებს მაჯის საათს და გაიკეთებს. იცვამს ხელთათმანებს, აიღებს ჩანთას და ვიდრე მაჯაზე გადაიკიდებდეს, სინჯავს არის თუ არა შიგ საფულე, გაემართება კარისაკენ. მის ყოველ მოძრაობაში ჩანს რაღაცა მძიმე გადაწყვეტილება. უკანასკნელად სჩაიხედავს სარკეში. უცებ ენას გამოუყოფს თავის თავს, ჩააქრობს სინათლეს და გადის. ამასობაში გარეთ, ქუჩაში სიყვარულით გულანთებული ფრედი ეინსფორდ ჰილი იცქირება მესამე სართულისაკენ, სადაც ერთი ფანჯარაა განათებული. სინათლე ქრება.).

ფრედი ძილი ნებისა, ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო ...

(ელიზა კარს მაგრად მოიჯახუნებს და გარეთ გამოვა).

ელიზა აქ რას აკეთებთ?

ფრედი არაფერს. ღამეების უმეტესობას აქ ვატარებ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. ნუ დამცინით, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა ქ-ნ დულიტლს ნუ მეძახით, გესმით? უბრალოდ ელიზა დამიძახეთ. (წაიბორძიკებს და ფრედი მხარზე დაადებს ხელს) ფრედი, არ იფიქროთ, რომ მე ქუჩის მაწანწალა ვიყო.

ფრედი ოჰ, არა, ძვირფასო. ეს რამ გაფიქრებინათ. თქვენ ხომ უსყვარლესი, უძვირფასესი... (ფრედი კარგავს თავშეკავების უნარს და ელიზას ჰკოცნის და ჰკოცნის, ალერსს დანატრებული ელიზა წინა-).

აღმდეგობას არ უწევს. ეხვევიან ერთმანეთს. გამოჩნდება ხანში შესული პოლიციელი).

პოლიციელი (შემფოთებული) აბა, აბა, აბა. (ელიზა და ფრედი ერთმანეთს სწრაფად შორდებიან).

ფრედი ბოდიში, პოლიციელო, ჩვენ ეს-ეს არის დავინიშნეთ. (გარბიან. პოლიციელი თავს აკანტურებს. ფიქრობს თავის სიყვარულზე და ადამიანური იმედების ამოებაზე, შემდეგ მოპირდაპირე მიმართულებით წავა პროფესიონალური ნელის ნაბიჯებით.

(სიყვარულის ფრთები ელიზას და ფრედის კავენდიშის მოედნამდე მიიყვანს. იქ შედგებიან იმის ფიქრით, თუ.

საით წავიდნენ.)

ელიზა (სუნთქვაშეკრული) იმ პოლიციელმა ისე შემაშინა, რომ კინაღამ გული გამისკდა. მაგრამ თქვენ მართლა საკადრისი პასუხი გაეცით.

ფრედი გზას ხომ არ აგაცდინეთ? სად მიბრძანდებოდით?

ელიზა მდინარისაკენ.

ფრედი რისთვის?

ელიზა თავის დასახრჩობად.

ფრედი (შეშინებული) ელიზა, ძვირფასო, რათა? რისთვის? რა მოხდა?

ელიზა ნუ მეკითხებით, აწი იმაზე ლაპარაკიც არა ღირს. ახლა ქვეყნიერებაზე ჩემსა და შენს გარდა არავინაა, ხომ ასეა?

ფრედი არც ერთი სულიერი. (ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ახლა თავზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა პოლიციელი წამოადგებათ).

პოლიციელი რაო? თქვენ ორნი ხართ ქვეყანაზე? რა არის ეს? სადა გგონიათ თავი? ხლავე, ახლავე მოუსვით აქედან.

ფრედი კარგი, სერ, მოვუსვამთ, მოვუსვამთ. (გარბიან ახლა ჰანოვერის მოედანთან, შეჩერდებიან).

ფრედი არ მეგონა თუ პოლიციელები ასე საშინლად მორცხვები არიან.

ელიზა მათი მოვალეობა ისაა, რომ ქუჩიდან გოგონებს ერეკებიან.

ფრედი სადმე უნდა წავიდეთ. მთელი ღამე ქუჩაში ხომ ვერ ვიხეტიალებთ!

ელიზა რატომაც არა. რა აჯობებდა იმას, რომ ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე იხეტიალოს.

ფრედი- ოჰ, ძვირფასო. (ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს. ვერც კი შეამჩნევენ როგორ მიეპარება მათ ტაქსი და გაჩერდება.)

მძლოლი ხომ არსად გინდათ წასვლა, თქვენ და ლედის, სერ?

ელიზა ოჰ, ფრედი, ტაქსი! პირდაპირ მისწრებაა.

ფრედი მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, ფული რომ არა მაქვს?

ელიზა მე მაქვს. პოლკოვნიკის აზრით, კაცი სახლიდან ისე არ უნდა გავიდეს რომ ათი გირვანქა სტერლინგი მაინც არ ედოს ჯიბეში. მომისმინეთ. მთელი ღამე ვისეირნოთ, დილით კი ქ-ნ ჰიგინსთან მივალ და ვკითხავ! რა ვქნა? ტაქსში პოლიცია ხელს ვერ გვახლებს.

ფრედი კეთილი, აგრე იყოს (მძლოლს) უიმბლედონ ქომონისკენ.

მეოთხე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეხუთე.

ქ-ნი ჰიგინსის სასტუმრო ოთახი. ის ეხლაც საწერ მაგიდას უზის. შემოდის მოსამსახურე ქალი.

მოსამსახურე ქალი (კარებში) მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი პიკერინგი ძირს არიან, ქალბატონო!

ქ-ნი ჰიგინსი უთხარი ამოვიდნენ!

მოსამსახურე ქალი ტელეფონით რეკავენ, ქალბატონო, მგონი პოლიციეს ურეკავენ.

ქ-ნი ჰიგინსი რაო?

მოსამსახურე ქალი (შემოვა ოთახში და ხმას დაუდაბლებს) ქალბატონო, მისტერ ჰიგინსი ძალზე აღელვებულია და გადავწყვიტე თქვენთვის მეთქვა.

ქ-ნი ჰიგინსი ის უფრო გამოცეზდა, რომ გეთქვა, მისტერ ჰიგინსი აღელვებული არ არისო. როგორც კი დარეკავენ, უთხარი ამოვიდნენ. რაღაცა დაკარგა მგონი.

მოსამსახურე ქალი მესმის, ქალბატონო. (მიდის).

ქ-ნი ჰიგინსი ჯერ მაღლა ადი და ქ-ნ დულიტლს უთხარი, რომ მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი აქ არიან და, სანამ არ დაგიძახებ, არ ჩამოხვიდე-თქო.

მოსამსახურე ქალი მესმის, ქალბატონო.

(ჰიგინსი შემოვარდება, როგორც მოსამსახურე ქალმა თქვა, ძალზე აღელვებულია).

ჰიგინსი მომისმინეთ, დედა, აქ რაღაც გაუგებრობაა!

ქ-ნი ჰიგინსი დიახ, ძვირფასო. დილაა მშვიდობისა. (ჰიგინსი გამოერკვევა და აკოცებს დედას. მოსამსახურე ქალი გადის) რა მოხდა?

ჰიგინსი ელიზამ აიწყვიტა.

ქ-ნი ჰიგინსი (მშვიდად განაგრძობს წერას) ალბათ შეაშინე.

ჰიგინსი შევაშინე! შისულელეა! ჭუხელ, ჩვეულებრივ, დავტოვეთ, რათა სინათლე ჩაექრო, ეს იყო და ეს! ჰოდა, იმის მაგივრად, რომ დაეძინა, ტანისამოსი გამოუცვლია და წასულა, ლოგინი არც კი გაუშლია. ჯერ კიდევ დილის შვიდი საათი არ ყოფილა, ტაქსით რომ მოსულა თავისი ნივთებისათვის. ჰოდა იმ სულელს, ქ-ნ პირსს, ყველაფერი მიუცია და ჩემთვის კრინტიც არ დაუძრავს. ახლა რა ვქნა?

ქ-ნი ჰიგინსი რა ქნა და თავი დაანებე, ჰენრი. მას სრული უფლება ჰქონდა, თუ მოესურვებოდა, წასულიყო.

ჰიგინსი (აღელვებული ოთახში გაივლ-გამოივლის) კვალს ვერსად ვერ წავაწყდი. არ ვიცი სად ვეძიო. მე... (შემოდის პიკერინგი. ქ-ნი ჰიგინსი დადებს საწერკალამს და საწერი მაგიდიდან შემობრუნდება).

პიკერინგი (ხელს ართმევს) დილა მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს. ჰენრიმ გაიმბოთ? (ტახტზე ჩამოჯდება).

ჰიგინსი პოლიციის იმ ვირმა ინსპექტორმა რა თქვა? ჯილდოს არ შეჰპირდი?

ქ-ნი ჰიგინსი (აღშფოთებული წამოვარდება) რაო, რაო, რა თქვი? ელიზას პოლიცია დაადევნე?

ჰიგინსი რა თქმა უნდა, აბა პოლიცია რისთვისაა? შხვა რა უნდა გვექნა? (ჯდება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

პიკერინგი ინსპექტორი საქმეს აყოვნებს. ეჭვი ეპარება ჩვენს კეთილგანძრახვაში.

ქ-ნი ჰიგინსი ძალიან კარგად მოქცეულა. ბა რა უფლება გაქვთ წახვიდეთ პოლიციაში და აღრიცხვაზე აიყვანოთ გო-.

გონა, თითქოსდა იგი ქურდი იყოს, ანდა დაკარგული ქოლგა? ხომ ასეა?(ღრმად აღელვებული ისევ დაჯდება).

ჰიგინსი მაგრამ მოძებნა რომ გვინდა?

პიკერინგი იცით რა, ქ-ნო ჰიგინს, ჩვენ მას ასე ვერ დავანებებთ თავს და აბა სხვა რა ვიღონოთ?

ქ-ნი ჰიგინსი ორივეს ბავშვის ჭკუა გაქვთ, ბავშვის ჭკუა. აბა...(შემოდის მოსამსახურე ქალი და საუბარი წყდება).

მოსამსახურე ქალი ერთ ჯენტლემენს ძალიან უნდა თქვენი ნახვა. სუიმპოლის ქუჩიდან აქ მოუსწავლებიათ.

ჰიგინსი თავი დამანებეთ. რავის ნახვის თავი არ მაქვს ვინაა?

მოსამსახურე ქალი მისტერ დულიტლი, სერ.

პიკერინგი დულიტლი! მენგვეა?

მოსამსახურე ქალი მენაგვე? რას ამბობთ, სერ? ჟენტლემენია.

ჰიგინსი (წამოხტება აღელვებული) ღმერთმანი, პიკ, ალბათ ელიზას რომელიმე ნათესავია, რომლის შესახებაც, როგორც ეტყობა ჩვენ არაფერი ვიცით. ელიზა ალბათ მასთანაა წასული (მოსამსახურე ქალს) შემოუშვით. ჩქარა შემოუშვით.

მოსამსახურე ქალი ახლავე სერ. (გადის).

ჰიგინსი (მოუთმენლად მიდის დედასთან) ელიზას ჯენტლემენი- ნათესავი მოსულა. რაიმე ამბავს გავიგებთ. (ჩაჯდება ჩიპენდალის სავარძელში).

ქ-ნი ჰიგინსი ელიზას ნათესავებს იცნობთ?

პიკერინგი მხოლოდ მამამისს, რომლის შესახებაც უკვე ვიამბეთ.

მოსამსახურე ქალი (გამოაცხადებს) მისტერ დულიტლი. (შემოდის დულიტლი. ისე შესანიშნავადაა ჩაცმული, თითქოს საქორწინოდ მიდიოდეს. - ვინ იცის, იქნება მართლაც მიდის. ფრაკის ღილაკში ყვავილი გაურჭვია. თვალის მომჭრელი აბრეშუმის შლიაპა ახურავს. ლაკის ტუფლები საერთო შთაბეჭდილებას აგვირგვინებს. როგორც ეტყობა, ისეა გატაცებული იმ საქმით, რომლისთვისაც მოვიდა, ქ-ნ ჰიგინსს ვერც კი ამჩნევს. პირდაპირ მიიჭრება ჰიგინსთან და საყვედურებით ავსებს).

დულიტლი (უთითებს თავის პიროვნებაზე) აი, ნახეთ! ხედავთ? ეს სულ თქვენი წყალობაა.

ჰიგინსი რა არის ჩემი „წყალობა“ ?

დულიტლი ეს ყველაფერი. აი, შეხედეთ. მე თქვენ გთხოვთ, შეხედეთ ამ შლიაპას, ამ ფრაკს შეხედეთ.

პიკერინგი თქვენთვის ტანსაცმელს ელიზა ყიდულობდა?

დულიტილი ელიზა? არა! რატომ უნდა ეყიდა ჩემი ტანსაცმელი ელიზას?

ქ-ნი ჰიგინსი დილა მშვიდობისა, მისტერ დულიტლ. დაბრძანდით, გთხოვთ.

დულიტილი (როგორც კი მიხვდება რომ დიასახლისი ვერ შეამჩნია, უკან დაიხევს) ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო. (მასთან მიდის, ხელს ართმევს) გმადლობთ. (ჯდება ტახტზე პიკერინგის მარჯვნივ) იმ ამბავმა ისე ამიშალა ნერვები, რომ სულ დაბნეული ვარ.

ჰიგინსი რა ჯანდაბა მოგივიდათ?

დულიტილი უბრალო რამე რომ დამმართნოდა, არაფერია, კაცს ყველაფერი მოუვა და, როგორც თქვენ იტყოდით, იმაში ღმერთის ხელი იქნებოდა გარეული, მაგრამ ასე ეარ მომხდარა. ყველაფერი ეს თქვენ გამიკეთეთ. დიახ,

თქვენ, ენრი ჰიგინს.

ჰიგინსი რა, ელიზა იპოვე?

დულიტილი რაო, დაკარგეთ?

ჰიგინსი დიახ.

დულიტილი გაბედნიერებულხართ. მე არ მიპოვნია, მაგრამ, დარწმუნებული იყავით, თვითონ მიპოვის, როცა გაიგებს.

რა მომივიდა თქვენის წყალობით.

ქ-ნი ჰიგინსი მითხარით, ასეთი რა გაგიკეთათ ჩემმა ვაჟმა, მისტერ დულიტლ?

დულიტილი რა გამიკეთა? ბედნიერება წამართვა, დამაქცია, შემკრა და ბურჟუაზიული მორალის ბრწყალეებში ჩამაგდო.

ჰიგინსი (შეშფოთებული წამოდგება და დულიტლს თავზე დაადგება) ბოდავთ, გამოლემილხართ და არ იცით რას რომავთ, გიჟი ხართ. მე თქვენ 5 გირვანქა სტერლინგი მოგეცით, მერე ორჯერ გესაუბრეთ და თითოეული საათის საუბარი ნახევარი კრონი მაინც დამიჯდა. ას მერე თვალითაც არ მინახავხართ.

დულიტილი რა? მთვრალი ვარ მე? გიჟი ვარ? თქვენ მეუბნებით ამას? მითხარით: მისწერეთ თუ არა წერილი ერთ გულ-ბილწ ამერიკელ ბებერს, რომელიც 5 მილიონს ხარჯავდა იმისთვის, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაეარსებინა.

მორალური რეფორმის საზოგადოება და რომელმაც გთხოვათ მისთვის ერთი საერთაშორისო ენა შეგედგინათ?

ჰიგინსი რაო? აა, ეზრა უანაფელერს? ის ხომ გარდაიცვალა. (დამშვიდაბული ჯდება).

დულიტლი დიახ, ის მოკვდა მე კი დამლუპა. მითხართ: მისწერეთ თუ არა მას წერილი და აცნობეთ თუ არა, რომ თანამედროვე ინგლისში, თქვენის აზრით, ყველაზე ორიგინალური მორალისტია უბრალო მენაგვე, ალფრედ დულიტლი?

ჰიგინსი კი. შენთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მახსოვს, მართლა ჩავიდინე ეს სისულელე, ხუმრობით მივწერე.

დულიტლი კარგი დაგემართოთ, კარგი ხუმრობაა! მე იმ ხუმრობამ ბოლო მომიღო და... იმ ბებერს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამერიკელები ჩვენ არ გვგვანან; რომ ისინი სცნობენ და პატივისცემით ეკიდებიან ყოველი ადამიანის ღირსებას, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ის ანდერძში, ენრი ჰიგინს, თქვენი სულელური ხუმრობის წყალობით წერია, რომ ყველის ტრესტ „მუცლის მეგობარი“-ს შემოსავლიდან მეც მივიღო წლიურად 3000 დოლარი, იმ პირობით, რომ წავიკითხო ლექციები, უანფელერის მორალური რეფორმის მსოფლიო ლიგაში, როცა კი მოითხოვენ, ექვს ლექციამდე წელიწადში.

ჰიგინსი ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი! (სახე გაუბრწყინდა) უყურეთ, რა კარგი მოფიქრებაა.

დულიტლი ლექციის წაკითხვას რა უნდა? მე იმათ ისეთ ლექციას წაუკითხავ, რომ სიგრძე სიგანეთ ექვეთ და მე კი თმის ღერიც არ შემიტოკდება. მე ის მადარდებს, ჯენტლემენი რომ გავხდი. ვინა სთხოვა ჯენტლემენად მაქციეო? ერთი ბედნიერი, თავისუფალი კაცი ვიყავი. ღოცა ფული მომინდებოდა, ვისაც ხელს დავადებდი, ყველა მამლევდა ისე როგორც თქვენ, ენრი ჰიგინს. ახლა კი დავიღუპე. ხელფეხშეკრული ვარ დაყ ველა მე მადებს ხელს, ფული მომეციო. უწინ, როცა ლატაკი ვიყავი, ნაგავთან ერთად საბავშვო ეტლი მინახეს,

სამართალში მიმცეს, ვეჭილი დამჭირდა. რის ვაი-ვაგლახით მიმიღო ვეჭილმა, მაგრამ სცადა, რაც შეიძლება ჩქარა მოვეცილებინე. ახლა ვეჭილები მილოცავენ „თქვენი საქმე კარგად მიდის“-ო. „თქვენ იმის თქმა ინდათ, რომ თქვენი საქმე მიდის კარგად მე ვეუბნები. უწინ, როცა არაფერს ვიხდიდი, ექიმები საავადმყოფოდან ისე დასუსტებულს გამომავდებდნენ, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ხლა კი აღმომიჩინეს, რომ მე ავადმყოფი კაცი ვარ და ისე ვერ ვიცოცხლებ, თუ დღეში ორჯერ არ გამსინჯეს. სახლში თითის განძრევის ნებას არ მამლევენ. ჩემს მაგივრად სხვა აკეთებს ყველაფერს. ჯერ კიდევ შარშანქვეყანაზე ორი-სამი ნათესავის გარდა კაცისშვილი არ მეზადა და ისინიც ჩემთან შეხვედრას გაურბოდნენ. ახლა კი 50 ცალი აღმომაჩნდა და არც ერთს თავისი ჯამაგირი ერთ კვირასაც არ ყოფნის. ახლა ჩემთვის კი არა, სხვებისათვის ვცხოვრობ. ესეც თქვენი ბუჟუაზიული მორალი! თქვენა სთქვით ელიზა დავკარგეთო! დარდი ნუ გაქვთ, ნიძლავს დავდებ, თუ ახლა ჩემი სახლის ზღურბლზე არ იდგება. ჰოდა, სანამ მამამისი საპატიო ბურჟუა გახდებოდა, ყვავილების გაყიდვითაც კარგად ირჩენდა თავს. ხლა თქვენც მომთხოვთ ფულებს მისტერ ჰიგინს: ნამდვილი ინგლისურის ნაცვლად ბურჟუების ენა ხომ უნდა მასწავლოთ? ახლა თქვენც დაიჭერთ თქვენს ადგილს. ამისათვისაა ყველაფერი ეს მოგონილი.

ქ-ნი ჰიგინსი ჩემო ძვირფასო მისტერ დულიტლ, თუ თქვენ მართლა არ გინდათ იმ თანხის მიღება, ვის რა უფლება აქვს დაგაძალოთ, ჩვენი მოთხოვნა უთუოდ მიიღეთო? შეგიძლიათ უარი უთხრათ, ხომ ასეა, პოლკოვნიკო პიკერინგ?

პიკერინგი მეც ასე მგონია.

დულიტლი (უფრო რბილი ტონით ლაპარაკობს, რადგანაც ქალთა სქესის წარმომადგენელს ელაპარაკება).

ტრაგედიაც ამაშია, ქალბატონო. უარის თქმა ადვილია, მაგრამ გამბედაობა არა მყოფნის. აბა რომელ ჩვენთაგანს ყოფნის? ჩვენ ყველანი დაშინებულები ვართ, დაშინებულები, ქალბატონო, აი, რა ვართ ჩვენ. ამ საქმეზე უარი რომ ვთქვა, სამუშაო სახლის მეტი აბა რა მელის სიბერეში? ახლახან, თუნდაც იმისათვის, მენაგვის ადგილი არ დამეკარგა, კინაღამ თმის შეღებვა დამჭირდა. რომელიმე ღირსეული ლატაკი რომ არ ვიყო და ცოტა რამე შემონახული მქონდეს, შემემლო უარი მეთქვა. მაგრამ მაშინ მხოლოდ იმისათვის თუ ვიზამდი ამას, რომ ღირსეული ღარიბი მილიონერზე უარესად არა ცხოვრობს. თუმცა მათ არც კი იციან თავიანთი ბედნიერების ფასი. მე კი, როგორც ერთ-ერთ უღირს ღარიბს, სხვა არაფერი მაშორებს ღარიბ-ლატაკების კონკებისაგან, გარდა ამ წყეული სამი ათასისა, რომელიც ბურჟუებს შორის, ამ გარეწარებს შორის მაჭერინებს ადგილს. უკაცრავად ვარ თქვენთან, ქალბატონო ასეთი ლაპარაკისათვის, მაგრამ, ჩემსავით ადელვებულები რომ იყოთ, თქვენც ასევე ილაპარაკებდით. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი -ო, რომ იტყვიან, ისეა სწორედ: ყველა გზა გადაჭრილია:-ან სამუშაო სახლში უნდა ამოგხდე ჯკჰგჰდსსსგყუ99 თ სული, ან ბურჟუების ხროვაში მოგელოთ ბოლო. დაშინებული აი, რა ვარ მე, ქალბატონო, გატეხილი, გაყიდული. შხვა ბედნიერი ხალხი გაიტანს ჩემს ნაგავს და მე მომთხოვს ფულს გადასაკრავად,-და მე უნდა ვუცქირო მათ და მშურდეს იმათი ბედი. აი, სადამდე მიმიყვანა თქვენმა ვაჟიშვილმა, სადამდე (ადელვებულები).

ქ-ნი ჰიგინსი კეთილი. მოხარული ვარ რომ თქვენ არ აპირებთ რაიმე სისულელის ჩადენას, მისტერ დულიტლ. ესა სწყვეტს ელიზას მომავლის საკითხს: ახლა მისი რჩენა თქვენ თამამად შეგიძლიათ.

დულიტლი (მელანქოლური მორჩილებით) როგორ არა, ქალბატონო, ახლა სულ ყველას რჩენა შემიძლია ამ 3000 წლიური შემოსავლით.

ჰიგინსი (წამოხტება) სისულელეა! მან რატომ უნდა არჩინოს ელიზა?აკი ელიზა მას არ ეკუთვნის: ხუთ დოლარად არ მომყიდა? დულიტლი პატიოსანი კაცი ხარ თუ გაიძვერა?

დულიტლი ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც, ჰენრი! როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც.

ჰიგინსი ჰოდა, მომისმინეთ: თქვენს ქალიშვილში ხომ ფული აიღეთ, ახლა მისი წაყვანის უფლება არა გაქვთ.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი? ნუ სულელობ! თუ იმის გაგება გინდა, სად არის ელიზა, გეტყვი ზევითაა.

ჰიგინსი (გახარებული) ზევითაა!!! მაშ ახლავე ჩამოვიყვან. (გაემართება კარისაკენ).

ქ-ნი ჰიგინსი (წამოდგება და გაჰყვება მას) დამშვიდდი ჰენრი, ნუ მიდიხარ, დაჯექი.

ჰიგინსი მე?

ქ-ნი ჰიგინსი - დაჯექი, ძვირფასო, და მომისმინე. .

ჰიგინსი ოჰ, ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ძალიან კარგი! (ტახტზე ჯდება და ფანჯრისკენ იბრუნებს პირს) რატომ არ გვითხარით ეს ნახევარი საათით ადრე?

ქ-ნი ჰიგინსი ელიზა დილით მოვიდა ჩემთან და მიაშბო რა უხეშად მოქცევიხართ ორივენი.

ჰიგინსი (ისევ წამოხტება) რაო?

პიკერინგი (ისიც წამოდგება) ძვირფასო ქ-ნო ჰიგინს, მოუჭორავს. როგორ თუ უხეშად მოვექცით? ერთი სიტყვაც არ გვითქვამს მისთვის. ერთმანეთს ძალზე ტკბილად დავმორდით. (მიუბრუნდება ჰიგინსს) ჰიგინს, ჩემი დაძინების შემდეგ ხო მარ აწყენინეთ რამე?

ჰიგინსი პირიქით, თვითონ მაწყენინა, ფოსტლები მესროლა სახეში. რაღაც გადარეულივით იქცეოდა. არავითარი მიზეზი არ მიმიცია, შემოვბრუნდი თუ არა, აიღო და ფოსტლები მთხლიშა სახეში და მერე რა არა თქვა, რომ იცოდეთ?

პიკერინგი (გაოცებული) რათა? რა დაგვიშავებია მისთვის?

ქ-ნი ჰიგინსი მე მშვენივრად ვიცი, რაც დაუშავეთ. მგონი ეგ გოგონა ბუნებით ძალიან სათნო და მგრძნობიარეა, ხომ ასეა, მისტერ დულიტლ?

დულიტლი - მეტად ნაზი გულის პატრონია, ქალბატონო, სულ მე მგავს.

ქ-ნი ჰიგინსი სწორედ რომ ასეა. ძალიან შეგეჩვიათ ორივეს. შენს მიმართ მეტისმეტად ბევრ მზრუნველობას იჩენდა, ჰენრი! თქვენ ალბათ არც კი გაქვთ წარმოდგენილი თუ რას ნიშნავს გონებრივი მუშაობა მისი კლასის გოგონასათვის. როგორც გავიგე, როცა მან უდიდესი გამოცდა ჩააბარა ბრწყინვალედ, ყოველგვარი შეცდომის გარეშე და სახლში დაბრუნდით, მისთვის არც ერთ თქვენგანს ხმა არ გაუცია, გააბით საუბარი ერთმანეთში და გიხაროდათ, რომ ყველაფერი მორჩა. იმასაც კი ამბობდით ყველაფერმა ამან საშინლად მოგვაბეზრა თავი და დაგვღალაო. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ მან ფოსტლები სახეში გთხლიშათ. მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ფოსტლებს კი არა, მაშებს გესროდით, მაშებს.

ჰიგინსი ჩვენ იმის მეტი არაფერი გვითქვამს, რომ დაღლილები ვიყავით და ძილი გვინდოდა. ხომ ასეა, პიკ?

პიკერინგი (მხრებს იჩეჩავს) ეგ იყო და ეგ.

ქ-ნი ჰიგინსი (ირონიულად) დარწმუნებული ხართ?

პიკერინგი სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

ქ-ნი ჰიგინსი თქვენ მადლობაც არ გადაუხადეთ მას, არ მოეფერეთ, არ შეაქეთ, ისიც არ უთხარით, რა მშვენიერი იყავი-ო.

ჰიგინსი (მოუთმენლად) ჩვენ რაზე უნდა გვეთქვა, როცა მან ყველაფერი ეს ჩვენზე უკეთ იცოდა. თუ ამის თქმა გნებავთ, რომ მასთან ქადაგად არ დავცემულვართ, ეს მართალია.

პიკერინგი (სინდისის ქენჯნით) ალბათ, მართლა ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. ძალიანაა გაბრაზებული?

ქ-ნი ჰიგინსი (ისევ დაუბრუნდება თავის ადგილს საწერ მაგიდასთან) იმედი მრჩება, რომ ელიზა უკვე აღარ დაუბრუნდება უიმპოლის ქუჩას. მისტერ დულიტლს შესაძლებლობა აქვს შეუნარჩუნოს თავის ქალიშვილს ის საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც თქვენ ძალად მოახვიეთ თავზე. მაგრამ ელიზამ თქვენთან მეგობრულ ვითარებაში შეხვედრის სურვილი გამისთქვა ერთმანეთის დანაშაულის მოსატყვებლად.

ჰიგინსი მართლა, ღმერთო ჩემო! მართლა?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, თუ შემპირდები, რომ თავდაჭერილად იქნები, ჩამოვაყვანიებ, არადა, სახლში წადი, ისედაც დიდი დრო დამაკარგვინე.

ჰიგინსი - კეთილი, თანახმა ვარ, თანახმა. პიკ, თქვენც თავდაჭერილად იყავით. მთელი ჩვენი საკვირაო მიხრა-მოხრა უნდა გამოვიყენოთ იმ არსებასთან, რომელიც ჩვენვე ამოვიყვანეთ წუმპედან (გულმოსული ჩაეშვება ელისაბედისდროინ-).

დელ სავარძელში).

დულიტლი (შეგონებით) აბა ახლა ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება. ჰენრი ჰიგინს, გაუწიეთ ანგარიში ჩვენს როგორც.

ბურჟუის გრძნობებს.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, დაპირება არ დაივიწყოთ (ხელს დააჭერს ზარის ღილაკს საწერ მაგიდაზე) მისტერ დულიტლ, თუ არ შეწუხდებით, ერთი წუთით გაბრძანდით აივანზე. არ მინდა ელიზამ მანმადე გაიგოს თქვენი ამბავი, ვიდრე ამ ჯენტლემენტან საუბარს მორჩებოდეს. რას იტყვით მისტერ?

დულიტლი როგორც გენებოთ, ქალბატონო. მე ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენ ჰენრის, ოღონდ ჩემი ქალიშვილი აღარ დამიბრუნდეს. (აივანზე გავა).

(შემოდის მოსამსახურე ქალი, პიკერინგი დულიტლის ადგილზე ჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი გეთაყვა, თხოვეთ ქ-ნ დულიტლს, ჩამოდით-თქო.

მოსამსახურე ქალი ახლავე, ქალბატონო. (გადის).

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, იცოდე, თავი შეიკავე.

ჰიგინსი მე ძალიან მშვიდადა ვარ.

პიკერინგი რაც შეუძლია, ცდილობს, ქ-ნო ჰიგინს. (დუმილი. ჰიგინსი თავს უკან გადაიგდებს, ფეხებს გამართავს და სტვენას მოჰყვება).

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, ძვირფასო, ულამაზოდ ზიხარ.

ჰიგინსი (გასწორდება) რაში მინდა ლამაზად ჯდომა. დედა?

ქ-ნი ჰიგინსი ისე გითხარი, შვილო, შენთან ლაპარაკი მინდოდა.

ჰიგინსი მერე!

ქ-ნი ჰიგინსი მერე და ერთსა და იმავე დროს სტვენას და ლაპარაკს ვერ შესძლებ. მიტომაც გითხარი. (ჰიგინსი ამოიოხრებს. დუმილი ჩამოწვება).

ჰიგინსი (წამოვარდება) სად ეშმაკშია ის გოგო? მთელი დღე ხო მარ უნდა ველოდოთ?

(შემოდის მხიარული თავდაჯერებული ელიზა, ასე გეგონებათ თავისუფლად თავდაჭერის დიდი ხნის გამოცდილება აქვსო. მოაქვს პატარა სამუშაო კალათა. მეტად შინაურულადაა. იკერინგი ისე დაიბნევა, რომ ფეხზე ადგომასაც ვერ ახერხებს).

ელიზა დილა მშვიდობისა, პროფესორო ჰიგინს. როგორ გიკითხოთ?

ჰიგინსი - (გაოცებული) მე... მე... (ლაპარაკს ვერ ახერხებს).

ელიზა რა თქმა უნდა, კარგად იქნებით. თქვენ არასოდეს არა ხართ ცუდად. ოხარული ვარ, რომ კიდევ გხედავთ, პოლკოვნიკო პიკერინგ. (პოლკოვნიკი სწრაფად ადგება, ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს) ზალიან აცივდა ამ დილით, არა? (ელიზა დაჯდება, პიკერინგი მარჯვნივ დაუჯდება).

ჰიგინსი ამ ოინებს შემთან მოეშვით. მე გასწავლეთიგი და იმით ვერ გამაკვირვებთ. ადექით და სახლში წამოდით, სისულელებს თავი გაანებეთ.

(ელიზა ხელსაქმეს ამოიღებს კალათიდან და მოჰყვება კემსვას, ჰიგინსის გაბრაზებას აინუშიც არ აგდებს).

ქ-ნი ჰიგინსი მართლაც რომ მშვენიერ სიტყვას ხმარობ, ჰენრი, ვერც ერთი ქალი ვერ იტყვის უარს ასეთ მიპატიუებაზე.

ჰიგინსი შენ თავი დაანებე, დედა, თვითონ ილაპარაკოს და ახლავე გამოჩნდება, გააჩნია თუ არა თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე არ ჩამიდია მის თავში. თუნდაც ერთი სიტყვა თუ იცის, რომელიც მე არ მისწავლებია მისთვის. მე შევქმენი ეს არსება კოვენტ გარდენის ფეხქვეშ გათელილი კომბოსტოსაგან და ახლა ჩემს წინაშე ნამდვილი ლედის გათამაშებას ცდილობს.

ქ-ნი ჰიგინსი (მშვიდად) თუნდაც ასე იყოს, ძვირფასო, მაგრამ, რასა დგახარ, არ დაჯდები?

(გაბრაზებული ჰიგინსი ჯდება).

ელიზა (მიმართავს პიკერინგს და თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჰიგინსს, თან ხელსაქმის კეთებას განაგრძობს) ერთი ეს მითხარით, პოლკოვნიკო პიკერინგ, ეხსპერიმენტი საბოლოოდ მორჩა თუ არა?

პიკერინგი ოჰ, ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ მას ექსპერიმენტს არ უნდა ემახოდეთ. ამის მოსმენა, მათალი გითხრათ, არ მსიამოვნებს.

ელიზა არც მე ვარ გათელილი კომბოსტო. . .

პიკერინგი (შეგულიანებული) რა თქმა უნდა, არა ხართ.

ელიზა (განაგრზობს მშვიდად) მაგრამ იმდენად დავალებული ვარ თქვენგან, რომ ნამდვილად უბედური ვიქნები, თუ დამივიწყებთ.

პიკერინგი მაღლობელი ვარ თქვენი, ამას რომ ამბობთ, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა იმიტომ კი არ მითქვამს ეს, რომ ჩემი ტანისამოსი თქვენი შეძენილია. თქვენ ფულის საკითხში სხვებთანაც გულუხვი ბრძანდებით. აგრამ მე ნამდვილად თქვენგან ვისწავლეკარგი ჩვევები, რომლებიც უბრალო ქალს ლედიდ აქცევს. მათი შეთვისება ჩემთვის მეტად ძნელი იყო, როცა ნიმუშად თვალწინ პროფესორი ჰიგინსი მედგა. ეცხომ მასავითვითყავი აღზრდილი, მეც არ შემეძლო თავის დაჭერა და თვით უმნიშვნელო აღელვების დროსაც უშვერ სიტყვებს ვხმარობდი. ე ვერასოდეს გავიგებდი, რომ ჯენტლემენები ასე ეარ იქცევიან, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ჩვენთან, პოლკოვნიკო პიკერინგ.

ჰიგინსი რაო?

პიკერინგი ოჰ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. გულით არ ამბობს. რა ქნას, ასე გამოუდის.

ელიზა ოჰ, მეც არ ვამბობდი გულით, როცა ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ ასეა თუ ისე, ხომ ვაკეთებდი ამას და საქმეც სწორედ ესაა.

პიკერინგი ეს კი ასეა, მაგრამ მაინც ჰიგინსმა გასწავლათ ლაპარაკი მე ამას ვერ გავაკეთებდი.

ელიზა (აგდებულად) რა თქმა უნდა, ეს მისი პროფესიაა.

ჰიგინსი დაგლახვროთ ეშმაკმა.

ელიზა (განაგრძობს) ეს იგივეა, კაცს რომ მოდური ცეკვები ასწავლო, მეტი არაფერი. იცით როდის დაიწყო ჩემი ნამდვილი სწავლება?

პიკერინგი როდის?

ელიზა (ცოტა ხნით შეაჩერებს ხელსაქმეს) სწორედ იმ დროს, უიმპოლის ქუჩაზე პირველად რომ მოვედი და თქვენ.

„ქალბატონი დულიტლი დამიძახეთ. პირველად მაშინ გაიღვიძა ჩემში თავმოყვარეობამ. (კემსვას მორჩება) მახსოვს აგრეთვე მრავალი სხვა წვრილმანიც, რომლებსაც თქვენ ვერც ამჩნევდით, რადგანაც ისინი ბუნებრივი იყო თქვენთვის; ყოველ შემოსვლაზე ფეხზე რომ მიდგებოდით, შლიაპას რომ მიხდიდით, კარს რომ მიღებდით.

პიკერინგი ოჰ, ეგ რა სალაპარაკოა.

ელიზა თითქოს ასეა, მაგრამ ის წვრილმანები ამჟღავნებდნენ, რომ თქვენ ისე მეპყრობოდით, თითქოს მე უბრალო მრეცხავ ქალზე უკეთესი ვყოფილიყავი. თუმცა, რა თქმა უნდა, ასევე მოექცეოდით მრეცხავ ქალსაც, თუ ვინიცობაა, ის-.

შემთხვევით სასტუმრო ოთახში შემოვიდოდა. ჩემი თანდასწრებით ფეხი არასოდეს არ გაგიხდიათ.

პიკერინგი ეს რა სალაპარაკოა. ჰიგინსი ფეხსაცმელს ყველგან იხდის.

ელიზა ვიცი. ამისთვის როდი ვსაყვედურობ. ის ხომ ყველგან ერთნაირად იქცევა? მაგრამ თქვენ რომ ამას არ აკეთებდით, სწორედ ეგ ქმნიდა ჩემთვის დიდ განსხვავებას. იცით რა! მართლა, გარდა ყველაფერი იმისა, რისი შესწავლაც შეუძლია ადამიანს, - კარგად ჩაცმა, წესიერად ლაპარაკი და ასე შემდეგ, ლედისა და ყვავილების გამყიდველ გოგონას შორის განსხვავებას ქმნის არა ის, თუ როგორ იქცევა რომელიმე მათგანი, არამედ ის, თუ როგორ.

ექცევინ მათ. პროფესორი ჰიგინსის თვალში მე ყოველთვის ყვავილების გსმყიდველი გოგონა ვიქნები, რადგანაც ის ყოველთვის ისე მექცეოდა მე, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგონას და ასევე მომექცევა მომავალშიაც. თქვენს თვალში კი მე მართლა შეიძლება ლედი ვიყო, რადგანაც თქვენ ყოველთვის ისე მექცევით, როგორც ლედის და მომავალშიც ასევე მომექცევით.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, თუ გიყვარდე, კბილებს ნუ აკარჭუნებ.

პიკერინგი სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა, ქ-ნო დულიტლ.

ელიზა თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ვისურვებდი ამიერიდან ელიზა დაგეძახათ ჩემთვის.

პიკერინგი გმადლობთ ელიზა, რა თქმა უნდა, დაგიძახებთ.

ელიზა და მე ვისურვებდი, რომ პროფესორ ჰიგინსს ქ-ნი დულიტლი დაეძახა ჩემთვის.

ჰიგინსი მაგას ვერ მოესწრები.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი! ჰენრი!

პიკერინგი (სიცილით) რატომ თქვენც ასევე არ შეურაცხყოფთ? ნუ უთმენთ, ეს მისთვის სასარგებლო იქნება.

ელიზა არ შემძლია. ერთ დროს ამას მართლა გავაკეთებდი, მაგრამ ახლა კი ვერა. იმ დროს ვერ დავუბრუნებდი. თქვენგან მსმენია, რომ, როცა ბავშვს უცხო ქვეყანაში წაიყვანენ, რამდენიმე კვირაში ახალ ენაზე ალაპარაკდება და მშობლიურ ენას ივიწყებსო. მეც ასევე ბავშვი ვარ ამ თქვენს ქვეყანაში, მეც დამავიწყდა ჩემი მშობლიური ენა და ახლა.

მხოლოდ თქვენს ენაზე შემძლია ლაპარაკი. უიმპოლის ქუჩაც დავტოვე და ტოტენჰამ კორტ როუდთანაც კავშირი სამუდამოდ გაწყვეტილია.

პიკერინგი (შეშინებული) თქვენ ხომ კვლავ დაბრუნდებით უიმპოლის ქუჩაზე? ხომ აპატიებთ ჰიგინსს?

ჰიგინსი (დგება) მაპატიებს? როგორ არ მაპატიებს! აბა, წავიდეს! ვნახოთ, როგორ იცხოვრებს უჩვენოთ. თუ მე დამხმარედ არ ვეყოლები, სამ კვირაში ისევ წუმპეში აღმოჩნდება. (შუა ფანჯარასთან გამოჩნდება დულიტლი და ჰიგინსს ზემოდან საყვედურის თვალებით გადმოხედავს. უხმოდ, ფეხაკრეფით მიუახლოვდება თავის ქალიშვილს, რომელიც ვერ გრძნობს მამის მიახლოვებას, რადგან ფანჯრისაკენ ზურგი აქვს შექცეული).

პიკერინგი ჰიგინსი გამოუსწორებელია, ელიზა, მაგრამ თქვენ ხომ არ დაუბრუნდებით წუმპეს?

ელიზა არა. არც ახლა და არც არასოდეს. საკმაოდ ვისწავლე. ახლა ძველ ბგერებს, ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვერ წარმოვთქვამ. (დულიტლი მარცხენა მხარეზე შეახებს ხელს. ელიზა ყოველგვარ ტავდაჭერილობას კარგავს, როდესაც მამას ასე ბრწყინვალედ ჩაცმულს დაინახავს. ხელსაქმე გაუვარდება) აა-აა-ოო-უუ!

ჰიგინსი (ყვირილით, აღფრთოვანებული) აჰა, ესეც თქვენ: აა-აა-ოო-უუ-უუ! აა-ოო-უუ! გამარჯვება! გამარჯვება! (კუთხეში მდგარ დივანზე გაიშხლართება და გულზე ხელებს დაიკრებს).

დულიტლი გოგო აქ არაფერ შუაშია. ასე ნუ მიყურებ, ელიზა. ჩემი ბრალი არ არის. ფულები ჩამივარდა ხელში.

ელიზა ამჟამად, მამილო, ალბად მილიონერს შეახე ხელი.

დულიტილი სწორედ რომ ასეა. მაგრამ დღეს რაღაცა საგანგებოდ ვარ ჩაცმული. წმინდა გიორგის ეკლესიაში მივდივარ.

ჰანოვერის მოედანზე. შენს დედინაცვალზე ვიწერ ჯვარს.

ელიზა (გაბრაზებული) ნუთუ ისე უნდა დაიმცრო თავი, რომ ის მდაბიო ქალი შეირთო?

პიკერინგი (მშვიდად) მამაშენი ვალდებულია, ელიზა. (დულიტლს) მართლა თქვენს საცოლეს ახლა რამ შეაცვლევინა აზრი?

დულიტილი (ნაღვლიანად) დაშინებულია, უფროსო, დაშინებული. ბურჟუაზიის მორალს თავისი მსხვერპლი სჭირდება. შლიაპა დაიხურე. ელიზა, და ჩემს ქორწინებას დაესწარი.

ელიზა თუ პოლკოვნიკი თანახმაა, მე... ჰო... წამოვალ. (თითქმის ატირებული) არ დაგზარდები, მამა, მაგრამ, სულ ერთია, ლანძღვა არ ამცდება.

დულიტილი ნუ გეშინია, ის საბრალო ქალი ახლა ყველასთან ტკბილადაა. როგორც კი დიდ ხალხში მოხვდა, მაშინვე მოთვინიერდა.

პიკერინგი (ელიზას ნაზად შეახებს ხელს ნიდაყვზე) ნუ აწყენინებთ, ელიზა, წადით.

ელიზა (აღელვებულია, მაგრამ მაინც ცდილობს გაულუმოს პიკერინგს) კეთილი, წავალ. გაიგოს, რომ გულღვარძლიანი არა ვარ. ახლავე დავბრუნდები. (გადის).

დულიტილი (პიკერინგს მიუჯცება გვერდით), ვერ ვიტან ცერემონიებს, პოლკოვნიკო. თქვენც რომ წამოხვიდოდეთ, კარგს იზამდით.

პიკერინგი თქვენ ამას შეჩვეული უნდა იყოთ: ელიზას დედასთან ხომ იქორწინეთ?

დულიტილი ვინ მოგახსენათ პოლკოვნიკო?

პიკერინგი არავის არ უთქვამს, მაგრამ მე ასე მგონია ბუნებრივია.

დულიტილი არა, ბუნებრივი არ არის, პოლკოვნიკო. ეგ მარტო ბურჟუაზიულია. მე ყოველთვის უღირსად ვიქცეოდი,

მაგრამ ელიზას ნურაფერს ნუ ეტყვი. იმდენ თავაზიანობას ვიჩენდი, რომ მან არაფერი იცის, არ ვეუბნებოდი.

პიკერინგი სწორად მოქცეულხართ. რატომ უნდა უთხრათ, რა საჭიროა?

დულიტილი რას იზამთ. პოლკოვნიკო, ეკლესიაში წამომყვებით და ამ საქმეში დამეხმარებით თუ არა?

პიკერინგი სიამოვნებით. თუ უცოლო კაცი რამეში გამოგადგებათ, რატომაც არაა?

ქ-ნი ჰიგინსი რა იქნება, მეც რომ წამოვიდე, მისტერ დულიტლ? გულით მინდა თქვენს ქორწინებაზე დასწრება.

დულიტლი ძლიერ დამაფასებთ, თუ ამდენ პატივსა მცემთ, ქალბატონო. ჩემი საბრალო ბებრუცუნაც სიხარულისაგან.

გადაირევა. დაღონებულია, რომ ჩვენს ბედნიერ დღეებს ბოლო მოეღო.

ქ-ნი ჰიგინსი (დგევა) სანამ ეტლს მომიმზადებენ, ჩავიცვამ. (კაცები, ჰიგინსის გამოკლებით, დგებიან. კარებში გამავალ ქ-ნი ჰიგინსს ელიზა შეეფეთება. შლიაპას იხურავს და ხელთათმანებს იცვამს) ეკლესიაში მივდივარ, მამაშენის ქორწინებაზე დასასწრებლად. თქვენ ჩემი ეტლით წამოდით. პოლკოვნიკს შეუძლია სასიძოსთან ერთად წამოვიდეს. (გადის. ელიზა დადგება ოთახის შუაში, შუა ფანჯარასა და ტახტს შორის. პიკერინგი მივა მასთან).

დულიტლი სასიძო, რა სიტყვაა! კაცს მაშინვე აგრძნობინებს თავის მდგომარეობას. (შლიაპას აიღებს და მიდის კარისაკენ).

პიკერინგი ელიზა, სანამ წამოვიდოდეთ, უნდა აპატიო ჰიგინსს და შეგვპირდე, რომ დაგვიბრუნდები.

ელიზა მამაჩემი არ დამრთავს ნებას, რას იტყვი მამილო?

დულიტლი (ნაღვლიანად, მაგრამ მაინც დიდსულოვნად) ძალიან კი გაგათამაშეს მაგ ორმა ხუმარამ, ელიზა, მარტო ერთი რომ ყოფილიყო, უთუოდ დააბამდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორნი იყვნენ: ერთი-მეორეს უშლიდნენ ხელს. (პიკერინგს) მოხერხებულად კი მოაწყვეთ ეს საქმე, პოლკოვნიკო, მაგრამ თქვენზე გაბრაზებული მაინც არა ვარ. თქვენს ადგილას.

მეც ასე მოვიქცეოდი. მთელი ჩემი სიცოცხლე ისე გავატარე, რომ ხან ერთი ქალის მსხვერპლი ვიყავი, ხან მეორის. ამიტომაც ელიზას გამოსულელებისათვის არ გასაყვედურობთ. ამ საქმეში არ ჩავერევი. ჩვენი წასვლის დროა პოლკოვნიკო. ნახვამდის, ჰენრი. წმინდა გიორგის ეკლესიაში გნახავთ, ელიზა. (გადის).

პიკერინგი (ვედრებით) ელიზა, დარჩით ჩვენთან. (ელიზა აივანზე გადის. ჰიგინსი დგება და ისიც ელიზასთან გავა. ელიზა მაშინვე შემობრუნდება ოთახში და კარისკენ გაემართება. ჰიგინსი გადაასწრებს და ზურგით კარს მიეყრდნობა).

ჰიგინსი ელიზა, თქვენებურად რომ ვთქვათ, უკვე საკმაოდ იძიეთ შური, იქნება კმარა? იქნება გონს მოხვიდეთ? თუ კიდევ განაგრძობთ?

ელიზა თქვენ იმისათვის გინდათ დავბრუნდეთ, რომ მარტო ფოსტლები მოგაწოდოთ, თქვენი ჭირვეულობა ავიტანო და გამაგზავნ-გამომაგზავნოთ.

ჰიგინსი სულაც არ მითქვამს დაბრუნდით-მეთქი.

ელიზა როგორ არ გითქვამთ? მაშ ახლა რაზე ვლაპარაკობთ?

ჰიგინსი თქვენზე, ჩემზე კი არა. თუ ჩვენთან დაბრუნდებით, ისევ ძველებურად მოგეპყრობით. მე ხასიათს ვერ გამოვიცვლი და აღარც ჩვევის შეცვლა მაქვს განზრახული. მეც ზუსტად ისეთივე ჩვევები მაქვს, როგორც პოლკოვნიკ პიკერინგს.

ელიზა ეგ არაა მართალი. პოლკოვნიკი ყვავილის გამყიდველ გოგოს ისევე ეპყრობა, როგორც ჰერცოგის ასულს.

ჰიგინსი და მეც, ჰერცოგის ასულს ისევე ვეპყრობი, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგოს.

ელიზა ეგ მეც ვიცი (თავდაჭერილად შემობრუნდება და ფანჯრისაკენ პირშექცეული დაჯდება ტახტზე).

ყველასთან ერთნაირი ხართ.

ჰიგინსი სწორედ რომ ასეა.

ელიზა ისევე, როგორც მამაჩემი.

ჰიგინსი (ოდნავ გაიღიმებს, მისი ქედმაღლობაც ცოტა მომტყდარია). მე ამ შედარებას არ მივიღებ, ელიზა, მაგრამ სავსებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაშენი სწორი არ არის და თავისი უცნაური ბედის წყალობით, რა მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვდეს, სულერთია, თავს მაინც შინაურულად იგრძნობს. (სერიოზულად) უდიდესი საიდუმლოება იმაში როდია, ელიზა, ადამიანს ცუდი ჩვევები აქვს თუ კარგი, კარგად ლაპარაკობს, თუ ცუდად, მთავარი ისაა, არის თუ არა იგი ყოველ ადამიანთან ერთნაირ ურთიერთობაში. ე.ი., მოკლეთ რომ ვთქვათ, იქცევა თუ არა იგი.

ისევე, როგორც ზეცაში, სადაც მესამე კლასის ვაგონები არ არსებობს და სადაც ერთი სული ისევე კარგია, როგორც მეორე.

ელიზა ამინ. თქვენ ქადაგად ხართ დაბადებული.

ჰიგინსი (აღელვებული) საკითხავი ის კი არ არის, მე უხეშად გეპყრიბოდით თუ არა. საკითხავი ისაა, გსმენიათ ოდესმე, რომ მე ვინმეს უკეთესად მოვეპყარი?

ელიზა (ერთბაშად, გულწრფელად) ჩემთვის სულ ერთია როგორ მომეპყრობით. ჩამილურჯდება თვალები თუ არა: არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩალილავებული მქონდა. მაგრამ, მინდა (ადგება და პირისპირ შეხედავს ჰიგინსს), რომ შეუმჩნევლად ჩამიაროთ.

ჰიგინსი თუ ასე გინდათ, გზიდან ჩამომეცალეთ, სულ ერთია, არ გაგიჩერდებით. თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოსდა ავტობუსი ვიყო.

ელიზა მართლაც რომ ავტობუსი ხართ: მიდი-მოდიხარ და არავის არაფრად აგდებთ. მაგრამ, მე თავს უთქვენოთაც გავიტან. არ გეგონოთ, ვერ შევძლო.

ჰიგინსი მე ვიცი, რომ შესძლებთ მეც ხომ გითხარით, რომ შესძლებდით.

ელიზა (შეურაცყოფილი მოსცილდება ჰიგინსს და ტახტის მეორე მხარეზე ღუმელისაკენ Pპირშექცეული დადგება) ვიცი, რომ მითხარით, პირუტყვო. ჩემი თავიდან მოცილება გინდოდათ.

ჰიგინსი სტყუით.

ელიზა მადლობელი გახლავართ. (ამაყად დაჯდება).

ჰიგინსი ჩემის აზრით, თქვენ არასოდეს არ დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა, შემძლია თუ არა მე უთქვენოდ ცხოვრება?

ელიზა (მოუთმენლად) ჩემს მოტყუებას თავი დაანებეთ. უჩემოთაც კარგად იცხოვრებთ.

ჰიგინსი (ქედმაღლურად) სულ ყველას გარეშეც კარგად ვიცხოვრებ. მე გამაჩნია საკუთარი სული, საკუთარი ღვთაებრივი ცეცხლი. მაგრამ (უცებ მოღბა) უთქვენოდ რომ დავრჩები, ელიზა!! (ელიზას ახლოს დაჯდება ტახტზე). მე.

თქვენი იდიოტური აზრებისგან ზოგი რამ ვისწავლე. არ შემძლია ეს მადლიერების გრძნობით არ ვაღიარო. მივეჩვიე აგრეთვე თქვენს ხმას, თქვენს გარეგნობას. ცოტა არ იყოს, კიდევაც მომწონს ისინი.

ელიზა მერე რა, გრამაფონის ფირებისა და ფოტოსურათების სახით თქვენ ერთიცა გაქვთ და მეორეც. როცა მოგენატრებით, აპარატი ჩართეთ: მას ხომ წყენინების უნარიც არ გააჩნია.

ჰიგინსი თქვენს სულს მაინც ვერ ჩავრთავ, დამიტოვეთ თქვენი გრძნობები და, თუ გნებავთ, სახეც წაიღეთ და ხმაც.

თქვენ მარტო სახე და ხმა როდი ხართ?

ელიზა ჰო, ნამდვილი ტარტაროზი ხართ. თქვენ ისევე ადვილად შეგიძლიათ მოხაროთ ქალიშვილის სული, როგორც.

ვინმე სხვა, ვთქვათ და, მკლავებს მოუგრებდა სატკენად. ქ-მა პირსმა მიაშხო, რომ ხშირად უნდოდა თქვენგან წასვლა, მაგრამ უკიდურეს მომენტში, რამენაირად მოატყუებდით და ისევ აბრუნებდით. თუმცა არცერთ ჩვენთაგანს არ გვაგდებთ.

არაფრად: არც მისთვის ზრუნავთ და არც ჩემთვის.

ჰიგინსი მე ვზრუნავ სიცოცხლისათვის, კაცობრიობისათვის. თქვენც ხომ მისი ნაწილი ხართ, ნაწილი, რომელიც შემომხვდით მე და ჩემს სახლში აშენდით. მეტს რაღას მოითხოვთ ჩემგან ან თქვენ ან ვინმე სხვა?

ელიზა მე იმაზე არ ვიზრუნებ, ვინც ჩემზე არა ზრუნავს.

ჰიგინსი ეს ვაჭრული პრინციპია, ელიზა. (იმეორებს ელიზას კოვენტგარდენულ გამოთქმას პროფესიული სიზუსტით)-„იყიდეთ ყუაილები, ია, ია - აი, რასა ჰგავს ეს ხომ ასეა?

ელიზა ნუ დამცინით. ეგ ჩემი დაცინვაა.

ჰიგინსი ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არ დამიცინია. დაცინვა არც სახეს რგებს ადამიანისა და არც სულს. მე მხოლოდ ვაჭრული ბუნებისადმი ჩემი სამართლიანი სიძულვილი გამოვთქვი. სიყვარულით არც მივაჭრია და არც ვივაჭრებ. თქვენ პირუტყვს იმიტომ მემახით, რომ ფოსტლებისა და სათვალეების მოწოდებით ჩემი გული ვერ მოიგეთ. ჩემზე უფლება ვერ მოიპოვეთ. სულელი იყავით, როცა ამას ცდილობდით; ჩემის აზრით, საზიზღარი სანახაობაა, როცა ქალს მამაკაცთან ფოსტლები მიაქვს. განა მე ოდესმე მომიწოდებია ფოსტლები? მას მერე გაცილებით უფრო გაფასებთ, რაც ისინი სახეში მთხლიშეთ. თუ მონად გამიხდებით, რაღასა მთხოვთ, ჩემზე იზრუნეთ? აბა ვინ ზრუნავს მონისათვის? თუ ჩემთან დაბრუნდებით, დაბრუნდებით მეგობრული ურთიერთობისათვის, დღეიდან სხვანაირად არავინ არ მოგეპყრობათ. თქვენ მე ყოველნაირად მიცნობთ. და მეც ყოველნაირად გიცნობთ. და თუ ამიერიდანაც ფინია ძალღივით კვლავ განაგრძობთ ფოსტლების მოტანა-წაღებას ჩემს მიერ შექმნილი ჰერცოგის ასულის შესარცხვენად, არ გაგიკვირდეთ, რომ კარები ცხვირწინ მოგიჯახუნოთ.

ელიზა - მაშ რაღას მასწავლიდით. თუ ჩემზე არ ზრუნავდით?

ჰიგინსი - (გულიანად) რატომაც არ უნდა მესწავლებინა? ეს ჩემი სამუშაო იყო.

ელიზა - და თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ იმაზე, თუ რა უბედურება მოჰქონდა ამას ჩემთვის.

ჰიგინსი - განა შემოქმედი ქვეყნიერებას შექმნიდა უბედურების შექმნის რომ შეშინებოდა? სიცოცხლის შექმნა ნიშნავს ტანჯვისა და უბედურების შექმნასაც. მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება მისგან თავის დაღწევა: ესაა მკვლელობა. ლაჩრები ყოველთვის მოითხოვენ იმათ ამოწყვეტას, ვინც მათ აწუხებს. ეს ამბავი არ შეიძლება არ შეგემჩნიოთ.

ელიზა - მე ქადაგი როდი ვარ თქვენსავით. ასეთ რამეებს ვერ ვამჩნევ. მე მხოლოდ იმას ვამჩნევ, რომ თქვენ მე ვერ მამჩნევთ.

ჰიგინსი - (ადგება და უკმაყოფილოდ მიდი-მოდის) ელიზა, ნამდვილი სულელი ხართ თქვენ და მე ტყუილუბრალოდ ვფლანგავ ჩემი მილტონური გონების საგანძურს იმით, რომ თქვენს წინაშე ვშლი მას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ, რომ, როცა რაიმეს ვაკეთებ, წუთითაც არ დაფიქრდები იმაზე, რა მომივა ანდა რა მოუვა ვინმე

სხვას. მე მამათქვენივით ან თქვენი დედინაცვალვით დაშინებული როდი ვარ. ამიტომაც, თუ გნებავთ, დაბრუნდით ჩვენთან, არადა ჯანდაბას იქით გქონიათ გზა.

ელიზა - რისთვის დავბრუნდე?

ჰიგინსი - (მუხლებით შედგება ტახტზე და ელიზასკენ გადაიხრება) ისე, ტყუილუბრალოდ. აი, რატომ მინდა თქვენი დაბრუნება.

ელიზა - (სახეს მოიბრუნებს) რათა მეორე დღესვე გამომაგდოთ, თუ ყველაფერს არ გავაკეთებ, რაც მოგესურვებათ.

ჰიგინსი - დიახ. და თქვენც მეორე დღესვე გამოიქცევით, თუ მეც ყველაფერი არ გავაკეთე, რაც თქვენ მოგესურვებათ.

ელიზა - და მერე დედინაცვალთან ვიცხოვრო?

ჰიგინსი - დიახ, დედინაცვალთან იცხოვრებთ, ან ისევ ყვავილებს გაყიდით.

ელიზა - ოჰ, ნეტავი შემემლოს, ისევ ჩემი ყვავილების კალათას დავუბრუნდე. მაშინ არც თქვენგან ვიქნები დამოკიდებული, არც მამაჩემისგან და არც არავისგან. რატომ წამართვით ჩემი დამოუკიდებლობა? ან მე რატომ დავთმე იგი? ახლა მონა ვარ, მონა ჩემი ტანსაცმლისა...

ჰიგინსი - სრულიადაც არა. გიშვილებთ და წლიურ შემოსავალს დაგინიშნავთ, თუ გნებავთ. არადა, იქნება პიკერინგს გაჰყვეთ ცოლად.

ელიზა - (გაბრაზებული მიმოიხედავს) თქვენც არ გამოგყვებოდით, რომ გეთხოვათ - და თქვენ კი წლოვანებით ჩემთან უფრო ახლოს დგახართ, ვიდრე ის რომ არის.

ჰიგინსი - (ნაზად) ვიდრე ის და არა, „ვიდრე ის რომ არის“ .

ელიზა - მე ისე ვილაპარაკებ, როგორც მომეპრიანება. თქვენ უკვე აღარა ხართ ჩემი მასწავლებელი.

ჰიგინსი - (დაფიქრებული) არა მგონია პიკერინგმაც შეგირთოთ, ისიც ჩემსავით აპირებს უცოლოდ დარჩენას.

ელიზა - მეც არ მინდა გათხოვება. რომ მნდომოდა, თაყვანისმცემლების მეტი რა მყავდა. ფრედი ჰილი დღეში ორ-სამჯერ მაინც მიგზავნის გრძელ - გრძელ ბარათებს.

ჰიგინსი - (უკმაყოფილოდ) დასწყევლოს ღმერთმა მისი თავხედობა. (წამოიწევს და მუხლებზე დაჯდება).

ელიზა - იმ საწყალ ბიჭს თუ უნდა, რა თქმა უნდა, უფლება აქვს შემიყვაროს და მართლაც ვუყვარვარ.

ჰიგინსი - (ტახტიდან ჩამოდის) თქვენ მისი გამხნეების უფლება არა გაქვთ.

ელიზა - შეყვარებულის ყოლის უფლება ყოველ ქალსა აქვს.

ჰიგინსი - რაო? ასეთი სულელის ყოლის უფლება?

ელიზა - ჯერ ერთი, ფრედი სულელი არ არის და, მერე, თუ მას უჭირს, ღარიბია და მეც ვუნდივარ, შეიძლება მის ხელში უფრო ბედნიერი ვიყო, ვიდრე მასზე უკეთესების ხელში, რომლებიც მეფარისევლებიან, მაგრამ არ ვუნდივართ.

ჰიგინსი - საქმე ისაა, შეუძლია თუ არა მას თქვენგან რაიმე გამოიყვანოს?

ელიზა - იქნება მე უნდა გამოვიყვანო მისგან რაიმე. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია ერთმანეთისაგან რაიმე გამოგვეყვანა. თქვენ რაიმეს გამოყვანის გარდა სხვაზე არაფერზე ფიქრობთ. მე კი ბუნებრივი მინდა ვიყო.

ჰიგინსი - მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გინდათ, მეც ისევე დამასხას თავბრუ თქვენმა მშვენიერებამ, როგორც ფრედის, ხომ ასეა?

ელიზა - არა, სრულიადაც არა. თქვენთვის მე არ მომითხოვია ეს გრძნობა. ჰოდა, ნურც თქვენს თავში ხართ ზედმეტად დარწმუნებული და ნურც ჩემში. მე რომ მდომებოდა, როგორმე მოვახერხებდი ცუდ გოგოდ გახდომას, ჩემი კლასის გოგო ადვილად შეაყვარებს თავს ჯენტლმენს, მაგრამ მათ მეორე დღესვე ერთმანეთის სიკვდილი მოენატრებათ.

ჰიგინსი - რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ვერ გამიგია რა ჯანდაბა გავაკეთო.

ელიზა - (მეტად ალეღვებული) მე ცოტა გულთბილი მოპყრობა მინდა. განა არ ვიცი, რომ ერთი უბრალო, გაუნათლებელი გოგონა ვარ, თქვენ კი განსწავლული ჯენტლმენი ბრძანდებით, მაგრამ მე თქვენი ფეხის მტვერი მაინც არა ვარ. ყოველივე ეს მე გამიკეთებია (უსწორებს თავის თავს), - ყოველივე ეს მე გავაკეთე არა ტანისამოსისა და ტაქსის გულისთვის, არამედ იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო ჩვენი ერთად ყოფნა. იმიტომ კი არ ვზრუნავდი თქვენთვის, რომ თავი შემეყვარებინა, - მე არ მავიწყდებოდა რა განსხვავება იყო ჩვენს შორის, - არამედ იმიტომ, რომ რაღაცა მეგობრული ურთიერთობა გვექონდა.

ჰიგინსი - ეს, რასაკვირველია, მართალია. მეც ამასვე ვგრძნობ ახლა, პიკერინგიც ამასვე გრძნობს. თქვენ კი სულელი ხართ, ელიზა.

ელიზა - მე თქვენგან ასეთ პასუხს არ მოველოდი. (საწერ მაგიდასთან სკამზე დავარდება და ტირის).

ჰიგინსი - მხოლოდ ასეთ პასუხს მიიღებთ, სანამ ამ იდიოტობას არ მოიშლით. თუ გინდათ ლედი გახდეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ნუ იგრძნობთ მარტობას, რომ ადამიანები, რომლებსაც იცნობთ, თავიანთი ღრრის ნახევარს თქვენს ლოლიავს არ ანდომებენ და მეორე ნახევარს თქვენს დალილავენ. თუ ჩემი ცხოვრების სიცივესა და ჭირვეულობას ვერ იტანთ, დაუბრუნდით წუმპეს. იმრომეთ იქ მანამდე, სანამ უფრო

პირუტყვს დაემსგავსებოდეთ, ვიდრე ადამიანურ არსებას, გაერთეთ მტლამა - მტლუმით, აყალმაყალით და მერე მანამდე სვით, ვიდრე ჩაგეძინებათ: რა სჯობია ასეთ ცხოვრებას, - წუმპეში ცხოვრებას! ეგ ნამდვილი ცხოვრებაა: თბილი, მღელვარე. რა გინდ სქელკანიანი არ იყოს ადამიანი, მაინც იგრძნობს ამგვარ ცხოვრებას. თქვენ შეგიძლიათ ყოველგვარი მომზადებისა და ჯაფის გარეშე იგემოთ იგი. არც მეცნიერებას გავს ის და არც ლიტერატურას, არც კლასიკურ მუსიკას და არც ფილოსოფიას ან ხელოვნებას. მე თქვენ გულცივ, უგრძნობო, ეგოისტ ადამიანად მიგაჩნევართ, არა? კეთილი და პატიოსანი. წადით იმასთან, ვინც მოგწონთ. გაჰყევით რომელიმე მგრძნობიარე ღორს, რომელსაც ექნება ბევრი ფული, წყვილი სქელი ტუჩები თქვენს საკოცნელად და სქელქუსლიანი ფეხსაცმელები, თქვენს დასაწიხლავად. თუ იმას არ აფასებთ, რაცა გაქვთ, მოიპოვეთ იგი, რასაც აფასებთ.

ელიზა - (სასოწარკვეთილი) ოჰ, თქვენ ნამდვილი მტარვალი ხართ. თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია. ყველაფერში მე გამოგყავართ დამნაშავე: ყოველთვის მე გამოვდივარ მტყუანი, მაგრამ, ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ თვითონ თქვენა ხართ ცრუ და მატყუარა. განა მშვენივრად არ იცით, რომ მე ვერ დავუბრუნდები იმას, რასაც თქვენ წუმპეს ეძახით-და, რომ თქვენსა და პიკერინგს გარდა დედამიწაზე ნამდვილი მეგობრები არ გამაჩნია. თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ ორს მერე, უბრალოდ, მდაბიო ადამიანებთან ვერ ვიცხოვრებ: ნამდვილად ბოროტი და დაუნდობელი ხართ მას მერე. რაც თქვენ იფიქრეთ, რომ მე ეს შემიძლია. თქვენის აზრით, მე იმის გამო უნდა დავუბრუნდე უიმპოლის ქუჩას, რომ სხვაგან ვერსად ვერ ვიცხოვრებ, თუ არა მამაჩემის სახლში. მაგრამ ნუ ხართ იმაში დარწმუნებული, რომ მე თქვენს ფეხქვეშ ვარ განრთხმული, რათა, როცა გინდათ, ფეხით გამთელოთ და როცა გინდათ, ხმა ჩამაკმენდინოთ. ასე არ გამოვა. როგორც კი მდგომარეობას ოდნავ მაინც გავიუმჯობესებ, ფრედის გავყვები.

ჰიგინსი - (მეხდაცემულივით) ფრედის! იმ ცხვირმოუხოცელ ბრიყვს? იმ ღარიბ-ლატაკს, რომელის კურიერადაც ვერ მოეწყობა, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს? ქალო, რატომ არ გესმით, რომ თქვენ მე გადაგაქციეთ თვით ხელმწიფისთვის შესაფერის სადედოფლოდ?

ელიზა - ფრედის ვუყვარვარ მე და ეს სიყვარული მას შესაფერის ხელმწიფედ აქცევს. მე არ მინდა მან იმუშაოს, ჩემსავით შრომაში არაა გაზრდილი. მე ვიმუშავებ, მასწავლებლად ვიმუშავებ.

ჰიგინსი - ღვთის გულისათვის, მითხარით, თქვენ რა უნდა ასწავლოთ?

ელიზა - რაც თქვენ მასწავლეთ, ფონეტიკას ვასწავლი.

ჰიგინსი - ხა, ხა, ხა!

ელიზა - წვერებიან უნგრელს ასისტენტად გავუხდები.

ჰიგინსი - (წამოვარდება გახელებული) რაო? იმ ცრუ მოხელეს?! იმ არამზადას?! იმ ქლესა-მაიმუნს?! იმას ასწავლით ჩემს მეთოდებს?! იმას გაანდობთ ჩემს აღმოჩენებს? აბა გაბედეთ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა, თუ მაშინათვე კისერი არ მოგიგრიხთ! (ხელს ჩაავლებს) გესმით?

ელიზა - (გამომწვევად წინააღმდეგობას არ უწევს) დაუყონებლივ გავაკეთებ ამას. რასა კარგავ? ვიცოდი, რომ ოდესმე მცემდით. (ჰიგინსი ხელს გაუშვებს, თავდავიწყებული ფეხებს აბაკუნებს, შემდეგ ისე სწრაფად დაიხევს უკან, რომ ტახტს დაეჯახება) აჰა, ახლა კი ვიცი როგორ მოგეპყრათ. რა სულელი ვიყავი, რომ აქამდე ვერ მოვიფიქრე ეს? თქვენ ვერ წამართმევთ თქვენს მიერ მოცემულ ცოდნას! თქვენ ხომ თქვით, რომ მე თქვენზე მახვილი ყურები გამაჩნია. გარდა ამისა, მე შემიძლია, თქვენზე უფრო თავაზიანად მოვეპყრა ხალხს, უკეთესი ურთიერთობა დავამყარო მათთან. აა! (განგებ გამოტოვებს „ჰ“-ს, რომ ჰიგინსი გაახელოს). ასე მოგიხდებათ თქვენ „ენრი იგინს“. ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს - (თითებს ატკაცუნებს) თქვენს ქათინაურებსა და თქვენს ლანძღვა-გინებას. გაზეთებში გამოვაქვეყნებ, რომ თქვენი ჰერცოგის ასული უბრალო ყვავილის გამყიდველი გოგონაა, რომელსაც თქვენ ასწავლეთ ლაპარაკი და რომელსაც თვითონაც შეუძლია ყოველი მსურველი ექვს თვეში ჰერცოგის ასულად გადააქციოს, თუ იგი ათას გინეას გაიღებს გასამრჯელოდ. ოჰ, მევე მინდა წიხლი ჩავცე ჩემს თავს, როცა მომაგონდება, როგორ ვიყავი განრთხმული თქვენს ფეხქვეშ, როგორ მთელავდით, მლანძღავდით და მაგინებდით, როცა უბრალოდ შემემძლო ერთი თითი ამეწია მაღლა და ისეთივე გავმხდარიყავი, როგორიც თქვენ.

ჰიგინსი - (გაოცებული) ო, შე უმადურო გომბიო, შენა! მაგრამ ეს სჯობს თქვენს ბუზღუნს, სჯობია ფოსტლების მოტანასა და სათვალეების მონახვას, ასე არ არის? (დგება) ელიზა, მე გითხარით ნამდვილ ქალად გადაგაქცევთ მეტქი და მართლა შევასრულე დაპირება. მეც სწორედ ასეთი მომწონხართ თქვენ.

ელიზა - გასაგებია. ახლა მხოლოდ იმის გამო მექათინაურებით და მელოლიავებით, რომ თქვენი არ მეშინია და უთქვენოდაც შემიძლია ცხოვრება.

ჰიგინსი - რა თქმა უნდა, ასეა, შე პატარა სულელო! ხუთი წუთის წინათ თქვენ ჩემს კისერზე დოლაბის სიმძიმე ტვირთად ეკიდეთ, ახლა კი ძლევამოსილ ციხე-სიმაგრეს, ანდა ბადრაგიან სახაზო გემს ჰგავხართ ნამდვილად. ახლა ორი უცოლო კაცისა და ერთი ბრიყვი გოგონას ნაცვლად, შენ, მე და პიკერინგი, ერთი შინაბერა და ორი უცოლო კაცი ვიქნებით. (ქ-ნი ჰიგინსი მობრუნდება. ქორწინებაზე წასასვლელად ჩაცმული, ელიზა მაშინვე ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს).

ქ-ნი ჰიგინსი - ეტლი გველოდება, ელიზა. მზად ხართ?

ელიზა - მზად ვარ. პროფესორი არ წამოვა?

ქ-ნი ჰიგინსი - რა თქმა უნდა, არა. ეკლესიაში თავს ვერ დაიჭერს. წირვის დროს ხმამაღლა შენიშვნების გაკეთებას დაიწყებს მოძღვრის გამოთქმებზე.

ელიზა - მაშ, მეტს ველარ გნახავთ, პროფესორო. მშვიდობით. (კარებისაკენ მიდის).

ქ-ნი ჰიგინსი - (მივა ჰიგინსთან) ნახვამდის, ძვირფასო.

ჰიგინსი - ნახვამდის, დედა. (უნდა აკოცოს მას, მაგრამ რაღაცა მოაგონდება). ოჰ, მართლა, ელიზა, ვერ შეუკვეთავთ ლორსა და სტილტონის ყველს? მიყიდეთ აგრეთვე ირმის ტყავის რვა ნომერი ხელთათმანები და ჩემი ახალი კოსტუმის შესაფერი

ჰალსტუხი. ფერი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ. (ჰიგინსის მხიარული, უზრუნველი ენერგიული ხმა იმის მაჩვენებელია, რომ ის გამოუსწორებელი ადამიანია).

ელიზა - (აგდებულად) რვა ნომერი პატარაა თქვენთვის, თუ კრავის ბეწვებიანი გინდათ. სამი ახალი ჰალსტუხიც გაქვთ, ამას წინათ პირსაბანის კარადაში რომ ჩააწყვეთ და დაგავიწყდათ. პოლკოვნიკ პიკერინგს სტილტონურ ყველს გლოცესტერული ორმაგი ურჩევნია. თქვენთვის კი სულ ერთია, განსხვავებას მაინც ვერ ამჩნევთ. მე ამ დილით დაგურეკე ქ-ნ პირსს, რომ ლორის მოტანა არ დაავიწყდეს. მაინც ვერ წარმომიდგენია უჩემოდ თქვენ რისი გამკეთებელი ხართ? (საჩქაროდ გადის).

ქ-ნი ჰიგინსი - ეგ გოგო შენ გააფუჭე, ჰენრი. თქვენზე ფიქრი არ მომასვენებდა, ელიზას რომ პოლკოვნიკი პიკერინგი შენზე ნაკლებ უყვარდეს.

ჰიგინსი - პიკერინგი! სისულელეა. ელიზა ფრედის მიყვება. ხა, ხა, ხა! ფრედის! ფრედის! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!!! (ხარხარებს).

მოქმედება პირველი.

ლონდონი. ღამის 11 საათი და 15 წუთია. თავსხმაა. ავტომანქანების საყვირი აყრუებს იქაურობას. გამვლელ-გამომვლელები თავშესაფარებლად გარბიან კოვენტის ბაღის ბაზრისა და წმიდა პავლეს ეკლესიისაკენ, რომლის ტალანში ხალხს თავი მოუყრია. მათ შორისაა ვიღაცა ლედი ქალიშვილით, რომელსაც საღამური სამოსი აცვია.

წვიმას ყველა შეუწუხებია, გარდა ერთი კაცისა, რომელსაც დანარჩენთათვის ზურგი შეუქცევია და წიგნაკში გულმოდგინედ რაღაცას ინიშნავს. ეკლესიის საათი 15 წუთს რეკავს.

ქალიშვილი (დგას შუა სვეტებს შორის, მარცხენა სვეტის ახლოს) გავითოშე, პირდაპირ გავითოშე. ნეტავი ფრედი სად დაიკარგა ამდენ ხანს? ოცი წუთი წავიდა.

დედა - (ქალიშვილის მარჯვნივ) არც ისე დიდი დრო გასულა, მაგრამ აქამდე მაინც უნდა ეშოვა მანქანა.

მაყურებელი (ლედის მარჯვნივ) ახლა, ქალბატონო, ხალხი თეატრებიდან ბრუნდება, ასე რომ თორმეტის ნახევრამდე ტაქსს ვერ იშოვის. ყველა დაკავებული იქნება.

დედა კი, მაგრამ უტაქსოდ რა ვქნათ? თორმეტის ნახევრამდე აქ რა გაგვაჩერებს? ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა!

მაყურებელი კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ, ქალბატონო?

ქალიშვილი ფრედი მოუხერხებელია, თორემ მანქანის შოვნა თეატრთანაც შეიძლება.

დედა თუ ვერ იშოვა, რა ქნას საწყალმა ბიჭმა?

ქალიშვილი სხვებმა ხომ იშოვეს?

(ოციოდე წლის ბიჭი შემოვარდება საუთჰამპტონის ქუჩიდან, სადამური ტანისამოსი დასველებია. ზედ მიკვრია შარვლის ტაოტები. დედა-შვილს შორის დგება და ახურავს ქოლგას, რომელსაც წყალი წურწურით ჩამოსდის).

ქალიშვილი იშოვე ტაქსი?

ფრედი თუ გინდა ჯვარს ეცვი, არ არის.

დედა- ფრედი, ფრედი, მოგენდომებინა, იშოვიდი.

ქალიშვილი ეს რა უბედურებაა! როგორა გგონია ჩვენ წავალთ ტაქსის მოსაყვანად?

ფრედი აკი გითხარით, ყველა დაკავებულია-მეთქი. ისე უცებ გაწვიმდა, რომ არავინ მოელოდა, ამიტომაც ყველა ტაქსს ეცა. რა მექნა? ჩირინგ კროსამდე გავვარდი, მერე თითქმის ლუდგეიტის ცირკამდე მივედი და ყველა დაკავებული იყო.

დედა - ტრაფალგარის მოედანზე იყავი?

ფრედი- არც ტრაფალგარის მოედანზე იყო.

ქალიშვილი რატომ ტყუი, იყავი?

ფრედი როგორ არა, ჩირინგ კროსის სადგურამდეც კი მივედი.ჰჰოდა ამ თავსხმაში ჰამერსმიტში ხო მარ გადავიდოდი?

ქალიშვილი არა, არა, არ გიძებნია.

დედა რა უსუსური ხარ, ფრედ? წადი ისევ და, იცოდე, უტაქსოდ არ დაბრუნდე..

ფრედი ტყუილად ამოვიწუწები.

ქალიშვილი მაშ, ჩვენ რას გვიპირებ? თხელ კაბაში მთელი ღამე ამ სიცივეში უნდა გავატაროთ? შე ეგოისტო ღორო.

ფრედი კარგი, მივდივარ, მივდივარ.

(ხსნის ქოლგას და გაეშურება სანაპიროსაკენ. ასვლისას დაეჯახება ყვავილების გამყიდველ გოგონას, რომელიც თავის შესაფარებლად შემოდის.გოგონას კალათი ხელიდან უვარდება. ამ დროს იელვებს და გაისმის მეხის გამაყრუებელი ხმა).

ყვავილების გამყიდველი გოგო ერთი ამას დამიხედეთ! თვალები არ გაბია, ფრედი? რო დადიხარ, წინ იყურე.

ფრედი ბოდიში. (გარბის).

ყვავილების გამყიდველი გოგო (დაცვივებულ ყვავილებს აპკრეფს და კალათაში აწყოფს). კიდეც იტყვის თავი მახიაო. ორი კონა ია გამიჭყლიტა და ტალახში ამომიზილა. (ლედის მარჯვნივ სვეტთან ჩამოჯდება და ყვავილებს აწყოფს. ვერ ვიტყვით რომ მიმზიდველია. 18-20 წლის თუ იქნება, მეტი კი არა.ახურავს შავი ჩალის ქუდი, რომლისთვისაც, როგორც ეტყობა, უცხო არაა ლონდონის მტვერი და მჭვარტლი, ალბათ ჯაგრისი არც კი გაპკარებია. მისი თმის არაბუნებრივი თავვისფერი თავის დაბანვის საჭიროებაზე მიუთითებს. იაფფასიანი, წელში გამოყვანილი შავი პალტო ძლივს წვდება მუხლამდე. პალტოს ქვეშ ყავისფერი კაბა მოუჩანს ტილოს წინსაფრით. ფეხსაცმელი დიდი ხანია გადასაყრელია. როგორც ჩანს, რაც შეუძლია იცავს სისუფთავს, მაგრამ ამ ბანოვანებთან შედარებით ჭუჭყიანი გეჩვენებათ. სახის ნაკვთები მათზე უარესი როდი აქვს, მაგრამ მოუვლელია. ეტყობა კბილის ექიმის ხელიც აკლია).

დედა ერთი ეს მითხარით, საიდან იცით, რომ ჩემს ვაჟს ფრედი ჰქვია?

ყვავილების გამყიდველი გოგო ოო, ეგ რა! თქვენი შვილია? დიდი ბედენა გაგიზრდია რაღა, საწყალ ქალს ყვავილები გამაყრევინა და ჰაიდა მოუსვა, თითქოს საფასურს გადახდა არ უნდოდეს, ანდა გროშებს, აი, თქვენ ჩამითვლიდეთ მის მაგივრად. (სამწუხაროდ მისი მეტყველების მანერის გადმოცემას თავი უნდა მივანებოთ, სულერთია ლონდონის მცხოვრებთა გარდა მას ვერავინ გაიგებს).

ქალიშვილი არ გასულელდე, დედა, და არ გადაიხადო, ახლა ეგლა გვაკლია.

დედა მოიცა, კლარა! ხურდა გაქვს?

ქალიშვილი 6-პენანზე ნაკლები არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო ხურდას მომცემთ, კეთილო ქალბატონო.

დედა (კლარას) მომეცი (კლარა ყოყმანით აწვდის ფულს) აი, შენი ყვავილების საფასური.

ყვავილების გამყიდველი გოგო მადლობელი გახლავართ, ლედი.

ქალიშვილი ხურდა? თითო კონა ია ერთ პენიზე მეტი არა ღირს.

დედა ენა გააჩერე, კლარა! (ყვავილების გამყიდველ გოგონას) ხურდა საჭირო არ არის.

ყვავილების გამყიდველი გოგო მადლობელი გახლავართ, ლედი.

დედა აბაა, ეხლა მითხარი, საიდან იცი იმ ახალგაზრდა ჯენტლემენის სახელი?

ყვავილების გამყიდველი გოგო მე რა ვიცი მისი სახელი?

დედა სახელით არ მიმართე? რას მატყუებ?

ყვავილების გამყიდველი გოგო (აღშფოთებით) ვის რატ უნდა თქვენი მოტყუება? სულ ერთი არ არის, ფრედის დაუძახებდი თუ ჩარლის? თქვენც ასე არ შვრებით? ზრდილობის გულისტვის უცხო კაცს სახელით არ მიმართავთ?

ქალიშვილი ტყუილად წყალში გადაყარე 6 პენი, დედა, ჯობდა ფრედისთვის მიგეცა. (გაბრაზებული სვეტისკენ იხევს. სადამურ ტანსაცმელსა და საზაფხულო პალტოში გამოწყობილი, მიმხიდველი გარეგნობის, შუახნის სამხედრო კაცი შემოვარდება ტალანში და ხურავს ქოლგას, რომელსაც წურწურით ჩამოსდის წყალი).

ჯენტლემენი ფუი!

დედა ოჰ, სერ! გადაღებას არ აპირებს?

ჯენტლემენი პირი არ უჩანს, ის კი არა, ორი წუთის წინ უფრო წამოუშინა. (ყვავილების გამყიდველ გოგონას გვერდით სვეტის ძირზე ფეხს ჩამოდგამს და შარვლის ტოტებს ჩამოუშვებს).

დედა ღმერთო ჩემო! (ამოიოხრებს და თავის ქალიშვილთა მივა).

ყვავილების გამყიდველი გოგო (ცდილობს ისარგებლოს სამხედრო კაცის მეზობლობით და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს) დარდი ნუ გაქვს, „კაპიტანო თუ მართლა მაგრა დასცხო, მალე გადაიღებს. იყიდეთ, ყუაილები, იყიდეთ საწყალი გოგონასაგან.

ჯენტლემენი სამწუხაროდ ხურდა არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო მე მაქვს ხურდები, კაპიტანო.

ჯენტლემენი სოვერენის? ამაზე წვრილი ფული არა მაქვს.

ყვავილების გამყიდველი გოგო მერე რა, იყიდეთ ყუაილები, კაპიტანო, იყიდეთ. Nნახევარ კრონიანს დაგიხურდავებთ. აი, 2 პენი წაიღეთ.

ჯენტლემენი რას გადამეკიდეთ, ქალიშვილო (ისინჯავს ჯიბეებს) თუმცა, თუმცა, მოიცა, ერთ-ნახევარი პენი მქონია, თუ გაწყობს, აიღე. (მიდის მეორე სვეტისაკენ).

ყვავილების გამყიდველი გოგო (შეწუხდება მაგრამ გადასწყვიტა, რომ სულ არარაობას ერთნახევარი პენი სჯობია) მადლობელი გახლავართ, სერ, მადლობელი.

მაყურებელი (ყვავილების გამყიდველ გოგოს) შენ, ცოტა არ იყოს, ფრთხილად იყავი: ფული რომ გამოათვი, ყვავილი მიეცი, თორემ უკან რომ კაცი დგას, შენს ყოველ სიტყვას იწერს. (ხალხი მოუბრუნდება კაცს, რომელიც რაღაცას ინიშნავს).

ყვავილების გამყიდველი გოგო (შეშინებული წამოვარდება) ვიტომ რა მოხდა, თუ ჯენტლემენს დაველაპარაკე? მე ასეთ ადგილებში ყუაილების გაყიდვის უფლება დიანაც რომ მაქვს. (ისტერიულად). მე წესიერი გოგო ვარ, მიშველეთ, დამეხმარეთ. მის მეტი რა ვუთხარი, ყუაილი-იყიდე მეთქი. (საერთო არეულობა. უმრავლესობა ყვავილების გამყიდველ გოგონას უთანაგრძნობს, ზოგიერთები ამშვიდებენ: „ნუ ყვირი

„შენთან ვის რა უნდა , „შენთან ვის რა საქმე აქვს , „კარგი, აურზაური ნუ ასტეხე , „თავი შეიკავე , „დამშვიდდი და ასე შემდეგ. ფიცხი მაყურებლები კი უხეშად მიმართავენ: - „ ხმა ჩაიკმინდე შენ ვის რაში სჭირდება? მოშორებით მდგომნი კი, რომელთაც ვერ გაიგეს რა მოხდა, მოცვივდებიან და კითხულობენ: „რა მოხდა? , „რა იყო? „რა ჩაიდინა ამ გოგომ? „სად არის ის კაცი? , „რომელი? , „ისა? „სვეტთან რომ დგას? „ფული ამოაცალეს იმ ჯენტლემენს? და ასე შემდეგ.)

ყვავილების გამყიდველი გოგო (რის ვაი-ვაგლახით მივა ჯენტლემენტან და გულამოსკვნილი ტირის) ოჰ, სერ. უთხარი ასეთ რამეს ნუ მაბრალებენ. ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს ეს ჩემთვის? თქვენთან დალაპარაკებისთვის ცუდ სახელს მომაკერებენ და ქუჩაში გამაგდებენ. ისინი...

კაცი წიგნაკით (გვერდით ამოუდგება ყვავილების გამყიდველს. ირგვლივ შემოეხვევიან) რაო, რაო? რაო? რაო? შენ ვინ რას გერჩის, ბრიყვო? ნ მე ვინა გგონივარ?

მაყურებელი ყველაფერი გასაგებია. ჟენტლემენია, აბა, ფეხსაცმელებს დახედეთ. (უხსნის წიგნაკიან კაცს) გოგოს, აი, ის... რა ჰქვია... მაბეზღარა ეგონეთ, სერ.

კაცი წიგნაკით რაო? მაბეზღარა რა არის?

მაყურებელი რა არის? აბა, როგორ გითხრათ. მაბეზღარა, მაბეზღარაა, მეტს არს ეძახიან? ჰო, მართლა, ჯაშუში... ჯაშუში...

ყვავილების გამყიდველი გოგო (ისევ ისტერიულად) ღმეთმანი, გე სიტყვა არ მითქვამს.

კაცი წიგნაკით (მბრძანებლურად მაგრამ გულკეთილად) კარგი გაჩუმდი, გაჩუმდი. პოლიციელს რა მიგავს?

ყვავილების გამყიდველი გოგო (ჯერ კიდევ დაუწყნარებელი) მაშ, რატომ იწერდი ჩემს სიტყვებს? საიდან ვიცი მართალი ჩაიწერე თუ არა? აბა მიჩვენეთ არ ჩაიწერე.

კაცი წიგნაკით (ამოიღებს წიგნაკს და ცხვირთან მიუტანს ყვავილების გამყიდველ გოგოს. ჩნობისმოყვარე ხალხი ისე გადმოაწვება, რომ მასზე სუსტი კაციც ვერ გაუძლებდა, გათელავდნან).

ყვავილების გამყიდველი გოგო რა არის ეგ? ჩვენებურად არა სწერია. ვერაფერი გავიგე.

კაცი წიგნაკით მე გაგაგებინებ. (კითხულობს. ზუსტად აჯავრებს გოგონას გამოთქმას: „დარდი ნუ გაქვთ, „კაპტანო , იყიდეთ, იყიდეთ ყუაილები საწყალი გოგონასაგან).

ყვავილების გამყიდველი გოგო (კიდევ უფრო შეურაცყოფილი) მაშ, იმიტომ ჩაიწერეთ ჩემი სიტყვები, რომ მე მას „კაპტანი დაუძახე? ცუდი განმძრახვით ხო მარ მითქვამს? (ჯენტლემენს) ოჰ, სერ! უთხარით ერთი სიტყვის გულისთვის შარში ნუ გამხვევს. თქვენ...

ჯენტლემენი ბრალს გდებენ? ვინა გდებს ბრალს?! (წიგნაკიან კაცს) მართლაცდა, სერ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რა თქვენი საქმეა დამიცვათ გოგოების შემოსევისაგან, თუ მე ეს თქვენთვის არ მითხოვნიან. ყოველ შემთხვევაში ამ გოგონას ცუდი არაფერი ჩაუდენია. ამდენი ხალხია მოწმე.

ხალხი - (გამოსთქვამს აღშფოთებას პოლიციური ჯაშუშობის წინააღმდეგ „ წყეულიმც იყავით , „სხვის საქმეში რას ეჩრებიოთ? , „თქვენ თავს მოუარეთ ? „დაწინაურება მოუნდა , „ხალხის ნალაპარაკებს იწერს , „ამ გოგონას სიტყვაც არ უთქვამს მისთვის , „ტუნდაც ეთქვა, მერე რა მოხდა? , „კარგი საქმეა სწორედ, გოგოს თავი ისე ვერსად შეუფარებია, რომ არ შეურაწყონ . და ასე სჭემდეგ. გულშემატკივრები დააბრუნებენ ყვავილებს გამყიდველ გოგონას და დასვამენ თავის ადგილზე, სვეტთან, გოგონა ცდილობს დამშვიდდეს).

მაყურებელი - რა თქმა უნდა, ჯაშუში არ არის. ერთი ახირებული კაცია, ესაადა ეს, დამერწმუნეთ. აბა ფეხსაცმელს დახედეთ.

კაცი წიგნაკით - (მხიარულად მოუბრუნდება მაყურებელს) რა მაგის პასუხია და როგორ არიან თქვენები სელში?

მაყურებელი - ვინ გითხრათ, რომ ჩემები სელში ცხოვრობენ?

კაციწიგნაკით - ნუ გეშინიათ, არავის უთქვამს. (ყვავილების გამყიდველ გოგოს) იმ სიმორიდან აქ რამ მოგიყვანა? შენ ხომ ლისონ გროვში ხარ დაბადებული?

ყვავილების გამყიდველი გოგო - (შეშინებული) მერე რა დავაშავე ლისონ გროვიდნ რომ ჩამოვედი. იქ საღორეზე უარეს ბინაში ვცხოვრობდი, კვირაში 4 შილინგი და 6 პენი უნდა მეხადა. (ტირის) ო-ო-ოჰო-ო-ო-ო.

კაციწიგნაკით - სადაც გენებოს იქ იცხოვრე, ოღონდ ტირილი შეწყვიტე.

ჯელტმენი - (ყვავილების გამყიდველი გოგოს) კარგი, ნუ ტირი, გეყოფა, ხელს არ გახლებს, სადაც გინდა იქ იცხოვრე.

გამქირდავი მაყურებელი - (ჩადგება წიგნაკიან კაცსა და ჯელტმენს შორის) მაგალითად პარკ- ლეინში. მართლა, მე თქვენთან კამათი მინდა შაცხოვრებელი ბინის საკითხზე.

ყვავილების გამყ. გოგო - (ტავს ჩარგავს კალტაში და ბუტბუტებს სასოწარკვეთილი) მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

გამქირდავი მაყურებელი - (ყურადღებას არ აქცევს გოგოს) იქნება ისიც იცოდეთ მე საიდანა ვარ?

კაცი წიგნაკით - (სწრაფად) ჰოქსტონიდან. (გაისმის ხარხარი. ხალხი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს წიგნაკიან კაცს).

გამქირდავი მაყურებელი - (გაოცებული) თქვენ ვინ ყოფილხართ! სწორედ რომ ჰოქსტონიდან ვარ. მარტლაც ყველაფერი გცოდნიათ.

ყვავილების გამყ. გოგო - (ჯერ კიდევ აღელვებული) არავითარი უფლება არა აქვთ ჩემს საქმეში ჩაერისო, არავითარი.

მაყურებელი - (გოგოს) რა თქმა უნდა, არა აქვს. პასუხი მომთხოვე ასე არ მოეშვა. (წიგნაკიან კაცს) ერთი ეს მითხარით, რა უფლება გაქვთ ყველაფერი იცოდეთ იმ ადამიანებზე, რომელთაც თქვენთან, არაფერი ჰქონიათ და არც უნდათ იქონიონ?

ყვავილების გამყ. გოგო - რაც უნდა, ისა თქვას, მასთან მაინც არაფერი საერთო არ მინდა.

მაყურებელი - ალბათ, იმიტომ გვეპყრობით ასე, რომ არაფრად გვაგდებთ. ასე არ უნდა იქცეოდეთ, არა.

გამქირდავი მაყურებელი - მართლა ბრძანებაა. თუ მაინც და მაინც მარჩიელობა დაიწყეთ, მაშინ ამ ჯელტმენსაც უთხარიტ საიდანაა ჩამოსული.

კაცი წიგნაკით - ჩელტენ ჰამიდან, ჰაროუდან და ბოლოს ინდოეთიდან.

ჯელტმენი - სრული სიმართლეა. (სიცილ-ხარხარი, წიგნაკიანი კაცისადმი უფრო და უფრო მეტი განეწყობა სიმპათიურად. გაისმის შემახილები: „მან ყველაფერი იცის? „პირდაპირ მოუჭრა, „იმ წარმოსადეგ ჯელტმენს ზუსტად უთხრა საიდანაა ჩამოსული, „საოცარია და ასე შემდეგ) ნება მომეცით სეგეკითხოთ, სერ. თავს იმით ირჩენთ, რომ ამ ნომრით გამოდიხართ მიუზიკ-ჰოლში?

კაცი წიგნაკით - არ, მაგრამ, მიფიქრია კი. ოდესმე შეიძლება მართლა გავაკეთო. (წვიმამ გადაიღო, ხალხი თანდათან იშლება).

ყვავილების გამყ. გოგო - (შეურაწყოფილი იმით, რომ ხალხი სიმპათიურად განეწყობა წიგნაკიანი კაცისადმი) ის ჯელტმენურად რომ იქცეოდეს, საბრალო გოგოს არ შეურაცხოვდა, არა.

ქალიშვილი - (მოთმინებიდან გამოსული უხეშად გაემართება ჯელტმენისაკენ, ეს უკანასკნელი თავაზიანად უთმობს ადგილს) მიწამ ხომ არ ჩაყლაპა ფრედი? ამ სიცივეში, თუ კიდევ ცოტახანს დავრჩი ფილტვების ანთება ხელსი მიჭირავს.

კაცი წიგნაკით - (ნიშნავს ამ ქალიშვილის გამოთქმას და თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ნამდვილად ერლსკორტიდანაა“).

ქალიშვილი - (აღშფოთებით) კეთილი ინებეთ და თქვენი უხეში შენიშვნები თქვენთვის სემოინახეთ.

კაცი წიგნაკით - რაო? რაიმე ხომ არ მითქვამს ხმამაღლა? უნებურად მომსვლია, მაგრამ... დედათქვენი კი უეჭველად ეპსომიდანაა.

დედა - (ჩადგება ქალიშვილსა და წიგნაკიან კაცს შორის) პირდაპირ საოცარია, მე ბავშობა სწორედ ეპსომის ახლოს ლარჯლედის პარკში გავატარე.

კაცი წიგნაკით - (უცნაურად გახარებული) ხა, ხა, ხა, ეს რა ბგერები გავიგონ, ბოდიში. (ქალიშვილს) თქვენ ტაქსი გნებავტ არა?

ქალიშვილი - როგორ მიბედავთ ლაპარაკს?

დედა - დამშვიდდი, კლარა, დამშვიდდი (ქალიშვილი უკამყოფილოდ აიჩეჩავს მხრებს და ამპარტავნულად განზე გადგება) დიდი მადლობელი ვიქნებით, სერ, ტაქსს თუ გვიშოვით. (წიგნაკიანი კაცი ამოიღებს სასტვენს და უსტვენს) ოჰ, გმადლობ. (მივა ქალიშვილთან. წიგნაკიანი კაცი გამაყრუებლად უსტვენს).

გამქირდავი მაყურებელი - ესეც თქვენ! ხომ გითხარით გადაცემული ჯაშუშია მეთქი.

ყვავილების გამყ. გოგო - (ისევ შეურაცხყოფილი) მას უფლება არა აქვს სახელი გამიტეხოს, არა. მე ისევე მჭირდება კარგი სახელი, როგორც რომელიმე ლედის.

კაცი წიგნაკით - არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა, მაგრამ უკვე ორი წუთია, რაც წვიმამ.

გადაიღო.

მაყურებელი - მართლა გადაუღია. ღომ გვასმენინებთ ამ თქვენ სულელურ ლაპარაკს, აქამდე ვერ თქვით? (გაემართა სტრენდისაკენ).

გამქირდავი მაყურებელი - ახლა მეც შემიძლია გითხრათ თქვენ საიდან ხართ. ჰანველის საგიჟეთიდანა ხართ გამოქცეული. ჰოდა, გირჩევნიათ ისევ იქ დაბრუნდეთ.

კაცი წიგნაკით - (უმწეოდ) ჰანველის საგიჟეთიდან?

გამქირდავი მაყურებელი - (ცდილობს, რაც შეუძლია გარკვეულად და მოხდენილად გამოსთქვას) მადლობელი გახლავართ, მასწავლებელო ხა, ხა, ხა, ნახვამდის. (დამცინავად მიიღებს ხელს ქუდზე თითქოს ესალმებო და გადის).

ყვავილების გამყ. გოგო - ტყუილად აშინებს ხალხს, ნეტავი ერთი მაგასაც ვინმე დაუფრთხობდეს ანგელოზებს.

დედა - უკვე გამოიდარა. კლარა, ავტობუსის გაცქერებამდის ფეხით მოვიდეთ. წავიდეთ, წავიდეთ. (კაბის ბოლოს აიკრეფს და გაეშურება სტრენდისაკენ).

ქალიშვილი - ტაქსი? (დედამისს არ ესმის) ღმერთო ჩემო,რა უბედურებაა!
(გაბრაზებული მიჰყვება დედას, ხალხი ნელ-ნელა იშლება. რჩებიან მხოლოდ
წიგნაკიანი კაცი, ჯენტლმენი და ყვავილების გამყიდველი გოგონა, რომელსაც
წესრიგში მოჰყავს თავისი კალათა და ისევ უკმაყოფილოდ ბუტბუტებს).

ყვავილების გამყ. გოგო - ეხ, შე საბრალო გოგონავ! ისედაც რა ცხოვრება გაქვა და
კიდევ შენ შეურაცგოფენ.

ჯენტლმენი - (უბრუნდება თავის ადგილს, წიგნაკიანი კაცის მარცხნივ) ნება მომეცით
გკითხოთ, როგორ ახერხებთ ყოველივე ამას?

კაციწიგნაკით - სრულიად უბრალოდ, ფონეტიკის საქმეა. ფონეტიკა ბგერების
შემსწავლელი მეცნიერებაა. ესაა ჩემი პროფესია და ჩემი მოწოდება. ბედნიერია ის კაცი,
რომლის ცხოვრების წყაროც მისი საყვარელი საგანია. თქვენ ალბათ ირლანდიელ
იორკლშირელისაგან არჩევთ, მე კი ექვსი მილის სიზუსტით შემიძლია გამოვიცნო ვინ
სადაურია. ლონდონში ორი მილის სიზუსტითაც ვარჩევ. ზოგჯერ იმასაც ვარკვევ,
რომელი ქუჩის მცხოვრებია.

ყვავილების გამყ. გოგო - რცხვენოდეს მაინც ამ ლაჩარს.

ჯენტლმენი - მერე, ეს საკმაო შემოსავალს იძლევა საცხოვრებლად?

კაცი წიგნაკით - როგორ არა, ჩინებულ შემოსავალს იძლევა. ჩვენი საუკუნე
გადიდკაცებულ მდაბიოთა საუკუნეა. ზოგიერთი ქალაქ კენტში იწყებს მოღვაწეობას 80
გირვანქა წლიური შემოსავლით და კარიერას პარკ ლეინში ამთავრებს 100 ათასით. მათ
უკვე ქალაქ კენტის ხსენებაც აღარ უნდათ, მაგრამ სალაპარაკოდ პირს დააღებენ თუ
არა, მაშინვე მჟღავნდება, რომ პროვინციელები არიან.

ყვავილების გამყ. გოგო - მაგას ურჩევნია თავისთვის ეგდოს, სხვის საქმეებში ნუ
ეჩრება და მეც თავი დამანებოს.

კაცი წიგნაკით - (გაშმაგებული) ქალო, ან შეწყვიტე ეგ აუტანელი ბუზღუნნი ანდა წადი
და რომელიმე სხვა ეკლესიას შეეფარე.

ყვავილების გამყ. გოგო - (გაუბედავად, მაგრამ გამომწვევად) მე ისეთივე უფლება
მაქვს აქ ყოფნისა, როგორც თქვენ.

კაცი წიგნაკით - ქალს, რომელიც ასე ლაპარაკობს და ასეთ საშინელ ბგერებს უშვებს,
საერთოდ არა აქვს ცხოვრების უფლება. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ადამიანური არსება
ხარ, ადამიანური სული გიდგას და ღვთისაგან მეტყველების უნარი გაქვს
მონიჭებული, რომ შენი მშობლიური ენა შექსპირის, მილტონის და ბიბლიის ენაა.
ჰოდა, ასე საცოდავად ნუ ზიხარ მანდ და ნუ კრუსუნებ.

ყვავილების გამყ. გოგო - (ღონემიხდილია, სახესე ეხატება გაოცება და მუდარა, მაგრამ
თავის აწევას ვერ ბედავს) ვაი,-უ-ოი-უ-უ-უ-უ-უ-.

კაცი წიგნაკით - (სასწრაფოდ ამოიღებს ჯიგიდან წიგნს) ღმერთო ჩემო, ეს რა ბგერებია! (იჭერს. შემდეგ კითხულობს და ზუსტად აჯვარებს გოგონას) ვაი,-უოი-უ-უ-უ-უ.

ყვავილების გამყ. გოგო - (ეს მიბაძვა ისე იმოქმედებს,რომ ძალაუნებურად ეცინება) უჰ-შენი...

კაცი წიგნაკით - დააკვირდით ამ არსებას თავისი ქუჩური ინგლისურით , რომელიც მთელი სიცოცხლე ცხოვრების ფსკერზე მიაჯაჭვავს მას. აი რა, სერ, მომეცით 3 თვე და ამ გოგონას ისე გარდავქმნი, რომ ელჩის მისაღებ დარბაზობაზეც კი ჰერცოგის ასულად მიღონ, გნებავთ,, გამყიდველად. მათ ხომ უკეთესი ინგლისური ესაჭიროებათ..

ყვავილების გამყ. გოგო - ეგ რა თქვით?

კაცი წიგნაკით - ქალიშვილო, შენი გაუნათლებლობით შეურაწყოვ ამ სვეტების კეთილშობილურ არქიტექტურას,შეურაყოფას აყენებ ინგლისურ ენასაც და ეს მაშინ, როცა მე შემძლია ტუნდაც შებას დედოფლად გადაგაქციო. (ჯელტმენს) რაო, არა გჯერათ?

ჯელტმენი - რა თქმა უნდა , მჯერა მე თვითონ ინდურ დიალექტებს ვსწავლობ და...

კაცი წიგნაკით - (მოუთმენლად) მართლა? იქნება იცნობთ სამეტყველო სანსკრიტის ავტორს პოლკოვნიკ პიკერინგს?

ჯელტმენი - პოლკოვნიკი პიკერინგი მე გახლავართ. თქვენ ვინა ბრძანდებით?

კაცი წიგნაკით - თქვენს წინაშეა „ჰიგინსის უნივერსალური ანბანი -ს ავტორი ჰენრი ჰიგინსი.

პიკერინგი - (აღტაცებული) ინდოეთიდან თქვენ სანახავად ჩამოვედი.

ჰიგინსი - მე კი ინდოეთში თქვენს შესახვედრად მოვეშურებოდი.

პიკერინგი - სად ცხოვრობთ?

ჰიგინსი - უიმპოლის ქუჩის 27 - ა - ში. ხვალვე მობრძანდით ჩემთან.

პიკერინგი - მე კარსტონში დავბინავდი. ხვალვე წამობრძანდით ჩემთან, ვივახშმით კიდევ და ვისაუბროთ.

ჰიგინსი - ასე აჯობებს.

ყვავილების გამყ. გოგო - (პიკერინგს, ჩავლის დროს) იყიდეთ ყვავილი, კეთილო ჯელტმენო, იყიდეთ, ბინის ქირა ვერაფრით გადამიხდია.

პიკერინგი - ძალიან მწუხვარ, მაგრამ ხურდა არა მაქვს.

ჰიგინსი - (გოგონას მათხოვრობით აღშფოთებული) მატყუარა, შენ არ სთქვი, ნახევარ კრონიანს დაახურდავებო?

ყვავილების გამყ. გოგო - (სასოწარკვეთილი წამოვარდა) გულის მაგივრად ლურსმნები გქონიათ! (კალათას ჰიგინსის ფეხებთან დააგდებს) აი, მთელი კალათა ყვავილები 6 პენიდ წაიღეთ. ეკლესიის ზარი 12 ნახევარს რეკავს.

ჰიგინსი - (ამ ზარის ხმაში ჰიგინსს მოესმის ღვთაებრივი ხმა, რომელიც თითქოსდა საბრალო გოგონას მიმართ გამოჩენილი სიმკაცრისათვის შაყვედურობს) თვითონ ზეცა მკარნახობს: (მოიხდის ქუდს, გოგონას მუჭით ჩაუყრის ფულს კალთაში და მერე პიკერინგს გაედევნება).

ყვავილების გამყ. გოგო - (დაიხრება და აიღებს ნახევარ კრონიანს) ი-ი-ი-ი-ი-ი-ი. (აიღებს ორ ფლორინს) ო-ო-ო-ო-ო-ო (აიღებს რამდენიმე გროშს) ე-ე-ე-ე-ე-ე (აიღებს ნახევარ სოვერენს) უ-უ-უ-უ-უ-უ.

ფრედი - (ჩამოხტება ტაქსიდან) როგორც იქნა ვიშოვე. ამარჯობა. სად წავიდნენ ის ქალბატონები, აქ რომ იცდიდნენ?

ყვავილების გამყ. გოგო - როგორც კი წვიმამ გადაიღო, ავტობუსის გაჩერებისკენ წავიდნენ.

ფრედი - ახლა, ამ ტაქს რა ვუყო? აი, სეირი..

ყვავილების გამყ. გოგო - (ამყად) დარდი ნუ გაქვს, ახალგაზრდავ, მე წავალ ტაქსით სახლში. (მედიდურად გაემართება ტაქსისკენ მძოლოლი მოუკეტავს მანქანის კარს. გოგო მიხვდება თურატომ არ ენდობა მძოლოლი და მთელ მუჭა ფულს უჩვენებს) აი, ტაქსის ფულის გადახდა არაფერია ჩემთვის ჩარლი. (მძოლოს გაელიმება და გაუღებს მანქანის კარს).

ყვავილების გამყ. გოგო - აქ? კალათი?

მძოლოლი - აქ მოიტა, ორი ზედმეტი პენი კალათისათვის უნდა გადაიხადო.

ელიზა - მხოლოდ ისე, რომ კალათი არავინ დაინახოს (ჩააგდებს კალათს მანქანაში და ჯდება. მანქანის ფანჯრიდან აგრძელებს ფრედისთან საუბარს) მშვიდობით, ფრედი!

- (ზანტად მოიხდის ქუდს) მშვიდობით.

მძოლოლი - საით?

ელიზა - ბუკინგამის სასახლეში.

მძოლოლი - ბუკინგამის სასახლეში?

ელიზა - რაო, არ იცი? მწვანე პარკთანაა. იქ, სადაც მეფე ცხოვრობს. მშვიდობით, ფრედი. ნუ მაყურებინებ შენ საცოდაობას, წადი, მშვიდობით.

ფრედი - მშვიდობით. (მიდის).

მძლოლი - მაშ ბუკინგამის სასახლეში? კი მაგრამრა საქმე გაქვს ბუკინგამის სასახლეში?

ელიზა - არაფერი. არ მინდოდა იმ ახალგაზრდას გაეგო სადა ვცხოვრობ. ახლა სახლში წამიყვანე.

მძლოლი - სად?

ელიზა - ანჟელ კორტი, დრიური ლეინი, ნავთის წერტის პირდაპირ.

მძლოლი - ოი, აი ეს უკვე მართალსა ჰგავს. (მანქანა მიდის) მოდი, ჩვენც მივდიოთ მანქანასანანჟელკორტის შესასვლელამდე. მანქანა ჩერდება ვიწრო თაღთან, რომელიც ორ დუქანს შორისაა მოქცეული. ერთ - ერთი ნავთის წერტია. ელიზა თავისი კალათით გადმოვა მანქანიდან.

ელიზა - რამდენი გინდა?

მძლოლი - (უჩვენებს თაქსომეტრს) კითხვა არ იცი? შილინგი.

ელიზა - რა ამბავია ორ წითში შილინგი?

მძლოლი - ორი წუთია თუ ათი, სულ ერთია.

ელიზა - აიღე, მაგრამ ვიცი, რომ მატყუებ.

მძლოლი - რა? ირველად ზიხარ ტაქსში?

ელიზა - (ამაყად) ასჯერ მჯდარვარ თუ ათასჯერ.

მძლოლი - (დაცინვით) კარგი, კარგი, შენთვის შეინახე ეგ შილინგიც, ძვირფასო. თქვენები მომიკითხე, კარგა იყავი. (მიდის).

ელიზა - (დამცირებული) უსირცხვილო. (აიღებს კალათს და მიაქვს ბინაში, რომელიც წარმოადგენს ერთ პატარა ოთახს. მის სველ კედლებზე ჩამომდნმლია გახუნებული შპალიერი. ფანჯრის ჩამტვრეული მინის მაგივრად ქალაღდი გაუკრავს. კედელზეა ვიდაცა უბრალო მსახიობის სურათი და ჟურნალიდან ამოხეული ქალის კაბის ნიმუშები. ფანჯარასთან კიდია ჩიტის გალია ჩიტი დიდი ხანია მკდარია, გალია ალბათ მის მოსაგონებლად ჰკდია. მარტო ეს ფუფუნების საგნები მოჩანს სხვა ყველაფერი სიღარიბეზე მეტყველებს. დანჯღრეული საწოლი, რომელზედაც ჰყრია ყოველგვარი კონკები, რასაც კი გათბობა შეუძლია. აქექილი ჩემოდანი, რომელზედაც აწყვია თეფში, სურა, და პატარა სარკე მოჩანს სკამი, მაგიდა და სამზარეულოს ზოგიერთი ნივთიც. მერიკული მადვიმარა დგას ბუხრის თავზე, რომელშიაც ცეცხლი დიდი ხანია არ დანთებულა. ოთახ ლამპით ნათდება. ქირა: კვირაში ოთქი შილინგი აი, ელიზაც შემოდის. საშინლად დაქანცულია, მაგრამ იმდენად აღელვებულია, რომ იძინებს. ჩამოჯდება. ითვლის თავის სიმდიდრეს და ფიქრობს რა გააკეთოს ამ ფულით ლამპაში ნავთი იღევა და ქრება ელიზას სიამოვნებს იმის შეგრძნებას რომ შეუძლია ერთი პენის

სინათლეც დახარჯოს და არ დაინანოს, თუმცა არც მომჭირნეობის გრძნობას ჰკარგავს. ხომ შეუძლია ზედმეტი პენი არ დახარჯოს სინათლისათვის, სიბნელეში ჩაწვეს ლოგინში და იოცნებოს... ამგვარად მოიხსნის შალს, გაიხდის კაბას და ამ თავის მორთულობას საბნის სამაგიერო კონკებს უმატებს.ფეხსაცმელს გაიხდის და ჩაწვება).

პირველი მოქმედების დასასრული.

- ფ ა რ დ ა - .

მოქმედება მეორე.

მეორე დღე. დილის 11 საათი. ჰჰიგინსის ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. ოთახი მეორე სართულზეა. ფანჯრები ქუჩის მხარეს გადის. ეს ოთახი თავის დროზე სასტუმრო ოთახად იყო განკუთვნილი. უკანა კედლის შუა ორმაგი კარია. ოთახში შემსვლელი მარჯვენა კუთხეში ხედავს ერთმანეთთან სწორი კუთხით იდგმულ ორ კარტოთეკას. იმავე კუთხეში დგას საწერი მაგიდა, რომელზედაც დადგმულია ფონოგრაფი და ლარინგოსკოპი, პატარა- პატარა ორღანის მილები საბერველით, შუშის მილები მოცახცახე ალისათვი, სანთურათი, რომელიც კედელთან შეერთებულია რეზინის მილით. სხვადასხვა კამერტონები, ბუნებრივი სიდიდის ადამიანის თავის ჭრილი, რომელშიაც მოჩანს სახმო ორგანოები. იქვეა ყუთი ცვილისლილვებით ფონოგრაფისათვის.

იმავე მხარეს ოთახის სიღრმეში ღუმელია, იქვე კარის ახლოს დგას რბილი სავარძელი და ნახშირის ყუთი. ღუმელის თავზე დევს საათი. ღუმელსა და ფონოგრაფის მაგიდას შორის პატარა მაგიდაა გაზეთებისათვის.

მთავარი შესასვლელი კარის მარჯვნივ ვხედავთ უჯრებიან კარადას, მასზეა ტელეფონი და სამისამართო წიგნი, თითქმის მთელი კედლის გასწვრივ დგას საკონცერტო როიალ, რომლის კლავიატურა კარისაკენ ზურგითაა მიმართული. როიალთან მოთავსებულია კლავიატურის სიგრზის სკამი. როიალზეა ვაზა ხილით და ტკბილეულობით, რის უმრავლესობას შოკოლადი შეადგენს. გარდა სავარძლისა, როიალის სკამის და ფონოგრაფის მაგიდასთან მდგარი ორი სკამისა, ღუმელის ახლოს ვამჩნევთ ერთ სათადარიგო სკამსაც.

კედელზეა უმთავრესად პირინეზის გრავიურება და მეცოტინტო ორტრეტები, სურათები არ ჩანს.

პიკირინგი უზის მაგიდას, აწყობს ბარათებს და სდებს კამერტონს რომელიც ეს-ესაა უხმარია. ის ახლოს დგას ჰიგინსი და ხორავს გამოღებულ უჯრებს. ილის სინათლეზე იგი ცოცხალ, ჩაფსკვნილ ორმოციოდე წლის მამაკაცად მოჩანს. აცვია თავისი პროფესიონალური შავი სერთუკი, გახამებული თეთრი საყელოთი და შავი აბრეშუმის

ჰალსტუხით. ესაა ენერგიული მეცნიერის ტიპი, რომელიც ფანატიკურად ინტერესდება ყველაფრით, რაც შეიძლება მეცნიერული შესწავლის საგანი იქცეს, მაგრამ უყურადღებოა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გრძნობების მიმართ. თავისი აღნაგობისა და ხნოვანობის მიუხედავად, ის ჩამოგავს ცელქ ბავშვს, რომელიც დიდი ამბით ეხმაურება ყოველგვარ მოვლენას და რომელსაც ესაჭიროება მუდმივი ზედამხედველობა, რომ რაიმემისდაუნებურად არ გააფუჭოს. ისი გულკეთილი ბუზღუნია, როდესაც კარგ გუნებაზეა, გადადის სასტიკ მრისხანებასი, როცა რაიმე მისი სურვილის წინააღმდეგ კეთდება. მაგრამ მაინც იმდენად გურჯფელია და შორსაა ბოროტებისაგან, რომ, მაშინაც კი, როცა აშკარად ტყუის. არ შეიძლება მის მიმართ სიმპათიურად არ განეწყოს.

ჰიგინსი - (ხურავს უკანასკნელ უჯრას) კეთილი, მგონი ამით მოვრჩით.

ჰიკერინგი - პირდაპირ საოცარია, უნდა გითხრათ, რომ ნახევარიც ვერ დავიმახსოვრე.

ჰიგინსი - იქნება ზოგიერთის ხელმეორედ მოსმენა გენებოთ?

ჰიკერინგი - (წამოდგება, მიდის ღუმელთან და დგება ცეცხლთან ზურგშექცევით) არა, გამადლობთ. სხვა დროს იყოს, ახლა ძალიან დავიღალე.

ჰიგინსი - (გამოყვება მას და მარცხენა მხრიდან ამოუდგება) ბგერების მოსმენით დაიაღალეთ? ჰიკერინგი - დაიხ, დიდ დამაბულობას მოითხოვს. წარმოიდგინეთ, ვამაყობდი კიდევ, რომ 24 ხმონის წარმოთქმა შემეზლო, მაგრამ თქვენმა 130-მა პირდაპირ ბოლო მომიღო. მათს უმრავლესობას შორის მცირეოდენ განსხვავებასაც ვერ ვამჩნევ.

ჰიგინსი - (სიცილით მიდის როიალთან და ჭამს ტკბილეულს) ო, ეს პრაქტიკის საქმეა, პირველად, რა თქმა უნდა ვერ შეამჩნევთ განსხვავებას, მაგრამ განმეორებით მოისმენთ თუ არა, დარწმუნდებით, რომ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ანსა და ბანს შორის. (შემოიხედავს ჰიგინსის დიასახლისი, ქალბატონი პირსი) რა მოხდა?

ქ-ნი პირსი - (გაუბედავად ყოყმანით) ვიგაცა ახალგაზრდა ქალს, თქვენი ნახვა სურს!

ჰიგინსი - ახალგაზრდა ქალს? რა უნდა?

ქ-ნი პირსი - არ ვიცი, სერ! ასე თქვა: როცა გაიგებს რისთვისა ვარ მოსული, გაუხარდებაო. დაბიო ქალია, სერ, მეტად მდაბიო. გავაბრუნებდი, მაგრამ გავიფიქრე, იქნებ პროფესორს უნდა თავის მანქანაში ალაპარაკოს---მეთქი. მგონი კარგად მოვიქეცი, მაგრამ, ხანდახან მეტად უცნაური ხალხი დადის და... მაპატიეთ, სერ, მე...

ჰიგინსი - კეთილი, კეთილი, ქ-ნი პირს, საინტერესო გამოთქმა აქვს?

ქ-ნი პირსი - ოჰ, რაღაც საშინელი, სერ, ნამდვილად საშინელი. მაკვირვებს, რა საინტერესოა ასეთი გამოთქმები?

ჰიგინსი - (პიკერინგს) შემოუშვათ? ქ-ნო პირს , შემოუშვით. (სწრაფად მიდის სამუშაო მაგიდასთან და აიღებს ლილვაკს ფონოტრაფისათვის).

ქ-ნი პირსი - (ნახევრად დარწმუნებული უცხო ქალიშვილის შემოშვების საჭიროებაში) კეთილი, თქვენი ნებაა, სერ.(ძირს ჩადის) პიგმალიონი.

ჰიგინსი - პირდაპირ მისწრებაა. ფირის დამზადებას გაჩვენებთ. დავსვამ და მის ნალაპარაკებს ბელის ასოებით ჩავიწერ, შემდეგ ლათინურად, ბოლოს კი ფონოგრაფიულად, ასე რომ, როდესაც მოგიხდებათ, შეგიძლიათ, რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ მოუსმინოთ მის ხმას, თანაც ჩანაწერი მოიშველოთ.

ქ-ნი პირსი - (ბრუნდება) აი, აის ახალგაზრდა ქალი, სერ. (ოთახში მედიდურად შემოდის ყვავილლების გამყიდველი გოგონა. ღუდზე უკეთია ფარშევანგის სამი ბუმბული: მწვანე, ცისფერი და წითელი. ახლა მისი წინსაფარი შედარებით უფრო სუფთაა. წელში გამოყვანილი პალტო ცოტა დაუგრძელებია. ამ სავალალო არსების აღზნეულება თავისი უმანკო ამოებითა და თვითკმაყოფილებით ააღელვებს პიკერინგს, რომელიც ქ-ნი პირსის თანდასწრებით წელში სწორდება. რაც შეეხება ჰიგინსს, ერთადერთი განსხვავება, რასაც იგი ხედავს მამაკაცსა და ქალს შორის ისაა, რომ როცა უმნიშვნელო რამეზე გაბრაზებული არ არის, ქალებს ისევე ელონიავენ, როგორც ბავშვი ძიძას, რომელმაც მას რაიმე უნდა გამოსტყუოს).

ჰიგინსი - (ერთბაშათ იცნობს გოგონას და ბავშვურად გამოსთქვამს იმედის გაცურებით გამოწვეულ სინანულს). ეს ხომ ის გოგონა, რომელსაც წუხელ ვესაუბრე, უსარგებლოა ჩემთვის, ლისონგროული გამოთქმები სულ ჩაწერილი მაქვს, ამისათვის ლილვაკს არ გავაფუჭებ. (გოგოს) წადი; საჭირო არა ხარ. ყვავილების გამყ. გოგო - ნუ ჩქარობთ, ჯერ ხომ არ იცით რისთვის ვარ მოსული? (ქ-ნი პირსს, რომელიც კარებთან უცდის შემდგომ მითითებებს) ტაქსით რომ მივყავი, უთხარით?

ქ-ნი პირსი - ნუ სულელობ, გოგო. ისეთ ჯელტმენს, როგორც მისტერ ჰიგინსია, რაში აინტერესებს რითი მოხვედით? ყვავილების გამყ. გოგო - რაში და ჩვენ ვამაყოფთ. გავიგე, რომ ის გაკვეთილებს იძლევა. თვითონ. თქვა. ჰოდა, მე ქათინაურებისათვის კი არ მოვსულვარ. თუ ჩემი ფული აქ არ ფულობს, სხვაგან წავალ.

ჰიგინსი - რისთვის არ ფულობს? ყვავილების გამყ. გოგო - რისთვისა და თქვენთვისა, გაიგეთ? მე გაკვეთილების მისაღებათ მოვსულვარ, საფასურს გადავიხდი - თქო. რისი გეშინიათ?

ჰიგინსი - (გაშეშებული) რაო? (ძლივს მოითქვამს სულს) შენის აზრით, რის თქმას ელი ჩემგან?

ყვავილების გამყ. გოგო - თუ ნამდვილი ჯელტმენი ხართ, სკამის შემოთავაზებას.

ხომ გითხარით, საქმეზე მოვედი - მეთქი - თქო.

ჰიგინსი - პიკერინგ, ეს საფრთხობელა დავსვათ თუ ფანჯრიდან გადავადლოთ?

ყვავილების გამყ. გოგო - (შეშინებული გაიქცევა როიალისაკენ და კედლის კიდეს მიეკვრება).

ა-ო-უ-უ-უ-უ. (შეურაცხოვილ საბრალო ხმით) რატომ მეძახით საფრთხობელას. მე ხომ.

საფასურს ისევე გაძლევთ, როგორც ყოველი ლედი? (გაოცებული ჯენლტმენები ოთახის მეორე კუთხიდან მდუმარედ შესცქერიან გოგოს).

პიკერინგი - (დაუვავებით) კი, მაგრამ მაინც რა გნებავთ?

ყვავილების გამყ. გოგო - მე მიდა საყუაილე მაღაზიაში ვიმუშაო, როგორც ლედიმ, ტოტენჰამ კორტროუდზე აღარ ვიწანწალო ყვავილებით ხელში. ჩემი ლაპარაკი არ მოსწონთ და არ მიღებენ. აი ამან კი თქვა, შემიძლია გასწავლოვო - ო. ჰოდა, მოვედი, ქირასაც ვიხდი, - წაყალობას კი არ ვთხოვლობ. ეს კი ისე მეპყრობა თითქოს მისი ფეხის მტვერი ვიყო.

ქ-ნი პირსი - რატომ ხარ ასეთი სულელი და გაუნათლებელი, რომ გგონია შესძლებ მისტერ ფიგინსს შესაფერი გასამრჯელო გადაუხადო?

ყვავილების გამყ. გოგო - რატოაც არა! მეც ისევე ვიცი რა ღირს გაკვეთილი, როგორც თქვენ. ჰოდა, გადავიხდი კიდევ.

ჰიგნისი - რამდენს?

ყვავილების გამყ. გოგო - (გახარებული მიუახლოვდება ჰიგნისს) აი, ეს სხვა საქმეა ვიცოდი, რომ ხელიდან არ გუშვებდით შემთხვევას იმ ფულის ნაწილი მაინც დაგებრუნებინათ, რომელიც გუშინ მომეცით. (შინაურულად) ცოტა გადაყლაპული იყავით, არა?

ჰიგნისი - (ბმანებლურად) დაჯექით!

ყვავილების გამყ. გოგო - მაგრამ, თუ ცალი ყბით ამბობთ ამას?

ჰიგნისი - (უყვირის) დაჯექი!

ქ-ნი პირსი - დაჯქი, გოგო. გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან.

ყვავილების გამყ. გოგო - ა-ო-უ-უ-უ-უ (დგება აღშფოთებული, გაშმაგებული).

პიკერინგი - (დაყვავებით) დაბრძანდით. (ის დგამს სკამს მასა და ჰიგნისს შორის).

ელიზა - (დარცხვენით) თუ არაფერი გაქვს საწიააღმდეგო... (ჯდება პიკერინგი ღუმელს უბრუნებდა).

ჰიგნისი - (კითხულობს პათოსით) ელიზა, ელისაბედი, ბესი და ბეტსი ბუდის სამებნელად გაეშურნენ ტყეში.

პიკერინგი - ნახეს რა ბუდე და ოთხი კვერცხი მასში,

ჰიგინსი - სამი აქ დატოვეს, თითოწამმოიღეს სახლში. (თავიანტ ხუმრობაზე თვითონვე ეცინებად).

ელიზა - ნუ სულელობთ.

ქ-ნი პირსი - ასე უნდა მიმართო ჯენტლმენს?

ელიზა - თვითონ რატომ არ მელაპარაკება ადამიანურად?

ჰიგინსი - საქმეს დავუბრუნდეთ. გაკვეთილში რას მომცემ?

ელიზა - ოჰ მე ვიცი რა ღირს გაკვეთილი. ერთი ჩემი მეგობარი ლედი 18 პენის უხდის საათში ნამდვილ ფრანგ ჯენტლმენს, ფრანგული ენის გაკვეთილში და თქვენ ნუთუ ესეთი უსინდისო იქნებით, რომ იგივე საფასური მომთხოვოთ ჩემი მშობლიური ენის სწავლებაში? შილინგს მოგცემთ, აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

ჰიგინსი - (ბოლთას სცემს, ჯიბეში გასაღებს და ხურდა ფულს აჩხანურებს) იცით რა, პიკერინგ, თუ ამ შილინგს შევხედავთ არა როგორც უბრალო შილინგს, არამედ, როგორც ამ გოგონას სემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს, დავინახავთ, რომ ეს იგივე იქნება, რაც მილიონერისაგან 60 ან 70 გინიას მიღება.

პიკერინგი - როგორ?

ჰიგინსი - აი, იანგარიშე. მილიონერი დღეში 150 გირვანქა სტერლინგს მაინც იღებს, ეს გოგო კი დღეში ნახევარ კრონს შოულობს.

ელიზა - (შემფოთებული) ვინ გითხრათ? მე მხოლოდ...

ჰიგინსი - (განაგრძობს) ეს გოგონა გაკვეთილში მთავაზობს თავისი დღიური შემოსავლის 2/5.ს. მილიონერის შემოსავლის 2/5. კი დღეში 60 გირვანქა სტერლინგია. ღმერთმანი, უდიდესი საფასურია. ასეთი ფასი ჩემთვის არასოდეს არ მოუციათ.

ელიზა - (წამოდგება შეშინებული) 60 გირვანქა სტერლინგი? რას ამბობთ, რასა? მე როდის ვთქვი 60 გირვანქა სტერლინგს მოგცემთ მეთქი? საიდან ვიშოვი ამდენს?

ჰიგინსი ენა გააჩერე!

ელიზა (ტირილით) საიდან ვიშოვო 60 გირვანქა სტერლინგი?

ქ-ნი პირსი - ნუ ტირი, სულელო. იჯექი მანდ. შენს ფულს არავინ ეხება.

ჰიგინსი შეგეხებიან იატაკის საწმენდი ჯოხით, თუ ახლავე ტირილს არ შეწყვეტ. დაჯექი.

ელიზა (დაემორჩილება) ა ო უ უ უ უ. რას მიჯავრდებით? ვილაცას მამაჩემი ეგონებით.

ჰიგინსი თუ მოწაფედ აგიყვანე, იცოდე, ორ მამაზე უარესი ვიქნები შენთვის. აჰა, გამომართვი (აძლევს აბრეშუმის ცხვირსახოცს).

ელიზა რისთვის?

ჰიგინსი თვალების მოსაწმენდად. სახის ყველა იმ ნაწილის მოსაწმენდად, რომელიც სველი აღმოგაჩნდება. დაიმახსოვრე: ეს შენი ცხვირსახოცია, ეს კი შენი სახელო და, თუ მაღაზიის გამყიდველი გოგო გინდა გახდე, ერთის საქმეს მეორეს ნუ აკეთებინებ.

(გაშმაგებული ელიზა უმწეოდ შესცქერის მათ).

ქ ნი პირსი მისტერ ჰიგინს, ამასთან ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს: ამაოდ ირჯებით, სულ ერთია, მაინც არ იჯერებს.

(ცხვირსახოცს გამოართმევს).

ელიზა (ცხვირსახოცს გამოსტაცებს) მოიტა, მოიტა, ეს ცხვირსახოცი მე მომცა, შენ კი არა.

პიკერინგი (სიცილით) მართაღს ამბობს! ქ ნო პირს, ახლა ეს ცხვირსახოცი მის კუთვნილებათ უნდა ჩაითვალოს.

ქ ნი პირსი (მდგომარეობა შეურიგებელი) კარგი, კარგი, ჰქონდეს,

პიკერინგი ჰიგინს, ამ ამბავმა ძალზე დამაინტერესა. გახსოვთ რა თქვით ელჩის მისაღებად გამართულ წვეულებასთან დაკავშირებით, თქვენს სიტყვას თუ შეასრულებთ, ჩვენი დროის უდიდესი პედაგოგად მიგიჩნევთ. დავნადღენდეთ, თუ თქვენ მოიგებთ, მე დავფარავ ექსპერიმენტისათვის გაწეულ ხარჯებს და გაკვეთილების საფასურსაც მე გადავიხდი.

ელიზა კეთილი ბრძანებულხართ გმადლობთ კაპტანო.

ჰიგინსი (შესცქერის ელიზას) ეს გოგო იმდენად მდაბიო და ჭუჭყიანია, რომ მართლა ღირს მისი აყვანა.

ელიზა (საშინლად ღმფოთებული) აა ოო უ უ უ ო ო!!! მე ჭუჭყიანი არა ვარ, არა, წამოსვლის წინ ხელპირი დავიბანე, დავიბანე.

პიკერინგი მჯერა, რომ ამ გოგონას გულს ქათინაურებით უთუოდ მოინადირებთ.

ქ-ნი პირს - (შეშფოთებული) ოჰ, ნუ იტყვით ამას, სერ:გოგოს გულის მონადირებას ბევრი არაფერი უნდა. ამისთვის უამრავი საშვალეა არსებობს. მისტერ ჰიგინსზე უკეთესი ოსტატი კი ამ საქმეში არავინაა. თუმცა, ხანდახან შეიძლება ამის გაკეთება არც კი უნდოდეს. იმედი მაქვს, სერ, რომ არ წააქეზებთ მას რაიმე სისულელე ჩაიდინოს.

ჰიგინსი - (რაც უფრო გაუგდება თავში პიკერინგის აზრი, მით უფრო აღიგძნება) რა არის ცხოვრება, თუ არა შთაგონებულ სისულელეთა წყება? ერთადერთი სიძნელე ისაა, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ პოულობს მათი განხორციელების საშვალეებს. თუ შესაძლებლობამოგეცა, ხელიდან არ უნდა გაუშვა: ყოველდღე როდი მოგეცემა იგი. ამ შავტუხა ქუჩის მაწანწალას მე ჰერცოგის ასულად გადავაქცევ, გადაწყვეტილი ამბავია.

ელიზა - (თავი დახასიათებით მეტად განაწყენებული)ა-ოო-ეე-უუ- ვაი!

ჰიგინსი - (გატაცებული) დიახ გადაწყვეტილია. ექვს თვეში, არა, უფრო ადრეც, სამ თვეში, - თუ ამ გოგონას კარგი ყურები და მოქნილი ენა გააჩნია. სწავლებას დღესვე შევუდგები. თუმცა, რაღა დღესვე, ახლავე, ამ წუთას. ქ-ნო პირს ახლავე წაიყვანე და გაასუფთავე. თუ ისე არ მოსცილდეს ჭუჭყი, ფხვნილით გახეხე. სამზარეულოში ცეცხლი გინთია?

ქ-ნი პირსი - (აღშფოთებული) მინთია, მაგრამ...

ჰიგინსი - (ყვირილით) ტანსაცმელი გახადე და დასწვი უიტლეისან ვინმე სხვას დაურეკე, ახალი ტანისამოსი მოუტანონ. მათ მოვლამდე კი ქალაღში გაახვიე.

ელიზა - თქვენ ჯელტმენი არა ყოფილხართ, ამის თქმას როგორ კადრულობთ, არა, არა ყოფილხართ, მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი და კარგად ვიცი რანი ხართ თქვენა და თქვენისთანები, ვიცი, ვიცი.

ჰიგინსი - გოგო, ჩვენ რაში გვესაჭიროები შენი ლისინგროული სათნოება? ჰერცოგის ასულის მიხრა - მოხრა უნდა ისწავლო. წაიყვანე, ქ-ნო პირს, თუ არ დაგემორჩილოს, ერთი მაგრად მიტყვიპე.

ელიზა - (წამოვარდება და ჩადგება პიკერინგსა და ქ-ნ პირსს შორის, მფარველობას ეძებს მათთან) პოლიციას დავუძახებ, პოლიციას.

ქ-ნი პირსი - კი, მაგრამ სად უნდა დავაბინავოთ არ ვიცი.

ჰიგინსი - სანაგვე ყუთში.

ელიზა - ა-ა-ა-ე-ე-ე-უ-უ-უ.

პიკერინგი - კარგი, ჰიგინსს, კარგი ისე ცუდად ნუ ეპყრობით.

ქ-ნი პირსი - (გაბედულად) დიხ, უფრო გონივრულდ მოექცეცით, მისტერ ჰიგინს! ასე ყველას შეურაცხყოფა არ იქნება. (გაკიცხული ჰიგინსი მოლბება. ქარიშხალს გაოცების სიო შეცვლის).

ჰიგინსი - (პროფესიონალური მოხდენიობით იცვლის ტონს) მე განა ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ? ჩემო ძვირფასო ქ-ნო პირს, პიკერინგ ძვირფასო, ფიქრადაც არასოდეს მქონია ვინმეს სეურაცხყოფა. ახლა კი ჩემი ერთადერთი განზრახვაა კარგადმოვეპყრათ ამ საბრაჯო გოგონას. დავეხმაროთ მას ცხოვრების ახალი პირობების

შეასაგუებლად მოემზადოს. თუ მაშინათვე ასე მკაფიოდ ვერ გამოვთქვი ეს აზრი, მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინოდათქვენი და მისი გრძნობები არ შემეღაზა.

ელიზა - (ამ სიტყვებით გამხნეებული, ფეხაკრეფით უბრუნდება თავის სკამს.).

ქ-ნი პირსი - რაო? ასეთი ამბავი ოდესმე გსმენიათ, სერ?

პიკერინგი - (გულიანად იცინის) არსოდეს, ქ-ნო პირს, არასოდეს.

ჰიგინსი - (მშვიდად) რა მოხდა?

ქ-ნი პირსი - საქმე ისაა, სერ, რომ არ შეიძლება ისევე უბრალოდ აიყვანო უცხო გოგონა, როგორც კენჭს იღებენ ზღვის პირიდან.

ჰიგინსი - რატომ?

ქ-ნი პირსი - რატომ და მის შესახებ არაფერი იცით. არ იცით ვინაა მისი მშობლები, იქნება გათხოვილიცაა.

ელიზა - კიდევ რა!

ჰიგინსი - კარგად მოგიჭრა: კიდევ რაო. აბა, რა უგავს გათხოვილს? განა არ იცი, რომ მისი კლასის ქალიშვილები გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ ორმოცდაათი წლის ბებრუცუნებს ემსგავსებიან.

ელიზა - მე ვის ვუნდივარ?

ჰიგინსი - (ერთბაშად გადავა დაბალ მშვენიერ ტონზე, რომელიც ენამზეობის ნიმუშადაა მიჩნეული) ღმერთმანი, ელიზა, ჰერცოგის ასულად გაქცევ თუ არა, იმდენს მოაჯადოებ, რომ ქუჩები შენი თაყვანისმცემლების ცხედრებით მოიფინება.

ქ-ნი პირსი - სისულელეს ამბობთ, სერ, ასე ნუ ელაპარაკებით, ნუ.

ელიზა - (გაბედულად წამოდგება) მივდივარ. გიჟია, სულელია. მე სულელი მასწავლებელი არ მინდა.

ჰიგინსი - (განაწყნებული იმით, რომ ელიზა გულგრილად მოეკიდა მის დახვეწილ მეტყველებას) მართლა? გიჟი ვარ? კეთილი პატიოსანი. ქ-ნო პირს, საჭირო აღარ არის ამისათვის ახალი ტანსაცმლის შკვეთა, წაიყვანე და გააგდე.

ელიზა - ო,ო, თქვენ უფლება არა გაქვთ ხელი შემახოთ.

ქ-ნი პირსი - ხომ ხედავ თავხედობას რა მოსდევს. (კარებისაკენ მიუთითებს) აი, აქედან გადი.

ელიზა - (თითქმის აცრემლებული) რად მინდოდა თქვენი ტანსაცმელი.

ჰიგინსი - (მოხერხებულად დაიჭერს ცხვირსახოცს და კარებისაკენ მიმვალ ელიზას გზას გადაუღობავს) სულელი და უმადური ხარ. მე მინდოდა წუმპედან ამომეყვანე, ლამაზად გამომეწყვე და ნამდვილ ლედიდ მექციე, ამით მიხდი?

ქ-ნი პირსი - კმარა, მისტერ ჰიგინს, სმის ნებას აღარ მოგცემთ. სულელი ის კი არაა, თქვენა ხართ. (გოგოს) მშობლებთან წადი, გოგო, - და უთხარი ცოტა უფრო გაგიფრთხილდნენ.

ელიზა - მშობლები აღარა ყავს. ასე მითხრეს, საკმაოდ მოზრდილი ხარ იმისათვის რომ ლუკმა - პური იშოვო და გამოაგდეს.

ქ-ნი პირსი - სად ცხოვრბს დედაშენი?

ელიზა - დედა არა მყავს. ის ქალი კი, რომელმაც გამომაგდო, ჩემი მეექვსე დედინაცვალია. უიმათოდ ვცხოვრობ და, ცუდი არაფერი იფიქროთ, წესიერი გოგო ვარ, წესიერი.

ჰიგინსი - კეთილი და პატიოსანი. ხედავ რა ტყუილად ატეხეთ აურზაური? ეს გოგო არავის არ ეკუთვნის და არც არავის სჭირდება ჩემს გარდა (მივა ქ-ნ პირსთან და შემპარავად ეუბნება) რა იქნება იშვილოთ, ქ-ნო პირს? მგონი ურიგო არ იქნება ქალიშვილი იყოლიოთ! ახლა მეტი აურზაური არ ატეხოთ, ჩაიყვანეთ ძირს და...

ქ-ნი პირსი - მერე? რა ვუყოთ? ფული ვაძლიოთ? გონს მოდით, სერ.

ჰიგინსი - თუ საჭირო იქნება, მიეცით კიდეც და დავთარში შეიტანეთ. (მოუთმენლად) თუმცა რაში დასჭირდება ფული? საჭმელი ექნება და ტანსაცმელიც. ფული რომ მისცე, დალევს და ეგ იქნება.

ელიზა - (მოუბრუნდა ჰიგინსს) სულელი ხართ, სულელი. სიცრუეა ჯერ არავის უნახავს, რომ დამელიოს (პიკერინგს) ოჰ, სერ, თქვენ ჯელტმენი ხართ, თხარით ასეთ რამეებს ნუ ლაპარაკობს ჩემზე.

პიკერინგი - (დამრიგებლური ტონით) ჰიგინს, რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ გოგონასაც გააჩნია თავისი გრძნობები.

ჰიგინსი - (ახედ - დახედავს ელიზას) არა მგონია რაიმე გრძნობა გაჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი გრძნობა არ გააჩნია, რომ ჩვენს შეწუხებად ღირდეს. (მხიარულად) გაქვს კი რამე გრძნობა, ელიზა?

ელიზა - თქვენ რომ გაქვთ ისეთივე მაქვს მე გრძნობები.

ჰიგინსი - (პიკერინგს ჩაფიქრებული) ჰხედავ რა ძნელია?

პიკერინგი - რა არის ძნელი?

ჰიგინსი - რა და, გრამატიკულად რომ ალაპარაკო, გამოთქმის გამოსწორებაშედარებით ადვილია.

ელიზა - არ მინდა გრამატიკის ლაპარაკი. მე მხოლოდ ისე მინდა ვილაპარაკო, როგორც ყვავილების მაღაზიაში მოვაჭრე ლედიმ.

ქ-ნი პირსი - მისტერ ჰიგინს, დაუფიქრდით რას აკეთებთ. გამაგებინეთ რა პირობით იქნება გოგო აქ მიეცემა თუ არა ჯამაგირი, რა უნდა ვუყოთ მას, როცა სწავლებას დაამთავრებთ? ყველაფერი ეს წინასწარ არ უნდა იცოდეთ?

ჰიგინსი - (მოუთმენლად) წუმპეში რომ დავტოვოთ, მაშინ რა მოუვა? რატომ ამაზე არაფერს ამბობთ, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი - ეს მისი საკუთარი საქმეა და არა თქვენი, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი - სწავლას რომ მოვრჩებით, ისევ წუმპეში გადავისვრით და მერე რას გააკეთებს, ისევ მისი საკუთარი საქმე იქნება. ეს არის და ეს.

ელიზა - გრძნობები სრულებით არა გქონიათ გულში, არა.მარტო საკუთარ თავზე ზრუნავს. (წამოდგება და მტკიცედ წარმოსთქვამს) მეყო, რაც აქ დრო დავკარგე, მივდივარ. (გაემართა კარისაკენ) უნდა გრცხვენოდეს უსირცხვილო.

ჰიგინსი - (ვაზადან აიღებს შოკოლადს. თვალებს ეშმაკურად აუციმციმდება) მიირთვი შოკოლადი, ელიზა.

ელიზა - (ველარ გაუძლებს ცთუნებას და შეჩერდება) საიდან ვიცი რა არის მასში? გამიგია, რომ ბევრი გოგო მოუწამლავთ თქვენისთანებს (ჰიგინსი ამოიღებს დანას, შუაზე გაჭრის შოკოლადს, ნახევარს თვითონ ჩაიღებს პირში, ხოლო მეორე ნახევარს შესთავაზებს).

ჰიგინსი - აი, ელიზა, რომ არ დაეჭვდე, ნახევარს მე შევჭამ, ნახევარი შენ შეჭამე. (ელიზა გააღებს პირს, ჰიგინსი შოკოლადის ნახევარს ჩაუღებს) ყუთობით, კასრობით გექნება ყოველდღე. სულ შოკოლადიჭამე, თუ გინდა. რას იტყვი?

ელიზა - (როგორც იქნა გადაყლაპა შოკოლადი, რომელმაც კინაღამ დაახრჩო) არაფრისათვის არ შევჭამდი, მაგრამ რა მექნა. პირიდან რო გადმომეგდო, უზრდელობა.

ჰიგინსი - მომისმინე, ელიზა. მგონი ასე თქვი, ტაქსით მოვედიო, არა?

ელიზა - მერე რა, რომ მოვედი? მეც ისევე უფლება მაქვს დავიქირაო ტაქსი, როგორც ვინმე სხვას.

ჰიგინსი - გაქვს, ელიზა, გაქვს: მომავალში რამდენიც გინდა იმდენი ტაქსი გეყოლება. ტაქსით შეგეძლება ყოველდღე გაიარო, გამოიარო, ქალაქს შემოუარო, აბა, იფიქრე.

ქ-ნი პირსი - მის ასაკში? სისულელეა. მომავალზე ფიქრი მაშინაც ეყოფა, როდესაც გაიგებს, რომ მომავალი არ აქვს. დამიჯერე. ელიზა. აი, ამ ლედის მიზამე: მუდამ იფიქრე სხვის მომავალზე, შენს მომავალზე კი - არასოდეს, იფიქრე შოკოლადზე, ტაქსებზე, ოქროზე, მარგალიტებზე.

ელიზა - არა. მე არც ოქრო მინდა და არც მარგალიტები. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი (ჯდება და ცდილობს თავი ღირსეულად დაიჭიროს).

ჰიგინსი - ჰოდა, ქ-ნი პირსის ზედამხედველობის ქვეშ ასეთივე დარჩებით, შემდეგ ვინმე ულვაშებიან გვარდიის ოფიცერზე გაგათხოვებთ: მარკიზის შვილზე, რომელსაც მამამისი შენი შერთვისათვის ჯერ მემკვიდრეობას წაართმევს, მაგრამ, როცა დაინახავს შენ სილამაზეს და სათნოებას, მოლბება და...

პიკერინგი - მაპატიეთ, ჰიგინს, მაგრამ არ შემიძლია არ ჩავერიო. ქ-ნი პირსი მართალია. თუ ეს გოგონა პედაგოგიური ექსპერიმენტისათვის ექვსი თვე თქვენს ხელში დარჩება, მან გარკვეულად უნდა იცოდეს რას აკეთებს.

ჰიგინსი - საიდან უნდა იცოდეს? მას არფრის გაგების უნარი არა აქვს. და მერე, რომელიმე ჩვენთაგანს ესმის თვითონ რას აკეთებს? რომ გვესმოდეს რას ვაკეთებთ, მაშინ, განა გავაკეთებდით?

პიკერინგი - მოსწრებულად კი თქვით, ჰიგინს, მაგრამ აქ ეგ რა მოსატანია? (ელიზას) ქალბატონო დულიტლ.

ელიზა - (თავზარდაცემული) აა-აა-ოო-ოო,-უუ-უუ!

ჰიგინსი - ესეც თქვენ! ამის მეტს მისგან ვერაფერს გაიგონებთ. აა-აა-ოო-ოო-უუ! ახსნა - განმარტებას რა აზრი აქვს: შეაყარე კედელს ცერცვი! სამხედრო კაცი ხართ და ეგ არ უნდა იცოდეთ? ბრძანება და მისი ჯანი. ელიზა, შენ აქ 6 თვე უნდა იცხოვრო და ისწავლო ყვავილების მაღაზიაში მოვაჭრე ლედივით ლამაზი ლაპარაკი. თუ ჰკვირნად იქნები და გაგვიგონებ, საუკეთესო საწოლ ოთახს მიგიჩენთ და საჭმელშიც ყელამდე იქნები, ფული კი - რამდენიც გინდა: მოგინდება, შოკოლდები იყიდე, მოგინდება, ტაქსით ისეირნე. მაგრამ, თუ იჭირვეულებ და იზარმაცებლ, ხოჭოებით გავსებულ საკუჭნაოში დაგამინებთ და დღე ისე არ გავა, რომ ქ-ნმა პირსმა იატაკის საწმენდი ჯოხით არ მოგტყუოს. ექვსი თვის ბოლოს მშვენივრად ჩაგაცმევთ და ეტლით გაემგზვრები ბუკინგამის სასახლეში. თუ მეფე დაეჭვდება, შენ ლედი ხარ თუ არა, პოლიცია დაგაპატიმრებს, ტაურში წაგათრევს და სხვა თავხედი ყვავილების გამყიდველი გოგოების ჰკუისსასწავლებლად თავს მოგკვეთს. თუ ლედიდ მიგიღებენ და არავის ეჭვი არ აღედრება, შვიდ შილინგსა და 6 პენის გაჩუქებენ, რათა რომელიმე მაღაზიაში ყვავილების გამყიდველად მოეწყო. თუ ამ სიკეთეზე უარს იტყვი, შენ ყველაზე უმადური და სულელი გოგო იქნები ქვეყანაზე და შენს დანახვაზე ანგელოზები ცრემლებს დაღვრიან. (პიკერინგს) ახლა კმაყოფილი ხართ, პიკერინგ? (ქ-ნ პირსს) ამაზე გარკვევით და გასაგებად როგორ ავუხსნა, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი - (მშვიდად) მგონი ამას ის აჯობებდა, რომ აქედან გავიყვანო და ცალკე ველაპარაკო. თუმცა ჩემი მფარველობის ქვეშ აყვანას არ ვაპირებ და არც ის მინდა ამ საქმეში თქვენ დაგთანხმდეთ. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ამ გოგონას მიმართ ცუდი განზრახვა არ გიღვეთ გულში, მაგრამ, როცა ვინმეს გამოთქმით დაინტერესდებით, როგორც წესი, თქვენი თავიც გავიწყდებათ და ცდის პირიც: მომყევი, ელიზა.

ჰიგინსი - ეს კი კარგია! გმადლობთ, ქ-ნო პირს. ახლავე აბაზანაში შეაგდე.

ელიზა - (დაეჭვებული ზანტად დგება) თქვენ დიდი უხეში ვინმე ხართ, უხეში! თუ მე არ მინდა, არც დავიციდი. ჩემი გატყევის ნებას არავის მივცემ. ბუკინგამის სასახლეში წაყვანა არავისთვის მითხოვია, პოლიციასთან საქმე არასოდეს მქონია. მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი....

ქ-ნი პირსი - სიტყვას ნუ უბრუნებ, გოგო, შენ ვერ გაიგე რას გეუბნებიან, მომყევი (კარს უღებს ელიზას და ელოდება).

ელიზა - (მიმავალი) დიახ, მე სიმართლე ვთქვი: მეფესთან ფეხის მიმდგმელი არა ვარ, თავიც რომ მომაჭრან. რომ მცოდნოდა რა დღეში ჩავვარდებოდი, არც აქ მოვიდოდი. მე მუდამ წესიერი გოგო ვიყავი. ამას მე კი არ ავკიდებოვარ, თვითონ ამეკიდა. მისგან მე არაფრით არა ვარ დავალებული. თავზეც არ დავისვამ, მეც ისეთივე გრძნობები გამაჩნია, როგორც ყველა სხვას...(ქ-ნი პირსი ხურავს კარებს, ელიზას ბუზღუნის უკვე არ ისმის. ელიზა აჰყავთ მესამე სართულზე, ის გაოცებულია: ეგონა საკუჭნაოში ჩაიყვანდნენ. ქ-ნი პირსი გააღებს კარებს და შედიან მშვენიერ საწოლ ოთახში).

ქ-ნი პირსი - აი, შენი საწოლი ოთახი.

ელიზა - ოო,-ო-ო, აქ ვერ დავიძინებ, მისუს! ეს ზედმეტად კარგია ჩემისთანასათვის. აქ ვერაფრის ხელის ხლებას ვერ გაუბედავ. ხომ იცით, რომ მე ჯერ კიდევ არ ვარ ჰერცოგის ასული, მისუს!

ქ-ნი პირსი - შენ ისევე უნდა დასუფდავდე, როგორც ეს ოთახი და მაშინ აქ დაწოლის არ დაგერიდება. მერე „მისუს რა სიტყვაა? მის პირსი დამიძახე (ფართოთ გააღებს სააბაზანო ოთახის კარს).

ელიზა - ეს რა არის? ამაში რეცხავთ? უცნაური ქვაბია, ღმერთმანი.

ქ-ნი პირსი - ეს ქვაბი არაა. ამაში ვბანაობთ, ელიზა, და შენც ამაში უნდა გაბანაოთ.

ელიზა - რაო? თქვენ გინდათ აქ ჩავიდე და დავსველდე? არა, არ შემიძლია. ეს რომ გავაკეთო, ღმერთმანი, მოვკვდები. ეთი ჩემი მეზობლის ქალი ყოველ შაბათლამეს ბანაობდა და მოკვდა.

ქ-ნი პირსი - მისტერ ჰიგნისს ქვემოთ მამაკაცთა აბაზანა აქვს და ყოველდღე ცივ წყალში ბანაობს.

ელიზა - ოო! რკინისგან ყოფილა გაკეთებული.

ქ-ნი პირსი - თუ გინდა მასთან და პოლკოვნიკთან ერთად დაჯ. დე და ისწავლო, შენც ისევე იბანავო. თუ ამას არ გააკეთებ, შენს სუნს ვერ გაუძლებენ. წყალი როგორც გესიამოვნება, ისე დააყენე. აქ ორი ონკანია. ეთი ცივი წყლისათვის ერთი თბილისათვის.

ელიზა - (ტირილით) არ შემძლია, ვერ გავბედავ, ეს ხომ ბუნებრივი არ არის. რომ ვიბანაო, მოვკვდები. ჩემს დღეში არ მიბანავია. თქვენ კი ამბობთ კარგაო.

ქ-ნი პირსი - კარგი, მაშ, არ გინდა რომ სუფთა იყო, ჯანსაღი და მიმზიდველი, როგორც ლედი? იცი შიგნიდან ვერ გამშვენიერდები, თუ გარედან ჭუჭყიანი იქნები.

ელიზა - ო-ო-ო-ო-ო-!

ქ-ნი პირსი - ახლა, ტირილი შეწყვიტე, შედი შენს ოთახში და ყველაფერი გაიხადე. მერე იმაში გაეხვიე. (ჩამოსაკიდიდან ჩამოხსნის მოსასხამს და გაუწვდის) და აქ მოდი. ამასობაში აბაზანას გაგიმზადებ.

ელიზა - (აცრემლიანებული) არ შემძლია. ვერ გავაკეთებ. ნაჩვევი არავარ, ყველაფერი ერთათ არასოდეს არ გამიხდია, ამის გაკეთება სწორი არ არის, სწორი არ არის....

ქ-ნი პირსი - რას სულელობ, ბავშვო! დაძინების წინ ტანისამოს არ იხდი?

ელიზა - (გაოცებული) არა. რატომ უნდა გავიხადო? რომ გავიხადო, მოვკვდები ქვედა ტანს კი, რა თქმა უნდა ვიხდი.

ქ-ნი პირსი - შენ ისე ამბობ, თითქოს იმ საცვლებში გეძინოს, რომელიც დღისითგაცვია?

ელიზა - აბა, რაში უნდა დავიძინო?

ქ-ნი პირსი - ამას აწი არასოდეს არ გააკეთებ, სანამ აქ იცხოვრებ. სადამურ პერანგს მოგცემ და იმაში დაიძინებ.

ელიზა - როგორ? თბილი საცვლების მაგივრად ცივი ჩავიცვა და მთელი ნახევარი ღამე ვიძაგმაგო? თქვენ ჩემი მოკვლა გინდათ, ჩემი მოკვლა.

ქ-ნი პირსი - მინდა ჭუჭყიანი გოგონადან ისეთ მიმზიდველ სუფთა ქალიშვილად გადაგაქციო, რომ შეგეძლოს იმ ჯენტლმენების გვერდით დაჯდე კაბინეტში. ერთი ის მითხარი, დამიჯერებ და გააკეთებ იმას, რასაც გეუბნები, თუ უნდა გაგაგდოთ და ისევ შენს ყვავილების კალათას დაუბრუნდე?

ელიზა - თქვენ არ იცით, სიცივე რა ძნელია ჩემთვის. თქვენ არ იცით სიცივის როგორ მეშინია, როგორ.

ქ-ნი პირსი - შენი ლოგინი ცივი არ იქნება. ბოთლებში თბილ წყალს ჩაასხამ და საწოლში ჩაიდგამ. (უბიძგებს საწოლი ოტახისაკენ) მიდიდა გადა გაიხადე.

ელიზა ო, რომ მცოდნოდა რა საშინელებაა სისუბთავე, არასოდეს არ მოვიდოდი, თურმე არა მცოდნია რა კარგად ვცხოვროდი. (ქ-ნი პირსი გაიკეთებს თეთრ რეზინის ხელთათმანებს, გაავსებს აბაზანას ნელთბილი წყლით, რომელსაც აბანოს თერმომეტრით სინჯავს, ჩაყრის შიგ ერთ მუჭა სააბაზანო მარილს და ცოცტაოდენ მდოგვს. მერე აიღებს უცნაური მოყვანილობის სახეხ ჯაგრისს და მაგრად გასაპნავს

სურნელოვან საპნით. ელიზა გამოდის ხალათით, რომელიც მაგრად შემოუხვევია ტანზე; საბრალო და საშინელი შესახედავია).

ქ-ნი პირსი- შემოდი, ესეც გაიხადე.

ელიზა ო, ო. არ შემიძლია, ქ-ნო პირს: მართლა არ შემიძლია, ამგვარი რამე ჩემს დღეში არ გამიკეთებია.

ქ-ნი პირსი ნუ სულელობ ერთი. მიდი, ჩადი აბაზანაში და მიტხარი საკმაოდ თბილია თუ არა?

ელიზა ოო-ოო, უუ-უუ-ცხელია, ცხელი.

ქ-ნი პირსი (ერთბაშად მოაძრობს ხალატს და ზურგიტ დააწვენს) დაწეპი, დაწეპი, არაფერი მოგივა. (ხეხავს ჯაგრისით. ელიზა ტირის გულგამგმირავად). (ამასობაში პოლკოვნიკი ელიზას შესახებ თავის აზრებს გამოთქვამს ჰიგინსთან. პიკერინგი შორდება ღუმელს, ზურგშექცევით ჯდება სკამზე და ხელებს მის ზურგზე დააწყობს).

პიკერინგი მაპატიეთ პირდაპირობისათვის, ჰიგინს, ქალების საკითხში პატიოსანი კაცი ხართ?

ჰიგინსი (როიალზე ხელებით დაეყრდნობა მბრძანებლურად) მე კი არ შემხვედრია. გამოცდილებიდან ვიცი, რომ ქალი, დავიმეგობრებ თუ არა, მაშინვე დაიწყებს ეჭვიანობას, ჭირვეულობას, სცენების გამართვას და ათასგვარი აყალ-მაყალის ატეხვას. და მეც, ქალებთან მეგობრობას გავაბამ თუ არა, ეგოისტად და მტარვალად ვიქცევი ხოლმე. ქალებისაგან მოდის ყოველგვარი არევ-დარევა. თუ ქალს თკვენს ცხოვრებაში შეჭრის უფლებას მისცემთ, დაინახავთ, რომ ის სხვა მხრით ექაჩებით.

პიკერინგი მაგალითად, რაში?

ჰიგინსი (ერთ ადგილას ვერ ჩერდება, სცილდება როიალს) ღმერთმა უწყის რამდენ რამეში! ჩემის აზრით, ქალს უნდა თავისი ცხოვრებით იცხოვროს, კაცს კიდევ თავისით და ყოველი მათგანი ცდილობს მეორე წაიყვანოს მცდარი გზით. ერთი ჩრდილოეთისკენ ეზიდება, მეორე კი სამხრეთისაკენ და საბოლოოდ ორივე აღმოსავლეთისაკენ მიდის, თუმცა, აღმოსავლეთის ქარი ერთსაც ეჯავრება და მეორესაც (ჩამოჯდება კლავიატურის წინ გრძელ სკამზე) ამიტომაც, აი, ამდენი ხანია უცოლო ვარ და ალბათ, სულ ასე დავრჩები...

პიკერინგი (მივა ჰიგინსთან და ეუბნება სერიოზული ტონით) ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ, ჰიგინს! ხომ იცით რაზე გელაპარაკებით? თუ ამ საქმეში გავერევი, პასუხისმგებელი ვიქნები გოგოს წინაშე. იმედი მაქვს რომ მდგომარეობას ბოროტად არ გამოიყენებთ.

ჰიგინსი რაო? ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თითსაც არ მივაკარებ. (წამოდგება) ხომ იცით, ის ჩემი მოწაფე იქნება, ჰოდა სწავლება ნაყოფს არ გამოიღებს, თუ მოწაფე შებღალული იქნა. ვინ მოთვლის ამერიკელი

მილიონერების რამდენი ქალიშვილისათვის მისწავლება წესიერი ინგლისური ლაპარაკი.

და ისინი ხომ ულამაზესი ქალებია მთელს მსოფლიოში. უკვე ნაცადი და გამოწრთობილი ვარ: როცა ვასწავლი, თითქოს ჩემ წინ ქალი კი არა, ხის კუნძი იდოს და მეც თითქოსდა მორი ვიყო. აი, ხომ ხედავ...

(ქ-ნი პირსი შემოაღებს კარებს. ხელში ელიზას შლიაპა უჭირავს. პიკერინგი უკან დაიხევს და ღუმელთან.

მდგარ სავარძელში ჩაჯდება.).

ჰიგინსი (მოუთმენლად) როგორაა საქმე ქალბატონო პირს? კარგად მიდის?

ქ-ნი პირსი (კარებთან მდგარი) თუ არ შეგაწუხებთ, ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი თქვით, რას მეზოდისებით. შემობრძანდით (ქალბატონი პირსი წამოიწევს წინ) ამას ნუ დასწვავთ, ქ-ნო პირს: შევინახოთ როგორც იშვიათობა. (გამოართმევს შლიაპას).

ქ-ნი პირსი ოღონდ ცოტა ფრთხილად იყავით, სერ, მართალია დავპირდი არ დავწვავ მეთქი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა ცოტა ხნით მაინც გამეჩერებინა ანთებულ ღუმელთან.

ჰიგინსი (სწრაფად გააგდებს ხელიდან) ოჰ, გმადლობთ, ქ-ნო პირს. რა უნდა გეთქვათ?

პიკერინგი მე ხომ არ გიშლით?

ქ-ნი პირსი სრულიადაც არა, სერ. მისტერ ჰიგინს, მე მინდა გთხოვოთ, რომ იმ გოგონასთან დაფიქრებულად და წესიერად ილაპარაკოთ, უშვერი სიტყვები არ იხმართ.

ჰიგინსი (მკაცრად) ამას თქმა რად უნდა? მე საერთოდ დაფიქრებულად და წესიერად ვლაპარაკობ. მაინც, რატომ ამბობთ ამას?

ქ-ნი პირსი (აუღელვებლად) არა, სერ როცა რაიმეს ვერ იპოვნით ანდა აღელვებული ხართ ლაპარაკში არავითარ სიფრთხილეს არ იჩენთ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, შევეჩვიე, მაგრამ იმ გოგონას თანდასწრებით კი მართლა არ უნდა შეიგინოთ.

ჰიგინსი (აღშფოთებული)მე ვიგინები? (უფრო ხაზგასმით) მე არასოდეს ვიგინები. გინება ჭირივით მეჯავრება. რა თხრობას ეძახით თქვენ გინებას?

ქ ნი პირსი (შთამაგონებლურად) სწორედ ამ თხრობას ვეძახი! დიახ, სერ, თქვენ ძალზე ბევრს იგინებით, ხოლო სად ეშმაკში, ვინ ეშმაკში, რა ეშმაკმა, ხომ არის და არის, ამის გარდა...

ჰიგინსი ქ.ნო პირს! რა სიტყვები ამოგდით პირიდან?

ქ ნი პირსი (აგრძელებს ლაპარაკს) არსებობს ერთი სიტყვა, რომლის ხმარებას როგორმე უნდა გადავეჩვიოთ. გოგომაც იხმარა ეს სიტყვა, როცა ჩვენი ჯამთასი დაინახა. ის სიტყვაც იმავე ასოთი იწყება, რითაც ბროწეული. მას აკვნიდანვე ასეთი ლაპარაკი ესმის და ეპატიება, მაგრამ თქვენთვის კი მიუტყვევებელია. იმ გოგოსთან მაინც ნუ ამბობთ...

ჰიგინსი (ამაყად) დავიფიცებ, რომ ეგ სიტყვა, ალბათ არასოდეს არ წარმომითქვავს, ქ ნო პირს, (ქ ნი პირსი გამომცდელი თვალებით უყურებს მას, მისტერ ჰიგინსი მიუკერძოებელი მოსამართლის სახეს იღებს, რათა დაფაროს, რომ ამ საქმეში, ცოტა არ იყოს, ტყუის) თუ ძალიან და სამართლიანად აღელვებული არ ვყოფილვარ.

ქ ნი პირსი აი, ამ დილით სამჯერ იხმარეს ის სიტყვა, როცა ახსენეთ ბატონი, ბალი და ბუნება.

ჰიგინსი ოჰ, ეგ სიტყვა? ეგ უბრალო ალიტერაციაა, ქ ნო პირს, რაც პოეტისათვის მეტად ბუნებრივია.

ქ ნი პირსი კეთილი სერ. რაც გნებავთ, ის შეარქვით, მაგრამ იმ გოგონსთან მაინც ნუ იტყვით.

ჰიგინსი კეთილი, კეთილი. სულ ეს გინდოდათ?

ქ ნი პირსი არა, სერ. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ჩაცმულობას და სიკობტავეს.

ჰიგინსი (დინჯად მიდის ქ ნ პირსთან) მართალი ბრძანდებით. მე თვითონ მინდოდა ან საკითხიასთვის თქვენი ყურადღება მიმექცია. (მიდის პიკერინგთან რომელიც ყურადღებით უსმენს საუბარს) სწორედ ამ წვრილმანებს აქვს დიდი მნიშვნელობა, პიკერინგ კაპიკობით მილიონი გროვდებაო, რომ ამბობენ, ეს ისევე მიუდგება ადამიანის ჩვევის ჩამოყალიბებას, როგორც ფულს. (ღუმელის წინ, ხალიჩაზე ჩამოჯდება და უძლეველი ადამიანის პოზას მიიღებს).

ქ ნი პირსი დიახ, სერ, კიდევ ერთი რამე უნდა გთხოვოთ. საუზმეზე ხალათით ნუ ჩამოდიხართ, ან ყოველშემთხვევაში, მას ხელსახოცის მაგივრად მაინც ნუ იხმართ. ყველა კერძის ერთი და იგივე თეფშიდან ნუ სჭამთ და მერე, კერძიან ქვაბ ქოთანს პირდაპირ სუფთა სუფრაზე ნუ დებთ. ამის გაკეთება იმ გოგოსათვის, დამიჯერეთ, კარგი მაგალითი არ იქნება. ხომ გახსოვთ, ამკვირას რომ თევზის ძვალი დაგადგათ ყელზე და კინაღამ დაიხრჩვით.

ჰიგინსი (ხალიჩიდან წამოვარდება და ისევ როიალთან მივა) ასე შეიძლება დაბნეულობის დროს მართლა მომდიოდეს, მაგრამ ყოველთვის ასე კი არ ვიქცევი. (გაბრაზებული) მართლა, ჩემს ხალათს ძალიან ასდის ბენზინის სუნის.

ქ ი პირსი მართლაც რომ ასდის, მისტერ ჰიგინს, და თუ თითებს იმაზე შეიხოცავთ...

ჰ ი გ ი ნ ს (ყვირილით) კარგი, კარგი, ამიერიდან თითებს ქოჩორზე შევიხოცავ.

ქ ნი პირსი ხომ არ გეწყინათ, მისტერ ჰიგინს?

ჰიგინსი (ნაწყენი იმით, რომ დაეჭვდნენ, თითქოსდა არ შეუძლია დარიგების ატანა) სრულიადაც არა, სრულიადაც არა. თქვენ სავსებით მართალი ხართ, ქ ნო პირს. გოგონასთან ფრთხილად მოვიქცევი, მორჩით?

ქ ნი პირსი არა, სერ, შემძლია წავულო იაპონური კაბა, რომელიც თქვენ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეთ? თავის ძველ კონკებს ველარ ჩავაცმევ.

ჰიგინსი რათქმაუნდა, რაც გინდათ, ყველაფერი წაიღეთ. გინდათ კიდევ რამე?

ქ-ნი პირსი არა, სერ. გმადლობთ. (გადის).

ჰიგინსი იცით, პიკერინგ, ამ ქალს რაღაცა უცნაური შეხედულება აქვს ჩემზე. აი მე ხომ მორცხვი და თავმდაბალი კაცი ვარ. თითქოს დღემდე თავი მოზრდილად არ მიგრძენია-ამ მხრივ სხვებს არა ვგევარ. ამ ქალს კი დესპოტი, მტარვალი და თავნება ვგონივარ. არ ვიცი ეს რითი ავხსნა!

ქ-ნი პირსი (ბრუნდება) სერი ახლა იწყება, სერ, ვილაც მენაგვე ალფრედ დულიტლია მოსული და თქვენი ნახვა სურს. ჩემი ქალიშვილი ჰყავსო, გაიძახის.

პიკერინგი ფუი! ნახე!

ჰიგინსი შემოუშვი ის არამზადა.

ქ-ნი პირსი როგორც გნებავთ, სერ. (გადის).

პიკერინგი ჰიგინს, იქნება ის არამზადა არ არის!

ჰიგინსი სისულელეა. რათქმაუნდა, არამზადა იქნება.

პიკერინგი არ ვიცი ვინ იქნება, მაგრამ ეტყობა უჩუბრად ვერ გადავრჩებით.

ჰიგინსი (დაჯერებული) არა, არა. მგონი ჩხუბამდე არ მივა საქმე, და თუ მართლა მიდგა ჩხუბზე საქმე, არაფერი გამოუვა. ჩემგან უფრო ელოდეს უსიამოვნებას, ვიდრე მე მისგან. ისე, კი შეიძლება რაიმე საინტერესო გავიგოთ?

პიკერინგი გოგოს შესახებ?

ჰიგინსი არა, არა. მე მისი მეტყველება მაინტერესებს.

პიკერინგი ა, ა?

ქ-ნი პირსი (კართან) დულიტლ, სერ. (შემოუშვებს ოთახში და თვითონ გავა.).

(ალფრედ დულიტლი ხნიერი, მაგრამ ჯანდონით სავსე კაცია, აცვია სპეც-ტანსაცმელი. შლიაპას წინა ნაწილი მოჭრილი აქვს, ხოლო უკანა ნაწილი უფარავს კისერს და მხრებს. გამოკვეთილი, საინტერესო სახის).

ნაკვთები გააჩნია. ეტყობა თავისუფალია, როგორც შიშის, ისე სინდისისაგან. აქვს შესამჩნევი მკვეთრი ხმა,

რაც გრძნობებისათვის თავისუფლების მიცემის შედეგია. ახლაც ისე გამოიყურება, თითქოს მისი თავმოყვა-რეობა შეულახავთ და რაღაცა მტკიცე გადაწყვეტილება მიუღიაო.).

დულიტლი (კარებთან დგას და ვერ გაურჩევია რომელია მისი მსხვერპლი) პროფესორი ჰიგინსი რომელი ხართ?

ჰიგინსი მე გახლავართ, დილა მშვიდობისა. დაბრძანდით.

დულიტლი მშვიდობისა, უფროსო, (გაჭიმული დაჯდება) სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული, უფროსო.

ჰიგინსი (პიკერინგს) ვფიქრობ ანსლიუშია გაზრდილი, დედა კი უელსელი უნდა ყავდეს. (დულიტლი გაოცებული პირს დააღებს. ჰიგინსი განაგრძობს) რა გნებავთ, დულიტლ?

დულიტლი (მუქარით) ჩემი ქალიშვილი. აი, რა მინდა, გესმით? U.

ჰიგინსი რასაკვირველია, უნდა გინდოდეთ, აბა, სხვას რად უნდა თქვენი ქალიშვილი? მოხარული ვარ, რომ ოჯახის სიყვარული ჯერ კიდევ შეგრჩენიათ. მაღლაა, ახლავე წაიყვანეთ.

დულიტლი (შეშინებული უკან იხევს) რაო?

ჰიგინსი წაიყვანეთ, აბა, როგორ გინდათ, მე გირჩინოთ?

დულიტლი (პროტესტით) დაიცათ, დაიცათ, ყური მიგდეთ, უფროსო. ეს რა სინდისია? მჯაბნით? ქალიშვილი ჩემია. თქვენ კი წამოგიყვანიათ და როგორ? აქ მე არაფერ შუაში ვარ?

ჰიგინსი თქვენი ქალიშვილი თავხედურად შემოიჭრა ჩემს სახლში და მთხოვა მესწავლებინა წესიერი ინგლისური, რადგანაც უიმისოდ მაღაზიაში ყვავილების გამყიდველად არ იღებენ. აი, ეს ჯენტლმენი და ჩემი მნე ქალი ამ ამბავის დამსწრენი არიან. (შეტევით) ჰოდა, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა და ცილისწამება? ქალიშვილი განგებ გამოგზავნეთ?

დულიტილი არა, რას ამბობთ, უფროსო?..

ჰიგინსი არა, ალბათ განგებ გამოგზავნეთ, თორემ საიდან იცოდით, რომ აქ იყო?

დულიტილი ასეთ კაცად ნუ მიმიღებთ, უფროსო.

ჰიგინსი შენ პოლიცია მიგიღებს, პოლიცია. შეთქმულება მოაწყეთ ფულის დასაცინცლად? ახლავე დავურეკავ პოლიციას. (მტკიცე გადაწყვეტილებით მიდის ტელეფონთან და გადაშლის სამისამართო წიგნს.).

დულიტილი აბა ერთი გროში მითხოვია შენთვის? ეს კაცი აქ არ იყო? ფულზე კრინტი დამიძრავს?

ჰიგინსი (დააგდებს სამისამართო წიგნს, გაემართება დულიტილისაკენ და უცქერის გამომცდელი თვალებით).

აბა, რისთვის მოხვედით?

დულიტილი რისთვის მოვიდოდი? კაცი არა ხართ, უფროსო?

ჰიგინსი (განიარაღებული) ალფრედ, არ მოგიგზავნია?

დულიტილი ღმერთმანი, უფროსო, არ მომიგზავნია. გინდათ ხატზე დავიფიცებ, რომ ორი თვეა ჩემი გოგოსათვის თვალიც არ მომიკრავს.

ჰიგინსი - მაშ, საიდან იცოდით, რომ აქ იყო?

დულიტილი - (უფრო მელანქოლიურად და უფრო მუსიკალურად) იცით რა გითხრათ, უფროსო! ორიოდე სიტყვის უფლება მომეცით და ყველაფერს გეტყვი. მე მინდა გითხრათ, მე მსურს გითხრათ, მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ...

ჰიგინსი - პიკერინგ, ამ კაცს ორატორობის ბუნებრივი ნიჭი აქვს. შეამჩნიე მის ველურ მეტყველებაში თავისებური რიტმი: მე მინდა გითხრათ, მე მსურს გითხრათ, მე დიდი სურვილი მაქვს გითხრათ? ეს არის უელსელბისათვის დამახასიათებელი სენტიმენტალური რიტორიკა. ისი მატყუარობა უსინდისობაც უელსიდან მომდინარეობს.

პიკერინგი - რას ამბობთ, ჰიგინს! მეც იქაური ვარ. (დულიტილს) თუ არ მოგიგზავნიათ, მაშ, აბა საიდან გაიგეთ, რომ თქვენი ქალიშვილი აქ იყო?

დულიტილი - საქმე ასე იყო, უფროსო, თქვენთან რომ წამოვიდა გოგო ტაქსით, მეზობლის ბიჭუნა გამოიყოლია. ბიჭს იმედი ჰქონდა უკანაც ტაქსით და დაბრუნდებოდა, ამიტომაც თქვენს სახლთან ტრიალებდა. ღოცა ჩემმა გოგონამ გაიგო, რომ აქ ტოვებდით, ის ბიჭუნა სახლში გააგზავნა თავისი ბარგი-ბარხანის მოსატანად. ჰჰოდა, იმ ბიჭს ღონე აკრის და ენდელის ქუჩის კუთხეში შევხვდი.

ჰიგინსი - ლუდხანასთან, არა?

დულიტლი - დიახ, უფროსო, ღარიბების კლუბი ლუდხანაა. Eგ რა დასაზრახია!

პიკერინგი - ათქმევინეთ ბოლომდე, ჰიგინს.

დულიტლი - ჰოდა, ბიჭმა მიაგზო, რაც მოხდა, ახლა თქვენ გეკითხებით, რა გრძნობები უნდა აღმძვროდა მე და რა იყო ჩემი როგორც მამის მოვალეობა? წადი მომიტანე მისი ბარგი-ბარხანა, - ბიჭს ვეუბნები.

პიკერინგი - თვითონ რატომ არ წამოიღეთ?

დულიტლი - დიასახლისი არ მენდობოდა, ერთი იმნაირი ქალია, უფროსო! არც ბიჭი მენდო, სანამ ერთი პენში არ მივეცი. ის გოჭი, ისა! აი მოვატორიე კიდეც ბარგი-ბარხანა. მიმნოდა სიკეთე მექნა. ეს იყო და ეს.

ჰიგინსი - რა ნივთებია? დულიტლი - მუსიკალური ინსტრუმენტი, უფროსო, რამდენიმე სურათი, რაგაცა სამკაულები და ჩიტის გალია. ტანისამოსი არ მინდაო, ასე დაებარებინა. რა უნდა მეფიქრა, უფროსო? მე თქვენ გეკითხებით, როგორც მამა, რა უნდა მეფიქრა?

ჰიგინსი - მაშ, თქვენ იმიტომ მოხვედით, რომ სიკვდილზე უარესი განსაცდელისაგან გეხსნათ თქვენი ქალიშვილი?

დულიტლი - (გაუხარდა რომ ასე კარგად გაუგეს) აი, სწორედ ასე, უფროსო, ამისათვის მოვედი.

ცკი მაგრამ, თუ წაყვანა გინდოდათ, ბარგს რაგას მოათრევდით?

დულიტლი - კრინტი დამიძრავს იმის წაყვანაზე, კრინტი დამიძრავს?

ჰიგინსი - (გადაწყვეტილებით) დაუყონებლივ წაიყვანეთ (მიდის ღუმელთან და ზარს რეკავს).

დულიტლი - (დგება) როგორ გეკადრებათ უფროსო? მე განა ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემს ქალიშვილს ხელი შევუშალო, როცა მისი, ასე ვთქვათ, მისი კარიერის გზა იხსნება, როგორც თქვენ იტყოდით და... (ქალბატონი პირსი აღებს კარს და განკარგულებას ელოდება).

როგორც თქვენ იტყოდით დაშევეუშალო და ზარს რეკავს)ვენი ქალიშვილინ სახლთან ტრიალებდალაჰიგინსი - ქალბატონო პირს, ელიზას მამაა, მის წასაყვანად მოვიდაგატანე. (ჰიგინსი ბრუნდება როიალთან ისეთი კაცის სახით, რომელმაც თავისი საქმე მოათავა).

დულიტლი - არა, აქ რაღაცა გაუგებრობაა, ყური დამიგდეთ უფროსო.

ქ - ნი პირსი - ვერ წაიყვანს, მისტერ ჰიგინს, აბა როგორ წაიყვანს? თქვენ ხომ მითხარით, მისი ტანსაცმელი დაწვიო?

დულიტი - ჰოდა, მეც მანდა ვარ! შიშველს ქუჩაში მაიმუნივით ხომ არ წავიყვან? ე თქვენ გეკითხებით.

ჰიგინსი - ხომ მოითხოვეთ ქალიშვილი, ჰოდა წაიყვანეთ, თუ ტანსაცმეკი არ აქვს, უყიდეთ.

დულიტი - (სასოწარკვეთილი) სად არის ის ტანსაცმელი, რომლითაც მოვიდა? მე დავწვი ისინი თუ თქვენმა დედაკაცმა?

ქ - ნი პირსი - თუ გნებავთ იცოდეთ, მე აქ დიასახლისი ვარ. კაცი მყავს გაგზავნილი თქვენი ქალიშვილის ტანსაცმლისათვის. აი, მოიტანენ და წაიყვანეთ, მანამდე კი, იქ, სამზარეულოში დაიცადეთ. მომყევით. (დულიტი შეწუხებული მიდის კარებამდე, შემდეგ მობრუნდება და მიდის ჰიგინსთან).

დულიტი - მომისმინე, უფროსო, მე და თქვენ გამოცდილი ხალხი ვართ, ხომ?

ჰიგინსი - ოჰ, გამოცდილი ხალხი? თქვენ ჯობია წაბრძანდეთ, ქ-ნო პირს.

ქ - ნი პირსი - მეც ასე ვფიქრობ, სერ. (მიდის ამაყად).

პიკერინგი - სიტყვა თქვენ გეკუთნოდათ, მისტერ დულიტი.

დულიტი - (პიკერინგს) გმადლობთ უფროსო. (ჰიგინსს, რომელიც როიალის წინ გრძელ სკამზე ჩამოჯდა, რათ ცოტა მოშორებით იყოს თავისი სტუმრისაგან, ვინაიდან დულიტლს მისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სუნი ახდის) აი რა! მე თქვენ ძალიან მომეწონეთ, უფროსო: ჰოდა თუ თქვენ გინდათ ჩემი ქალიშვილი, მეც არ აგიხირდებით და მაინც და მაინც არ დავიჯინებ წავიყვან-მეთქი, მოვილაპარაკებთ და მოვრიგდებით. ისე რომ შეხედო, როგორც გოგოს, ელიზა მშვენიერი ქალიშვილია, ხოლო როგორც შვილი, მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს, რჩენად არა ღირს. აგრამ მე მამა ვარ და მამის უფლებები გამაჩნია. ჰოდა, თქვენ უკანასკნელი ადამიანი იქნებით დედამიწის ზურგზე, თუ მეტყვით, შვილი ტყუილ-უბრალოთ დამითმეო. მე ვხედავ, რომ თქვენც პირდაპირი ლაპარაკი გიყვართ, უფროსო. თქვენთვის 5 გირვანქა სტერლინგი არაფერია და ჩემთვისაც ელიზა არაფერია. (დაუბრუნდება თავის სკამს და გაჭიმული ჩამოჯდება).

პიკერინგი - თქვენ უნდა იცოდეთ, დულიტი, რომ მისტერ ჰიგინსს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა კეთილშობილური განზრახვა ამოძრავებს.

დულიტი - რა თქმა უნდა, უფროსო, წმინდა გრძნობები, რომ არ ამოძრავებდეს, 50 გირვანქა სტერლინგს მოვთხოვდი.

ჰიგინსი - (ამბოხებული) რაო, თქვენს ქალიშვილს 50 გირვანქა სტერლინგად გაყიდდით?

დულიტი - გაყიდვა არა, მაგრამ ისეთი სანდომიანი პიროვნებისათვის, თქვენ რომ ბრძანებულხართ, რას არ გავაკეთებ. დამერწმუნეთ, მართაღს ვამბობ.

პიკერინგი - კაცო, ნუთუ თქვენ მორალის ნატამალი არ გაგაჩნიათ?

დულიტლი - (აუღელვებლად) მორალი სარფიანი საკმე არ გახლავთ. თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით, ჩემებრ ღარიბი რომ იყოთ. რა არის ამაში დასაძრახი? თუ ელიზა ისარგებლებს ამ საქმიდან, მე რატო არ უნდა ვისარგებლო?

ჰიგინსი - (შეშფოთებული) არ ვიცი რა ვქნა. პიკერინგ, მორალის თვალსაზრისით ამ ჯენტლმენისათვის თუნდაც ერთი გირვანქა სტერლინგის მიცემა აშკარა დანაშაულია, და მაინც, მე ვხედავ ერთგვარ ტლანქ სიმართლეს მის მოთხოვნაში.

დულიტლი - სწორედ რომ ასეა, უფროსო, მეც ამას ვამბობ, რაც უნდა იყოს მამის გული მაქვს.

პიკერინგი - მესმის თქვენი, მაგრამ მართლა ძნელია ასეთ რამეზე დათანხმება.

დულიტლი - ასე ნუ ამბობთ, უფროსო, ასე ნუ უყურებთ ამ საქმეს. მითხარით, ვინ ვარ მე, ორივე უფროსო, მე გეკითხებით, ვინ ვარ მე? მე ერთი უღირსი ღარიბ-ღატაკი ვარ. აი, ვინა ვარ მე. და მერე, იცით ეს რას ნიშნავს კაცისათვის? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კაცს განუწყვეტლივ აქვს უთანხმოება ბურჟუაზიულ მორალთან. სადმე რამე საშოვარი თუ გამოჩნდება და ჩემი წილისათვის ხელს თუ გავიშვერ, სულ ერთსა და იგივე პასუხს მაძლევენ: შენ არ გერგება, შენ არ გეკუთვნის და ეს მაშინ, როცა მეც ისეთივე მოთხოვნილება გამაჩნია, როგორც თუნდაც ყველაზე ღირსეულ ქვრივ ქალს, რომელმაც ერთი და იგივე ქმრის სიკვდილისათვის ერთ კვირაში ექვსი სხვადასხვა საზოგადოებისაგან მაინც მიიღო დახმარება. მე არც ერთ ღირსეულ მამაკაცზე ნაკლები არა მჭირდება, პირიქით, მეტი მჭირდება, მეტი. მასზე ნაკლებს არა ვჭამ და სმით კი მეტს ვსვამ. მე ერთგვარი გართობაც მინდა, მეც მოაზროვნე ადამიანი ვარ. მეც მინდა გამხიარულება სიმღერა და მუსიკა, როცა ცუდ გუნებაზე ვარ. მეც ხომ იმდენს მახდევინებენ, რამდენსაც ღირსეულ ადამიანს? მაშ, რას წარმოადგენს ბურჟუაზიული მორალი? იგი სიტყვის მასალაა იმისათვის, რომ მე არაფერი მომცენ. მიტომაც მე გთხოვთ თქვენ, ორივე უფროსო, ამ ოინს მე ნუ გამიკეთებთ მე თქვენ გულახდილად გელაპარაკებით. მე ხომ არ ვამბობ ღირსეული ვარ-მეთქი. მე უღირსი ვარ და უღირსი ვიქნები. მე მომწონს ეს. აი, სიმართლე თუ გინდათ. ჰოდა, ნუთუ თქვენ ისარგებლებთ ადამიანის სისუსტით და არ გადაუხდით ქალიშვილის ფასს, რომლისათვის წვითა და დაგვით უჭმევია, ჩაუცმევია და იმ სიდიდე გაუზრდია, რომ თქვენც კი დაუინტერესებიხართ, ორივე ჯენტლმენო? 5 გირვანქა სტერლინგი დიდი ფასია? აბა, თვითონვე განსაჯეთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ჰიგინსი - (ადგება და პიკერინგთან მივა) პიკერინგ, ეს კაცი რომ ერთი სამი თვე ავიყვანოთ, ან მინისტრის სავარძელში ჩაჯდება, ან უელსის მოძღვრის კათედრას დაიჭერს.

პიკერინგი - ამაზე რას იტყვი, დულიტლ?

დულიტლი - არა, მადლობთ, უფროსო, უიმისოდაც თავს კარგად ვგრძნობ.

მე გამიგონია ვინ არის ეს მოძღვრები და პრემიერ-მინისტრები. მე ხომ მოაზროვნე ადამიანი ვარ-პოლიტიკით რელიგიითა დასოციალური რეფორმებით ისევე ვერთობი, როგორც სხვა გასართობებით და უნდა გითხრათ რომ იგი, რა მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ მას, ნამდვილი ძალური ცხოვრებაა და მეტი არაფერი. უღირსი სიღარიბეა ჩემი პროფესია. სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობა ერთმანეთს რომ შევადართ, იცით რა... ჰო... გემო ერთადერთ სიღარიბეშია, ჩემის აზრით.

ჰიგინსი - ჩემის აზრით, უნდა მივცეთ მას ხუთი გირვანქა სტერლინგი.

პიკერინგი - მივცეთ, მაგრამ ტყუილ უბრალოდ მიახარჯავს.

დულიტლი - არა, უფროსო, ცუდად არ მოვიხმარ, ნუ გეშინიათ. ხელს არ მოვუჭერ, ცოტ-ცოტათი არ დავხარჯავ და არ გავზარმაცდები, ორშაბათამდე სულ ერთნაირად მივაფლანგავ და სამუშაოზე ისე წავალ, თითქოს არასოდეს არ მქონოდეს იგი. გეფიცებით ღატაკების სიაში არ ჩავვეწერები, ცოტას ვისიამოვნებთ მე და ჩემი მუსუსი, სხვებს სარგებლობას მოვუტანთ და თქვენც კმაყოფილი იქნებით, რომ თქვენი ფული ტყუილად არ გადაყრილა. ჩემზე უკეთ ვერც თქვენ დახარჯავთ იმ ფულს.

ჰიგინსი - (ამოიღებს ჯიბიდან საბანკო ქვითრებს და დადგება დულიტლს და როიალს შორის) ამაზე უარს ვერ ეტყვი, მოდი 10 გირვანქა მივცეთ. (მენაგვეს ორ ქვითარს გაუწვდის).

დულიტლი - არა, უფროსო, არ მინდა, ჩემს დედაკაცს ანდენის დახარჯვა დაენანება, მეც შეიზლება დამენანოს, 10 გირვანქა დიდი თანხაა. ამდენი თანხა ადამიანს მომჭირნეს გახდის და მაშინ, ჰე, მშვიდობით ბედნიერებავ. ე იმდენი მომეცით რამდენიც გითხარით: არც მეტი და არც ნაკლები.

პიკერინგი - რატომ არ დაქორწინდები იმ შენ მუსუსზე ? მე ასეთი ამორალური ცხოვრება არ მომწოდს.

დულიტლი - ეს ჩემს დედაკაცს უთხარით, უფროსო, იმას უთხარით! მე მინდა მაწუხებს ეს ამბავი. მაგრამ მასთან ვერაფერი გავაწყვე. ძალიან კარგად ვეცევი. პატივსაც ვცემ, საჩუქრები მიმაქვს; კაბებიც კი ვუყიდე, მაგრამ მაინც არაფრად მაგდებს, რადგანაც კანონიერი ქმარი არა ვარ. განა ეს ამბავი თითონაც არ იცის? აბა მოდიოთ და აიძულეთ იქორწინოს ჩემზე. იცით რას გირჩევთ, უფროსო? შეირთეთ ელიზა, სანამ ახალგაზრდაა და სანამ უკეთესი ცხოვრება არ უნახავს. თუ ამასა არ გააკეთებთ, შემდეგ ინანებთ და, თუ გააკეთებთ, შემდეგში ელიზა ინანებს, ჰოდა, სჯობია ელიზან ინანოს, ვიდრე თქვენ, რადგანაც თქვენ მამაკაცი ხართ, ელიზა კი დედაკაცი. დედაკაცის გულს კი ეშმაკიც ვერ გაიგებს.

ჰიგინსი - პიკერინგ, ამ კაცის ლაპარაკს კიდევ ცოტახანს რომ დავუგდოთ ყური, ყოველგვარ რწმენას დავკარგავთ. (დულიტლს) 5 გირვანქა ითხოვეთ, არა?

დულიტლი - დიახ, უფროსო.

ჰიგინსი - მაშ, 10-ს არ აიღებთ?

დულიტლი - ახლა არა, სხვა დროს იყოს, უფროსო.

ჰიგინსი - (აძლევს 5 გირვანქის ქვითარს) ია, ინებეთ.

დულიტლი - გმადლობთ, უფროსო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გაეშურა კარისაკენ. ჩდილობს ჩქარა გავიდეს, რათა წაიღოს თავისი ნადავლი. კარს რომ გააღებს შეეფეთება სუფთად და გემოვნებით ჩაცმულ იაპონელ ლედის, რომელსაც აცვია პატარ-პატარა ჟასმინის თეთრი ყვავილებით მოხატული ბამბის უბრალო ცისფერი კიმონო, ქალბატონი პირსიც მასთანაა. დულიტლი თავაზიანად უთმობს გზას.).

ბოდიში, ქალბატონო.

ელიზა - რაო! შვილს ვეღარ ცნობ? დულიტლი.

ჰიგინსი - (წამოიძახებენ ერთხმად) ერთი ამას შეხედეთ! ელიზაა! რა არის ეს! საოცარია ღმერთმანი. პიკერინგი.

ელიზა - სულელურად არ გამოვიყურები?

ჰიგინსი - სულელურად?

ქ - ნი პირსი - (კარებთან) მისტერ ჰიგინს, აბა, ისეთი რამე არ უთხრათ, რომ გოგომ თავას თავზე დიდი წარმოდგენა იქონიოს.

ჰიგინსი - (თანხმობით) სავსებით მართალი ხართ, ქ-ნო პირს. (ელიზას) ეშმაკმა იცის რანაირი გამოხედვა გაქვთ.

ქ - ნი პირსი - რას ამბობთ, სერ!

ჰიგინსი - (ასწორებს თავის ნათქვამს) მე მიხდოდა მეთქვა, რომ სულელური გამოხედვა გაქვს.

ელიზა - ამ ტანსაცმელს ჩემი შლიაპა მოუხდებდა. (აიღებს შლიაპას, დაიხურავს და ამაყად გაივლის ოთახში ღუმელამდე).

ჰიგინსი - ახლა მოდა არ არის თუ! მე კი მეგონა არ მოუხდებოდა.

დულიტლი - (მამობრივი სიამაყით) საოცარია, უფროსო, რას ვიფიქრებდი, რომ გახეხვის შემდეგ ასეთი ლამაზი გამოჩნდებოდა! ჩემი მასახელებელია.

ელიზა - უნდა გითხრათ რომ აქ გასუფთავება ადვილია: თბილი და ცივი წყალი ონკანებიდან, რამდენიც გინდა არის, რბილი პირსახოციც არის, პირსახოცის ჩამოსაკიდი ისეთი ცხელია, რომ თითებს დაგწვავს. რბილი ჯაგრისებიც გასახეხად არის, ხის ჯამიც გავსებული საპნის ქაფით, რომელსაც ფურისულას სუნი ასდის. ხლა კი ვიცი, რატომ არიან ლედები ასეთი სუფთა, ბანაობა მათთვის სიამოვნებაა. ნეტავი მათ იცოდნენ რა კარგია ეს ჩემისთანებისათვის.

ჰიგინსი მოხარული ვარ, რომ ჩემი აბაზანა მოგეწონათ.

ელიზა სულაც არ მომწონებია: ესე იგი, ზოგი რამ არ მომწონებია. ღაც გინათ ის იფიქრეთ, მაინც ვიტყვი. აგერ ქ-ნი პირსია მოწმე.

ჰიგინსი რა მოხდა, ქ-ნო პირს?

ქ-ნი პირსი (მშვიდად) არაფერი, სერ. თქმადაც არ ღირს.

ელიზა კინალამ გავტეხე. რ ვიცოდი საით გამეხედა, მერე მივედი და პირსახოცი ჩამოვაფარე.

ჰიგინსი რაზე?

ქ-ნი პირსი სარკეზე, სერ.

ჰიგინსი დულიტლ ძალიან მკაცრად გაგიზრდია შენი ქალიშვილი.

დულიტლი მე? სულაც არ გამიზრდია. თუ იმას არ ჩამითვლით, რომ ხანდახან მიმიტყეპია, მე ნულარაფერს მაბრალეობთ, უფროსო. მიჩვეული არ არის, მაგრამ ეგეც არაფერი, მალე მიეჩვევა და თქვენზე თავისუფლად მოიქცევა.

ელიზა არა, მე წესიერი გოგო ვარ, წესიერი. მე თავისუფლად არ მოვიქცევი.

ჰიგინსი ელიზა, თუ კიდევ გაიმეორებ, „წესიერი გოგ ვარო“, მამაშენი სახლში წაგიყვანს.

ელიზა არაფერსაც არ წამიყვანს. თქვენ არ იცნობთ მამაჩემს, ის ჩემს წასაყვანად კი არა, იმიტომ მოვიდა, რომ ფულები დაგცანცლოთ და ერთი კარგად გამოიღეშოს.

დულიტლი კარგი ერთი, გაჩუმდი. მაშ რა ჯანდაბათ მინდა ფული, თუ არ დავლიე, აბა, ეკლესიას შევწირო? ჩემის აზრით... (ელიზა ენას აგმოუყოფს მამამისს. დულიტლი ისე გაცეცხლდება, რომ პიკერინგი საჭიროდ ჩათვლის ჩადგეს მათ შორის) ასე ნუ მელაპარაკები და ამ ჯენტლემენებსაც ნუ ეჭიკჭიკები, თორემ ისე აგამღერებ, რომ თავიც დაგავიწყდეს. ცოტა ფრთხილად იყავი.

ჰიგინსი იქნება წასვლი წინ რაიმე დარიგება მისცეთ, დულიტლ? იქნება დალოცვა გინდათ.

დულიტლი არა, უფროსო. მე ისეთი ბრიყვი როდი ვარ, ჩემ შვილებს ყველაფერი გადმოულაგო, რაც ვიცი. სამისოდაც ძლივს მიჯერებენ. თუ ელიზას გონების განვითარება გინდათ, უფროსო, მათრახს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ჯერჯერობით, ჯენტლემენებო. (მიბრუნდება წასასვლელად).

ჰიგინსი (მბრძანებლურად), შეჩერდით, ხშირად უნდა იაროთ თქვენი ქალიშვილის სანახავად, ეს თქვენი მამობრივი მოვალეობაა. ჩემი ძმა მღვდელია და მას შეუძლია წარმართოს თქვენი საუბარი.

დულიტლი (ორჭოფულად) რა თქმა უნდა უფროსო, ვივლი. ამ კვირას კი ვერ მოვალ. ცოტა მოშორებით მაქვს სამუშაო შემდეგში კი, იმედი იქონიეთ, უსათუოთ მოვალ. ნახვამდის ჯენტლემენებო, ნახვამდის, ქალბატონო. (მოიხდის შლიაპას ქალბატონი პირსის ცხვირწინ. ქალბატონი პირსი უგულვებელჰყოფს მის მისაღბასა და გადის. დულიტლი თვალს ჩაუკრავს ჰინგინსს, იმ აზრით, თითქოსდა შენც ხშირად იტანჯები მისი ცუდი ხასიათისგანო და გაჰყვება ქ-ნ პირსს).

ელიზა ნუ გჯერათ ამ ბებერი მატყუარასი. მას ურჩევნია ქოფაკი ძაღლები წაუსიოთ, ვიდრე მღვდელს ელაპარაკოს. ახლა ფეხს დიდხანს არარ მოადგამს.

ჰიგინსი არც მინდა, რომ მოვიდეს. ელიზა, თქვენ გინდათ?

ელიზა არც მე მინდა. მე საერთოდ არ მინდა მისი ნახვა, არ მინდა. ჩემი შემარცხვენელია: თავის ხელობაზე მუშაობის ნაცვლად ნაგავში იქექება.

პიკერინგი რა ხელობა აქვს, ელიზა?

ელიზა ეჩიჩინება ხალხს და მათი ჯიბეებიდან თავის ჯიბეში გადმოაქვს ფული. ისე კი მიწის მთხრელია: ხანდახან თავის ხელობაზე მუშაობს და ბევრ ფულს აკეთებს. ლოგორ თქვენ ქალბატონ დულიტლს მეტად აღარ დამიძახებთ?

პიკერინგი მაჰატიეთ, ქ-ნო დულიტლ, სახელი წამომცდა, თორემ, როგორ არ დაგიძახებთ.

ელიზა არა, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ისე, კარგად ჟღერდა. ურიგო არ იქნებოდა ახლა ტაქსით გამესეირნა ტოტენჰამ კორტ როუდის კუთხემდე. ჩამოვსულიყავი იქ და მძლოლისთვის მეთქვა, დამიცადე მეთქი. შურით დავხოცავდი გოგოებს, არც კი დაველაპარაკებოდი. U.

პიკერინგი სჯობია დაიცადო, სანამ ახალ ტანსაცმელს მოიტანენ.

ჰიგინსი ესეც არ იყოს, შენი ყოფილი მეგობრების წინ ცხვირაწეული არ უნდა იყო, ამას ჩვენ სნობიზმად მივიჩნევთ.

ელიზა მე იმათ ახლა ჩემს მეგობრებს აღარ ვეძახი. როცა რამეს იშოვიდნენ, სასაცილოდ მიგდებდნენ, ახლა მეც მინდა სამაგიერო გადავუხადო, მაგრამ, თუ მართლა კარგ კაბებს მომიტანენ, დავიცდი, მე მინდა კარგი კაბები, ქალბატონი პირსი ამბობს, რომ თქვენ გინდათ მიყიდოთ ღამის ტანსაცმელი, განსხვავებული იმისგან, რაც დღისით მაცვია. ტყუილად ფულს რატომ ხარჯავთ? ამას ის არა სჯობია, ისეთი რამე მიყიდოთ, რაშიაც ხალხს დავენახვები? გარდა ამისა, ზამთრის ცივ ღამეებში, თბილ საცვლებს ცივი საცვლებით არ შევიცვლი.

ქ-ნი პირსი (დაბრუნდება) წამოდი, ელიზა, ტანისამოსი მოიტანეს, უნდა გაისინჯო.

ელიზა ა-ო-უ-უ-უ. (გარბის).

ქ-ნი პირსი (მისდევს) ცოტა ნელა იარე, გოგო. (კარებს მოიხურავს).

ჰიგინსი პიკერინგ, ჩვენ ძნელი საქმე ვიკისრეთ.

პიკერინგი (თანხმობით) მართლაც, რომ ძნელი საქმეა, ჰიგინს. (შეიძლება მკითხველს აინტერესებდეს, რა სახის გაკვეთილები ჩაუტარა ჰიგინსმა ელიზას. აი მაგალითად პირველი გაკვეთილი. წარმოიდგინეთ ელიზა ახალ ტანსაცმელში, აფორიაქებული უცნაური საუზმით, სადილითა და ვახშმით, რასაც მიჩვეული არ არის, ზის ჰიგინსთან და პოლკოვნიკთან კაბინეტში და თავს ისე გრძნობს, როგორც მომსვლელი ავადმყოფი ექიმის წინაშე. ჰიგინსი ერთ ადგილას ვერ ჩერდება და ამით უფრო არღვევს ელიზას ისედაც დარღვეულ სიმშვიდეს. მაგრამ, რაკი ელიზა პატივცემით ეპყრობა თავის მეგობარ პოლკოვნიკს, არ გარბის უკან დრური ლეინში.).

ჰიგინსი თქვით ანბანი.

ელიზა მე ვიცი ანბანი. თქვენ მთლად უცოდინარი გგონივართ? ბავშვი კი არა ვარ, რომ მასწავლით.

ჰიგინსი - თქვით ანბანი.

პიკერინგი თქვით, ქალბატონო დულიტლ. ახლავე გაიგებთ, რისთვისაა ეგ საჭირო. გააკეთეთ, რასაც გეუბნებით. მიეცით ნება, როგორც უნდა ისე გასწავლოთ.

ელიზა ახლა ეგლა მაკლია, დამაწყებინოთ ეჰი, ბიჰი, სიჰი, დიჰი.

ჰიგინსი (დაჭრილი ლომივით ღრიალებს) შეჩერდით, ყური დაუგდეთ, პიკერინგ. ასეთ პირველ დაწყებით განათლებას აძლევენ ჩვენში. ეს უბედური ცხოველი 9 წელი ჩამწყვდეული იყო სკოლაში და ჩვენი ხარჯებით ასწავლიდნენ, რომ კარგად ელაპარაკა შექსპირის და მილტონის ენაზე და ამის მეტი კი ვერაფერი ისწავლა: ეჰი, ბიჰი, სიჰი. (ელიზას) თქვი: ეი, ბი, სი, დი.

ელიზა (აცრემლებული) მე ხომ ვთქვი; ეჰი, ბიჰი, სიჰი, დიჰი.

ჰიგინსი შეჩერდი. აბა თქვი: ე კაპ ოფ ტიი.

ელიზა ეკაპოტიი.

ჰიგინსი წინ წამოიღე ენა, ვიდრე შეეხებოდეს ქვემო წინა კბილებს. ახლა თქვი „კაპ“.

ელიზა კ-კ-კ-არ შემოდლია. Kკ-კაპ.

პიკერინგი მშვენიერია, ქალბატონო დულიტლ.

ჰიგინსი ღმერთმანი, მალე კი მოახერხა, პიკერინგ, მისგან ნამდვილად ჰერცოგის ასულს გამოვიყვანო. აბა ახლა სცადეთ სთქვათ ტიი, იცოდეთ არა სთქვათ ტჰიი. იცოდეთ, თუ ოდესმე გითქვამთ ეჰი, ბეჰი, სიჰი, დიჰი, თმაში წაგავლებთ ხელს და თრევიტ სამჯერ შემოგატარებთ ოთახს.

ელიზა (ტირლით) მე არავითარ განსხვავებას არ ვგრძნობ, გარდა იმისა, რომ, როცა თქვენ ამბობთ, ცოტა უფრო ტკბილად ჟღერს.

ჰიგინსი მერე თუ ამ განსხვავებას ხედავთ, რა ჯანდაბა გატირებთ? პიკერინგ, შოკოლადი მიეცით.

პიკერინგი ნუ ტირით, ნუ ტირით, ქალბატონო დულიტლ. კარგად ითვისებთ. ეს გაკვეთილები თქვენთვის სასარგებლოა. მე მგონია, ისე ისწავლით, რომ თმით სათრევი არ გახდებით.

ჰიგინსი წადით ქალბატონ პირსთან და უამბეთ. თვითონაც იფიქრეთ, ივარჯიშეთ. ეენას წარამარა გარეთ ნუ ყოფთ. მეორე გაკვეთილი ხუთის ნახევარზე გვექნება დღესვე, წადით.

ელიზა (ქვითინით გავარდება ოთახიდან. აი, ასე მიდის საბრალო ელიზას ცხოვრება თვეების მანძილზე, ვიდრე მას ისევ შევხვდებოდეთ ლონდონის ერთ-ერთ მაღალ საზოგადოებაში).

მეორე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე.

ქ-ნ ჰიგინსს მიღების დღე აქვს. ჯერ არავინ მოსულა. მისი სასტუმრო ოთახი ჩელსის სანაპიროს მხრიდანაა. ფანჯრები მდინარისაკენ გადის. ოთახების ჭერი ამ ტიპის ძველი სახლების ჭერზე უფრო დაბალია. ფანჯრები ღიაა. მოჩანს აივანი, სადაც აწყვია ქოთნები ყვავილებით. პირით ფანჯრისაკენ თუ დაგებით, ღუმელი ხელმარცხნივ იქნება, კარი კი ფანჯრების ახლოს ხელმარჯვნივ.

ქ-ნი ჰიგინსი მორისის და ბარნ ჯონის ყაიდაზეა აღზრდილი. მისი ოთახი, რომელიც სულაც არა ჰგავს ჰიგინსის ოთახს, ავეჯეულობით, პატარა-პატარა მაგიდეებითა და სხვა უსარგებლო ნივთებით გადატვირთული არ არის, ოთახის შუაგულში დიდი ტახტია, რომელიც თავისი ხალიჩით, შპალერით, მორისის ჩითის ფარდებითა და მოქარგული ბალიშებით შეადგენს ოთახის ერთადერთ მორთულობას. რომლის უსარგებლო

ნივთებით დაფარვა, ცოტა არ იყოს, დასანანი იქნებოდა. კედელზე მოჩანს ზეთის საღებავებით შესრულებული რამოდენიმე სურათი, რომლებიც გამოფენილი იყო გროსსვენორის გალერეაში 30 წლის წინით. (ბარნ ჯონისა და უისლერის სკოლა) ვხედავთ სესილ ლოუსონის ერთად-ერთ პეიზაჟს, რომელიც რუბენსის მასშტაბითაა შესრულებული. კედელზეა ქ-ნი ჰიგინსის იმდროინდელი პორტრეტი, როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და იცვამდა როსეტის მშვენიერ კოსტუმს, რაც შემდგომი დროის ბრიყვა მიმბაძველებმა მე-18 საუკუნის 70-იან წლების პოპულარულ უგემოვნო ესთეტიზმით შეცვალეს.

კარის პირდაპირ კუთხეში, სადა, მაგრამ ძვირფას საწერ მაგიდას უზის და წერს ქ-ნი ჰიგინსი, სამოც წელს გადაცილებული ქალი, რომელსაც უკვე დიდი ხანია მოდური ჩაცმისათვის თავი დაუნებებია. ერთი ხელი ზარის ღილაკზე უდევს. აგიდასა და უახლოეს ფანჯარას შორის, ოთახის სიღრმეში, ჩიპენდალის სავარძელია მოთავსებული. ოთახის მეორე მხარეს, ცოტა უფრო წინ, დგას ელისაბედის დროინდელი ინიგო ჯონის გემოვნების ტლანქი კუთხვილიანი სავარძელი. იმავე მხარეზე ვხედავთ მოქარგულ-შალითიან როიალს. ღუმელსა და ფანჯარას შორის კუთხეში დგას მორისის ჩითგადაფარებული დივანი.

საღამოს ექვსი საათია დაწყებული. ერთბაშად იღება კარი და შემოდის ჰიგინსი შლიაპით.

ქ-ნი ჰიგინსი - (შემკრთალი) ჰენრი! (საყვედურით) დღეს აქ რა გინდა? ხომ იცი, რომ ჩემი მიღების დღეა? აკი დამპირდი, არ მოვალო.

ჰიგინსი - (დედის საკოცნელად დაიხრება, ქ-ნი ჰიგინსი შლიაპას მოხდის და მიაწვდის) ახ, დალახვროს ეშმაკმა. (შლიაპას მაგიდაზე დააგდებს).

ქ-ნი ჰიგინსი - ახლავე წადი.

ჰიგინსი - (კოცნის) ვიცი, დადა, ვიცი, მაგრამ განგებ მოვედი.

ქ-ნი ჰიგინსი - სერიოზულად გეუბნები, ჰენრი, შენი დარჩენა არ იქნება. ჩემს მეგობრებს შეურაცხყოფას აყენებ და მიფრთხობ. შაკმარისია ერთხელ მოგკრან თვალი, რომ ფეხი ამოიკვეთონ.

ჰიგინსი - სისულელეა. მე მაღალი საზოგადოების ლაპარაკს ჩვეული არა ვარ, მაგრამ ეს ვის რაში ედარდება, არ ვიცი. (ტახტზე ჩამოჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი - მაღალი საზოგადოების ლაპარაკი! შენებური საზოგადოების ლაპარაკი როგორიღაა? ძვირფასო, სჯობია წახვიდე.

ჰიგინსი - ვერ წავალ, დედა, საქმე მაქვს, ფონეტიკასთან დაკავშირებული საქმე.

ქ-ნი ჰიგინსი - სულ ერთია, უნდა წახვიდე. იმ შენს ხმოვნებს თავი მაინც ვერ გავართვი, თუმცა ძალიან კი მიხარია, როცა სტენოგრაფიულ ჩანაწერებიან ერთად ღია ბარათს ვიღებ შენგან, მაგრამ იმათ ისე მაინც ვერ ვიგებ, ტუ ჩვეულებრივი ასოებით

დაწერილ სტრიქონებრივ თარგნასს ვერ შევაშველებ, რასაც მასთან ერთად მიგზავნი ხოლმე.

ჰიგინსი - კი, მაგრამ იმ საქმეს რომელზედაც ახლა მოვედი, ფონეტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ქ-ნი ჰიგინსი - აკი, თქვი აქვსო?

ჰიგინსი - მე აქ ერთი გოგო მოვიყვანე.

ქ-ნი ჰიგინსი - გოგო მოიყვანე თუ გოგოს სიყვარულმა მოგიყვანა?

ჰიგინსი - სრულიადაც არა, აქ სიყვარული არაფერ შუაშია.

ქ-ნი ჰიგინსი - სამწუხაროა.

ჰიგინსი - რატომ?

ქ-ნი ჰიგინსი - ჯერ არ მახსოვს ოდესმე ისეთი ქალი შეგეყვარებინოს, რომ ორმოცდახუთს არ ყოფილიყო გადაცილებული. ნეტავი როდის მიხვდები რომ ლამაზები ახალგაზრდებშიაც არიან?

ჰიგინსი - ახალგაზრდა ქალების ლოლიაობის თავი სად მაქვს? ჩემი იდეალი ზუსტად შენისთანა ქალია. ახალგაზრდებს ვერასოდეს შევიყვარებ. ამ აზრს უკვე შევეჩვიე და ხომ გაგიგონია:

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია . (წამოვარდება და გაივლ-გამოივლის. ჯიბეში გასაღებს და ხურდა ფულს აჩხრიალებს). მერე და, ახალგაზრდა ქალები თავქარიანები არიან.

ქ-ნი ჰიგინსი - ჰენრი, თუ გიყვარდე, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე.

ჰიგინსი - რა, ცოლი შევირთო?

ქ-ნი ჰიგინსი - არა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღებ და წინ და უკან ნუ დადიხარ.

ჰიგინსი - (დაემორჩილება და განაწყენებული ჩამოჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი - აი, ეს მომწონს, კარგი ბიჭი ხარ. ახლა მიაშვებ ვინაა ის გოგო?

ჰიგინსი - დხეს გესტუმრება. .

ქ-ნი ჰიგინსი - მე რომ არ დამიფატიჟნია?

ჰიგინსი - შენ, რა თქმა უნდა, არ დაგიპატიჟნია, მე დავპატიჟე. შენ რომ იცოდე ვინაა, არასოდეს არ დაპატიჟებდი.

ქ-ნი ჰიგინსი - მართლა? რატომ?

ჰიგინსი - იცი რა უბრალო ხვავილების გამხიდეველი გოგოა ქუჩიდან ავიყვანე.

ქ-ნი ჰიგინსი - მერე და რაღა ცემი მიღების დღეს დაპატიჟე.

ჰიგინსი - (წამოდება და დედასთან დასაშოშმინებლად მივა) საშიში არარფერია. წესიერი ლაპარაკი უკვე ვასწავლე. დავარიგე როგორ მოიქცეს. ლაპარაკში სულ ორ საკითხს შეეხება: იკითხავს ვინ როგორ ბრძანდება და როგორი ამინდია. სხვა საკითხებში არ ჩაერევა. ასე რომ, დარდი ნუ გექნება, საშიში არაფერია.

ქ-ნი ჰიგინსი - საშიში არაპერია! ჩვენს ჯანმრთელობაზე ილაფარაკებს!? ჩვენს შინაგან ორგანოებზე? იქნება ჩვენს გარეგნობაზეც ილაპარაკებს? Eეს რა სისულელე ჩაგიდენია, ჰენრი?

ჰიგინსი - (მოუთმენლად) კი, მაგრამ რამეზე ხომ უნდა ილაპარაკოს? (თავს შეიკავებს და ჯდება) ნუ აფორიაქდი, ტავს წესიერად დაიცერს, პიკერინგიც ამ საქმის მონაწილეა. მასთან დანაძლევებული ვარ, რომ ეს გოგონა ექვს ტვეში ჰერცოგის ასულს დავამსგავსო, რამოდენიმე თვეა მეცადინეობა დავიწყე. საოცარი სისწრაფით იტვისებს ყველაპერს. სანაძლეოს უსათუოდ მოვიგებ. მახვილი ყურის პატრონია. ჩვენი ბურჟუების ქალიშვილებზე უკეთ სწავლობს, ვინაიდან მას სრულიად ახალი ენის შესწავლა უხდება. ინგლისურად ისევე კარგად ლაპარაკობს, როგორც შენ ფრანგულად.

ქ-ნი ჰიგინსი - ასე თუა, ყოველ შემთხვევაში კარგია.

ჰიგინსი - კარგიცაა და კიდევ არაა კარგი.

ქ-ნი ჰიგინსი - რათა?

ჰიგინსი - აი, რა! გამოთქმები გავუსწორე, მაგრამ საქმე მარტო ის როდია როგორ გამოთქვამს. საქმე ისაა, რას გამოთქვამს. ამიტომაც... (მათ საუბარს აწვწვტინებს მოსამსახურე ქალი, რომელიც სტუმრების მოსვლას აუწყებს).

მოსამსახურე ქალი - მისის ეინსფორდ ჰილი, მის ეინსფორდ ჰილი (გადის).

ჰიგინსი - ოჰ, ღმერთო ჩემო. (წამოდგება, სასწრაფოდ აიღებს შლიაპას მაგიდიდან და კარისაკენ გაემართება, მაგრამ, ვიდრე იქამდეს მიაღწევდეს დედა სტუმრებს აცნობს. მისის ეინსფორდ ჰილი და მის ეინსფორდ ჰილი ის დედა და ქალიშვილია, რომლებიც წვიმის დროს კოვენტ გარდენში შეეფარნენ. დედა კარგად აღრზდილი დინჯი ქალია, როგორც ჩანს, ღარიბია და ეს აწუხებს კიდევ. ქალიშვილს ეტყობა, რომ ადვილად უმინაურება ამა თუ იმ საზოგადოებას. თავს ძალად იმხიარულებს - სიღარიბეს არ იმჩნევს).

მისის ეინსფორდ ჰილი - (ქ - ნ ჰიგინსს) სადამო მშვიდობისა, (ხელს ართმევს).

ქ-ნი ჰიგინსი - ჩემი ვაჟიშვილი, ჰენრი. .

მისის ჰილი - თქვენი სახელგანთქმული ვაჟიშვილი? როგორ მენატრებოდა თქვენთან შეხვედარა, პროფესორო ჰ ჰ.

ჰიგინსი - (პირქუშად, მისის ეინსფორდ ჰილისკენ ფეხსაც არ გადადგამს) მოხარული ვარ. (როილისკენ დაიხვეს და უხეშად ესალმება).

მის ჰილი - (შინაურად მივა ჰიგინსთან) სადამო მშვიდობისა.

ჰიგინსი - (გაოცებით შესცქრის) სადხაც მინახიხართ, წარმოდგენაც არ მაქვს სად, მაგრამ თქვენი ხმა უთუოდ გამიგონია (მოწხენილად) თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. სჯობია დაბრძანდეთ.

ქ-ნი ჰიგინსი - უნდა ვაღიარო, რომ ჩემმა სახელგანთქმულმა ვაჟიშვილმა არ იცის საზოგადოებაში როგორ მოიქცეს და გთხოვთ თქვენც არ მიაქციოთ ყურადღება.

მის ჰილი - (მხიარულად) ჩემთვის სულერთია (ჩამოჯდება ელისაბედის დროინდელ სავარძელში).

მისის ჰილი - (განაწყენებული) ცემთვის კი არაა სულერთი. (ტახტზე დაჯდება ქალიშვილისა და ქ - ნ ჰიგინსს შორის, რომელმაც საწერ მაგიდას მოაშორა სკამი).

ჰიგინსი - უხესად ხომ არ მოგეკეცით? უნებურად მომივიდა (ზურგშექცეული დაჯდება შუა ფანჯარასთან და გაჰყურებს მდინარესა და ბატერსის პარკის ყვავილნარს ტემზას გაღმა, რომელიც ისე მოჩანს, თით- ქოს ყინულით დაფარული უდაბნო იყოს. მოსამსახურე ქალი შემოდის და აცნობებს პოლკოვნიკი პიკერინგის მოსვლას.

მოსამსახურე ქალი პოლკოვნიკი პიკერინგი (გადის).

პიკერინგი საღამო მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს.

ქ-ნი ჰიგინსი მოხარული ვარ, რომ მობრძანდით. გაიცანით მისის ჰილი. (თავს უკრავენ ერთი მეორეს. პოლკოვნიკი დაიდგამს ჩიპენდალის სკამს, მისის ჰილსა და ჰიგინსის წინ და დაჯდება.).

პიკერინგი გითხრათ ჰენრიმ რისთვის მოვედით?

ჰიგინსი (მხოლოდ თავს მოაბრუნებს) ვინ გაცალა? დასწყევლოს ღმერთმა, სიტყვა გაგვაწყვეტინეს.

ქ-ნი ჰიგინსი მართლა და მართლა, გეყოფა, ჰენრი, გეყოფა. (მისის ჰილი ნახევრად წამომდგარი).

მისის ჰილი ჩვენ ხომ არ გიშლით?

ქ-ნი ჰიგინსი (ადგება და ისევ დასვამს ადგილზე) არა, არა, რასა ბრძანებთ? პირიქით, დროზე მოხვედით. ერთ ჩვენს მეგობარს უნდა შეგახვედროთ.

ჰიგინსი (მობრუნდება დაიმედებული) ღმერთმანი, ასე იყო. ჩვენ ორი-სამი კაცი მაინც გვინდოდა. ნეტავი, თვეებს გარდა კიდევ ვინმე მოვიდოდეს. (შემოვა მოსამსახურე ქალი და ფრედის მოსვლას ამცნობს).

მოსამსახურე ქალი მისტერ ჰილი.

ჰიგინსი (ხმამალლა, მოთმინება დაკარგული) ღმერთო ჩემო, კიდევ ამათი ოჯახიდან.

ფრედი (ხელს ართმევს ქ-ნ ჰიგინსს) გაუ!

ქ-ნი ჰიგინსი ძალიან კარგია, რომ მობრძანდით. (ამცნობს) პოლკოვნიკი პიკერინგი.

ფრედი (თავს უქნევს) გაუ!

ქ-ნი ჰიგინსი მგონი არც ჩემ ვაჟს იცნობთ? Pპროფესორი ჰიგინსი.

ფრედი (მივა ჰიგინსთან) გაუ! (ჰიგინსი ისე უყურებს თითქოს ფრედი ჯიბგირი იყოს).

ჰიგინსი დავიფიცავ, რომ სადღაც უსათუოდ მინახავხართ. ნეტავი სად?

ფრედი მე კი არა მგონია.

ჰიგინსი (მშვიდად) თუმცა რა მნიშვნელობა აქვს სად? დაბრძანდით.

(ხელს ართმევს ფრედის და თითქმის ძალად დასვამს ტახტზე პირით ფანჯრისკენ და თვითონ მეორე მხრით.

შემოუვლის).

ჰიგინსი აჰა, შევიკრიბებით, მაგრამ (მისის ჰილის მარცხნივ დაჯდება ტახტზე) ელიზას მოსვლამდე რა ჯანდაბაზე ვილაპარაკოთ?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, სამეფო სამეცნიერო საზოგადოების სული და გული შენა ხარ მაგრამ რა მოგივიდა, რომ ჩვეულებრივ საზოგადოებას სრულებით ვერ იტან?

ჰიგინსი მართლა? ვწუხვარ, თუ ასეა. (სახე გაუბრწყინდება) თუმცა, მართალი ხარ, მართალი, ასეთი ვარ, ასეთი. (როხროხით) ხა,ხა,ხა.

მის ჰილი (რომელიც ჰიგინსს შესცქერის, როგორც სასურველ საქმროს) ეგ მომწონს, არც მე მიყვარს ცერემონიებით ლაპარაკი. ნეტავი ადამიანები გულწრფელები იყვნენ და იმას ამბობდნენ, რასაც ფიქრობენ.

ჰიგინსი (მოიღუშება) ღმერთმა დაგვიფაროს.

მისის ჰილი (ყური მოკრა თავისი ქალიშვილის უკანასკნელ სიტყვებს) რატომ?

ჰიგინსი რაზედაც ისინი ფიქრობენ, კარგი ნაფიქრალიაო, - საკმაოდ ცუდი ნაფიქრალია. ღმერთმა უწყის, რომ, თუ მათი ნაფიქრალი ახდა, ყველაფერი აირევდაირევა. როგორა გგონიათ, კარგი იქნება, რომ მე ახლა საჯაროდ გამოვთქვა რასაც ვფიქრობ?

მისის ჰილი ასეთ ცუდს რას ფიქრობთ?

ჰიგინსი ცუდი? ვინ ეშმაკმა თქვა ცუდიაო? ცუდი კი არა, მე მგონია კარგ რამეს ვფიქრობ.

მისის ჰილი (სერიოზულად) მჯერა, რომ გულში ისე არა ფიქრობთ, მისტერ ჰიგინს.

ჰიგინსი აი, მომისმინეთ. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ველურები ვართ და მაინც მივაჩნევართ ცივილიზებულ და კულტურულ ხალხად, რომელსაც ესმის პოეზია, ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება და ასე შემდეგ. მაგრამ, მითხარით, რამდენ ჩვენთაგანს გაეგება თუნდაც მხოლოდ ამ სიტყვების მნიშვნელობა? (მის ჰილს) რა გესმით თქვენ პოეზიის? (მისის ჰილს) თქვენ მეცნიერების რა გესმით? (მიუთითებს ფრიდზე) ან ამან რა იცის ხელოვნებისა, ან მეცნიერებისა, ან სხვა რაიმესი, ანდა, როგორა გგონიათ, რა ჯანდაბა მესმის მე ფილოსოფიისა?

ქ-ნი ჰიგინსი ანდა საზოგადოებაში თავის დაჭერისა.

მოსამსახურე ქალი (კარს შემოადებს) მის დულიტლი. (გადის).

ჰიგინსი (სწრაფად დგება და მიდის ქ-ნ ჰიგინსთან) მოვიდა, დედა. (ფეხისწვერზე შედგება და თვალებით ანიშნებს რომელია დედამისი, რათა ელიზა მიხვდეს ვინაა მისი მასპინძელი. ელიზა მშვენივრადაა მორთული. ერთბაშად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი სილამაზით მოხიბლულები ფეხზე დგებიან. ჰიგინსის ნიშნების თანახმად, ნასწავლი მოხდენილობით მივა ქ-ნ ჰიგინსთან).

ელიზა (პედანტურად იცავს გამოთქმის წესებს. ლაპარაკობს ლამაზად და მუსიკალურად) სადამო მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს! (ჰ-ს წარმოთქმის დროს ცოტა შეიბორძიკებს, მაგრამ საბოლოოდ კარგად გამოთქვამს) ბატონმა ჰიგინსმა დამართო თქვენთან მოსვლის ნება.

ქ-ნი ჰიგინსი (გულწრფელად) კარგი უქნია. ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა.

პიკერინგი სადამო მშვიდობისა, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა (ხელს ართმევს) ეს თქვენა ბრძანდებით, პოლკოვნიკო პიკერინგ?

მის ჰილი - სადღაც შემხვედრიხართ, ქ-ნო დულიტლ, თქვენს თვალებს ვცნობ.

ელიზა სადამო მშვიდობისა. (პიკერინგის გვერდზე მოხდენილად ჯდება).

მისის ჰილი (აცნობს) ჩემი ქალიშვილი კლარა.

ელიზა სადამო მშვიდობისა.

კლარა (თითქოს უნებურად) სადამო მშვიდობისა. (დაჯდება ტახტზე ელიზას გვერდით და მას გამწყრალი თვალებით შესცქერის.).

ფრედი (გადმოვა მათ მხარეზე) მე კი ნამდვილად მქონდა პატივი მენახეთ.

მისის ჰილი (აცნობს) ჩემი ვაჟიშვილი ფრედი.

ელიზა - სადამო მშვიდობისა. (ფრედი თავს დაუკრავს და თავგზააბნეული ჩაჯდება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

ჰიგინსი (ერთბაშად) სწორედ ასეა, გამახსენდა, გამახსენდა. (ყველა მას შეაჩერდა) კოვენტ გარდენში. რა დაწყევლილი მეხსიერება მაქვს?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი! (ჰიგინსი მაგიდის კიდეზე აპირებს ჩამოჯდომას) საწერ მაგიდაზე ნუ ჯდები, გატეხავ.

ჰიგინსი (გულმოსული) ბოდიში. (მიდის დივანისკენ. ფეხს წამოკრავს მაშებსა და მათ დასადგამს. ბუზღუნითა და წყევლით განაგრძობს გზას და თავისი ამ უბედური მგზავრობის დასასრულს ისე მაგრა დაეშვება დივანზე, რომ კინაღამ ჩაამტვრევს. ქ-ნი ჰიგინსი შეხედავს შვილს, მაგრამ თავს შეიკავებს და არაფერს არ ეტყვის. ამას მოსდევს ხანგრძლივი და მძიმე დუმილი.).

ქ-ნი ჰიგინსი (ბოლოს და ბოლოს დაარღვევს სიჩუმეს) როგორ გგონიათ გაწვიმდება?

ელიზა ბრიტანეთის კუნძულების დასავლეთიდან ცვალებადი მოღრუბლულობა, როგორც ეტყობა, აღმოსავლეთისაკენ მძიმე-მძიმედ მიემართება. ბარომეტრი არ მიუთითებს ამინდის შესამჩნევ მოსალოდნელ ცვლილებებზე.

ფრედი ხა, ხა, ხა, რა სასაცილოა.

ელიზა რა გამოვთქვი ცუდად, ახალგაზრდავ?

ფრედი გასაყეყეჩებელია.

მისის ჰილი იმედი მაქვს არ აცივდება, ისეა ინფლუენცია მოდებული. ობელ გაზაფხულზე უთუოდ ემართება.

ინფლუენცია მთელ ჩვეს ოჯახს.

ელიზა (მოწყენილი) როგორც ამბობენ, ბიცოლა ჩემიც ინფლუენციით მომკვდარა.

მისის ჰილი (ენას მრავალ მნიშვნელოვნად აწკლავუნებს).

ელიზა (იმავე ტრაგიკული ტონით) მაგრამ, მე მგონია, რომ ინფლუენცია მხოლოდ ბებრუცუნებს უგრეხს კისერს.

ქ-ნი ჰიგინსი (შემკრთალი) კისერს უგრეხს?

ელიზა დ-დიახ! თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ. იცით, ბიცოლაჩემი როგორ მოჰკლა ინფლუენციამ? ერთი წლით ადრე დიფთერიტი მოიხადა. ჩემი საკუთარი თვალებითა ვნახე. სულ გაღურჯებული იყო, ყველას ეგონა მკვდარიყო, მაგრამ მამაჩემმა იმდენი სპირიტ ასვა და ასვა კოვზით, რომ საწყალი ქალი ერთბაშად მოვიდა გონს და კოვზს კინალამ პირი მოაჭამა.

მისის ჰილი (შემკრთალი) ღმერთო ჩემო.

ელიზა (აზვიადებს ამბავს) აბა, თვითონა თქვით, როგორ უნდა მორეოდა ისეთ ღონიერ ქალს გრიპი? ანდა სად წავიდა მისი ახალი ჩალის ქუდი, რომელიც ჩემთვის უნდა მოეცა? აწაპნეს და იცით რა გითხრათ? იმის ასაწაპნავად გააცხოზინეს სული.

მისის ჰილი სულის გაცხებინება რას ნიშნავს?

ჰიგინსი (სწრაფად) ეს ახალი გამოთქმაა. სულის გაცხებინება ნიშნავს მოკვლას.

მისის ჰილი (ელიზას შეშინებული) დარწმუნებული ხართ, რომ ბიცოლათქვენი მოკლეს?

ელიზა როგორ არა, ისეთ ხალხთან ცხოვრობდა, რომ ქუდისათვის კი არა, ქუდის ქინძისთავისთვისაც კი მოკლავდნენ.

მისის ჰილი არც მამაშენი მოქცეულა კარგად. იმდენი სპირტი, რომ ასვა და ასვა, იმასაც ხომ შეეძლო მოეკლა?

ელიზა არა, სპირტი დედის რძე იყო ბიცოლაჩემისათვის. ესეც არ იყოს, მამაჩემს იმდენი სპირტი ჩაუსხავს ყანყრატოში, რომ იცის მისი ყადრი.

მისის ჰილი რაო? თვრება?

ელიზა თვრება რომელია, ყოველთვის გამოლემილია.

მისის ჰილი რა საშინელება იქნება ეს თქვენთვის?

ელიზა სრულიადაც არა, ჩემს დღეში არ მინახავს, რომ მამაჩემისათვის სპირტს ეწყენინებინოს. მერე ყოველთვის ხომ არ სვამდა? (მხიარულად) ქეიფის დროს თვრებოდა, დროგამოშვებით. ცოტა ნასვამი თუ იყო, უფრო მშვიდი და მოსიყვარულე ხდებოდა. თუ არ მუშაობდა, დედა 4 პენსს მისცემდა და ეტყოდა: წადი და მანმადე არ მოხვიდე, სანამ იმდენს არ დალევ, რომ მხიარული და მოსიყვარულე გახდეთ. ბევრია ისეთი ქალები, რომლებიც იმისათვის ათრობენ ქმრებს რომ მათთან ცხოვრება შეიძლებოდეს. (თავისუფლად) იცით ეს ასე.

რატომ ხდება? თუ კაცს სინდისის ნატამალი მაინც გააჩნია, სიფხიზლეში გააჩნია და ის ხდის უგუნებოდ, ჰოდა როგორც კი თვრება, სინდისი ქრება და კაციც ბედნიერდება. (ფრედის, რომელიც სიცილს ვერ იკავებს) რაო, რას იკრიჭები?

ფრედი თქვენ მშვენივრად ხმარობთ ახალ გამოთქმებს.

ელიზა თუ კარგად ვხმარობ, მაშ რაღას იკრიჭები?

ქ-ნი ჰიგინსი (ჩაერევა) სრულიადაც არა, ქ-ნო დულიტლ.

ელიზა ესეც კარგია. (გულახდილად) უნდა გითხრათ, რომ...

ჰიგინსი (ადგება საათს შეხედავს) ოჰო.

ელიზა (შეხედავს ჰიგინსს, მიხვდება რას ანიშნებენ და დგება) დიახ, მე უნდა წავიდე (ყველანი დგებიან, ფრედი მიდის კარისაკენ) მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა. ნახვამდის. (ხელს ართმევს ქ-ნ ჰიგინსს).

ქ-ნი ჰიგინსი ნახვამდის.

ელიზა ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ.

პიკერინგი ნახვამდის, ქ-ნო დულიტლ. (ხელს ართმევს ერთმანეთს).

ელიზა (თავს უკრავს დანარჩენებს) ნახვამდის, ნახვამდის!

ფრედი (კარს უღებს) პარკისაკენ მიდიხართ, ქ-ნო დულიტლ? თუ ასეა...

ელიზა (ამბობს დახვეწილი დიქციით) ფეხით? არა. ფეხით? ბებია გიცხონდეს! (სენსაცია) ტაქსით მივდივარ. (გადის, პიკერიგი ამოიოხრებს და დაჯდება. ფრედი აივანზე გადის, რომ ელიზას კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი).

მისის ჰილი (ჯერ კიდევ ელდანაცემი) ვერა, მე ვერ შევეჩვევი ამ ახალ გამოთქმებს.

კლარა (უკმაყოფილოდ ჩაეშვება ელისაბედისდროინდელ სავარძელში) ოჰ, ეს არაფერია, დედი, არაფერი. ნუ გაიოცებ, თორემ, თუ დაინახავენ, რომ ისეთი ძველი ყაიდისა ხარ, ხალხი იფიქრებს, თითქოს არსად არ დავდიოდეთ და არაფერი გვენახოს.

მისის ჰილი მე არა მრცხვენია ვალიარო, რომ ძველი ყაიდისა ვარ. მაგრამ იმედი მაქვს შენ არ იხმარ ამ გამოთქმებს. მე შევეჩვით შენგან ისეთი სიტყვების გაგონებას, როგორცაა „გარეწარი . „ჭუჭყიანი , „მხეცური , თუმცა ლედისათვის ესენიც შეუფერებელ სიტყვებად მიმაჩნია. ეგ უკანასკნელი გამოთქმა კი მეტის მეტია. თქვენ როგორ ფიქრობთ, პოლკოვნიკო პიკერინგ?

პიკერინგი ნუ მეკითხებით. რამდენიმე წელი დავყავი ინდოეთში და ისე გამოიცვალა აქაური მეტყველება, რომ ხშირად ვერ გამირკვევია წესიერ საზოგადოებაში ვარ თუ მეზღვაურების კაიუტაში.

კლარა ეს ჩვევის საქმეა. შწორი და არა სწორი მეტყველებაში არ არსებობს. ასეთ სიტყვებს განგებ არავინ იგონებს, მაგრამ ისინი მაინც მიმზიდველნი არიან, რადგანაც ხანდახან მეტად გონებამახვილურად და ხაზგასმით გამოხატავენ ზოგიერთ რამეს, რომლებშიაც თავისთავად არაფერია გონებამახვილური. ეს ახალი გამოთქმა, ჩემის აზრით, მშვენიერიცაა და მიაბიტიურიც.

მისის ჰილი (დგება) კარგი, გეყოფა ამაზე ლაპარაკი. დროა წავიდეთ. (პიკერინგი და ჰიგინსი დგებიან).

კლარა (დგება) დროა, დრო. თორემ ამ საღამოს კიდევ სამ ადგილას უნდა შევიაროთ. ნახვამდის, ქ-ნო ჰიგინს. ნახვამდის, პოლკოვნიკო პიკერინგ, ნახვამდის, პროფესორო ჰიგინს.

ჰიგინსი (მოღუშული მივა მასთან და მიაცილებს კარებამდე) ნახვამდის. სამგანვე იხმარეთ ეს ახალი გამოთქმა. არ დაგავიწყდეთ. გაბედულად იხმარეთ.

კლარა (სახეგაბადრული) ვეცდები, ნახვამდის, ნამდვილი სისულელეა ეს ვიქტორიანული წესიერება.

ჰიგინსი (აქეზებს) წყეული სისულელეა.

კლარა ბებია უცხონდეს.

მისის ჰილი (შეშფოთებული) კლარა!

კლარა ხა,ხა,ხა. (გადის იმის შეგნებით სახეგადიმებული, რომ სავსებით თანამედროვე გოგოა. კიბეზე სიცილ-კისკისით ჩადის.).

ფრედი (ზეცას) შენ გემუდარები... (გაწყვეტს სიტყვას და მივა ქ-ნ ჰიგინსთან) ნახვამდის.

ქ-ნი ჰიგინსი (ხელს ართმევს) ნახვამდის. გინდათ ისევ შევხვდეთ ქ-ნ დულიტლს?

ფრედი (მოუთმენლად) მინდა, ძალიან მინდა.

ქ-ნი ჰიგინსი მერე, ხომ იცით ჩემი მიღების დღეები?

ფრედი - ვიცი, დიდათ გმადლობთ. ნახვამდის. (გადის).

მისის ჰილი - (პიკერინგს) ვერა, ვერა, იმ სიტყვას მე ვერ შევეჩვენე.

პიკერინგი არცაა საჭირო, ვინ გამძალებთ, გინდათ თუ არა იხმარეთო? უიმისოდაც იოლად გახვალთ.

მისის ჰილი- მხოლოდ საქმე ისაა, რომ კლარა ძალიან მიჯავრდება, რატომ ახალ-ახალ გამოთქმებს არ ხმარობო. ნახვამდის.

პიკერინგი ნახვამდის.

მისის ჰილი (ქ-ნ ჰიგინსს) არ გაგიკვირდეთ კლარასგან. (მისის ჰილის გადასვლა ჩურჩულზე მიახვედრებს პიკერინგს, რომ მათი საუბარი მის მოსასმენად არაა განკუთვნილი. ფეხაკრეფით მივა ჰიგინსთან. რომელიც ფანჯარასთან დგას) ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, იშვიათად თუ დავდივართ სადმე. საბრალო გოგო! რც კი იცის როგორ მოიქცეს საზოგადოებაში. (ქ-ნი ჰიგინსი როცა დაინახავს აცრემლებულ მისის ჰილს, თანაგრძნობით მოჰკიდებს ხელს და წაიყვანს კარებისკენ) ბიჭი კი კარგი მყავს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

ქ-ნი ჰიგინსი ჩინებული ყმაწვილია. ყოველთვის გამახარებს მისი ნახვა.

მისის ჰილი ნახვამდის, ძვირფასო, ნახვამდის. (გადის).

ჰიგინსი (მოუთმენლად) როგორაა საქმე? შეიძლება ელიზას კარგ საზოგადოებაში გარევა თუ არა? (ხელს ჰკიდებს დედას და მიჰყავს ტახტისაკენ, სადაც ქ-ნი ჰიგინსი ელიზას ადგილზე ჯდება, ჰიგინსი მის მარცხნივ; პიკერინგი კი ქ-ნი ჰიგინსის მარჯვნივ დაჯდება სკამზე).

ქ-ნი ჰიგინსი ოჰ, რამ გამოგასულელა, ბიჭო. რათქმაუნდა, არ შეიძლება. ელიზა თერძისა და შენი ხელოვნების გამარჯვებაა, მაგრამ ერთი წუთითაც თუ წარმოგიდგენია, რომ ყოველ წინადადებაში არ ამჟღავნებს თავის თავს, მაშინ გაუგიჟებინარ და ეგ არის.

პიკერინგი მაგრამ, თქვენის აზრით, ზოგი რამის გაკეთება ხომ შეიძლება? თუნდაც მისი მეტყველებიდან უშვერი გამოთქმების მოცილების თვალსაზრისით.

ქ-ნი ჰიგინსი სანამ ჰენრის ხელშია, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

ჰიგინსი (ნაწყენი) რა, მე ენა არ მივარგა?

ქ-ნი ჰიგინსი არ გივარგა, ჩემო კარგო. შენი ენა მარტო მეზღვაურებისათვის არის გამოსადეგი. მაგრამ ელიზას საზოგადოებაში გამოსაყვანად კი, რა მოგახსენო.

ჰიგინსი (დრმად შეურაცხყოფილი) უნდა გითხრათ, რომ...

პიკერინგი (აწყვეტინებს) აი რა, ჰიგინს. დროა საკუთარ თავს იცნობდე. იმისთანა სიტყვები, რომელსაც შენ ხმარობ მართალი გითხრა, ოცი წლის წინათ ჰაიდ პარკში მე და შენ მოხალისეებს რომ ვათვალისწინებდით, მას შემდეგ არა მსმენია.

ჰიგინსი (გულმოსული) თქვენ ისე ამბობთ, თითქოს, თუ ყოველთვის ეპისკოპოსივით არ ვილაპარაკებ, დამნაშავე ვიყო.

ქ-ნი ჰიგინსი (ხელს შეახებს და ამშვიდებს ჰენრის) პოლკოვნიკო პიკერინგ, ვერ მეტყვი, დანამდვილებით რა კეთდება უიმპოლის ქუჩაზე?

პიკერინგი (გახარებული, თითქოსდა ამ კითხვას საუბრის თემა შეეცვალოს) მე იქ ჰენრისთან ჩამოვედი, ინდურ დიალექტებზე ვმუშაობთ, ჰოდა, უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია.

ქ-ნი ჰიგინსი ეგ არ მაინტერესებს, ეგ ყველაფერი ვიცი, კარგად მოგიწყვიათ საქმე; მაგრამ ერთი ეს მითხარით: ის გოგო სად ცხოვრობს?

ჰიგინსი რა თქმა უნდა, ჩვენთან. აბა სად უნდა იცხოვროს?

ქ-ნი ჰიგინსი რა პირობით? ხელზე მოსამსახურეა თუ ვინ არის, რა არის?

პიკერინგი (მშვიდად) მგონი მივხვდი რისი თქმაც გნებავთ, ქ-ნო ჰიგინს!

ჰიგინსი წყეული ვიყო თუ რამე მესმოდეს. ეს რამდენიმე თვეა, რაც იმ გოგონასთან ვმუშაობ, რომ ისეთი გამეხადა, როგორც ახლაა. ესეც არ იყოს, ელიზა ჩემთვისაც სასარგებლოა. იცის სად აწყვია ჩემი ნივთები და მაგონებს ხოლმე როდის რა გავაკეთო.

ქ-ნი ჰიგინსი შენი მნე-ქალი როგორ შეეწყო?

ჰიგინსი ქ-ნი პირსი? ძალიან გახარებულია, რომ ბევრი საქმე მოაკლდა. ელიზას მოსვლამდე, მას უნდა მოენახა ჩემი ნივთები და მოეგონებინა როდის რა გამეკეთებინა. მაგრამ ბოლო დროს ელიზას შესახებ რაღაცა აიჩემა და სულ ჩამჩინებს: „არ ფიქრობთ, ბატონო, ,,არ ფიქრობთ, ხომ ასეა, პიკერინგ?

პიკერინგი სწორედ რომ ასეა. აჩემებული აქვს, თქვენ არა ფიქრობთ, ბატონო, და ყოველ საუბარს, რომელიც ელიზას ეხება, ამით ამთავრებს.

ჰიგინსი თითქოსდა მე ოდესმე შემეწყვიტოს ფიქრი როგორც ელიზაზე, ისე მის წყეულ ხმოვნებსა და თანხმოვნებზე. ის კი არა, დავიდალე როგორც მათზე ფიქრით, ასევე ელიზას ტუჩების, კბილების და ენის ყურებითაც, სული რომ არც კი ვახსენოთ, რაც ამათში ყველაზე უმნიშვნელოა.

ქ-ნი ჰიგინსი თქვენ ორივენი მართლაც რომ ნამდვილი ბავშვები ხართ. ცოცხალ დედოფალს ეთამაშებით.

ჰიგინსი ვეთამაშებით? თამაში კი არა, დედა, ამაზე მძიმე შრომა არასოდეს გამიწევია, მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა საშინლად საინტერესოა აიყვანო ადამიანური არსება და სრულიად განსხვავებულ არსებად იმით გარდაქმნა, რომ შეუქმნა ახალი სალაპარაკო ენა, ურომლისობაც ღრმა უფსკრულს ქმნის და ამორებს როგორც კლასს კლასისაგან, ისე სულს სულისაგან.

პიკერინგი (სკამს ქ-ნ ჰიგინსთან მისწევს და მისკენვე გადაიხრება) დიახ, მეტად საინტერესოა. ქ-ნო ჰიგინს, დამიჯერეთ, რომ ელიზას ძალიან სერიოზულად მოგვიდეთ ხელი. არა მარტო ყოველ კვირას, არამედ თითქმის ყოველ დღეს რაიმე ცვლილება მოაქვს. (უფრო ახლო მიიწევს) ჰოდა, ვიწერთ ყოველ სიახლეს. უამრავი ფირი ჩავწერთ და ფოტოსურათი გადავიღეთ.

ჰიგინსი (მეორე ყურში ჩასძახებს) ღმერთმანი, ასეთი ცდისათვის, რომელიც მთელ დროს მართმევს, ხელი არასოდეს მომიკიდნია, მთელს ჩვენს ცხოვრებას ელიზა ავსებს, არა პიკერინგ?

პიკერინგი სულ ელიზაზე ვლაპარაკობთ.

ჰიგინსი ელიზას ვასწავლით.

პიკერინგი ელიზას ვაცმევთ.

ქ-ნი ჰიგინსი რაო?

ჰიგინსი ვიგონებთ ახალ ელიზას.

პიკერინგი ისეთი არაჩვეულებრივად მახვილი ყური აქვს...

ჰიგინსი დამიჯერეთ, ჩემო ძვირფასო, ქალბატონო ჰიგინს,

რომ ეს გოგო...

ჰიგინსი როგორც თუთიყუშს. მე ვავარჯიშე ის...

პიკერინგი პირდაპირ გენიას. მშვენივრად უკრავს როიალზე.

ჰიგინსი ყოველგვარი ადამიანური ბგერების გამოთქმაში, რაც გვხვდება...

პიკერინგი გვყავდა კლასიკური მუსიკის კონცერტზე და მიუზიკ.

ჰიგინსი კონტინენტის დიალექტებში, აფრიკულ დიალექტებში,

პიკერინგი ჰოლში; იმისათვის ორივე ერთნაირად... ადვილია; რასაც ყურს მოკრავს ან მოისმენს.

ჰიგინსი ჰოტენტოტის კილოკავებში, რომელთა გაგებას მე წლობით მოუნდი.

პიკერინგი და, სახლში რომ მოვა, ყველაფერს უკრავს ბეთხოვენი...

ჰიგინსი ისე სწრაფად აითვისა, რომ გეგონებოდათ მთელი...

პიკერინგი იქნება ეს თუ ბახი, ლეჰარი თუ ლიონელ მონკტონი: თუმცა...

ჰიგინსი თავისი სიცოცხლე სულ ამ კილოზე ლაპარაკობდაო.

პიკერინგი ამ ექვს თვემდე როიალისთვის თითიც არ დაუკარებია.

ქ-ნი ჰიგინსი (ყურებს დაიცავს, რადგან ჰიგინსი და პიკერინგი საშინლად ღრიალებენ) ო-ო-ო-ო-! (გაჩუმდებიან).

პიკერინგი ბოდიში, ქალბატონო (სინანულით სკამს უკან გასწევს).

ჰიგინსი ბოდიში, პიკერინგი რომ ყვირილს გააბამს, კაცს არ მოუსმენს.

ქ-ნი ჰიგინსი გაჩუმდი, ჰენრი. Pპოლკოვნიკო პიკერინგი, რატომ არ გესმით, რომ, როცა ელიზა უიმპოლის ქუჩაზე მოვიდა, თან რაღაცაც მოჰყვა?

პიკერინგი მამამისი, მაგრამ ჰენრიმ მალე გაისტუმრა.

ქ-ნი ჰიგინსი აჯობებდა დედამისს გადაეწყვიტა ეს საქმე, მაგრამ, რაკი მან ვერ გადასწყვიტა, მისი გადაჭრა ვინმემ სხვამ უნდა იკისროს.

პიკერინგი რა?

ქ-ნი ჰიგინსი (ძალაუნებურად, ერთი სიტყვით გასცემს თავისთავს, რომ აღზრდილია მორისის იდეებზე) ესაა პრობლემა.

პიკერინგი მიგიხვდით, მიგიხვდით, პრობლემა როგორ უნდა ვაქციოთ ლედიდ.

ჰიგინსი ეს პრობლემა მე უკვე გადავჭერი, ნახევრად გადავჭერი.

ქ-ნი ჰიგინსი რა სულელები ხართ ორივენი? რატომ ვერ ხვდებით? ესაა პრობლემა თუ რა გზას დაადგეს შემდეგში ელიზა?

ჰიგინსი ამაში მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ: ჩვენთან მოპოვებული უპირატესობებით გზა ხსნილი აქვს: საითაც უნდა, იქით წავიდეს.

ქ-ნი ჰიგინსი აბა, რა უპირატესობა გააჩნია იმ საბრალო ქალს, რომელიც ეს-ეს არის აქ იყო! თუ ლედიდ ისე იქცა, რომ ლედის შემოსავალი არ ექნება, ლედის მიხრა-მოხრა და ჩვევები, ცხადია ხელს შეუშლის თავისი ოფლით მოიპოვოს პური არსებობისა. ესაა უპირატესობა?

პიკერინგი (დამნაშავესავით, თითქოს პატიებას ითხოვსო) არა, არა, უპატრონოდ არ დავტოვებთ,

ქ-ნო ჰიგინს. (წასასვლელად დგება).

ჰიგინსი (ისიც დგება) ვუშოვით რაიმე მსუბუქ სამუშაოს.

პიკერინგი ელიზა საკმაოდ ბედნიერია. თქვენ მასზე ნუ სწუხართ. ნახვამდის (ისე ართმევს ხელს, თითქოსდა შეშინებულ ბავშვს ამშვიდებსო და კარისკენ გაემართება).

ჰიგინსი მართლაც რომ ასეა. ამაზე დარდს ახლა აზრი არა აქვს. ყველაფერი მოგვარდება. ნახვამდის, დედა (აკოცებს და პიკერინგს გაჰყვება).

პიკერინგი (შემობრუნდება საბოლოო ნუგეშისცემისათვის) ათასი შესაძლებლობაა. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია ნახვამდის.

ჰიგინსი (კარებში გამავალ პიკერინგს) მოდი წავიყვანოთ ერლს კორტში, შექსპირის გამოფენაზე.

პიკერინგი კარგი, კარგი. წავიყვანოთ, მშვენიერ შენისვნებს გააკეთებს:

ჰიგინსი შინ რომ დავბრუნდებით, ყველას გამოაჯავრებს.

პიკერინგი ჩინებული აზრია. (სიცილით ჩადიან).

ქ-ნი ჰიგინსი (შემფოთებული დგება და უბრუნდება თავის სამუშაოს საწერ მაგიდაზე, წესრიგში მოჰყავს მიყრილ მოყრილი ქაღალდები, უჯრიდან იღებს ერთ ფურცელ ქაღალდს და გადასწყვეტს აუცილებლად წეროს, მაგრამ არ გამოუდის, მესამედ თავს მიანებებს. დააგდებს საწერკალამს. დასტოვებს მაგიდას და გულმოსული წარმოსთქვამს). ოხ, მამაკაცებო! მამაკაცებო! მამაკაცებო! ცხადია, ელიზა ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა ჰერცოგის ასულად. ჰიგინსს ჯერ კიდევ არ მოუგია სანამღეო. თუმცა ჯერ კიდევ არ გასულა ექვსი თვეც. თავის დროზე იგი გარდაიქმნება ჰერცოგის ასულად. იმაში გასარკვევად, თუ როგორ მიაღწია ამას ელიზამ, წარმოიდგინეთ ლონდონის საელჩოს შენობა იმავე ზაფხულში, შებინდებისას. ქუჩის მხრიდან დარბაზის კარებზე, სტუმრების მიღების ნიშნად გაუკრავთ ხალიჩა და ფარდა. მზერა სტუმარს ელიან. რამდენიმე კაცი ჩამწკრივებულია, რათა უყუროს სტუმრების მოსვლას. როულს როისის მდიდრული ეტლი გაჩერდება. საღამურ ტანსაცმელში ჩაცმული, მედლებითა და ორდენებით მორთული პიკერინგი ჩამოხტება და ჩამოიყვანს ელიზას, რომელსაც მარგალიტებითა და სხვადასხვა სამკაულებით მორთული საოპერო მოსასხამი აცვია, ხელში მარაო უჭირავს. ჰიგინსი მათ მოსდევს, ეტლი წავა. კიბით ადიან სახლში. გამოჩენისთანავე უღებენ კარს. სახლში შესვლისას აღმოჩნდებიან ფართო დარბაზში, საიდანაც სადარბაზო კიბე ადის. მარცხნივ მამაკაცთა გარდერობია, სადაც ტოვებენ შლიაპებსა და პალტოებს. მარჯვნივ მოჩანს ქალთა გარდერობის კარები. აქ შესული პალტოიანი ქალები, კაბებით გამოდიან. პიკერინგი რაღაცას ჩასჩურჩულებს ელიზას და კარებისკენ მიუთითებს. ელიზა შედის. პიკერინგი და ჰიგინსი იხდიან პალტოებს და ნომრებს იღებენ. ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც ჰიგინსსა და პიკერინგისაკენ ზურგშექცეული დგას, პალტოს იხდის. აიღებს ნომერს და მობრუნდება. სერიოზულ ყმაწვილკაცს ჰგავს, გრძელი უღვაშები და ბაკენბარდები აქვს. ხშირი კულულები შუბლზე ჩამოშლია. მოკლედ შეჭრილი თმა ზეთისგან უბრწყინავს. კოხტად აცვია. გულზე იაფფასიანი ორდენები ჰკიდია. ეტყობა უცხოელია. უღვაშებიან უნგრელ დაქირავებულ ჯარისკაცს ჩამოგავს. თუმცა გრძელი უღვაშები პირქუშ შესახედაობას.

აძლევს, მაგრამ მაინც კეთილი და ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

იცნობს ჰიგინსს და ფართოდ ხელებგაშლილი მხიარულად ეგებება.

უღვაშა მანესტრო, მანესტრო. (შემოეხვევა ჰიგინსს და ორივე ლოყაზე კოცნის) ვერ მიცანით?

ჰიგინსი ვერა, ვინ ეშმაკი ხართ?

უღვაშა თქვენი მოწაფე. თქვენი პირველი მოწაფე. თქვენი საუკეთესო და უნიჭიერესი მოწაფე. მე პატარა ნეპომუკი ვარ თქვენი მომხიბვლელი ბიჭუნა. თქვენი სახელი მთელ ევროპას მოვდე. თქვენ მასწავლეთ ფონეტიკა. შეუძლებელია, არ გახსოვდეთ.

ჰიგინსი რატომ არ გაიპარსები?

ულვაშა მე არ გამაჩნია თქვენი გარეგნობა, თქვენი შუბლი, თქვენი ნიკაპი. ღოცა გავიპარსავ, კაცი არ მაქცევს ყურადღებას, ახლა კი ცნობილი ვარ, როგორც „წვერებიანი დიკი“.

ჰიგინსი მერე, რას აკეთებ ამ კარგ საზოგადოებაში?

ნეპომუკი თარჯიმანი ვარ. ოცდათორმეტ ენაზე ვლაპარაკობ. ყოველ საერთაშორისო შეხვედრას ვესწრები. თქვენ კილოკავების დიდი სპეციალისტი ბრძანდებით: საკმარისია კაცმა პირი დაალოს, რომ შეუცდომლად თქვათ, ლონდონის რომელი ნაწილიდანაა. მე კი იმასვე ვაკეთებ ევროპის მასშტაბით. (ლაქია ჩამოდის საზეიმო კიბით და მიდის ნეპომუკთან).

ლაქია მაღლა გთხოვენ. მისმა ბრწყინვალეებამ, ჩემმა ქალბატონმა, ვერ გაიგო რას ეუბნება ბერძენი ჯენტლემენი.

ნეპომუკი გმადლობთ... დიახ... ახლავე მოვალ.

ნეპომუკი (ჰიგინსს) ბერძენი დიპლომატი თავს ისე აჩვენებს, თითქოსდა ინგლისურის არაფერი გაეგებოდეს. ვერ მომატყუებს კლერკენუელელი მესაათის შვილია. ინგლისურადაც მშვენივრად ლაპარაკობს, მაგრამ ერთი სიტყვის წარმოთქმასაც ვერ ბედავს, რადგან მაშინვე გამომჟღავნდება, რომ ინგლისელია. მე მას ვეხმარები როგორც თარჯიმანი, მაგრამ სამაგიეროდ ტყავს ვაძრობ. მე ყველას ვაძრობ ტყავს. ხა, ხა, ხა. (აირბენს კიბეს).

პიკერინგი ეს კაცი მართლა ექსპერტია? ნუთუ შეუცდომლად გამოიცნობს ელიზას?

ჰიგინსი ვნახოთ. თუ მართლა გამოიცნო, ნიძლავი წავაგე. (ელიზა გარდერობიდან გამოვა და მათ შეუერთდება).

პიკერინგი კარგი, წავიდეთ, ელიზა. მზადა ხართ?

ელიზა დელავთ პოლკოვნიკო?

პიკერინგი საშინლად. ასევე ვდელავდით, როცა პირველად გავდიოდი ბრძოლის ველზე. პირველად ყველაფერი აშინებს ადამიანს.

ელიზა ჩემთვის კი ეს პირველი შემთხვევა არ არის. ვინ მოთვლის რამდენჯერ მიშენებია ოცნების ციხე-კოშკები ანჟელ კორტის წუმპეში მთვლემარეს. ხლაც სიზმარში ვარ. პირობა მომეცით, რომ პროფესორი ჰიგინსი არ გამომაფხიზლებს, თორემ ყველაფერი გადამავიწყდება და ისევე ავლაპარაკდები, როგორც დღიურილიენში ყოფნის დროს.

პიკერინგი კრინტი არ დასძრათ, ჰინგინს. (ელიზას) ახლა მზადა ხართ?

ელიზა დიახ.

პიკერინგი წავიდეთ. (ადიან კიბეზე. ჰიგინსი უკან მიყვება. პიკერინგი რაღაცას უჩურჩულებს ლაქიას, რომელიც კიბის პირველ ბაქანზე დგას).

პირველ ბაქანზე მდგომი ქ-ნი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

მეორე ბაქანზე მდგომი ქ-ნი დულიტლი, პოლკოვნიკი პიკერინგი, პროფესორი ჰიგინსი.

(კიბის ბოლოში ელჩი და მისი მეუღლე, რომლისათვისაც ნეპომუკს ხელი გაუყრია, სტუმრებს ღებულობენ).

დიასახლისი (ართმევს ხელს ელიზას) გამარჯობა!

მასპინძელი (ესალმება ყველას) გამარჯობა, გამარჯობა, პიკერინგ.

ელიზა (გრაციოზული სერიოზულობით, რაც ხიბლავს დიასახლისს) გამარჯობა. (შედის სასტუმრო ოთახში).

დიასახლისი თქვენი შვილობილი ხომ არ არის, პოლკოვნიკო პიკერინგ? გადარევეს ყველას.

პიკერინგი მაღლობელი ვარ მისი მოპატიუებისთვის. (გაივლის).

დიასახლისი (ნეპომუკს) გაიგე ვინ არის?

ნეპომუკი (თავს დაუკრავს) მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ (ხალხში გაერევა).

მასპინძელი გამარჯობათ, ჰიგინს! აქ თქვენ ერთი მეტოქე გყავთ. თავი თქვენს მოწაფედ გაგვაცნო. მათლა ნიჭიერია?

ჰიგინსი ოც დღეში ერთი ენის შესწავლა შეუძლია. ათობით ფლობს ენებს, რაც მისი სისულელის უტყუარი მაჩვენებელია. როგორც ფონეტიკოსი კი დიდი არაფერია.

დიასახლისი გამარჯობათ, ჰიგინს!

ჰიგინსი გამარჯობათ. გაწუხებთ, მაგარამ რას იზამთ. ჩემის მხრიდან პატიებას ვითხოვ. (ჩაივლის).

(სასტუმრო დარბაზში და მეზობელ ოთახში სტუმრების გახურებული მიღებაა. ელიზა შტანთქმული თავისი მძიმე გამოცდით, ისე გაივლის მაღალ საზოგადოებაში, როგორც მთვარეული გაივლიდა უდაბნოში. ყველა ჩუმდება და მიაჩერდება მას, მის მშვენიერ ტანსაცმელს, სამკაულებს და მეტად მიმზიდველ პიროვნებას. უკანა რიგში მდგომი ახალგაზრდები მის დასანახად სკამზე შედგებიან. დიასახლისი და მასპინძელი შემოდიან კიბის მხრიდან და სტუმრებში შეერევინ. ჩაპიქრებული და მოღუშული ჰიგინსი მათ შეუერთდება).

დიასახლისი - აჰ, აი, პროფესორი ჰიგინსი. ის გვეტხვის. პროფესორო, გვიამბეთ ყველაფერი, რაც იცით ამ საოცარი ახალგაზრდა ლედის შესახებ. P.

ჰიგინსი - (გაკვირვებული) რომელი საოცარი ლედის შესახებ?

დიასახლისი - თქვენ მშვენივრად იცით, რომელზედაც ვლაპარაკობთ. ასე ამბობენ, მას შემდეგ, რაც ხალხი სკამებზე დგებოდა ქ - ნი ლანტრის დასანახავად, ამისთანა სილამაზე მთელს ლონდონში არ გამოჩენილაო. (ნეპომუკი, რომელსაც ახალი ამბები მოაქვს, ჯგუფს უერთდება).

დიასახლისი - აჰ, მადლობა ღმერთს, ნეპომუკ, რომ გამოცდით. რა გაიგეტ ლედი დულიტლის შესახებ?

ნეპომუკი - გავიგე, ხვე;ლაფერი გავიგე, უცხოელია.

დიასახლისი - უცხოელი? შეუცლებელია.

ნეპომუკი - სრულიადაც არა. მე არ მოვტყუვდები. შეუცლებელია მისი გვარი დულიტლი იყოს.

ჰიგინსი - რატომ?

ნეპომუკი - იმიტომ რომ დულიტლი ინგლისური გვარია. ის კი ინგლისელი არ არის.

დიასახლისი - ეგ სისულელეა! ჩინებული ინგლისური ენით ლაპარაკობს.

ნეპომუკი - მშვენივრად ლაპარაკობს. ჰოდა, გინახავთ რომელიმე ინგლისელი ქალი, რომელიც ისე ლაპარაკობდეს ინგლისურად, როგორც საჭიროა? მხოლოდ უცხოელები, რომლებისთვისაც ინგლისური უსწავლებიათ ლაპარაკობენ ამ ენაზე კარგად.

დიასახლისი - მართლაც რომ ასეა. შემეშინდა, როცა გავიგონე როგორ თქვა: გამარჯობათ . სკოლაში გვხავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც სწორედ ასე ლაპარაკობდა და მისი ისე მეშინოდა, როგორც სიკვდილის, მაგრამ თუ ინგლისელი არ არის, მას სადაურია? ნე პ ო მ უ კ ი - უნგრელი.

ყველანი - უნგრელი?

ნეპომუკი - უნგრელი. ისიც მეფური შთამომავლობისა. მეც უნგრელი ვარ და მეც მეფური შთამომავლობისა ვარ.

ჰიგინსი - უნგრულად ელაპარაკეთ?

ნეპომუკი - ველაპარაკე. მაგრამ ჭკვიანურად მოიქცა. სე მითხრა:

გეთაყვა, მელაპარაკეთ ინგლისურად: მე ფრანგული არ მესმისო . ფრანგული! თავს ისე აჩვენებს თითქოს ფრანგულსა და უნგრულს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდეს. Eეს კი შეუძლებელია: ერთიც იცის და მეორეც.

ჰიგინსი - როგორ შეიტყვეთ, რომ მეფური შტამომავლობისაა?

ნეპომუკი - ინსტიქტით, მაესტრო, ინსტიქტიტ. ხოლოდ მადიარულ რასას აქვს მომადლებული ასეთი ხვთაებრივი იერი, ასეთი ცოცხალი თვალები. ელიზა უფლისწულია.

მასპინძელი - თქვენ რას იტყვით, პროფესორო?

ჰიგინსი - ჩემის აზრით, ლონდონის წუმპედან ამოყვანილი უბრალო გოგონაა, რომელსაც კარგი ოსტატის ხელში წესიერი ლაპარაკი უსწავლია. დრიური ლეინიდან უნდა იყოს.

ნეპომუკი - ხა,ხა,ხა!! ოჰ, მაესტრო, მაესტრო. Kკილოკავებით ისე ხართ გაგიჟებული, რომ ლონდონის წუმპე მტელი ქვეყნიერება გგონიათ.

ჰიგინსი - რას იტყვის თქვენი ბრწყინვალება?

დიასახლისი - მე, რათქმა უნდა, ვეთანხმები ნეპომუკს. Eელიზა ყოველ შემთხვევაში სეფექალი მაინცაა.

მასპინძელი - შეიძლება მხოლოდ მამის მხრიდან, მაგრამ, მაინც უსათუოდ მეფური.

შტამომავლობისაა.

ჰიგინსი - მე კი, მტკიცედ ვადგავარ ცემს აზრს.

მასპინძელი - ოჰ, თქვენ ჯინიანი ხართ, ჯინიანი. (მათი წრე იშლება ჰიგინსი მარტო რჩება. მასთან მიდის პიკერინგი).

პიკერინგი - ელიზა სადაა? მასზე თვალი უნდა გეჭიროს. (ელიზა უერთდება მათ).

ელიზა - წავიდეთ აქედან მეტი აღარ შემიძლია. ველა მე მომჩერებია ერთმ მოხუცამა ლიდიმ მითხრა: ზუსტად ისევე ლაპარაკობთ როგორც დედოფალი ვიქტორიაო ვწუხვარ, თუ ნიძლავი წგაგებინეთ. ცად არ დამიკლია მაგრამ ამ ხალხს მაინც ვერაფრით ვერ დავემსგავსე. პიკერინგი - ჩემო ძვირფასო, კი არ წააგე, ათმაგად მოიგე, ათმაგად.

ჰიგინსი - მოდი წავიდეთ, . ამ სულელებთან საუბარი საშინლად მომბეზრდა..

პიკერინგი - მართალს ამბობთ, ელიზა დადლილია. მეც მშია. წავიდეთ და ვივანშმოთ სადმე.

მესამე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე.

ლაბორატორია უიმპოლის ქუჩაზე. შუაღამეა. ოთახში არავინაა. ღუმელზე მდგარი საათი რეკავს თორმეტს. ჩეცხლი არ ანთია, ზაფხულია ღამეა. კვიბეზე გაისმის ჰვიგინსისა და პიკერინგის ფეხის ხმა.

ჰვიგინსი - (ჩასძახებს პიკერინგს) იცით რა, პიკ, კარები ჩაკეტეთ. ამაღამ სახლიდან გამსვლელი არა ვარ.

პიკერინგი - კეთილი. შეუძლია ქ - ნ პირს დაიძინოს? ხომ არაფერი გინდა?

ეელიზა - (გაახებს კარებს და კიბის ბაქანზე გამოჩნდება მთელი თავისი სილამაზითა და მორთულობით, რომელშიაც ეს - ეს არის მოიგო ნიძლავი ჰვიგინსის სასარგებლოდ. ღუმელთან მივა, აანთებს ელექტრონათურებს. დახლილია. მისი შავი თვალები და თმა ჰქმნის კონტრასტს მის ფერმკრთალ სახესთან ტრაგიკული გამომეტყველება აქვს. მოიხსნის მოსასხამს.. მარაოსა და ხელთათმანებს და როიალზე დადებს მდუმარე და თავ ჩაქინდრული ჩამოჯდება გრძელ სკამზე, შემოდის ჰვიგინსი, საგამურ სამოსშია. ახურავს ცილინდრი, ხელში ხალათი უჭირავს. რომელიც ახლა ჩამოუხსნია. გაიხდის პალტოს, მოიხდის ცილინდრს და საგაზეთე მაგიდაზე დაყრის. ასევე გაიხდის და დააგდებს ფრაკსაც: ჩაიცვამს ხალათს და დაღლილი მძიმედ ჩაეშვება ღუმელის ახლოს მდგარ სავარძელში. შემოდის მასავით ჩაცმული პიკერინგი. ისიც იხდის პალტოსა და ცულინდრს და უნდა დააყაროს ჰვიგინსის პალტოსა და ცულინდრს, მაგრამ შეეყოყმანდება).

პიკერინგი - იცი რაა, ქ-ნი პირსი დილით ერთ აყალმაყალს აგვიტებს, თუ ტანსაცმელს მისაღებ ოთახში დაყრილს დაინახავს.

ჰვიგინსი - მაშ, დარბაზში შეიტანეთ და დივანზე დაყარეთ. დილით ქ-ნი ნახავს და წესრიგში მოიყვანს. იფიქრებს, მთვრალეები მოსულანო.

პიკერინგი - ცოტა დალეულები მართლაცა ვართ, წერილები ხომ არ მოსულა?

ჰვიგინსი - არ მინახავს.(პიკერინგი პალტოებსა და ქუდებს აიღებს და ძირს ჩააქვს. ნახევრად მთვლემარე ჰვიგინსი ღიღინებს მელოდიას ოპერიდან ლა ფანსიულ დელ გოლდენ უესტ . სცებ შეჩერდება და წამოიძახებს:ნეტავი სად ჯანდაბაშია ჩემი ფოსტლები? ელიზა პირქუშად შეხედავს ჰვიგინსს, წამოდგება და გადის. ჰვიგინსი ამთქნარებს და განაგრძობს ღიღინს. პიკერინგი ბრუნდება წერილებით ხელში).

პიკერინგი - მხოლოდ რეკლამებია და სასიყვარულო ბარათი რომელიც თქვენთვის ვიღაცა ბანოვანს გამოუგზავნია. (რეკლამებს შეყრის ღუმელში და ზურგით მიაცვება მას).

ჰიგინსი - (სიჯავს სასიყვარულო ბარათს) მევახშისაგანაა (შეაგდებს ღუმელში).

(ელიზა ბრუნდება: ხელში უჭირავს ქუსლებ-ჩაჭყლებილი ფოსტლები, რომლებსაც ჰიგინსისი წინ ხალიჩაზე დადებს და ტავის ადგილზე უხმოდ დაჯდება) P.

ჰიგინსი - (კვლავ ამთქნარებს) ოხ! ღმერთო ჩემო, რა სალამო იყო! რა ხალხი! რა ყბედობა! - - ფეხს აწევს, რომ გახსნას ფეხსაცმლის ზონარი, როცა თვალს მოკრავს ფოსტლებს, ზონრის გახსნას თავს მიანებებს და ფოსტლებს ისე დააშტერდება, თითქოს ისინი თავისით გაჩნდნენო.) აა ფოსტლები აქა ყოფილა?

პიკერინგი - (აზროვნებს) ცოტა არ იყოს, დავიღალე: სეირნობაო, წვეულებაო, მიღებაო, მეტისმეტი რეტის-რეტი. მაგრამ ნუძლავი კი მოვიგეთ, ჰიგინს. ელიზამ თავისი მოვალეობა შეასრულა და მერე როგორ?

ჰიგინსი - (აღზნებული) მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მორჩა. (ელიზა უსიამოვნოდ შეიშმუშნება, მაგრამ მას ყურადგებას არავინ აქცევს: ისევ შეიკავებს თავს და წინანდებურად გაქვავებული ზის).

პიკერინგი - მიღებაზე ღელავდით? მე ძალიან ვღელავდი. ელიზას კი არაფერი ეტყობოდა.

ჰიგინსი - ოჰ, ის არ ღელავდა. ვიცოდი ასეც მოხდებოდა მე კი ამ უკანასკნელ თვეების შრომამ გადამღალა. შანა საკმე პონეტიკას ეხებოდა, მაინტერესებდა იგი. აგრამ შემდეგ კი საშინლად ვიქნებოდით. ნიძლავი რომ არ მკონოდა დადებული, ორი თვით ადრე მივანებებდი თავს. მართლა გითხრათ, მეტად უაზრო და სულელურ საქმეს მოვკიდეთ ხელი.

პიკერინგი - რას ამბობთ! გული საშინლად მიცემდა, მიღების დროს მძიმე წუთებიც იყო.

ჰიგინსი - მართალია, ასე იყო მხოლოდ პირველი სამი წუთი. მერე კი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩვენ გიგებდით, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც გალიაში მობინადრე დათვი. შადილი უარესი იყო: მთელი საათი იჯდე, ილუკმებოდე და მოდის მიმდევარი სულელი კალის გარდა არავინ გყავდეს თანამოსაუბრე! იცით რა, პიკერინგ, ამიერიდან ასეთ სისულელეს აღარ ჩავიდენ, მეყო! ხელოვნურ ჰერცოგის ასულთა მრავლებაზე ხელი ამიღია. პირდაპირ გავწამდი.

პიკერინგი - ეს იმიტომ გემართებათ, რომ მაღალ საზოგადოებაში თავისუფლად თავდაჭერის გამოცდილება გაკლიათ. მე კი ხანდახან მიყვარს იქ მოხვედრა: თითქოსდა ვახალგაზრდავდები, ყოველ შემთხვევაში ეს დიდი წარმატება იყო, უდიდესი წარმატება. ელიზას ისე კარგად ეჭირა თავი, რომ ერთ-ორჯერ შემეშინდა კიდევ. იცით რა, ნამდვილმა ჰერცოგის ასულებმა თავის დაჭერა არ იციან. იმ ბრიყვებს

ჰგონიათ, რომ მათ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ეს ჩვევა თანდაყოლილი აქვს. ამიტომაც გაურბიან სწავლას. მაგრამ, როდესაც რაიმე ჩინებულად კეთდება, შეუძლებელია მასში პროფესიულობა არ ჩანდეს.

ჰიგინსი - ასეა და სწორედ ეგ მაგიჯებს. ბრიყვებს თავიანთი სიბრიყვისა არაპერი გაეგებათ. (დგება) მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი მორჩა. ახლა შემძლია ძილს მივცე თავი და ხვალინდელ დგეს შიშით არ ვუცქირო. (ელიზა იგუშება).

პუკერინგი - სჯობია დავიძინო. ეს მართლაც რომ დიდი მოვლენა იყო. თქვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ. ძილი ნებისა. (გადის).

ჰიგინსი - (მიჰყვება) ძილი ნებისა. (კარებთან მისული თავს ოდნავ მიაბრუნებს) ელიზა, სინათლე ჩააქრეთ და ქ-ნ პირსს უთხარით დილისთვის ყავას ნუ მომიძაადებს. ჩაის დავლევ. (გადის) (ელიზა დგება და სინათლის ჩასაქრობად ღუმელისკენ მიდის. ჩდილობს გულგრილობა გამოიჩინოს და თავა შეიკაოს, მარამ ღუმელთან მისულს ისეთ განწყობილება ეუფლება, რომ საცაა იყვირებს. ჰიგინსის სავარძელში ჩაჯდება და მის ზურგს მძიმედ მიეყრდნობა. ბოლოს ვედარ მოითმევს და გამძვინვარებული იატაკზე ვარდება).

ჰიგინსი - (გარედან, შეშფოთებული) სად ეშმაკებშია ჩემი პოსტლები? (გამოჩნდება კარებში).

ელიზა - (წამოავლებს ფოსტლებს ხელს და რაც ძალი და ღონე აქვს ერთი მეორეზე ესვრის ჰიგინსს) აჰა, თქვენი ფოსტლები! ჰა წაიღეთ ტქვენი ფოსტლები! ერთი ბედნიერი დღე არ გენახოთ მაგ ფოსტლებში.

ჰიგინსი - (გაოცებული)რა ეშმაკი... (მიდის ელიზასთან) მოგივიდა, ადექი, (წამოაყენებს) რა მოგივიდა?

ელიზა - (სუნთქვაშეკრული) მე კი არა თქვენ მოგივიდათ. ხომ მოგაგებინეთ ნიძლავი. დაკმაყოფილდით? ახლა საჭირო აღარ ვარ?

ჰიგინსი - შენ მომაგებინე ნიძლავი? შენ? შე საბრალო ჭიავ! ნიძლავი თვითონ მე მოვიგე. რატომ მესროლე პოსტლები?

ელიზა - მინდოდა ცხვირი გამეჭეჭყა თქვენთვის. რომ მოგკლათ არ დამენანებით. ეგოისტო პირუტყვო. რატომ არ დამტოვეთ იქ, საიდანაც ამომიყვანეთ-იქ, წუმპეში. ახლა ღმერთს მადლობას სწირავთ, რომ ყველაფერი მორჩა და შეგიძლიათ ისევ წომპეში გადამისროლოთ.

ჰიგინსი - (გულცივი გაოცებით შესცქერის მას) თურმე ნუ იტყვიტ ამ არსებასაც შეუძლია აღელვება.

ელიზა - (სიმშაგისაგან გულსაკლავად იკვილებს და ინსტიკტურად ფრჩხილებით ჩააფრინდება ჰიგინსს სახეში).

ჰიგინსი - (ხელებს დაუჭერს) ოჰ, ესა გაკლდა. ბრჭყალები შორს, კატავ. როგორ მიბედავ ამას? აჯექი და ხმა გაიკმინდე (უხეშად ჩააგდებს სავარძელში).

ელიზა - (ჰიგინსის ღონით ძლეული) რა მომივა? ღა მომივა?

ჰიგინსი - რა ჯანდაბა ვიცი რა მოგივათ? რა ჩემი საქმეა რა მოგივათ?

ელიზა - თქვენთვის სულერთია რა მომივა. მე ვიცი, რომ თქვენთვის სულერთია. გინდა მოვკვდე, გინდა დავრჩე, თქვენთვის სულერთია. მე არაფერს არ წარმოვადგენ თქვენთვის. ფოსტლები აი, ესენი უპრო გიღირთ, ვიდრე მე!

ჰიგინსი - (ღრიალით) ეს ფოსტლები!

ელიზა - (მწარე მორჩილებით) დიახ, ფოსტლები, მაგრამ ამას თქვენთვის ახლა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. (დუმილი. სასოწარკვეთილი ელიზა თავს ჩაჰქინდრავს. ჰიგინსი რაღაც უხერხულობას გრძნობს).

ჰიგინსი - (გულზვიადად) რამ გამოიწვია ყველაფერი ეს? ერთი ეს მითხარით, რითი ხართ უკმაყოფილო? აკ ცუდად გექცეოდნენ?

ელიზა - არა.

ჰიგინსი - ვინ მოგექცათ ცუდად? Pპოლკოვნიკი პიკერინგი? ქალბათონი პირსი? რომელიმე მსახური?

ელიზა - არა.

ჰიგინსი - მგონი ვერც იმას იტყვიტ რომ მე გექცეოდით ცუდად?

ელიზა - ვერ ვიტყვი.

ჰიგინსი - მოხარული ვარ. (ტონს შეიცვლის) იქნებ დღეს დაიღალეთ? ერთ ჭიქა შამპანურს არ დალევთ? (კარებისაკენ მიდის).

ელიზა - არა. (აგონდება კარგი ჩვევები) გმადლობთ.

ჰიგინსი - (ისევ კარგ გუნებაზე დგება) ამ ბოლო დროს რაღაცა გემართებათ, ალბათ მიღებაზე ღელავდით. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ახლა ხომ ყველაფერმა ჩაიარა. (ალერსიანად ადებს ხელს მხარზე. ელიზა ისევ განრისხდება) ახლა სადარდელი ახარაპერი გაქვთ.

ელიზა - აღარაფერი. თქვენ, მარტლა აღარაპერი გაქვთ სადარდებელი. (უცებ წამოდგება, დასტოვებს ჰიგინსს და მიდის როიალის გრძელი სკამისაკენ, რომელზედაც ჯდება და თავს კალთაში ჩარგავს) ოჰ, ღმერთო ჩემო! Nნეტავი მომკლა.

ჰიგინსი - (გულწრფელად გაოცებული შესცქერის მას) რათა? ღვთის გულისატვის, მითხარით, რატომ? (ჩაფიქრებული მიდის ელიზასთან) მომისმინეთ, ელიზა, მთელი თქვენი აღელვება სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული.

ელიზა - ეს მე არ მესმის, არ გამეგება.

ჰიგინსი - თქვენ მიზეზი არა გაქვთ ცუდ გუნებაზე იყოთ, თქვენთან ვის რა უნდა? ვინ რას გიშავებთ? თქვენ ჭკვიანი გოგონა ხართ. ახლა წახვალთ და დაიძინებთ. ცოტა იტირეთ, მერე ილოცეთ და გულზედაც მოგეშვებათ.

ელიზა - უკვე მოვისმინე თქვენი ლოცვა: მადლობა ღმერთს, რომ ყველაპერი მორჩა .

ჰიგინსი - (მოუთმენლათ) მერემე, თქვენ არა ხართ ღმერთის მადლობელი, რომ ყველაფერი მორჩა? ახლა თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ, რაც გინდათ, ის გააკეთოთ.

ელიზა - (სასოწარკვეთილი) რისთვის გამოვდგები ახლა? რისთვის? სად წავიდე? რა გავაკეთო? რა მომივა?

ჰიგინსი - (თითქოს მიხვდა რაშია საქმე, მაგრამ მასზე გავლენა მაინც არ მოახდინა) ოჰ, ამაზე წუხხართ? (ჯიბეში ხელს ჩაიწყო და ჩვეულებისამებრ მიდი-მოდის. ხურადა ფულს და გასაღებს ისე აჩხარუნებს, ტიტკოს და სურს ვინმე გაიკითხოსო) თქვენს ადგილას რომ ვიყო, ამაზე სულაც არ ვიდარდებდი. სე მეგონა, არ გაგიჭირდებოდათ სადმე სამუშაოზე მოწყობა, მერე არც იმაზე მეფიქრია, რომ წასვლას აპირებდით. (ელიზა გაოცებული შეხედავს. ჰიგინსი ელიზას არც კი უყურებს. ღოილზე შენიშნავს ხილის ვაზას და გადასწყვეტს ვაშლი შეჭამოს) იცით რა, შეგიძლიათ გათხოვდეთ. (ვაშლის მადიანად მოკბეჩს და ახრამუნებს) მომისმინეთ, ელიზა, ყოველ მამაკაცს როდი გადაუწყვეტია უცოლოდ დარჩენა, როგორც მე და პოლკოვნიკს. მამაკაცთა აშკარა უმრავლესობა ცოლს ირთავს, საბრალონი! თქვენ ულამაზო არ გეთქმით, პირიქით, ხანდახან მეტად სასიამოვნო შესახედავიც ხართ, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ახლა კი არა, რადგანაც ტირილმა ეშმაკივით დაგჯღანათ. მაგრამ, როცა არაფერი გაწუხებთ და კარგ ხასიათზე ხართ, მე ვიტყვოდი, მიმზიდველიც ხართ და ეს სწორედ იმათთვის, ვინც ცოლს ირთავს. წადით ახლა, დაწექით, კარგად გამოიძინეთ და დაისვენეთ. მერე, ადექით სარკეში ჩაიხედეთ და ნახავთ, რომ ამ ცუდი განწყობილების ნატამალიც არ დაგრჩებათ. (ელიზა კვლავ უსიტყვოდ შეხედავს მას და ადგილიდან არ იძვრის. მის მზერას ჰიგინსი არც კი ამჩნევს და ისე შეეცქევა ვაშლს, თითქოსდა ტკბილი ოცნების ბურუსში დაცურავდეს).

ჰიგინსი - (თითქოს გენიალური აზრი მოუვიდაო) ვინ იცის, იქნება დედაჩემმა გამოგინახოს შესაფერისი საქმრო.

ელიზა - ტოტენჰამ კორტ როუდში ჩვენ უკეთესი იყავით.

ჰიგინსი - (თითქოს გამოფლიზლდაო) ამით რისი თქმა გნებავთ?

ელიზა - მე ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ საკუთარ თავს კი არა ახლა ლედიდ რომ მაქციეთ, სხა არაფრის გაყიდვა არ შემიძლია, გარდა საკუთარი თავისა. რატომ არ დამტოვეთ იქ, საიდანაც ამიყვანეთ?

ჰიგინსი - (ვაშლის გულს გაბრაზებული შეაგდებს ღუმელში) ნუ სულელობთ, ელიზა. ადამიანთა ურთიერთობას იმით ნუ შეურაცხყოფთ, რომ მას ყოველგვარი ყოდვა გაყიდვა, მიაწეროთ. თუ ბიჭი არ მოგეწონებათ, კეთილი ინებეთ და ნუ გაჰყვებით.

ელიზა - აბა, სხვა რა გავაკეთო?

ჰიგინსი - საქმის მეტი რა არის. რას იტყვით მაგალითად იმაზე, ერთ დროს რომ საყვავილე მაღაზიაში გამყიდველად აპირებდით მოწყობას? პიკერინგს შეუძლია რომელიმე მაღაზიაში მოგაწყობოთ, ფულები ბლომად აქვს. (სიცილით) იმ ტანსაცმელსაც გიყიდით, დღეს რომ გეცვათ. ჰოდა, ყველაფერი ეს ქირით აღებულ სამკაულებთან ერთად, ორას გირვანქა სტერლინგს მაინც შადგენს. აბა, დაფიქრდით, ექვსი თვის წინათ თქვენ ვერც კი იოცნებებდით საკუთრი საყვავილე მაღაზია ჰქონდათ. ახლა კი, რა გადარდებს? თქვენი საქმე ჩინებულად წავა. წავალ, დავიძინებ, თორემ საშინლად მეძინება. ჰო, მართლა აქ რაღაცაზე ჩამოვედი, მაგრამ დამავიწყდა რაზე? ელიზა - პოსტლები გინდოდათ.

ჰიგინსი - მართალი ხართ. აკი, მომყარეთ კიდევ (ფაჩუჩებსა ჰკრეფს და წასცლას აპირებს, მაგრამ ელიზა წამოდგება და ეუბნება).

ელიზა - სერ, ვიდრე წახვიდოდეთ...

ჰიგინსი - (იმით გაოცებულს, რომ ელიზამ „სერდაუძახა, ფაჩუჩები ხელიდან უვარდება) რა გნებავთ?

ელიზა - ჩემი ტანსაცმელი მე მეკუთნის თუ პიკერინგს?

ჰიგინსი - (ისე მობრუნდება ოთახში, თითქოსდა ელიზას შეკითხვა ყოფილიყოს მათ შორის უთანხმოების კულმინაციური წერტილი) პიკერინგს რა ჯანდაბად უნდა?

ელიზა - იქნება ამ ახალ გოგონასათვის გამოგადგეთ, რომელსაც ჩემს მერე აიყვანთ საექსპერიმენტოდ?

ჰიგინსი - (შერცხვენილი და ნაწყენი) ჩვენ ასეთ ხალხად მიგაჩნევართ?

ელიზა - მე ამაზე სიტყვის გაგონებაც არა მსურს. მარტო ის გამაგებინეთ, რაიმე მეკუთნის თუ არა? ჩემი ტანსაცმელი ხო დასწვით?

ჰიგინსი - მერე ეგ რა შუაშია? ამ შუადამისას ამაზე რა გადარდებთ?

ტტტტტ ელიზა - უნდა ვიცოდე, რისი წაღება შემძლია. არ მინდა ქურდობა დამაბრალოთ.

ჰიგინსი - (ღრმად შეურაცხყოფილი) ქურდობა? ეგ არ უნდა გეთქვათ, ელიზა. უგრძნობო ყოფილხ ელიზა - ვცწუხვარ, თუ ასეა. მაგრამ მე ხომ ერთი გაუნათლებელი გოგონა ვარ და.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს სიფრთხილე მმართებს. შეუძლებელია.

რაიმე გრძნობა არსებობდეს თქვენისთანებსა და ჩემისთანებს შორის.

ნ კეთილ ინებეთ და მითხარით, რა მეკუთნის და რა არა.

ჰიგინსი - (მოღუშული) თუ გინდათ, ყველაფერი წაიღეთ, რაც სახლშია, გარდა ამ.

სამკაულებისა. ესენი ქირითაა აღებული.(ქუსლზე შემობრუნდება და.

უაღრესად შეურაცხყოფილი წასვლას აპირებს).

ელიზა - (ჰიგინსის აღშფოთებით გახარებული ცდილობს კიდე უფრო გაახელოს იგი.

ცოტა ხანს კიდევ შეიცადეთ.(მოიხსნის სამკაულებს).

წაიღეთ, თქვენს ოთახში დააწყვეთ, რომ გული საგულეს გქონდეთ და დაკარგვის არ შეგეშინდეთ.

ჰიგინსი (გახელებული) მოიტა! (ელიზა ხელში ჩაუდებს სამკაულებს) ესენი რომ ოქრომჭედლის არ იყოს, ყველას მაგ უმადურ ხახაში ჩაგჩრიდი. (ანგარიშმიუცემლად ჯიბეში ჩაიყრის. ძეწკვის ბოლოები ჩამოეკიდება.).

ელიზა (ბეჭედს მოიხსნის) ეს ოქრომჭედლის ბეჭედი არ არის. იგი თქვენ ბრაიტონში მიყიდეთ, აჰა, მიიღეთ. აღარ მჭირდება. (აღელვებული ჰიგინსი ბეჭედს ღუმელში შეაგდებს და ელიზას ისე შეუბღვერს, რომ ეს უკანასკნელი სახეზე ხელს აიფარებს, შეშინებული როიალს ამოეფარება და წამოიძახებს) არ დამარტყათ!

ჰიგინსი დაგარტყათ? საზიზღარო არსებავ, როგორ ბედავთ ამის თქმას? მე კი არა, თქვენ დამარტყით, თქვენ და პირდაპირ გულში დამჭერთ.

ელიზა (ფარული სიხარულით ათრთოლებული) მოხარული ვარ, თუ ცოტათი მაინც ვიძიე შური.

ჰიგინსი (ღირსეულად ლაპარაკობს პროფესიონალურად დახვეწილი სტილით) დღეს თქვენ გუნება გამიფუჭეთ. ასეთი რამე არასოდეს მომსვლია.ახლა მეტს არაფერს გეტყვით, წავალ და დავიძინებ.

ელიზა (აგდებულად) გირჩევნიათ წერილი დაუტოვოთ ქ-ნ პირსს, რომ ყავა მოგიმზადოთ, თორემ მე ვეღარ გავაფრთხილებ.

ჰიგინსი (ოფიციალური ტონით) წყეულიმც იყოს ქ-ნი პირსი, წყეულიმც იყოს ყავა, წყეულიმც იყავით თქვენ და წყეულიმც ვიყო მე იმ შეცდომებისათვის, რომ ასე ანგარიშმიუცემლად შევალე ჩემი დიდი ხნის მძიმე შრომით მოპოვებული ცოდნა, მზრუნველობა და პატივისცემა წუმპედან ამოთრეულ მაწანწალას. (ისე გადის, რომ აშკარად უსვამს ხაზს თავის ღირსებას, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას კარის მოჯახუნებით აფუჭებს. ელიზა ბეჭდის მოსანახავად ბუხრის წინ ჩაიჩოქებს, იპოვის ბეჭედს და

ერთხანს ფიქრობს რა უყოს. მერე ხილის ვაზაზე დააგდებს და ისე გაცოფებული ავა ზევით, თითქოსდა უნდოდეს რომ ვინმე შუაზე გაგლიჯოს. ელიზას ოჯახის ავეჯეულობას შემატებია დიდი ტანსაცმლის კარადა და ძვირფასი სატუალეტო მაგიდა. ელიზა შემოდის. აანთებს სინათლეს, მიდის ტანისამოსის კარადასთან, გააღებს, გამოიღებს სამგზავრო კაბას და ფეხსაცმელს. ტანისამოსის კარადიდან გამოიღებს საკიდარს, ფრთხილად გაუყრის საღამურ კაბაში და დაკიდებს კარადაში, რომელსაც ჯახუნით მიხურავს. ჩაიცვამს სამგზავრო ტუფლებსა და სამგზავრო კაბას, დაიხურავს სამგზავრო შლიაპას, სატუალეტო მაგიდიდან აიღებს მაჯის საათს და გაიკეთებს. იცვამს ხელთათმანებს, აიღებს ჩანთას და ვიდრე მაჯაზე გადაიკიდებდეს, სინჯავს არის თუ არა შიგ საფულე, გაემართება კარისაკენ. მის ყოველ მოძრაობაში ჩანს რაღაც მძიმე გადაწყვეტილება. უკანასკნელად სჩაიხედავს სარკეში. უცებ ენას გამოუყოფს თავის თავს, ჩააქრობს სინათლეს და გადის. ამასობაში გარეთ, ქუჩაში სიყვარულით გულანთებული ფრედი ეინსფორდ ჰილი იცქირება მესამე სართულისაკენ, სადაც ერთი ფანჯარაა განათებული. სინათლე ქრება.).

ფრედი მილი ნებისა, ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო ...

(ელიზა კარს მაგრად მოიჯახუნებს და გარეთ გამოვა).

ელიზა აქ რას აკეთებთ?

ფრედი არაფერს. ღამეების უმეტესობას აქ ვატარებ. ეს ერთადეთი ადგილია, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. ნუ დამცინით, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა ქ-ნ დულიტლს ნუ მეძახით, გესმით? უბრალოდ ელიზა დამიძახეთ. (წაიბორძიკებს და ფრედი მხარზე დაადებს ხელს) ფრედი, არ იფიქროთ, რომ მე ქუჩის მაწანწალა ვიყო.

ფრედი ოჰ, არა, ძვირფასო. ეს რამ გაფიქრებინათ. თქვენ ხომ უსყვარლესი, უძვირფასესი... (ფრედი კარგავს თავშეკავების უნარს და ელიზას ჰკოცნის და ჰკოცნის, ალერსს დანატრებული ელიზა წინა-).

აღმდეგობას არ უწევს. ეხვევიან ერთმანეთს. გამოჩნდება ხანში შესული პოლიციელი).

პოლიციელი (შემფოთებული) აბა, აბა, აბა. (ელიზა და ფრედი ერთმანეთს სწრაფად შორდებიან).

ფრედი ბოდიში, პოლიციელო, ჩვენ ეს-ეს არის დავინიშნეთ. (გარბიან. პოლიციელი თავს აკანტურებს. ფიქრობს თავის სიყვარულზე და ადამიანური იმედების ამოებაზე, შემდეგ მოპირდაპირე მიმართულებით წავა პროფესიონალური ნელის ნაბიჯებით.

(სიყვარულის ფრთები ელიზას და ფრედის კავენდიშის მოედნამდე მიიყვანს. იქ შედგებიან იმის ფიქრით, თუ.

საით წავიდნენ.).

ელიზა (სუნთქვაშეკრული) იმ პოლიციელმა ისე შემაშინა, რომ კინაღამ გული გამისკდა. მაგრამ თქვენ მართლა საკადრისი პასუხი გაეცით.

ფრედი გზას ხომ არ აგაცდინეთ? სად მიბრძანდებოდით?

ელიზა მდინარისაკენ.

ფრედი რისთვის?

ელიზა თავის დასახრჩობად.

ფრედი (შეშინებული) ელიზა, ძვირფასო, რათა? რისთვის? რა მოხდა?

ელიზა ნუ მეკითხებით, აწი იმაზე ლაპარაკიც არა ღირს. ახლა ქვეყნიერებაზე ჩემსა და შენს გარდა არავინაა, ხომ ასეა?

ფრედი არც ერთი სულიერი. (ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ახლა თავზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა პოლიციელი წამოადგებათ).

პოლიციელი რაო? თქვენ ორნი ხართ ქვეყანაზე? რა არის ეს? სადა გგონიათ თავი? ხლავე, ახლავე მოუსვით აქედან.

ფრედი კარგი, სერ, მოვუსვამთ, მოვუსვამთ. (გარბიან ახლა ჰანოვერის მოედანთან, შეჩერდებიან).

ფრედი არ მეგონა თუ პოლიციელები ასე საშინლად მორცხვები არიან.

ელიზა მათი მოვალეობა ისაა, რომ ქუჩიდან გოგონებს ერეკებიან.

ფრედი სადმე უნდა წავიდეთ. მთელი ღამე ქუჩაში ხომ ვერ ვიხეტიალებთ!

ელიზა რატომაც არა. რა აჯობებდა იმას, რომ ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე იხეტიალოს.

ფრედი- ოჰ, ძვირფასო. (ისევ ჩაეხვევიან ერთმანეთს. ვერც კი შეამჩნევენ როგორ მიეპარება მათ ტაქსი და გაჩერდება.).

მძლოლი ხომ არსად გინდათ წასვლა, თქვენ და ლედის, სერ?

ელიზა ოჰ, ფრედი, ტაქსი! პირდაპირ მისწრებაა.

ფრედი მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, ფული რომ არა მაქვს? E.

ელიზა მე მაქვს. პოლკოვნიკის აზრით, კაცი სახლიდან ისე არ უნდა გავიდეს რომ ათი გირვანქა სტერლინგი მაინც არ ედოს ჯიბეში. მომისმინეთ. მთელი ღამე ვისეირნოთ, დილით კი ქ-ნ ჰიგინსთან მივალ და ვკითხავ! რა ვქნა? ტაქსიში პოლიცია ხელს ვერ გვახლებს.

ფრედი კეთილი, აგრე იყოს (მძლოლს) უიმზლედონ ქომონისკენ.

მეოთხე მოქმედების დასასრული.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეხუთე.

ქ-ნი ჰიგინსის სასტუმრო ოთახი. ის ეხლაც საწერ მაგიდას უზის. შემოდის მოსამსახურე ქალი.

მოსამსახურე ქალი (კარებში) მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი პიკერინგი ძირს არიან, ქალბატონო!

ქ-ნი ჰიგინსი უთხარი ამოვიდნენ!

მოსამსახურე ქალი ტელეფონით რეკავენ, ქალბატონო, მგონი პოლიციეს ურეკავენ.

ქ-ნი ჰიგინსი რაო?

მოსამსახურე ქალი (შემოვა ოთახში და ხმას დაუდაბლებს) ქალბატონო, მისტერ ჰიგინსი ძალზე აღელვებულია და გადავწყვიტე თქვენთვის მეთქვა.

ქ-ნი ჰიგინსი ის უფრო გამოცემადა, რომ გეთქვა, მისტერ ჰიგინსი აღელვებული არ არისო. როგორც კი დარეკავენ, უთხარი ამოვიდნენ. რაღაცა დაკარგა მგონი.

მოსამსახურე ქალი მესმის, ქალბატონო. (მიდის).

ქ-ნი ჰიგინსი ჯერ მაღლა ადი და ქ-ნ დულიტლს უთხარი, რომ მისტერ ჰენრი და პოლკოვნიკი აქ არიან და, სანამ არ დაგიძახებ, არ ჩამოხვიდე-თქო.

მოსამსახურე ქალი მესმის, ქალბატონო.

(ჰიგინსი შემოვარდება, როგორც მოსამსახურე ქალმა თქვა, ძალზე აღელვებულია).

ჰიგინსი მომისმინეთ, დედა, აქ რაღაც გაუგებრობაა!

ქ-ნი ჰიგინსი დიახ, ძვირფასო. დილაა მშვიდობისა. (ჰიგინსი გამოერკვევა და აკოცებს დედას. მოსამსახურე ქალი გადის) რა მოხდა?

ჰიგინსი ელიზამ აიწყვიტა.

ქ-ნი ჰიგინსი (მშვიდად განაგრძობს წერას) ალბათ შეაშინე.

ჰიგინსი შევაშინე! შისულელეა! ჭუხელ, ჩვეულებრივ, დავტოვეთ, რათა სინათლე ჩაექრო, ეს იყო და ეს! ჰოდა, იმის მაგივრად, რომ დაეძინა, ტანისამოსი გამოუცვლია და წასულა, ლოგინი არც კი გაუშლია. ჯერ კიდევ დილის შვიდი საათი არ ყოფილა, ტაქსით რომ მოსულა თავისი ნივთებისათვის. ჰოდა იმ სულელს, ქ-ნ პირსს, ყველაფერი მიუცია და ჩემთვის კრინტიც არ დაუძრავს. ახლა რა ვქნა?

ქ-ნი ჰიგინსი რა ქნა და თავი დაანებე, ჰენრი. მას სრული უფლება ჰქონდა, თუ მოესურვებოდა, წასულიყო.

ჰიგინსი (აღელვებული ოთახში გაივლ-გამოივლის) კვალს ვერსად ვერ წავაწყდი. არ ვიცი სად ვეძიო. მე... (შემოდის პიკერინგი. ქ-ნი ჰიგინსი დადებს საწერკალამს და საწერი მაგიდიდან შემობრუნდება).

პიკერინგი (ხელს ართმევს) დილაა მშვიდობისა, ქ-ნო ჰიგინს. ჰენრიმ გაიმბოთ? (ტახტზე ჩამოჯდება).

ჰიგინსი პოლიციის იმ ვირმა ინსპექტორმა რა თქვა? ჯილდოს არ შეჰპირდი?

ქ-ნი ჰიგინსი (აღშფოთებული წამოვარდება) რაო, რაო, რა თქვი? ელიზას პოლიცია დაადევნე?

ჰიგინსი რა თქმა უნდა, აბა პოლიცია რისთვისაა? შხვა რა უნდა გვექნა? (ჯდება ელისაბედისდროინდელ სავარძელში).

პიკერინგი ინსპექტორი საქმეს აყოვნებს. ეჭვი ეპარება ჩვენს კეთილგანძრახვაში.

ქ-ნი ჰიგინსი ძალიან კარგად მოქცეულა. ბა რა უფლება გაქვთ წახვიდეთ პოლიციაში და აღრიცხვაზე აიყვანოთ გო-.

გონა, თითქოსდა იგი ქურდი იყოს, ანდა დაკარგული ქოლგა? ხომ ასეა?(ღრმად აღელვებული ისევ დაჯდება).

ჰიგინსი მაგრამ მოძებნა რომ გვინდა?

პიკერინგი იცით რა, ქ-ნო ჰიგინს, ჩვენ მას ასე ვერ დავანებებთ თავს და აბა სხვა რა ვიღონოთ?

ქ-ნი ჰიგინსი ორივეს ბავშვის ჭკუა გაქვთ, ბავშვის ჭკუა. აბა...(შემოდის მოსამსახურე ქალი და საუბარი წყდება).

მოსამსახურე ქალი ერთ ჯენტლემენს ძალიან უნდა თქვენი ნახვა. სუიმპოლის ქუჩიდან აქ მოუსწავლებიათ.

ჰიგინსი თავი დამანებეთ. რავის ნახვის თავი არ მაქვს ვინაა?

მოსამსახურე ქალი მისტერ დულიტლი, სერ.

პიკერინგი დულიტლი! მენგვეა?

მოსამსახურე ქალი მენაგვე? რას ამბობთ, სერ? ჟენტლემენია.

ჰიგინსი (წამოხტება აღელვებული) ღმერთმანი, პიკ, ალბათ ელიზას რომელიმე ნათესავია, რომლის შესახებაც, როგორც ეტყობა ჩვენ არაფერი ვიცით. ელიზა ალბათ მასთანაა წასული (მოსამსახურე ქალს) შემოუშვით. ჩქარა შემოუშვით.

მოსამსახურე ქალი ახლავე სერ. (გადის).

ჰიგინსი (მოუთმენლად მიდის დედასთან) ელიზას ჯენტლემენი- ნათესავი მოსულა. რაიმე ამბავს გავიგებთ. (ჩაჯდება ჩიპენდალის სავარძელში).

ქ-ნი ჰიგინსი ელიზას ნათესავებს იცნობთ?

პიკერინგი მხოლოდ მამამისს, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ.

მოსამსახურე ქალი (გამოაცხადებს) მისტერ დულიტლი. (შემოდის დულიტლი. ისე შესანიშნავადაა ჩაცმული, თითქოს საქორწინოდ მიდიოდეს. - ვინ იცის, იქნება მართლაც მიდის. ფრაკის დილაკში ყვავილი გაურჭვია. თვალის მომჭრელი აბრეშუმის შლიაპა ახურავს. ლაკის ტუფლები საერთო შთაბეჭდილებას აგვირგვინებს. როგორც ეტყობა, ისეა გატაცებული იმ საქმით, რომლისთვისაც მოვიდა, ქ-ნი ჰიგინსს ვერც კი ამჩნევს. პირდაპირ მიიჭრება ჰიგინსთან და საყვედურებით ავსებს).

დულიტლი (უთითებს თავის პიროვნებაზე) აი, ნახეთ! ხედავთ? ეს სულ თქვენი წყალობაა.

ჰიგინსი რა არის ჩემი „წყალობა“ ?

დულიტი ეს ყველაფერი. აი, შეხედეთ. მე თქვენ გთხოვთ, შეხედეთ ამ შლიაპას, ამ ფრაკს შეხედეთ.

ჰიკერინგი თქვენთვის ტანსაცმელს ელიზა ყიდულობდა?

დულიტი ელიზა? არა! რატომ უნდა ეყიდა ჩემი ტანსაცმელი ელიზას?

ქ-ნი ჰიგინსი დილა მშვიდობისა, მისტერ დულიტი. დაბრძანდით, გთხოვთ.

დულიტი (როგორც კი მიხვდება რომ დიასახლისი ვერ შეამჩნია, უკან დაიხევს) ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო. (მასთან მიდის, ხელს ართმევს) გმადლობთ. (ჯდება ტახტზე ჰიკერინგის მარჯვნივ) იმ ამბავმა ისე ამიშალა ნერვები, რომ სულ დაბნეული ვარ.

ჰიგინსი რა ჯანდაბა მოგივიდათ?

დულიტი უბრალო რამე რომ დამმართნოდა, არაფერია, კაცს ყველაფერი მოუვა და, როგორც თქვენ იტყოდით, იმაში ღმერთის ხელი იქნებოდა გარეული, მაგრამ ასე არ მომხდარა. ყველაფერი ეს თქვენ გამიკეთეთ. დიახ,

თქვენ, ენრი ჰიგინს.

ჰიგინსი რა, ელიზა იპოვე?

დულიტი რაო, დაკარგეთ?

ჰიგინსი დიახ.

დულიტი გაბედნიერებულხართ. მე არ მიპოვნია, მაგრამ, დარწმუნებული იყავით, თვითონ მიპოვის, როცა გაიგებს.

რა მომივიდა თქვენის წყალობით.

ქ-ნი ჰიგინსი მითხარით, ასეთი რა გაგიკეთათ ჩემმა ვაჟმა, მისტერ დულიტი?

დულიტი რა გამიკეთა? ბედნიერება წამართვა, დამაქცია, შემკრა და ბურჟუაზიული მორალის ბრჭყალებში ჩამაგდო.

ჰიგინსი (შეშფოთებული წამოდგება და დულიტლს თავზე დაადგება) ბოდავთ, გამოლეშილხართ და არ იცით რას რომავთ, გიჟი ხართ. მე თქვენ 5 გირვანქა სტერლინგი მოგეცით, მერე ორჯერ გესაუბრეთ და თითოეული საათის საუბარი ნახევარი კრონი მაინც დამიჯდა. ას მერე თვალითაც არ მინახავხართ.

დულიტლი რა? მთვრალი ვარ მე? გიჟი ვარ? თქვენ მეუბნებით ამას? მითხარით: მისწერეთ თუ არა წერილი ერთ გულ-ბილწ ამერიკელ ბებერს, რომელიც 5 მილიონს ხარჯავდა იმისთვის, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაეარსებინა.

მორალური რეფორმის საზოგადოება და რომელმაც გთხოვათ მისთვის ერთი საერთაშორისო ენა შეგედგინათ?

ჰიგინსი რაო? აა, ეზრა უანაფელერს? ის ხომ გარდაიცვალა. (დამშვიდაბული ჯდება).

დულიტლი დიახ, ის მოკვდა მე კი დამლუპა. მითხარით: მისწერეთ თუ არა მას წერილი და აცნობეთ თუ არა, რომ თანამედროვე ინგლისში, თქვენის აზრით, ყველაზე ორიგინალური მორალისტია უბრალო მენაგვე, ალფრედ დულიტლი?

ჰიგინსი კი. შენთან პირველი შეხვედრის შემდეგ, მახსოვს, მართლა ჩავიდინე ეს სისულელე, ხუმრობით მივწერე.

დულიტლი კარგი დაგემართოთ, კარგი ხუმრობაა! მე იმ ხუმრობამ ბოლო მომიღო და... იმ ბებერს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამერიკელები ჩვენ არ გვგვანან; რომ ისინი სცნობენ და პატივისცემით ეკიდებიან ყოველი ადამიანის ღირსებას, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ის ანდერშში, ენრი ჰიგინს, თქვენი სულელური ხუმრობის წყალობით წერია, რომ ყველის ტრესტ „მუცლის მეგობარი“-ს შემოსავლიდან მეც მივიღო წლიურად 3000 დოლარი, იმ პირობით, რომ წავიკითხო ლექციები, უანაფელერის მორალური რეფორმის მსოფლიო ლიგაში, როცა კი მოითხოვენ, ექვს ლექციამდე წელიწადში.

ჰიგინსი ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი! (სახე გაუბრწყინდა) უყურეთ, რა კარგი მოფიქრებაა.

დულიტლი ლექციის წაკითხვას რა უნდა? მე იმათ ისეთ ლექციას წაუკითხავ, რომ სიგრძე სიგანეთ ექცეთ და მე კი თმის ღერიც არ შემიტოკდება. მე ის მაძარდებს, ჯენტლემენი რომ გავხდები. ვინა სთხოვა ჯენტლემენად მაქციეო? ერთი ბედნიერი, თავისუფალი კაცი ვიყავი. ღოცა ფული მომიწებოდა, ვისაც ხელს დავადებდი, ყველა მაძლევდა ისე როგორც თქვენ, ენრი ჰიგინს. ახლა კი დავიღუპე. ხელფეხშეკრული ვარ დაყველა მე მადებს ხელს, ფული მომეცეო. უწინ, როცა ლატაკი ვიყავი, ნაგავთან ერთად საბავშვო ეტლი მინახეს,

სამართალში მიმცეს, ვეჭილი დამჭირდა. რის ვაი-ვაგლახით მიმიღო ვეჭილმა, მაგრამ სცადა, რაც შეიძლება ჩქარა მოვეცილებინე. ახლა ვეჭილები მილოცავენ „თქვენი საქმე კარგად მიდის“-ო. „თქვენ იმის თქმა ინდათ, რომ თქვენი საქმე მიდის კარგად მე ვეუბნები. უწინ, როცა არაფერს ვიხდიდი, ექიმები საავადმყოფოდან ისე დასუსტებულს გამომაგდებდნენ, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ხლა კი აღმომიჩინეს, რომ მე ავადმყოფი კაცი ვარ და ისე ვერ ვიცოცხლებ, თუ დღეში ორჯერ არ გამსინჯეს. სახლში თითის განძრევის ნებას არ მაძლევენ. ჩემს მაგივრად სხვა აკეთებს ყველაფერს. ჯერ კიდევ შარშანქვეყანაზე ორი-სამი ნათესავის გარდა კაცისშვილი არ მებადა და ისინიც ჩემთან შეხვედრას გაურბოდნენ. ახლა კი 50 ცალი აღმომაჩნდა და არც ერთს თავისი ჯამაგირი ერთ კვირასაც არ ყოფნის. ახლა ჩემთვის კი არა, სხვებისათვის

ვცხოვრობ. ესეც თქვენი ბუჟუაზიული მორალი! თქვენა სთქვით ელიზა დაგვარგეთო!
დარდი ნუ გაქვთ, ნიძლავს დავდებ, თუ ახლა ჩემი სახლის ზღურბლზე არ იდგება.
ჰოდა, სანამ მამამისი საპატიო ბურჟუა გახდებოდა, ყვავილების გაყიდვითაც კარგად
ირჩენდა თავს. ხლა თქვენც მომთხოვთ ფულებს მისტერ ჰიგინს: ნამდვილი
ინგლისურის ნაცვლად ბურჟუების ენა ხომ უნდა მასწავლოთ? ახლა თქვენც დაიჭერთ
თქვენს ადგილს. ამისათვისაა ყველაფერი ეს მოგონილი.

ქ-ნი ჰიგინსი ჩემო ძვირფასო მისტერ დულიტლ, თუ თქვენ მართლა არ გინდათ იმ
თანხის მიღება, ვის რა უფლება აქვს დაგამალოთ, ჩვენი მოთხოვნა უთუოდ მიიღეთო?
შეგიძლიათ უარი უთხრათ, ხომ ასეა, პოლკოვნიკო პიკერინგ?

პიკერინგი მეც ასე მგონია.

დულიტლი (უფრო რბილი ტონით ლაპარაკობს, რადგანაც ქალთა სქესის
წარმომადგენელს ელაპარაკება).

ტრაგედიაც ამაშია, ქალბატონო. უარის თქმა ადვილია, მაგრამ გამბედაობა არა
მყოფნის. აბა რომელ ჩვენთაგანს ყოფნის? ჩვენ ყველანი დაშინებულები ვართ,
დაშინებულები, ქალბატონო, აი, რა ვართ ჩვენ. ამ საქმეზე უარი რომ ვთქვა, სამუშაო
სახლის მეტი აბა რა მელის სიბერეში? ახლახან, თუნდაც იმისათვის, მენაგვის ადგილი
არ დამეკარგა, კინაღამ თმის შეღებვა დამჭირდა. რომელიმე ღირსეული ლატაკი რომ არ
ვიყო და ცოტა რამე შემონახული მქონდეს, შემემლო უარი მეთქვა. მაგრამ მაშინ
მხოლოდ იმისათვის თუ ვიზამდი ამას, რომ ღირსეული ღარიბი მილიონერზე
უარესად არა ცხოვრობს. თუმცა მათ არც კი იციან თავიანთი ბედნიერების ფასი. მე კი,
როგორც ერთ-ერთ უღირს ღარიბს, სხვა არაფერი მაშორებს ღარიბ-ლატაკების
კონკებისაგან, გარდა ამ წყეული სამი ათასისა, რომელიც ბურჟუებს შორის, ამ
გარეწარებს შორის მაჭერინებს ადგილს. უკაცრავად ვარ თქვენთან, ქალბატონო ასეთი
ლაპარაკისათვის, მაგრამ, ჩემსავით ადელვებულები რომ იყოთ, თქვენც ასევე
ილაპარაკებდით. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი -ო, რომ იტყვიან, ისეა სწორედ:
ყველა გზა გადაჭრილია:-ან სამუშაო სახლში უნდა ამოგხდე ჯკჰგჰფდსსსგყუ99 თ
სული, ან ბურჟუების ხროვაში მოგელოთ ბოლო. დაშინებული აი, რა ვარ მე,
ქალბატონო, გატეხილი, გაყიდული. შხვა ბედნიერი ხალხი გაიტანს ჩემს ნაგავს და მე
მომთხოვს ფულს გადასაკრავად,-და მე უნდა ვუცქირო მათ და მშურდეს იმათი ბედი.
აი, სადამდე მიმიყვანა თქვენმა ვაჟიშვილმა, სადამდე (ადელვებულება).

ქ-ნი ჰიგინსი კეთილი. მოხარული ვარ რომ თქვენ არ აპირებთ რაიმე სისულელის
ჩადენას, მისტერ დულიტლ. ესა სწყვეტს ელიზას მომავლის საკითხს: ახლა მისი რჩენა
თქვენ თამამად შეგიძლიათ.

დულიტლი (მელანქოლური მორჩილებით) როგორ არა, ქალბატონო, ახლა სულ
ყველას რჩენა შემიძლია ამ 3000 წლიური შემოსავლით.

ჰიგინსი (წამოხტება) სისულელეა! მან რატომ უნდა არჩინოს ელიზა?აკი ელიზა მას
არ ეკუთვნის: ხუთ დოლარად არ მომყიდა? დულიტლი პატიოსანი კაცი ხარ თუ
გაიძვერა?

დულიტლი ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც, ჰენრი! როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ცოტ-ცოტა ერთიცა ვარ და მეორეც.

ჰიგინსი ჰოდა, მომისმინეთ: თქვენს ქალიშვილში ხომ ფული აიღეთ, ახლა მისი წაყვანის უფლება არა გაქვთ.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი? ნუ სულელობ! თუ იმის გაგება გინდა, სად არის ელიზა, გეტყვი ზევითაა.

ჰიგინსი (გახარებული) ზევითაა!!! მაშ ახლავე ჩამოვიყვან. (გაემართება კარისაკენ).

ქ-ნი ჰიგინსი (წამოდგება და გაჰყვება მას) დამშვიდდი ჰენრი, ნუ მიდიხარ, დაჯექი.

ჰიგინსი მე?

ქ-ნი ჰიგინსი - დაჯექი, ძვირფასო, და მომისმინე. .

ჰიგინსი ოჰ, ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ძალიან კარგი! (ტახტზე ჯდება და ფანჯრისკენ იბრუნებს პირს) რატომ არ გვითხარით ეს ნახევარი საათით ადრე?

ქ-ნი ჰიგინსი ელიზა დილით მოვიდა ჩემთან და მიაშო რა უხეშად მოქცევიხართ ორივენი.

ჰიგინსი (ისევ წამოხტება) რაო?

ჰიკერინგი (ისიც წამოდგება) ძვირფასო ქ-ნო ჰიგინს, მოუჭორავს. როგორ თუ უხეშად მოვექეცი? ერთი სიტყვაც არ გვითქვამს მისთვის. ერთმანეთს ძალზე ტკბილად დავმორდით. (მიუბრუნდება ჰიგინსს) ჰიგინს, ჩემი დამძინების შემდეგ ხო მარ აწყენინეთ რამე?

ჰიგინსი პირიქით, თვითონ მაწყენინა, ფოსტლები მესროლა სახეში. რაღაც გადარეულივით იქცეოდა. არავითარი მიზეზი არ მიმიცია, შემოვბრუნდი თუ არა, აიღო და ფოსტლები მთხლიშა სახეში და მერე რა არა თქვა, რომ იცოდეთ?

ჰიკერინგი (გაოცებული) რათა? რა დაგვიშავებია მისთვის?

ქ-ნი ჰიგინსი მე მშვენივრად ვიცი, რაც დაუშავეთ. მგონი ეგ გოგონა ბუნებით ძალიან სათნო და მგრძნობიარეა, ხომ ასეა, მისტერ დულიტლ?

დულიტლი - მეტად ნაზი გულის პატრონია, ქალბატონო, სულ მე მგავს.

ქ-ნი ჰიგინსი სწორედ რომ ასეა. ძალიან შეგეჩვიათ ორივეს. შენს მიმართ მეტისმეტად ბევრ მზრუნველობას იჩენდა, ჰენრი! თქვენ ალბათ არც კი გაქვთ წარმოდგენილი თუ რას ნიშნავს გონებრივი მუშაობა მისი კლასის გოგონასათვის. როგორც გავიგე, როცა მან უდიდესი გამოცდა ჩააბარა ბრწყინვალედ, ყოველგვარი შეცდომის გარეშე და სახლში დაბრუნდით, მისთვის არც ერთ თქვენგანს ხმა არ გაუცია, გააბით საუბარი ერთმანეთში და გიხაროდით, რომ ყველაფერი მორჩა. იმასაც კი ამბობდით ყველაფერმა

ამან საშინლად მოგვაბეზრა თავი და დაგვღალაო. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ მან ფოსტლები სახეში გთხლიშათ. მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ფოსტლებს კი არა, მაშებს გესროდით, მაშებს.

ჰიგინსი ჩვენ იმის მეტი არაფერი გვითქვამს, რომ დაღლილები ვიყავით და ძილი გვინდოდა. ხომ ასეა, პიკ?

პიკერინგი (მხრებს იჩეჩავს) ეგ იყო და ეგ.

ქ-ნი ჰიგინსი (ირონიულად) დარწმუნებული ხართ?

პიკერინგი სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

ქ-ნი ჰიგინსი თქვენ მადლობაც არ გადაუხადეთ მას, არ მოეფერეთ, არ შეაქეთ, ისიც არ უთხარით, რა მშვენიერი იყავი-ო.

ჰიგინსი (მოუთმენლად) ჩვენ რაზე უნდა გვეთქვა, როცა მან ყველაფერი ეს ჩვენზე უკეთ იცოდა. თუ ამის თქმა გნებავთ, რომ მასთან ქადაგად არ დავცემულვართ, ეს მართალია.

პიკერინგი (სინდისის ქენჯნით) ალბათ, მართლა ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. ძალიანაა გაბრაზებული?

ქ-ნი ჰიგინსი (ისევ დაუბრუნდება თავის ადგილს საწერ მაგიდასთან) იმედი მრჩება, რომ ელიზა უკვე აღარ დაუბრუნდება უიმპოლის ქუჩას. მისტერ დულიტლს შესაძლებლობა აქვს შეუწარმოოს თავის ქალიშვილს ის საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც თქვენ ძალად მოახვიეთ თავზე. მაგრამ ელიზამ თქვენთან მეგობრულ ვითარებაში შეხვედრის სურვილი გამისთქვა ერთმანეთის დანაშაულის მოსატევებლად.

ჰიგინსი მართლა, ღმერთო ჩემო! მართლა?

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, თუ შემპირდები, რომ თავდაჭერილად იქნები, ჩამოვაყვანინებ, არადა, სახლში წადი, ისედაც დიდი დრო დამაკარგვინე.

ჰიგინსი - კეთილი, თანახმა ვარ, თანახმა. პიკ, თქვენც თავდაჭერილად იყავით. მთელი ჩვენი საკვირაო მიხრა-მოხრა უნდა გამოვიყენოთ იმ არსებასთან, რომელიც ჩვენვე ამოვიყვანეთ წუმპედან (გულმოსული ჩაეშვება ელისაბედისდროინ-).

დელ სავარძელში).

დულიტლი (შეგონებით) აბა ახლა ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება. ჰენრი ჰიგინს, გაუწიეთ ანგარიში ჩვენს როგორც.

ბურჟუის გრძნობებს.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, დაპირება არ დაივიწყოთ (ხელს დააჭერს ზარის დილაკს საწერ მაგიდაზე) მისტერ დულიტლ, თუ არ შეწყუბდებით, ერთი წუთით გაბრძანდით აივანზე. არ მინდა ელიზამ მანმადე გაიგოს თქვენი ამბავი, ვიდრე ამ ჯენტლემენტან საუბარს მორჩებოდეს. რას იტყვით მისტერ?

დულიტლი როგორც გენებოთ, ქალბატონო. მე ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენ ჰენრის, ოღონდ ჩემი ქალიშვილი აღარ დამიბრუნდეს. (აივანზე გავა).

(შემოდის მოსამსახურე ქალი, პიკერინგი დულიტლის ადგილზე ჯდება).

ქ-ნი ჰიგინსი გეთაყვა, თხოვეთ ქ-ნ დულიტლს, ჩამოდით-თქო.

მოსამსახურე ქალი ახლავე, ქალბატონო. (გადის).

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, იცოდე, თავი შეიკავე.

ჰიგინსი მე ძალიან მშვიდადა ვარ.

პიკერინგი რაც შეუძლია, ცდილობს, ქ-ნო ჰიგინს. (დუმილი. ჰიგინსი თავს უკან გადაიგდებს, ფეხებს გამართავს და სტვენას მოჰყვება).

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, ძვირფასო, ულამაზოდ ზიხარ.

ჰიგინსი (გასწორდება) რაში მინდა ლამაზად ჯდომა. დედა?

ქ-ნი ჰიგინსი ისე გითხარი, შვილო, შენთან ლაპარაკი მინდოდა.

ჰიგინსი მერე!

ქ-ნი ჰიგინსი მერე და ერთსა და იმავე დროს სტვენას და ლაპარაკს ვერ შესძლებ. მიტომაც გითხარი. (ჰიგინსი ამოიოხრებს. დუმილი ჩამოწვება).

ჰიგინსი (წამოვარდება) სად ეშმაკშია ის გოგო? მთელი დღე ხო მარ უნდა ველოდოთ?

(შემოდის მხიარული თავდაჯერებული ელიზა, ასე გეგონებათ თავისუფლად თავდაჭერის დიდი ხნის გამოცდილება აქვსო. მოაქვს პატარა სამუშაო კალათა. მეტად შინაურულადაა. იკერინგი ისე დაიბნევა, რომ ფეხზე ადგომასაც ვერ ახერხებს).

ელიზა დილა მშვიდობისა, პროფესორო ჰიგინს. როგორ გიკითხოთ?

ჰიგინსი - (გაოცებული) მე... მე... (ლაპარაკს ვერ ახერხებს).

ელიზა რა თქმა უნდა, კარგად იქნებით. თქვენ არასოდეს არა ხართ ცუდად. ოხარული ვარ, რომ კიდევ გხედავთ, პოლკოვნიკო პიკერინგ. P(პოლკოვნიკი სწრაფად ადგება, ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს) ზალიან აცივდა ამ დილით, არა? (ელიზა დაჯდება, პიკერინგი მარჯვნივ დაუჯდება).

ჰიგინსი ამ ოინებს შემთან მოეშვით. მე გასწავლეთიგი და იმით ვერ გამაკვირვებთ. ადექით და სახლში წამოდით, სისულელეებს თავი გაანებეთ.

(ელიზა ხელსაქმეს ამოიღებს კალათიდან და მოჰყვება კემსვას, ჰიგინსის გაბრაზებას აინუშიც არ აგდებს).

ქ-ნი ჰიგინსი მართლაც რომ მშვენიერ სიტყვას ხმარობ, ჰენრი, ვერც ერთი ქალი ვერ იტყვის უარს ასეთ მიპატიჟებაზე.

ჰიგინსი შენ თავი დაანებე, დედა, თვითონ ილაპარაკოს და ახლავე გამოჩნდება, გააჩნია თუ არა თუნდაც ერთი აზრი, რომელიც მე არ ჩამიდია მის თავში. თუნდაც ერთი სიტყვა თუ იცის, რომელიც მე არ მისწავლება მისთვის. მე შევქმენი ეს არსება კოვენტ გარდენის ფეხქვეშ გათელილი კომბოსტოსაგან და ახლა ჩემს წინაშე ნამდვილი ლედის გათამაშებას ცდილობს.

ქ-ნი ჰიგინსი (მშვიდად) თუნდაც ასე იყოს, ძვირფასო, მაგრამ, რასა დგახარ, არ დაჯდები?

(გაბრაზებული ჰიგინსი ჯდება).

ელიზა (მიმართავს პიკერინგს და თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჰიგინსს, თან ხელსაქმის კეთებას განაგრძობს) ერთი ეს მითხარით, პოლკოვნიკო პიკერინგ, ეხსპერიმენტი საბოლოოდ მორჩა თუ არა?

პიკერინგი ოჰ, ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ მას ექსპერიმენტს არ უნდა ემახოდეთ. ამის მოსმენა, მათალი გითხრათ, არ მსიამოვნებს.

ელიზა არც მე ვარ გათელილი კომბოსტო. . .

პიკერინგი (შეგულიანებული) რა თქმა უნდა, არა ხართ.

ელიზა (განაგრზობს მშვიდად) მაგრამ იმდენად დავალებული ვარ თქვენგან, რომ ნამდვილად უბედური ვიქნები, თუ დამივიწყებთ.

პიკერინგი მაღლობელი ვარ თქვენი, ამას რომ ამბობთ, ქალბატონო დულიტლ.

ელიზა იმიტომ კი არ მითქვამს ეს, რომ ჩემი ტანისამოსი თქვენი შეძენილია. თქვენ ფულის საკითხში სხვებთანაც გულუხვი ბრძანდებით. აგრამ მე ნამდვილად თქვენგან ვისწავლეკარგი ჩვევები, რომლებიც უბრალო ქალს ლედიდ აქცევს. მათი შეთვისება ჩემთვის მეტად ძნელი იყო, როცა ნიმუშად თვალწინ პროფესორი ჰიგინსი მედგა. ეც ხომ მასავითვიყავი აღზრდილი, მეც არ შემეძლო თავის დაჭერა და თვით უმნიშვნელო აღელვების დროსაც უშვერ სიტყვებს ვხმარობდი. ე ვერასოდეს გავიგებდი, რომ ჯენტლემენები ას ეარ იქცევიან, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ჩვენთან, პოლკოვნიკო პიკერინგ.

ჰიგინსი რაო?K.

პიკერინგი ოპ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. გულით არ ამბობს. რა ქნას, ასე გამოუდის.

ელიზა ოპ, მეც არ ვამბობდი გულით, როცა ყვავილებს ვყიდდი, მაგრამ ასეა თუ ისე, ხომ ვაკეთებდი ამას და საქმეც სწორედ ესაა.

პიკერინგი კეს კი ასეა, მაგრამ მაინც ჰიგინსმა გასწავლათ ლაპარაკი მე ამას ვერ გავაკეთებდი.

ელიზა (აგდებულად) რა თქმა უნდა, ეს მისი პროფესიაა.

ჰიგინსი დაგლახვროთ ეშმაკმა.

ელიზა (განაგრძობს) ეს იგივეა, კაცს რომ მოდური ცეკვები ასწავლო, მეტი არაფერი. იცით როდის დაიწყო ჩემი ნამდვილი სწავლება?

პიკერინგი როდის?

ელიზა (ცოტა ხნით შეაჩერებს ხელსაქმეს) სწორედ იმ დროს, უიმპოლის ქუჩაზე პირველად რომ მოვედი და თქვენ.

„ქალბატონი დულიტლი დამიძახეთ. პირველად მაშინ გაიღვიძა ჩემში თავმოყვარეობამ. (კემსვას მორჩება) მახსოვს აგრეთვე მრავალი სხვა წვრილმანიც, რომლებსაც თქვენ ვერც ამჩნევდით, რადგანაც ისინი ბუნებრივი იყო თქვენთვის; ყოველ შემოსვლაზე ფეხზე რომ მიდგებოდით, შლიაპას რომ მიხდიდით, კარს რომ მიღებდით.

პიკერინგი ოპ, ეგ რა სალაპარაკოა.

ელიზა თითქოს ასეა, მაგრამ ის წვრილმანები ამჟღავნებდნენ, რომ თქვენ ისე მეპყრობოდით, თითქოს მე უბრალო მრეცხავ ქალზე უკეთესი ვყოფილიყავი. თუმცა, რა თქმა უნდა, ასევე მოექცეოდით მრეცხავ ქალსაც, თუ ვინიცობაა, ის-.

შემთხვევით სასტუმრო ოთახში შემოვიდოდა. ჩემი თანდასწრებით ფეხი არასოდეს არ გაგიხდიათ.

პიკერინგი ეს რა სალაპარაკოა. ჰიგინსი ფეხსაცმელს ყველგან იხდის.

ელიზა ვიცი. ამისთვის როდი ვსაყვედურობ. ის ხომ ყველგან ერთნაირად იქცევა? მაგრამ თქვენ რომ ამას არ აკეთებდით, სწორედ ეგ ქმნიდა ჩემთვის დიდ განსხვავებას. იცით რა! მართლა, გარდა ყველაფერი იმისა, რისი შესწავლაც შეუძლია ადამიანს, - კარგად ჩაცმა, წესიერად ლაპარაკი და ასე შემდეგ, ლედისა და ყვავილების გამყიდველ გოგონას შორის განსხვავებას ქმნის არა ის, თუ როგორ იქცევა რომელიმე მათგანი, არამედ ის, თუ როგორ.

ექცევია მათ. პროფესორი ჰიგინსის თვალში მე ყოველთვის ყვავილების გსმყიდველი გოგონა ვიქნები, რადგანაც ის ყოველთვის ისე მექცეოდა მე, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგონას და ასევე მომექცევა მომავალშიაც. თქვენს თვალში კი მე მართლა

შეიძლება ლედი ვიყო, რადგანაც თქვენ ყოველთვის ისე მექცევით, როგორც ლედის და მომავალშიც ასევე მომექცევით.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი, თუ გიყვარდე, კბილებს ნუ აკარჭუნებ.

პიკერინგი სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა, ქ-ნო დულიტლ.

ელიზა თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ვისურვებდი ამიერიდან ელიზა დაგეძახათ ჩემთვის.

პიკერინგი გმადლობთ ელიზა, რა თქმა უნდა, დაგეძახებთ.

ელიზა და მე ვისურვებდი, რომ პროფესორ ჰიგინსს ქ-ნი დულიტლი დაეძახა ჩემთვის.

ჰიგინსი მაგას ვერ მოესწრები.

ქ-ნი ჰიგინსი ჰენრი! ჰენრი!

პიკერინგი (სიცილით) რატომ თქვენც ასევე არ შეურაცხყოფთ? ნუ უთმენთ, ეს მისთვის სასარგებლო იქნება.

ელიზა არ შემძლია. ერთ დროს ამას მართლა გავაკეთებდი, მაგრამ ახლა კი ვერა. იმ დროს ვერ დავუბრუნდები. თქვენგან მსმენია, რომ, როცა ბავშვს უცხო ქვეყანაში წაიყვანენ, რამდენიმე კვირაში ახალ ენაზე ალაპარაკდება და მშობლიურ ენას ივიწყებს. მეც ასევე ბავშვი ვარ ამ თქვენს ქვეყანაში, მეც დამავიწყდა ჩემი მშობლიური ენა და ახლა.

მხოლოდ თქვენს ენაზე შემძლია ლაპარაკი. უიმპოლის ქუჩაც დავტოვე და ტოტენჰამ კორტ როუდთანაც კავშირი სამუდამოდ გაწყვეტილია.

პიკერინგი (შეშინებული) თქვენ ხომ კვლავ დაბრუნდებით უიმპოლის ქუჩაზე? ხომ აპატიებთ ჰიგინსს?

ჰიგინსი (დგება) მაპატიებს? როგორ არ მაპატიებს! აბა, წავიდეს! ვნახოთ, როგორ იცხოვრებს უჩვენოთ. თუ მე დამხმარედ არ ვეყოლები, სამ კვირაში ისევ წუმპეში აღმოჩნდება. (შუა ფანჯარასთან გამოჩნდება დულიტლი და ჰიგინსს ზემოდან საყვედურის თვალებით გადმოხედავს. უხმოდ, ფეხაკრეფით მიუახლოვდება თავის ქალიშვილს, რომელიც ვერ გრძნობს მამის მიახლოვებას, რადგან ფანჯრისაკენ ზურგი აქვს შექცეული).

პიკერინგი ჰიგინსი გამოუსწორებელია, ელიზა, მაგრამ თქვენ ხომ არ დაუბრუნდებით წუმპეს?

ელიზა არა. არც ახლა და არც არასოდეს. საკმაოდ ვისწავლე. ახლა ძველ ბგერებს, ძალიანაც რომ მინდოდეს, მაინც ვერ წარმოვთქვამ. (დულიტლი მარცხენა მხარეზე

შეახებს ხელს. ელიზა ყოველგვარ ტავდაჭერილობას კარგავს, როდესაც მამას ასე ბრწყინვალედ ჩაცმულს დაინახავს. ხელსაქმე გაუვარდება) აა-აა-ოო-უუ!

პიგინსი (ყვირილით, აღფრთოვანებული) აჰა, ესეც თქვენ: აა-აა-ოო-უუ-უუ! აა-ოო-უუ! გამარჯვება! გამარჯვება! (კუთხეში მდგარ დივანზე გაიშხლართება და გულზე ხელებს დაიკრებს).

დულიტლი გოგო აქ არაფერ შუაშია. ასე ნუ მიყურებ, ელიზა. ჩემი ბრალი არ არის. ფულები ჩამივარდა ხელში.

ელიზა ამჟამად, მამილო, ალბად მილიონერს შეახე ხელი.

დულიტლი სწორედ რომ ასეა. მაგრამ დღეს რაღაცა საგანგებოდ ვარ ჩაცმული. წმინდა გიორგის ეკლესიაში მივდივარ.

ჰანოვერის მოედანზე. შენს დედინაცვალზე ვიწერ ჯვარს.

ელიზა (გაბრაზებული) ნუთუ ისე უნდა დაიმცირო თავი, რომ ის მდაბიო ქალი შეირთო?

პიკერინგი (მშვიდად) მამაშენი ვალდებულია, ელიზა. (დულიტლს) მართლა თქვენს საცოლეს ახლა რამ შეაცვლევინა აზრი?

დულიტლი (ნაღვლიანად) დაშინებულია, უფროსო, დაშინებული. ბურჟუაზიის მორალს თავისი მსხვერპლი სჭირდება. შლიაპა დაიხურე. ელიზა, და ჩემს ქორწინებას დაესწარი.

ელიზა თუ პოლკოვნიკი თანახმაა, მე... ჰო... წამოვალ. (თითქმის ატირებული) არ დაგზარდები, მამა, მაგრამ, სულ ერთია, ლანძღვა არ ამცდება.

დულიტლი ნუ გეშინია, ის საბრალო ქალი ახლა ყველასთან ტკბილადაა. როგორც კი დიდ ხალხში მოხვდა, მაშინვე მოთვინიერდა.

პიკერინგი (ელიზას ნაზად შეახებს ხელს ნიდაყვზე) ნუ აწყენინებთ, ელიზა, წადით.

ელიზა (აღელვებულია, მაგრამ მაინც ცდილობს გაულუმოს პიკერინგს) კეთილი, წავალ. გაიგოს, რომ გულღვარძლიანი არა ვარ. ახლავე დავბრუნდები. (გადის).

დულიტლი (პიკერინგს მიუჯცება გვერდით), ვერ ვიტან ცერემონიებს, პოლკოვნიკო. თქვენც რომ წამოხვიდოდეთ, კარგს იზამდით.

პიკერინგი თქვენ ამას შეჩვეული უნდა იყოთ: ელიზას დედასთან ხომ იქორწინეთ?

დულიტლი ვინ მოგახსენათ პოლკოვნიკო?

პიკერინგი არავის არ უთქვამს, მაგრამ მე ასე მგონია ბუნებრივია.

დულიტილი არა, ბუნებრივი არ არის, პოლკოვნიკო. ეგ მარტო ბურჟუაზიულია. მე ყოველთვის უღირსად ვიქცეოდი,

მაგრამ ელიზას ნურაფერს ნუ ეტყვი. იმდენ თავაზიანობას ვიჩენდი, რომ მან არაფერი იცის, არ ვეუბნებოდი.

პიკერინგი სწორად მოქცეულხართ. რატომ უნდა უთხრათ, რა საჭიროა?

დულიტილი რას იზამთ. პოლკოვნიკო, ეკლესიაში წამომყვებით და ამ საქმეში დამეხმარებით თუ არა?

პიკერინგი სიამოვნებით. თუ უცოლო კაცი რამეში გამოგადგებათ, რატომაც არაა?

ქ-ნი ჰიგინსი რა იქნება, მეც რომ წამოვიდე, მისტერ დულიტილ? გულით მინდა თქვენს ქორწინებაზე დასწრება.

დულიტილი ძლიერ დამაფასებთ, თუ ამდენ პატივსა მცემთ, ქალბატონო. ჩემი საბრალო ბებრუცუნაც სიხარულისაგან.

გადაირევა. დაღონებულია, რომ ჩვენს ბედნიერ დღეებს ბოლო მოეღო.

ქ-ნი ჰიგინსი (დგევა) სანამ ეტლს მომიმზადებენ, ჩავიცვამ. (კაცები, ჰიგინსის გამოკლებით, დგებიან. კარებში გამავალ ქ-ნი ჰიგინსს ელიზა შეეფეთება. შლიაპას იხურავს და ხელთათმანებს იცვამს) ეკლესიაში მივდივარ, მამაშენის ქორწინებაზე დასასწრებლად. თქვენ ჩემი ეტლით წამოდი. პოლკოვნიკს შეუძლია სასიძოსთან ერთად წამოვიდეს. (გადის. ელიზა დადგება ოთახის შუაში, შუა ფანჯარასა და ტახტს შორის. პიკერინგი მივა მასთან).

დულიტილი სასიძო, რა სიტყვაა! კაცს მაშინვე აგრძნობინებს თავის მდგომარეობას. (შლიაპას აიღებს და მიდის კარისაკენ).

პიკერინგი ელიზა, სანამ წამოვიდოდეთ, უნდა აპატიო ჰიგინსს და შეგვპირდე, რომ დაგვიბრუნდები.

ელიზა მამაჩემი არ დამრთავს ნებას, რას იტყვი მამილო?

დულიტილი (ნაღვლიანად, მაგრამ მაინც დიდსულოვნად) ძალიან კი გაგათამაშეს მაგ ორმა ხუმარამ, ელიზა, მარტო ერთი რომ ყოფილიყო, უთუოდ დააბამდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორნი იყვნენ: ერთი-მეორეს უშლიდნენ ხელს. (პიკერინგს) მოხერხებულად კი მოაწყვეთ ეს საქმე, პოლკოვნიკო, მაგრამ თქვენზე გაბრაზებული მაინც არა ვარ. თქვენს ადგილას.

მეც ასე მოვიქცეოდი. მთელი ჩემი სიცოცხლე ისე გავატარე, რომ ხან ერთი ქალის მსხვერპლი ვიყავი, ხან მეორის. ამიტომაც ელიზას გამოსულელებისათვის არ გასაყვედურობთ. ამ საქმეში არ ჩავერევი. ჩვენი წასვლის დროა პოლკოვნიკო. ნახვამდის, ჰენრი. წმინდა გიორგის ეკლესიაში გნახავთ, ელიზა. (გადის).

პიკერინგი (ვედრებით) ელიზა, დარჩით ჩვენთან. (ელიზა აივანზე გადის. ჰიგინსი დგება და ისიც ელიზასთან გავა. ელიზა მაშინვე შემობრუნდება ოთახში და კარისკენ გაემართება. ჰიგინსი გადაასწრებს და ზურგით კარს მიეყრდნობა).

ჰიგინსი ელიზა, თქვენებურად რომ ვთქვათ, უკვე საკმაოდ იძიეთ შური, იქნება კმარა? იქნება გონს მოხვიდეთ? თუ კიდევ განაგრძობთ?

ელიზა თქვენ იმისათვის გინდათ დაგბრუნდეთ, რომ მარტო ფოსტლები მოგაწოდოთ, თქვენი ჭირვეულობა ავიტანო და გამაგზავნ-გამომაგზავნოთ.

ჰიგინსი სულაც არ მითქვამს დაბრუნდით-მეთქი.

ელიზა როგორ არ გითქვამთ? მაშ ახლა რაზე ვლაპარაკობთ?

ჰიგინსი თქვენზე, ჩემზე კი არა. თუ ჩვენთან დაბრუნდებით, ისევ ძველებურად მოგეპყრობით. მე ხასიათს ვერ გამოვიცვლი და აღარც ჩვევის შეცვლა მაქვს განზრახული. მეც ზუსტად ისეთივე ჩვევები მაქვს, როგორც პოლკოვნიკ პიკერინგს.

ელიზა ეგ არაა მართალი. პოლკოვნიკი ყვავილის გამყიდველ გოგოს ისევე ეპყრობა, როგორც ჰერცოგის ასულს.

ჰიგინსი და მეც, ჰერცოგის ასულს ისევე ვეპყრობი, როგორც ყვავილის გამყიდველ გოგოს.

ელიზა ეგ მეც ვიცი (თავდაჭერილად შემობრუნდება და ფანჯრისაკენ პირშექცეული დაჯდება ტახტზე).

ყველასთან ერთნაირი ხართ.

ჰიგინსი სწორედ რომ ასეა.

ელიზა ისევე, როგორც მამაჩემი.

ჰიგინსი (ოდნავ გაიღიმებს, მისი ქედმაღლობაც ცოტა მომტყდარია). მე ამ შედარებას არ მივიღებ, ელიზა, მაგრამ სავსებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მამაშენი სწორი არ არის და თავისი უცნაური ბედის წყალობით, რა მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვდეს, სულერთია, თავს მაინც შინაურულად იგრძნობს. (სერიოზულად) უდიდესი საიდუმლოება იმაში როდია, ელიზა, ადამიანს ცუდი ჩვევები აქვს თუ კარგი, კარგად ლაპარაკობს, თუ ცუდად, მთავარი ისაა, არის თუ არა იგი ყოველ ადამიანთან ერთნაირ ურთიერთობაში. ე.ი., მოკლეთ რომ ვთქვათ, იქცევა თუ არა იგი.

ისევე, როგორც ზეცაში, სადაც მესამე კლასის ვაგონები არ არსებობს და სადაც ერთი სული ისევე კარგია, როგორც მეორე.

ელიზა ამინ. თქვენ ქადაგად ხართ დაბადებული.

ჰიგინსი (აღელვებული) საკითხავი ის კი არ არის, მე უხეშად გეპყრიბოდით თუ არა. საკითხავი ისაა, გსმენიათ ოდესმე, რომ მე ვინმეს უკეთესად მოვეპყარი?

ელიზა (ერთბაზად, გულწრფელად) ჩემთვის სულ ერთია როგორ მომეპყრობით. ჩამილურჯდება თვალები თუ არა: არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩალილავებული მქონდა. მაგრამ, მინდა (ადგება და პირისპირ შეხედავს ჰიგინსს), რომ შეუმჩნევლად ჩამიაროთ.

ჰიგინსი თუ ასე გინდათ, გზიდან ჩამომეცალეთ, სულ ერთია, არ გაგიჩერდებით. თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოსდა ავტობუსი ვიყო.

ელიზა მართლაც რომ ავტობუსი ხართ: მიდი-მოდიხარ და არავის არაფრად აგდებთ. მაგრამ, მე თავს უთქვენოთაც გავიტან. არ გეგონოთ, ვერ შევძლო.

ჰიგინსი მე ვიცი, რომ შესძლებთ მეც ხომ გითხარით, რომ შესძლებდით.

ელიზა (შეურაცყოფილი მოსცილდება ჰიგინსს და ტახტის მეორე მხარეზე ღუმელისაკენ პირიშექცეული დადგება) ვიცი, რომ მითხარით, პირუტყვო. ჩემი თავიდან მოცილება გინდოდათ.

ჰიგინსი სტყუით.

ელიზა მაღლობელი გახლავართ. (ამაყად დაჯდება).

ჰიგინსი ჩემის აზრით, თქვენ არასოდეს არ დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა, შემძლია თუ არა მე უთქვენოდ ცხოვრება?

ელიზა (მოუთმენლად) ჩემს მოტყუებას თავი დაანებეთ. უჩემოთაც კარგად იცხოვრებთ.

ჰიგინსი (ქედმაღლურად) სულ ყველას გარეშე კარგად ვიცხოვრებ. მე გამაჩნია საკუთარი სული, საკუთარი ღვთაებრივი ცეცხლი. მაგრამ (უცებ მოლბა) უთქვენოდ რომ დავრჩები, ელიზა!! (ელიზას ახლოს დაჯდება ტახტზე). მე.

თქვენი იდიოტური აზრებისგან ზოგი რამ ვისწავლე. არ შემძლია ეს მაღლიერების გრძნობით არ ვადიარო. მივეჩვიე აგრეთვე თქვენს ხმას, თქვენს გარეგნობას. ცოტა არ იყოს, კიდევაც მომწონს ისინი.

ელიზა მერე რა, გრამაფონის ფირებისა და ფოტოსურათების სახით თქვენ ერთიცა გაქვთ და მეორეც. როცა მოგენატრებით, აპარატი ჩართეთ: მას ხომ წყენინების უნარიც არ გააჩნია.

ჰიგინსი თქვენს სულს მაინც ვერ ჩავრთავ, დამიტოვეთ თქვენი გრძნობები და, თუ გნებავთ, სახეც წაიღეთ და ხმაც.

თქვენ მარტო სახე და ხმა როდი ხართ?

ელიზა ჰო, ნამდვილი ტარტაროზი ხართ. თქვენ ისევე ადვილად შეგიძლიათ მოხაროთ ქალიშვილის სული, როგორც.

ვინმე სხვა, ვთქვით და, მკლავებს მოუგრებდა სატკენად. ქ-მა პირსმა მიაშხო, რომ ხშირად უნდოდა თქვენგან წასვლა, მაგრამ უკიდურეს მომენტში, რამენაირად მოატყუებდით და ისევ აბრუნებდით. თუმცა არცერთ ჩვენთაგანს არ გვაგდებთ.

არაფრად: არც მისთვის ზრუნავთ და არც ჩემთვის.

ჰიგინსი მე ვზრუნავ სიცოცხლისათვის, კაცობრიობისათვის. თქვენც ხომ მისი ნაწილი ხართ, ნაწილი, რომელიც შემომხვდით მე და ჩემს სახლში აშენდით. მეტს რაღას მოითხოვთ ჩემგან ან თქვენ ან ვინმე სხვა?

ელიზა მე იმაზე არ ვიზრუნებ, ვინც ჩემზე არა ზრუნავს.

ჰიგინსი ეს ვაჭრული პრინციპია, ელიზა. (იმეორებს ელიზას კოვენტგარდენულ გამოთქმას პროფესიული სიზუსტით)-„იყიდეთ ყუაილები, ია, ია - აი, რასა ჰგავს ეს ხომ ასეა?

ელიზა ნუ დამცინით. ეგ ჩემი დაცინვაა.

ჰიგინსი ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არ დამცინია. დაცინვა არც სახეს რგებს ადამიანისა და არც სულს. მე მხოლოდ ვაჭრული ბუნებისადმი ჩემი სამართლიანი სიძულვილი გამოვთქვი. სიყვარულით არც მივაჭრია და არც ვივაჭრებ. თქვენ პირუტყვს იმიტომ მეძახით, რომ ფოსტლებისა და სათვალეების მოწოდებით ჩემი გული ვერ მოიგეთ. ჩემზე უფლება ვერ მოიპოვეთ. სულელი იყავით, როცა ამას ცდილობდით; ჩემის აზრით, საზიზღარი სანახაობაა, როცა ქალს მამაკაცთან ფოსტლები მიაქვს. განა მე ოდესმე მომიწოდებია ფოსტლები? მას მერე გაცილებით უფრო გაფასებთ, რაც ისინი სახეში მთხლიშეთ. თუ მონად გამიხდებით, რაღასა მთხოვთ, ჩემზე იზრუნეო? აბა ვინ ზრუნავს მონისათვის? თუ ჩემთან დაბრუნდებით, დაბრუნდებით მეგობრული ურთიერთობისათვის, დღეიდან სხვანაირად არავინ არ მოგეპყრობათ. თქვენ მე ყოველნაირად მიცნობთ. და მეც ყოველნაირად გიცნობთ. და თუ ამიერიდანაც ფინია ძალღვივით კვლავ განაგრძობთ ფოსტლების მოტანა-წალეებას ჩემს მიერ შექმნილი ჰერცოგის ასულის შესარცხვენად, არ გაგიკვირდეთ, რომ კარები ცხვირწინ მოგიჯახუნოთ.

ელიზა - მამ რაღას მასწავლიდით. თუ ჩემზე არ ზრუნავდით?

ჰიგინსი - (გულიანად) რატომაც არ უნდა მესწავლებინა? ეს ჩემი სამუშაო იყო.

ელიზა - და თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ იმაზე, თუ რა უბედურება მოჰქონდა ამას ჩემთვის.

ჰიგინსი - განა შემოქმედი ქვეყნიერებას შექმნიდა უბედურების შექმნის რომ შეშინებოდა? სიცოცხლის შექმნა ნიშნავს ტანჯვისა და უბედურების შექმნასაც. მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება მისგან თავის დაღწევა: ესაა მკვლელობა.

ლაჩრები ყოველთვის მოითხოვენ იმათ ამოწყვეტას, ვინც მათ აწუხებს. ეს ამბავი არ შეიძლება არ შეგემჩნიოთ.

ელიზა - მე ქადაგი როდი ვარ თქვენსავით. ასეთ რამეებს ვერ ვამჩნევ. მე მხოლოდ იმას ვამჩნევ, რომ თქვენ მე ვერ მამჩნევთ.

ჰიგინსი - (ადგება და უკმაყოფილოდ მიდი-მოდის) ელიზა, ნამდვილი სულელი ხართ თქვენ და მე ტყუილუბრალოდ ვფლანგავ ჩემი მილტონური გონების საგანძურს იმით, რომ თქვენს წინაშე ვშლი მას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ, რომ, როცა რაიმეს ვაკეთებ, წუთითაც არ დავფიქრდები იმაზე, რა მომივა ანდა რა მოუვა ვინმე სხვას. მე მამათქვენივით ან თქვენი დედინაცვალივით დაშინებული როდი ვარ. ამიტომაც, თუ გნებავთ, დაბრუნდით ჩვენთან, არადა ჯანდაბას იქით გქონიათ გზა.

ელიზა - რისთვის დავბრუნდე?

ჰიგინსი - (მუხლებით შედგება ტახტზე და ელიზასკენ გადაიხრება) ისე, ტყუილუბრალოდ. აი, რატომ მინდა თქვენი დაბრუნება.

ელიზა - (სახეს მოიბრუნებს) რათა მეორე დღესვე გამომაგდოთ, თუ ყველაფერს არ გავაკეთებ, რაც მოგესურვებათ.

ჰიგინსი - დიახ. და თქვენც მეორე დღესვე გამოიქცევით, თუ მეც ყველაფერი არ გავაკეთებ, რაც თქვენ მოგესურვებათ.

ელიზა - და მერე დედინაცვალთან ვიცხოვრო?

ჰიგინსი - დიახ, დედინაცვალთან იცხოვრებთ, ან ისევ ყვავილებს გაყიდით.

ელიზა - ოჰ, ნეტავი შემეძლოს, ისევ ჩემი ყვავილების კალათას დავუბრუნდე. მაშინ არც თქვენგან ვიქნები დამოკიდებული, არც მამაჩემისგან და არც არავისგან. რატომ წამართვით ჩემი დამოუკიდებლობა? ან მე რატომ დავთმე იგი? ახლა მონა ვარ, მონა ჩემი ტანსაცმლისა...

ჰიგინსი - სრულიადაც არა. გიშვილებთ და წლიურ შემოსავალს დაგინიშნავთ, თუ გნებავთ. არადა, იქნება პიკერინგს გაჰყვეთ ცოლად.

ელიზა - (გაბრაზებული მიმოიხედავს) თქვენც არ გამოგყვებოდით, რომ გეთხოვიათ - და თქვენ კი წლოვანებით ჩემთან უფრო ახლოს დგახართ, ვიდრე ის რომ არის.

ჰიგინსი - (ნაზად) ვიდრე ის და არა, „ვიდრე ის რომ არის“ .

ელიზა - მე ისე ვილაპარაკებ, როგორც მომეპრიანება. თქვენ უკვე აღარა ხართ ჩემი მასწავლებელი.

ჰიგინსი - (დაფიქრებული) არა მგონია პიკერინგმაც შეგირთოთ, ისიც ჩემსავით აპირებს უცოლოდ დარჩენას.

ელიზა - მეც არ მინდა გათხოვება. რომ მნდომოდა, თაყვანისმცემლების მეტი რა მყავდა. ფრედი ჰილი დღეში ორ-სამჯერ მაინც მიგზავნის გრძელ - გრძელ ბარათებს.

ჰიგინსი - (უკმაყოფილოდ) დასწყევლოს ღმერთმა მისი თავხედობა. (წამოიწევს და მუხლებზე დაჯდება).

ელიზა - იმ საწყალ ბიჭს თუ უნდა, რა თქმა უნდა, უფლება აქვს შემიყვაროს და მართლაც ვუყვარვარ.

ჰიგინსი - (ტახტიდან ჩამოდის) თქვენ მისი გამხნეების უფლება არა გაქვთ.

ელიზა - შეყვარებულის ყოლის უფლება ყოველ ქალსა აქვს.

ჰიგინსი - რაო? ასეთი სულელის ყოლის უფლება?

ელიზა - ჯერ ერთი, ფრედი სულელი არ არის და, მერე, თუ მას უჭირს, ღარიბია და მეც ვუნდივარ, შეიძლება მის ხელში უფრო ბედნიერი ვიყო, ვიდრე მასზე უკეთესების ხელში, რომლებიც მეფარისევლებიან, მაგრამ არ ვუნდივართ.

ჰიგინსი - საქმე ისაა, შეუძლია თუ არა მას თქვენგან რაიმე გამოიყვანოს?

ელიზა - იქნება მე უნდა გამოვიყვანო მისგან რაიმე. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია ერთმანეთისაგან რაიმე გამოგვეყვანა. თქვენ რაიმეს გამოყვანის გარდა სხვაზე არაფერზე ფიქრობთ. მე კი ბუნებრივი მინდა ვიყო.

ჰიგინსი - მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გინდათ, მეც ისევე დამასხას თავბრუ თქვენმა მშვენიერებამ, როგორც ფრედის, ხომ ასეა?

ელიზა - არა, სრულიადაც არა. თქვენთვის მე არ მომითხოვია ეს გრძნობა. ჰოდა, ნურც თქვენს თავში ხართ ზედმეტად დარწმუნებული და ნურც ჩემში. მე რომ მდომებოდა, როგორმე მოვახერხებდი ცუდ გოგოდ გახდომას, ჩემი კლასის გოგო ადვილად შეაყვარებს თავს ჯენტლმენს, მაგრამ მათ მეორე დღესვე ერთმანეთის სიკვდილი მოენატრებათ.

ჰიგინსი - რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ვერ გამიგია რა ჯანდაბა გავაკეთო.

ელიზა - (მეტად ადელზეებული) მე ცოტა გულთბილი მოპყრობა მინდა. განა არ ვიცი, რომ ერთი უბრალო, გაუნათლებელი გოგონა ვარ, თქვენ კი განსწავლული ჯენტლმენი ბრძანდებით, მაგრამ მე თქვენი ფეხის მტვერი მაინც არა ვარ. ყოველივე ეს მე გამიკეთებია (უსწორებს თავის თავს), - ყოველივე ეს მე გავაკეთე არა ტანისამოსისა და ტაქსის გულისთვის, არამედ იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო ჩვენი ერთად ყოფნა. იმიტომ კი არ ვზრუნავდი თქვენთვის, რომ თავი შემეყვარებინა, - მე არ მავიწყებოდა რა განსხვავება იყო ჩვენს შორის, - არამედ იმიტომ, რომ რაღაცა მეგობრული ურთიერთობა გვექონდა.

ჰიგინსი - ეს, რასაკვირველია, მართალია. მეც ამასვე ვგრძნობ ახლა, პიკერინგიც ამასვე გრძნობს. თქვენ კი სულელი ხართ, ელიზა.

ელიზა - მე თქვენგან ასეთ პასუხს არ მოველოდი. (საწერ მაგიდასთან სკამზე დავარდება და ტირის).

ჰიგინსი - მხოლოდ ასეთ პასუხს მიიღებთ, სანამ ამ იდიოტობას არ მოიშლით. თუ გინდათ ლედი გახდეთ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ნუ იგრძნობთ მარტობას, რომ ადამიანები, რომლებსაც იცნობთ, თავიანთი დროის ნახევარს თქვენს ლოლიავს არ ანდომებენ და მეორე ნახევარს თქვენს დალილავებას. თუ ჩემი ცხოვრების სიცივესა და ჭირვეულობას ვერ იტანთ, დაუბრუნდით წუმპეს. იშრომეთ იქ მანამდე, სანამ უფრო პირუტყვს დაემსგავსებოდეთ, ვიდრე ადამიანურ არსებას, გაერთეთ მტლაშა - მტლუშით, აყალმაყალით და მერე მანამდე სვით, ვიდრე ჩაგემინებათ: რა სჯობია ასეთ ცხოვრებას, - წუმპეში ცხოვრებას! ეგ ნამდვილი ცხოვრებაა: თბილი, მღელვარე. რა გინდ სქელკანიანი არ იყოს ადამიანი, მაინც იგრძნობს ამგვარ ცხოვრებას. თქვენ შეგიძლიათ ყოველგვარი მომზადებისა და ჯაფის გარეშე იგემოთ იგი. არც მეცნიერებას გავს ის და არც ლიტერატურას, არც კლასიკურ მუსიკას და არც ფილოსოფიას ან ხელოვნებას. მე თქვენ გულცივ, უგრძნობო, ეგოისტ ადამიანად მიგაჩნევართ, არა? კეთილი და პატიოსანი. წადით იმასთან, ვინც მოგწონთ. გაჰყევით რომელიმე მგრძნობიარე ღორს, რომელსაც ექნება ბევრი ფული, წყვილი სქელი ტუჩები თქვენს საკოცნელად და სქელქუსლიანი ფეხსაცმელები, თქვენს დასაწიხლავად. თუ იმას არ აფასებთ, რაცა გაქვთ, მოიპოვეთ იგი, რასაც აფასებთ.

ელიზა - (სასოწარკვეთილი) ოჰ, თქვენ ნამდვილი მტარვალი ხართ. თქვენთან ლაპარაკი შეუძლებელია. ყველაფერში მე გამოგყავართ დამნაშავე: ყოველთვის მე გამოვდივარ მტყუანი, მაგრამ, ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ თვითონ თქვენა ხართ ცრუ და მატყუარა. განა მშვენივრად არ იცით, რომ მე ვერ დავუბრუნდები იმას, რასაც თქვენ წუმპეს ეძახით-და, რომ თქვენსა და პიკერინგს გარდა დედამიწაზე ნამდვილი მეგობრები არ გამაჩნია. თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ ორს მერე, უბრალოდ, მდაბიო ადამიანებთან ვერ ვიცხოვრებ: ნამდვილად ბოროტი და დაუნდობელი ხართ მას მერე. რაც თქვენ იფიქრეთ, რომ მე ეს შემიძლია. თქვენის აზრით, მე იმის გამო უნდა დავუბრუნდე უიმპოლის ქუჩას, რომ სხვაგან ვერსად ვერ ვიცხოვრებ, თუ არა მამაჩემის სახლში. მაგრამ ნუ ხართ იმაში დარწმუნებული, რომ მე თქვენს ფეხქვეშ ვარ განრთხმული, რათა, როცა გინდათ, ფეხით გამთელოთ და როცა გინდათ, ხმა ჩამაკმენდინოთ. ასე არ გამოვა. როგორც კი მდგომარეობას ოდნავ მაინც გავიუმჯობესებ, ფრედის გავყვები.

ჰიგინსი - (მეხდაცემულივით) ფრედის! იმ ცხვირმოუხოცელ ბრიყვს? იმ ღარიბ-ლატაკს, რომელის კურიერადაც ვერ მოეწყობა, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს? ქალო, რატომ არ გესმით, რომ თქვენ მე გადაგაქციეთ თვით ხელმწიფისთვის შესაფერის სადედოფლოდ?

ელიზა - ფრედის ვუყვარვარ მე და ეს სიყვარული მას შესაფერის ხელმწიფედ აქცევს. მე არ მინდა მან იმუშაოს, ჩემსავით შრომაში არაა გაზრდილი. მე ვიმუშავებ, მასწავლებლად ვიმუშავებ.

ჰიგინსი - ღვთის გულისათვის, მითხარით, თქვენ რა უნდა ასწავლოთ?

ელიზა - რაც თქვენ მასწავლეთ, ფონეტიკას ვასწავლი.

ჰიგინსი - ხა, ხა, ხა!

ელიზა - წვერებიან უნგრელს ასისტენტად გავუხდები.

ჰიგინსი - (წამოვარდება გახელებული) რაო? იმ ცრუ მოხელეს?! იმ არამზადას?! იმ ქლესა-მაიმუნს?! იმას ასწავლით ჩემს მეთოდებს?! იმას გაანდობთ ჩემს აღმოჩენებს? აბა გაბედეთ ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა, თუ მაშინათვე კისერი არ მოგიგრიხთ! (ხელს ჩაავლებს) გესმით?

ელიზა - (გამომწვევად წინააღმდეგობას არ უწევს) დაუყონებლივ გავაკეთებ ამას. რასა კარგავ? ვიცოდი, რომ ოდესმე მცემდით. (ჰიგინსი ხელს გაუშვებს, თავდავიწყებული ფეხებს აბაკუნებს, შემდეგ ისე სწრაფად დაიხვეს უკან, რომ ტახტს დაეჯახება) აჰა, ახლა კი ვიცი როგორ მოგეპყრათ. რა სულელი ვიყავი, რომ აქამდე ვერ მოვიფიქრე ეს? თქვენ ვერ წამართმევთ თქვენს მიერ მოცემულ ცოდნას! თქვენ ხომ თქვით, რომ მე თქვენზე მახვილი ყურები გამაჩნია. გარდა ამისა, მე შემძლია, თქვენზე უფრო თავაზიანად მოვეპყრა ხალხს, უკეთესი ურთიერთობა დავამყარო მათთან. აა! (განგებ გამოტოვებს „ჰ“-ს, რომ ჰიგინსი გაახელოს). ასე მოგიხდებათ თქვენ „ენრი იგინს“. ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს - (თითებს ატკაცუნებს) თქვენს ქათინაურებსა და თქვენს ლანძღვა-გინებას. გაზეთებში გამოვაქვეყნებ, რომ თქვენი ჰერცოგის ასული უბრალო ყვავილის გამყიდველი გოგონაა, რომელსაც თქვენ ასწავლეთ ლაპარაკი და რომელსაც თვითონაც შეუძლია ყოველი მსურველი ექვს თვეში ჰერცოგის ასულად გადააქციოს, თუ იგი ათას გინეას გაიღებს გასამრჯელოდ. ოჰ, მევე მინდა წიხლი ჩავცე ჩემს თავს, როცა მომაგონდება, როგორ ვიყავი განრთხმული თქვენს ფეხქვეშ, როგორ მთელავდით, მლანძღავდით და მაგინებდით, როცა უბრალოდ შემემძლო ერთი თითი ამეწია მაღლა და ისეთივე გავმხდარიყავი, როგორიც თქვენ.

ჰიგინსი - (გაოცებული) ო, შე უმადურო გომბიო, შენა! მაგრამ ეს სჯობს თქვენს ბუზღუნს, სჯობია ფოსტლების მოტანასა და სათვალეების მონახვას, ასე არ არის? (დგება) ელიზა, მე გითხარით ნამდვილ ქალად გადაგაქცევთ მეთქი და მართლა შევასრულე დაპირება. მეც სწორედ ასეთი მომწონხართ თქვენ.

ელიზა - გასაგებია. ახლა მხოლოდ იმის გამო მექათინაურებით და მელოლიავებით, რომ თქვენი არ მეშინია და უთქვენოდაც შემძლია ცხოვრება.

ჰიგინსი - რა თქმა უნდა, ასეა, შე პატარა სულელო! ხუთი წუთის წინათ თქვენ ჩემს კისერზე დოლაბის სიმძიმე ტვირთად ეკიდეთ, ახლა კი ძლევამოსილ ციხე-სიმაგრეს, ანდა ბადრაგიან სახაზო გემს ჰგავხართ ნამდვილად. ახლა ორი უცოლო კაცისა და ერთი ბრიყვი გოგონას ნაცვლად, შენ, მე და პიკერინგი, ერთი შინაბერა და ორი უცოლო კაცი ვიქნებით. (ქ-ნი ჰიგინსი მობრუნდება. ქორწინებაზე წასასვლელად ჩაცმული, ელიზა მაშინვე ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს).

ქ-ნი ჰიგინსი - ეტლი გველოდება, ელიზა. მზად ხართ?

ელიზა - მზად ვარ. პროფესორი არ წამოვა?

ქ-ნი ჰიგინსი - რა თქმა უნდა, არა. ეკლესიაში თავს ვერ დაიჭერს. წირვის დროს ხმამაღლა შენიშვნების გაკეთებას დაიწყებს მოძღვრის გამოთქმებზე.

ელიზა - მაშ, მეტს ველარ გნახავთ, პროფესორო. მშვიდობით. (კარებისაკენ მიდის).

ქ-ნი ჰიგინსი - (მივა ჰიგინსთან) ნახვამდის, ძვირფასო.

ჰიგინსი - ნახვამდის, დედა. (უნდა აკოცოს მას, მაგრამ რაღაცა მოაგონდება). ოჰ, მართლა, ელიზა, ვერ შეუკვეთავთ ლორსა და სტილტონის ყველს? მიყიდეთ აგრეთვე ირმის ტყავის რვა ნომერი ხელთათმანები და ჩემი ახალი კოსტუმის შესაფერი ჰალსტუხი. ფერი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ. (ჰიგინსის მხიარული, უზრუნველი ენერგიული ხმა იმის მაჩვენებელია, რომ ის გამოუსწორებელი ადამიანია).

ელიზა - (აგდებულად) რვა ნომერი პატარაა თქვენთვის, თუ კრავის ბეწვებიანი გინდათ. სამი ახალი ჰალსტუხიც გაქვთ, ამას წინათ პირსაბანის კარადაში რომ ჩააწყვეთ და დაგავიწყდათ. პოლკოვნიკ პიკერინგს სტილტონურ ყველს გლოცესტერული ორმაგი ურჩევნია. თქვენთვის კი სულ ერთია, განსხვავებას მაინც ვერ ამჩნევთ. მე ამ დილით დავურეკე ქ-ნ პირსს, რომ ლორის მოტანა არ დაავიწყდეს. მაინც ვერ წარმომიდგენია უჩემოდ თქვენ რისი გამკეთებელი ხართ? (საჩქაროდ გადის).

ქ-ნი ჰიგინსი - ეგ გოგო შენ გააფუჭე, ჰენრი. თქვენზე ფიქრი არ მომასვენებდა, ელიზას რომ პოლკოვნიკი პიკერინგი შენზე ნაკლებ უყვარდეს.

ჰიგინსი - პიკერინგი! სისულელეა. ელიზა ფრედის მიყვება. ხა, ხა, ხა! ფრედის! ფრედის! ხა, ხა, ხა, ხა, ხა!!! (ხარხარებს).

წმინდა იოანა.

სურათი პირველი.

გაზაფხულის მშვენიერი დილა მდინარე მზეზე, ლორენსა და შამპანს შუა, 1427 წელი ქრისტეშობიდან, ვოკულერის ციხესიმაგრე.

კაპიტანი რობერ დე ბოდრიკური, სამხედრო სკვადრი, ლამაზი და ენერგიული, მაგრამ დამოუკიდებლობას მოკლებული, რასაც მალავს ჩვეულებრივ იმით, რომ საშინლად უტევს თავის საბრალო მსახურს, ხორცდაყრილს, თმაყრილს, რომელიც ნებისმიერი

ასაკის გეგონება თვრამეტიდან ორმოცდათხუთმეტ წლამდე, რადგან არასდროს ყოფილა ახალგაზრდა.

ორივენი მზიან, ქვით ნაგებ ოთახში არიან, სასახლის პირველ სართულზე. ფართო, მძიმე მუხის მაგიდასთან ასეთსავე სკამზე ზის კაპიტანი, მაყურებლისაკენ მარცხენა პროფილით შემობრუნებული. მსახური მის წინაშე დგას მაგიდის მეორე მხარეს, თუ ასეთ მდგომარეობს შეიძლება დოგმა ეწოდოს. მის უკან ღიაა მეცამეტე საუკუნის მოხატული ფანჯარა. ფანჯარასთან ახლოს, კუთხეში, მოჩანს კომპურას ვიწროთაღიანი კარი, რომელსაც ხვეული კიბე ეზოსი გაჰყავს. აქვეა მაგარი ოთხფეხა სკამი მაგიდის ქვეშ და ხის ზანდუკი ფანჯრის ძირში.

რობერი. რაო! კვერცხები არ არისო? ეშმაკსაც წაუღიხარ, შე ოხერო! როგორ თუ კვერცხები არ არისო?

მსახური. რა ვქნა, ბატონო, რა ჩემი ბრალია, ღმერთს აგრე უნებებია.

რობერი. ნუ მიჰქარავ და ღმერთს ნუ სცოდავ, შე გლახაკო. კვერცხები არ არისო, მეუბნები და ჩვენს გამჩენს გინდა დააბრალო, განა?

მსახური. მე რა ვქნა, ბატონო. მე ხომ ვერ დავდებ კვერცხებს, ჰა?

რობერი. (დაცინვით) რაო, რაო? ოხუნჯობ კიდევ?

მსახური. არა, ბატონო, რა ბრძანებაა. ჩვენც აკი თქვენსავითა ვართ დარჩენილები უკვერცხებოდ. ეს ქათმები კი გაგვიბერწდნენ და.

რობერი. მაშ, ეგრე, არა! (წამოდგება) აბა, ერთი ყური მომაპყარ, ვაჟკაცო!

მსახური. (მორჩილად) გისმენთ, ბატონო?

რობერი. მე ვინა ვარ?

მსახური. თქვენ ვინა ხართ, ბატონო?

რობერი. ჰო, მე ვინა ვარ-მეთქი! მე გახლავარ რობერი, ბოდრიკური სკვაირი და ვოკულერის ციხე-სიმაგრის კაპიტანი, თუ ვინმე მენახირე გგონივარ?

მსახური. აბა, რასა ბრძანებთ, ბატონო, თქვენ თავადვე უწყით, რომ აქ ხელმწიფეზე დიდი კაცი ბრძანდებით.

რობერი. სწორედ რომ ეგრე გახლავს. ახლა მითხარი, ის თუ იცი, შენ ვილა ხარ?

მსახური. აბა, მე ვინ ვიქნები, ბატონო, გარდა იმისა, რომ ბედმა წილად მარგუნა თქვენი მსახურობა.

რობერი. (კედელთან მიაგდებს და ზედიზედ მიახლის) შენ ბედმა მარტო ჩემი სამსახური როდი გარგუნა, არამედ იმისი ღირსიც გაგხადა, რომ აგრეთვე ჩემი ყველაზე უარესი, ყველაზე უუნარო, ცინგილიანი, მოწუწუნე ჯაბანი და ჯიბიდან გავარდნილი ყვეყჩი მსახური იყო მთელ საფრანგეთში (მაგიდას მიუბრუნდება).

მსახური. (იმალება სკივრის უკან) რა თქმა უნდა, ბატონო, რომ თქვენისთანა დიდ კაცს ეგრე პატარა კაცად მოვეჩვენები.

რობერი. ეგეც ცემი ბრალია, განა?

მსახური. აბა, ბატონო, მე რაც უნდა უბრალო სიტყვა მოგახსენოთ, თქვენ მაინც თქვენებურად შეატრიალებთ ხოლმე.

რობერი. მე შენ შეგატრიალებ და მაგ კისერში წაგითაქებ, თუ კიდევ დაგცდენია, კვერცხებს მე ვერ დავდებო, როცა შენ გეკითხები რამდენი კვერცხი დაგროვდა-მეთქი.

მსახური. (შეჰლაღადებს) თქვენი ჭირიმე, ბატონო.

რობერი. ჭირი და სნება სენ, შე რეგვენო, შე ლენჩო. ხმა ჩაიწყვიტე. მაგ ჩემს სამ ბერბერულ ქათამსა და შავ დედალს მთელ შამპანში ბადალი არა ჰყავთ კვერცხების დებაში, შენ კი მომდგომიხარ და მეუბნები, კვერცხები არ არისო. ვინ მოიპარა? ხმა ამოიღე, ვიდრე პანდურის კვრით გადაგაგდებდე ამ ციხე-კოშკიდან, როგორც მატყუარას მაგ ცრუპენტელაობისთვის და კიდევ იმისათვის, რომ ვიღაც ქურდებისა და ოხრებისათვის მიგიყიდა ჩემი ქონება. გუშინ კი რძეც შემოგვაკლდა, იქნებ დაგავიწყდა?

მსახური. ვიცი, ბატონო, ვიცი, მაგრამ რა წყალში ჩავვარდე, აღარც რძე გვაქვს და აღარც კვერცხები. ხვალაც არაფერი გვექნება.

რობერი. როგორ თუ არაფერი. ისევ მოიპარავთ თუ რა?

მსახური. არა, ბატონო, არავინ არაფერს იპარავს და თუ სიმართლე გნებავთ, ჯადო-თილისმითა ვართ შეკრულნი.

რობერი. ეგ საკენკი შენს ქათმებს დაუყარე, მაგითი ვერ გამაცურებ. რობერ დე ბოდრიკური კუდიანებს კოცონზე სწავს და ქურდებს სახრჩობელებზე ჰკიდებს. ეს გინდა გითხრა, არა? გასწი აქედან და სამხრობამდე თუ ხუთი დუჟინი რძე არ გაგიჩენია ამ ოთახში, მერე ღმერთს ეხვეწე, რომ ძვალი და რბილი არ გაგიერთიანო. მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ჩემი გაბრიყვება (ისავ ჯდება მტკიცე იერით).

მსახური. სერ, მე გეუბნებით, რომ არ არის-მეთქი კვერცხები და არც იქნება-თუნდა მომკალით კიდევ მაგისთვის-ვიდრე ის ქალწული კარებზეა მომდგარი.

რობერი. ქალწული? ვინ ქალწული? რას მიედ-მოედები?

მსახური. აი ის გოგო, ლორენში რომ ცხოვრობს. აკი გეახლათ დომრემიდან.

რობერი. (საშინლად განრისხებული) ჯანდაბას თქვენი თავი. ეშმაკსაც წაუღიხართ ყველანი. ახლა არ მითხრა, რომ ის თავგასული გომბიო, ამ ორი დღის წინ ნახვა რომ მომინდომა და ვიზედაც გითხარი, უკან გააბრუნე და მამამისს ჩემგან გადაეცი სადმე კარგად მიჩქმალოს-მეთქი, ისევ აქ არის?

მსახური. მე კი ვუთხარი, წადი მეთქი, მაგრამ რო არ მიდის?

რობერი. შენთვის ის კი არ მითქვამს, უთხარი წავიდეს-მეთქი, მე შენ გიბრძანე, გააგდე მეთქი. ორმოცდაათი იარაღსხმული კაცი მანდ გიზის და თორმეტი ჯანმაგარი მუტრუკი გამგელებული ელის ჩემი ბრძანების შესრულებას, და ერთი წიკვინა გოგო რა გაგიხდათ!

მსახური. ძალიან თავის ნათქვამაა, ბატონო.

რობერი. (ხელს წაავლებს ქეჩოში) თავისნათქვამა! აბა, აქეთ მომხედე. ახლა ავდგები და ამ კიბეზე დაგაგორებ.

მსახური. არა, ბატონო, გთხოვ ნუ ინებებთ.

რობერი. ჰოდა, ეგ თავისნათქვამობა აღარ გამაგონო. მაგაზე იოლი არა არის რა. ყოველი ფეთხუმი გომბიო მოახერხებს მაგას.

მსახური. (მოდუნებული დაეკიდება მკლავზე) ბატონო, დიდო ბატონო. განა ჩემი კიბეზე დაგორებით იმ გოგოს მოიშორებთ! (რობერი მას ძირს დააგდებს, მსახური ჩაცუცქდება და მორჩილად შეჰყურებს თავის ბატონს) მე თქვენს ნათქვამობას ვერ მოგაშლევინებთ და დაჯაბნულიც მაგიტომ გყავართ. ჰოდა, იმასაც ვერ დავაშლევინე.

რობერი. მე შენზე მეტი ღონე მერჩის, შე ბოთე!

მსახური. არა, სერ, აგრე არ გახლავთ. ეს თქვენი ძლიერი ხასიათია, სერ. იგი ჩვენზე უფრო სუსტია, თანაც ერთი კუდრაჭა გოგოა, მაგრამ ვერ ვაიძულეთ, რომ წასულიყო.

რობერი. ჰაიტ, თქვე გლახებო, შეუშინებხართ და ეგ არის.

მსახური. (ფრთხილად წამოდგება) არა, ბატონო, ჩვენ თქვენი გვეშინია, მაგრამ ის გაბედულებას გვინერგავს გულში. იმას, მგონი, მართლა არაფრისა ეშინია. იქნება თქვენ მაინც შეაშინით როგორმე, ბატონო.

რობერი. (კუმტად) ვნახოთ ერთი. ახლა სად აგდია?

მსახური. ეზოში გახლავთ, ბატონო, ერთთავად სულ ჯარისკაცებს ელაპარაკება, თუ არ ლოცულობს.

რობერი. ლოცულობსო? იჰ! შენ გგონია მართლა ლოცულობს, შე რეგვენო. ვიცნობ მაგისტანა გომბიოებს, სულ რომ ჯარისკაცებს ეტმასნებიან. ერთი ვნახოთ, მე რას მეტყვის. (სარკმელთან მიდის და მრისხანედ გასძახის) ჰეი, გეყურება?

ქალის ხმა. (მკაფიო, ძლიერი და უხეში) მე მეძახით, ბატონო?

რობერი. შენა, ჰო, შენ გეძახი.

ხმა. კაპიტანი ბრძანდებით?

რობერი. ჰო, კაპიტანი გახლავარ. ერთი ამ ლირფს დამიხედეთ. აქ ამოდი. (ჯარისკაცებს ეზოში) აქეთ გამოუშვით, გესმით? გამოაგდეთ ახლავე. აბა, მალე! (მოშორდება სარკმელს და მსაჯულივით გამოჭიმული თავის ადგილს იკავებს მაგიდასთან).

მსახური. (ჩურჩულით) მაგას წასვლა აქვს გადაწყვეტილი და თავად უნდა ჯარისკაცი გახდეს. უნდა, რომ თქვენ ჯარიკაცის სამოსი მისცეთ. იარაღიც, ბატონო, და ხმალ-ხანჯალიც! მაშ! (რობერს უკან მოეფარება.).

კომპის კარში წითელ სამოსში გამოწყობილი ჟანა გამოჩნდება. მხნე ჯანის პატრონი სოფლის გოგო ასე 17 თუ 18 წლისა, არც თუ ჩვეულებრივი სახით. გადმოკარკლული თვალები ძალზე შორსა აქვს გადგმული, როგორც ეს სჩვევიათ ძალზე ცნობისმოყვარე ადამიანებს, გრძელი, კარგად მოყვანილი ცხვირი ფართო ნესტოებით, მოკლე ზემო ტუჩი, მტკიცე, მაგრამ ხორციანი პირი და ლამაზი ნიკაპი. იგი მონდომებით მიდის მაგიდასთან, გახარებული, რომ ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია ბოდრიკურთან შეხვედრას, იმედით აღსავსეს ბოდრიკურის წარბების შეჭმუხვნა არ აბრკოლებს, ოდნავადაც კი არ აშინებს, მისი ხმა გულითადაა, ძალზე მიმნდობი, ძალზე ძლიერი, როდესაც იგი უარს ამბობს რამეზე.

ჟანა. (თავს დაუკრავს) დილა მშვიდობისა, ბატონო კაპიტანო. კაპიტანო, თქვენ უნდა მომცეთ ცხენი, საჭურველი, თან რამდენიმე ჯარისკაციც უნდა გამაყოლოთ და დოფინთან გამისტუმროთ. ასე გიბრძანათ ჩემმა მეუფემ.

რობერი. (შეურაცხყოფილი) შენმა მეუფემ მიბრძანაო?! მერე და ვინ ოხერია ეგ შენი მეუფე? ისევ იმასთან წაეთრიე და ჩემგან გადაეცი, ნურც ვინმე მთავარი ვგონივარ და ნურც რომელიმე თავისი კარისკაცი, რომ მის ბრძანებას დავემორჩილო. მე სკვაირი ბოდრიკური გახლავარ-თქო და მარტო ჩემი ხელმწიფის ბრძანებას ვემორჩილები-თქო.

ჟანა. (დარწმუნებით) დიახ, სკვაირო, მართალი ბრძანებაა. ჩემი მეუფე ციური ხელმწიფე გახლავთ.

რობერი. გიჟია ეს ოხერი! (მსახურს) რატომ არ მითხარი, შე ბოთე, შენა.

მსახური. ბატონო, ნუ გაანაწყენებთ მაგ გოგოს. მიეცით, რასაც გთხოვთ.

ჟანა. (მოუთმენლად, მაგრამ მეგობრულად) მე ყველას გიჟი ვგონივარ, ვიდრე მათ დაველაპარაკები, სკვაირო, მაგრამ ხომ ხედავთ, ღმერთის ნებაა, რომ თქვენ უნდა აღასრულოთ ყველაფერი, რაც მან შთამაგონა.

რობერი. ღმერთის ნება-სურვილი ის არის, რომ მამაშენთან გაგზავნო და ვუბრძანო მაგრად ჩაგვეტოს სახლში და თავიდან გამოგიბერტყოს ეგ აბდაუბდა. აბა, ამაზე რას მეტყვი?

ჟანა. თქვენ კი ეგრე ფიქრობთ, სკვაირო და გგონიათ ეგრეც მოხდება, მაგრამ იმასაც ნახავთ, რომ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდება. თქვენ იმასაც კი გაიძახოდით, რომ თვალთ არ დაგნახებოდით, მაგრამ მოველ თუ არა.

მსახური. (შეჰღალაღებ) მართალია, ბატონო, და რას იზამთ.

რობერი. ხმა ჩაიკმინდე, შე..

მსახური. (მორჩილად) კი, ბატონო.

რობერი. (უკვე ნაკლებ დაჯერებულ კილოზე) მაშ, შენი ვარაუდით მე მოვინდომე შენი ნახვა, არა?

ჟანა. (ტკბილად) დიახ, ბატონო.

რობერი. (გრძნობს, რომ თვითონ გამოეცალა საძირკველი, პატიოსნად დაუშვებს მუშტებს მაგიდაზე, მკერდს ამოზურცავს შთამბეჭდავად და თავიდან იცილებს უბოდიშო და მეტისმეტად ნაცნობ გრძნობას) მომისმინე-მეთქი. ახლა ჩემი სათქმელიც მოისმინე.

ჟანა. (საქმიანი იერით) ბრძანე, სკვაირო. ცხენი თექვსმეტი ფრანკი დაჯდება. ეგ ცოტა ფული როდია, სამაგიეროდ ჯავშანზე დავზოგავ. ვიშოვი ჯარისკაცურ საჭურველს, მე რომ მომერგოს. მე გამძლე ვარ, და არც დიდად მოვარაყებულნი აბჯარი მჭირდება თქვენსავით, არც ბევრი ჯარისკაცი დამჭირდება გამცილებლად. დოფინი მომცემს ყველაფერს, რაც საჭიროა ორლენის ალყის მოსახსნელად.

რობერი. (განცვიფრებული) ორლენის ალყის მოსახსნელად?!

ჟანა. (წყნარად) დიახ, ბატონო, სწორედ მაგისტვის გამომგზავნა უფალმა. სამ კაცს თუ გამატანთ, მეყოფა კიდევ მხლებლებად, თუ წესიერი და თავაზიანი ხალხი იქნა. დამპირდნენ კიდევ წამოყოლას. პოლი და ჟაკიც და..

რობერი. პოლიო! შე ლაყინტარა, შენა, კიდევაც ბედავ და პოლის ეძახი სკვაირ ბერტრან დე პულანჟის ჩემს თვალწინ განა?

ჟანა. მეგობრები ეგრე ეძახიან, სკვაირო. არც კი ვიცოდი თუ სხვა სახელიც ჰქონდა. ჟაკი..

რობერი. ეგ, ალბათ, ბატონი ჟან დე მეცი იქნება, არა?

ჟანა. დიახ, სკვაირო. ჟაკი დამყაბულდა წამოყოლაზე. ძალიან კეთილი კაცია და ფულსაც მაძლევს ხოლმე, რომ მათხოვრებს დავურიგო. ალბათ ჟაკი და დიკიც მოვლენ და მათი მსახურები ჟან ონკურტნელიცა და ჟულიანიც. თქვენ ნურას ინაღვლით. მე ყველაფერი მოვაგვარე უკვე. თქვენ მარტო ბრძანება გაეცით და მეტი არაფერი.

რობერი. (გახევებული შეჰყურებს) აი, დალახვრა ეშმაკმა!

ჟანა. (წყნარად და ალერსიანად) არა, სკვაირო. ღმერთი მოწყალეა, ნეტარი წმიდა ეკატერინე და წმიდა მარგარიტა, რომლებიც ყოველდღე მესაუბრებიან (ბოდრიკური გაცემისაგან პირს დააღებს) იშუამდგომლობენ თქვენთვის. სამოთხეში მოხვდებით, სკვაირო, და თქვენი სახელი მოხსენიებული იქნება მარადჟამს როგორც ჩემი პირველი მშველელისა.

რობერი. (მსახურს, ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს, მაგრამ ხმას კი დაუდაბლებს, რადგან თავში აზრი დაებადა) მართალია, რასაც ეს ბატონ დე პულანჟიზე ამბობს?

მსახური. (მონდომებით) მართალი გახლავთ, ბატონო, და ისიც ჭეშმარიტებაა, რაც ბატონ დე მეცის შესახებ მოგახსენათ. ორთავე მოწადინებულია თან გაჰყვინენ მაგ გოგოს.

რობერი. (ჩაფიქრებული) უჰ! (მიდის სარკმელთან და ეზოში გასმახის) ეი! გეყურებათ! ახლავე გამოგზავნეთ ბატონი დე პულანჟი, გესმით? (ჟანას მიუბრუნდება) გაიხანხალე აქედან და ეზოში დამელოდე.

ჟანა. (გულითადად გაულიმებს) ნება თქვენია, სკვაირო (გადის).

რობერი. (მსახურს) უკან გაჰყევი შენც, გამოლენჩებულო, და არსად დამეკარგო. თვალი გეჭიროს მაგ შერეკილზე, მალე ისევ უკან უნდა მოვუხმო.

მსახური. ეგრე ჰქენით, თქვენმა გახარებამ, თან იმ ჩვენ დედლებზე იფიქრეთ, მთელი შამპანი რომ მოიაროთ, კვერცხის დებაში მაგათ შესადარ ქათმებს ვერსად ნახავთო და..

რობერი. აი, ამ ჩემს წიხლს ხო ხედავ, ჰოდა, ეგ შენი უკანალი თვალით არ დამანახვო.

მსახური სასწრაფოდ გადის და ზღურბლზე შეეჩეხება ბერტრან დე პულანჟის. პულანჟი დაახლოებით 36 წლის კაცი, მომსახურე სამხედრო პოლიციაში, გონებაგაფანტული, სიტყვაძუნწი, ლაპარაკობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მიმართავენ და მაშინაც ნელა და უხალისოდ პასუხობს, სრულიად განსხვავებული-ჯიუტ, მყვირალა, გარეგნულად თითქოს ძალზე ენერგიულ, სინამდვილეში კი უნებისყოფო რობერტისაგან. მსახური გზას იკვლევს და ქრება.

პულანჟი სალამს აძლევს და დგას ბრძანების მომლოდინე.

რობერი. (ალერსით) სამსახურის თაობაზე არ დამიძახიხარ, პოლ, მეგობრულად მინდა გესაუბრო. აბა, ერთი აქ დამიჯექი (მაგიდის ქვეშიდან ფეხით გამოიღებს სკამს).

პულანჟი მხრებს ჩამოუშვებს და ოთახში შემოდის. სკამს მაგიდისა და სარკმელს შუა დაიდგამს და ზედ დაჯდება ფიქრებში ჩაძირული. რობერი, მაგიდის ძგიდეზე ჩამოჯდება. მეგობრული ხმით უწყებს ლაპარაკს.

რობერი. ყური კარგად დამიგდე, პოლ. მინდა მამაშვილურად მესაუბრო.

პულანჟი ცერად ახედავს დაღვრემილი, მაგრამ ხმას არ იღებს.

რობერი. იმ გოგოზე უნდა გითხრა, შენ რომ ეკურკურები. ვნახე იგი, ველაპარაკე კიდეც. ჯერ ერთი, გიჟია, მაგრამ ეგ კიდეც არაფერი. მეორეც, უბრალო, მდაბიო გოგო არ არის. საკმაოდ წელმაგარი ოჯახიდან გახლავს. ეგ კი ცოტა რამეს როდი ნიშნავს. კარგად ვიცნობ მაგ ჯურის ხალხს. მაგისი მამა შარშან იყო აქ ჩამოსული თავისი სოფლის თავკაცად-ერთ სადავო საქმეში მონაწილეობის მისაღებად. ეგ ერთი იმათი მესვეურთაგანია, ფერმერი. გვარიშვილობა კი არ მოსდგამს, რადგან თავისი მიწიდან შოულობს ფულს და ამითი ცხოვრობს, მაგრამ მიწის მუშა მაინც არ არის. არც ხელოსანია. შეიძლება ვინმე ნათესავი ჰყავს კანონთმცოდნე სასულიერო წოდებისა. მაგვარი ხალხი სათვალავში ჩასაგდები არ არის საზოგადოებისაგან, მაგრამ თავსატეხი კი შეიძლება ბევრი გაუჩინოს უფროსობას. მაშასადამე, როგორც ვატყობ, შენ იოლ საქმედ მიგაჩნია მაგ გოგოს თავიდან მოშორება, თუ თვალს აუხვევ და დაარწმუნებ, რომ მართლა დოფინთან მიგყავს, მაგრამ თუ რამე დავიდარაბას გადაჰკიდებ, გაუთავებელ საზრუნავსა და სადარდებელს გამიჩენ, რადგან მე მამამისის ბატონი ვარ და მევალეა კიდეც მაგ გოგოს მფარველობა. მოკლედ, თუ ჩემი მეგობრობა გწამს და ცოტა ხათრიცა გაქვს, ჩამოეხსენი.

პულანჟი. (ფრთხილად) მე უმაღლეს ღვთისმშობელზე ვიფიქრებ აუგს, ვიდრე მსგავს რამეს ამ გოგოზე გავიტარებ გულში.

რობერი. (მაგიდას მოსცილდება) კი მაგრამ, თვითონვე ამბობს, რომ შენ, ჟაკიცა და დიკიც თანახმანი ხართ თან წაჰყვეთ, ეგ რაღაა? ახლა არ მითხრა, თითქოს მართლა გჯეროდეს მაგისი ახირება დოფინთან შესვლის თაობაზე.

პულანჟი. (აუჩქარებლად) მაგ გოგოს თავს რაღაც ამბავია. სადარაჯოში ჩვენი ბიჭები ერთთავად სულ ყიამყრლობასა და ბილწსიტყვაობაში არიან. მაგრამ არც ერთს არ დასცდენია ისეთი რამ, რაც მას შეურაცხყოფდა. მის წინ გინებას აღარავინ ბედავს. ნამდვილად რაღაც ხდება. რაღაც ამბავია. ალბათ ღირს, რომ დაუჯეროს კაცმა.

რობერი. (უნდობლად) კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! ცოტა გონს მოდი. დიდი საღად მოაზროვნე არასდროს მყოლიხარ, მაგრამ ეგ კი მეტი მოგდის (ისევ მაგიდას უბრუნდება ზიზღით აღსავსე).

პულანჟი. (გულგრილად) რა ხეირია საღად აზროვნებაში? ჩვენ რომ საღად ვაზროვნებდეთ, აქამდე ბურგუნდათ მთავარსა და ინგლისის მეფისათვის უნდა აგვება მხარი. ნახევარი ქვეყანა იმათ ხელშია, ლუარამდე. პარიზიც იმათია. ეს ციხე-კოშკიც იმათია. კარგად იცი, რომ ჩვენ იგი ბედფორდის მთავრისათვის უნდა დაგვენებებინა და შენ მარტო სიტყვითლა გიჭირავს იგი. დოფინი შიიონშია, ვირთხასავით სოროში შემძვრალა და ხელის განძრევაც კი არ უნდა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით, მართლა დოფინია ის თუ არა. ავი დედამისი ამბობს არ არისო. ალბათ იცის კიდეც. დაუფიქრდი, რა გამოდის! დედოფალი უარყოფს საკუთარი შვილის კანონიერებას!

რობერი. თავისი ასული რომ ინგლისის მეფეს მიათხოვა, ეგეც გაემტყუნება?

პულანჟი. მე არავის ვამტყუნებ, მაგრამ მისი წყალობით დოფინი მთლად წყალწაღებულია და ჩვენც ვერსად გავექვევით ამ ამბავს. ინგლისელები ორლენს აიღებენ და ბასტარდი იმათ ველარ შეაჩერებს.

რობერი. ე გარ იყო, რომ შარშანწინ კუდიტ ქვა ასროლინა ინგლისელებს მონტარჟისთან. მაშინ მეც ვახლდი.

პულანჟი. ეგ არაფერი. ახლა მის ხალხს მაგარი შიში აქვს ნაჭამი. სასწაულებს კი ეგ ვერ მოახდენს. მე მითქვამს, ახლა ჩვენ ველარაფერი გვიხსნის, გარდა სასწაულისა.

რობერი. სასწაული, იცოცხლე კაი საქმეა, ჩემო კარგო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ახლა აღარ ხდება.

პულანჟი. მეც ეგრე მეგონა. ახლა კი მაგაში ველარ დამარწმუნებ. (წამოდგება და დაფიქრებული გაემართება სარკმლისაკენ) ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი უნდა ვცადოთ. მაგ გოგოში რაღაც არის.

რობერი. ერიჰა! შენი აზრით მაგ ბაღს სასწაულების ჩადენა შეუძლია?

პულანჟი. ჩემი აზრით, თავად ეგ გოგოა სასწაული. ასეა თუ ისე, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. უმჯობესია ყველაფერს ჩავიდეთ, ვიდრე მთლად ხელი ავიღოთ თამაშზე (კოშკურისაკენ გაემართება).

რობერი. (ყოყმანით) კაცო, შენ მართლა ეგრე ფიქრობ?

პულანჟი. რაო, განა სხვა რამ საფიქრალი დაგვრჩა კიდევ?

რობერი. (მისკენ გაემართება) აქ მომხედე. შენ რომ ჩემს ადგილას იყო, მაგისტანა ცინგლიანს თექვსმეტ ფრანკს ჩამოაყაჭვინებდი ცხენისათვის, ჰა?

პულანჟი. ცხენის საფასურს მე გადავიხდი.

რობერი. შენ გადაიხდი?

პულანჟი. დიახ. მე ჩემს სიტყვას არ გადავალ.

რობერი. მართლა აპირებ მაგ თამაშში თექვსმეტი ფრანკი ჩააჩხრილო?

პულანჟი. ეს თამაში არ არის.

რობერი. მაშ, რა არის?

პულანჟი. ნაღდი საქმეა. მისმა სიტყვებმა და ღმერთისადმი მგზნებარე რწმენამ მეც ცეცხლი შემომინთო.

რობერი. ერიჰა. შენც მასავით გიყი ყოფილხარ.

პულანჟი. (ჯიუტად) ჩვენ ახლა გიჟები თუ გვიშველიან, თორემ ხომ ხედავ, რა დღეში ჩაგვყარეს ჭკვიანებმა!

რობერი. (მისი ორჭოფობა, ახლა სრულიად აშკარა იყო) გადამრევს ეს ხალხი. მამ შენ უფრო გწამს..

პულანჟი. მწამს ის, რომ მას შიიონში წავიყვან, თუ არ შემაჩერებ.

რობერი. ეგ ვერაფერი პატიოსნებაა. პასუხისმგებლობა გინდა მე დამაკისრო?

პულანჟი. პასუხი მაინც შენ მოგეთხოვება, როგორც არ უნდა გადაწყვიტო საქმე.

რობერი. მაგას კი მორტალს ამბობ. რა ვქნა, რა ქვას ვახალო თავი? შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რა დღეში ვარ ჩავარდნილი (უიმედოდ ებლაუჭება აზრს, რომ ჟანა მის სასარგებლოდ გადაწყვეტს საქმეს.) შენ რას იტყვი, იქნებ სჯობდეს ერთხელ კიდევ დაველაპარაკო?

პულანჟი. (წამოდგება) რა თქნა უნდა. (სარკმელთან მიდის და უძახის) ჟანა!

ჟანას ხმა. გვიშვებს, პოლ?

პულანჟი. ამოდი. (მიუბრუნდება რობერს) გინდა, მარტო დაგტოვოთ?

რობერი. არა., დარჩი. ცოტას შემომეშველები.

პულანჟი ყუთზე ჩამოჯდება. რობერი თავის სკამისკენ მიბრუნდება, მაგრამ ისევ ფეხზე დგას უფრო შთამბეჭდავად გაბღენძილი. ჟანა შემოდის აღსავსე კეთილი ამბებით.

ჟანა. ჟაკი ცხენის ნახევარ ფასს იხდის.

რობერი. ოჰ, შე! (დაჯდება საქციელწამხდარი).

პულანჟი. (კუმტად) დაჯექი, ჟანა.

ჟანა. (შემცბარი, გაჰყურებს რობერს) შეიძლება დავჯდე?

რობერი. დაჯექი, რომ გეუბნებიან.

ჟანა. (თავს უკრავს და მათ შუა ჩამოჯდება. რობერი გამომწვევად უყურებს მბრძანებლური იერით).

რობერი. რა გქვია?

ჟანა. (სხარტად) მე ყველა ჟენის მეძახის, ლორენიდან. აქ, კი, საფრანგეთში ჟანას მეძახიან. ჯარისკაცები კი ქალწულს მიწოდებენ.

რობერი. რა გვარისა ხარ?

ჟანა. რა გვარისა ვარ? ეგ რაღაა? მამაჩემი ზოჯერ თავისთავს დარკს უწოდებს, მაგრამ მე მაგისი არაფერი გამეგება რა. თქვე ხომ შეხვედრიხართ მამაჩემს, ის..

რობერი. ჰო, ჰო, მახსოვს. შენ ლორენის სოფელ დომრემიდან ჩამოხვედი, მგონი.

ჟანა. დიახ, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ხომ ყველანი ფრანგულად ვლაპარაკობთ.

რობერი. ნუ მეკითხები. მიპასუხე. რამდენი წლისა ხარ?

ჟანა. ჩვიდმეტის, მე ასე მითხრეს. იქნებ ცხრამეტისაც ვარ. ვეღარ ვიხსენებ.

რობერი. რაო, რას ამბობდი, წმიდა ეკატერინე და წმიდა მარგარიტა მესაუბრებოდნენო ყოველდღე რომ გვითხარი, მაგით რის თქმა გნებავს?

ჟანა. მელაპარაკებიან, დიახ!

რობერი. მერე, როგორ გამოიყურებიან?

ჟანა. მაგის შესახებ არაფერს გეტყვით. იმათ ჩემთვის მაგის ნება არ მოუციათ.

რობერი. ჰო, მაგრამ, შენ ხომ მართლა ხედავ მათ და ისინიც ისევე გესაუბრებიან, როგორც ახლა მე გელაპარაკები?

ჟანა. არა. ეს სულ სხვაგვარად ხდება. ვერ გეტყვით. ნურც თქვენ მკითხავთ ნურაფერს ჩემი ხმების თაობაზე.

რობერი. რაო, რა სთქვი? შენი ხმებიო?

ჟანა. მე მესმის ხმები, რომლებიც მეუბნებიან, რა უნდა გავაკეთო. ეს ხმები ღვთისაგან მოდის.

რობერი. ეგ ხმები შენს წარმოდგენაში ჩნდებიან?

ჟანა. რასაკვირველია. სწორედ ასე გვაუწყებს ღმერთი თავის ნება-სურვილს.

პულანჟი. მიიღე თუ არა?

რობერი. ჯერ მოიცა. (ჟანას) მაშ, ღმერთი გვეუბნება, რომ შენ უნდა მოხსნა ალყა ორლეანს, არა?

ჟანა. და გვირგვინი დავადგა დოფინს რეიმსის ტაძარში.

რობერი. (პირს დააღებს) გვირგვინი დაადგა... აი, დალახვრა ეშმაკმა!

ჟანა. და ინგლისელებს საფრანგეთი დავატოვებინო.

რობერი. (დაცინვით) კიდევ რამეს ხომ არ ინებებ?

ჟანა. (მომხიბლავად) ახლა არაფერს, მადლობა მომიხსენებია, სკვაირო.

რობერი. როგორც ვხედავ, შენ ალყის მოხსნა ისევე იოლი საქმე გგონია, როგორც ძროხის გაგდება სამოვარზე. გგონია,

ჯარისკაცური საქმისთვის ხელის მოკიდება ყველას შეუძლია?

ჟანა. ეგ არც ისე ძნელ საქმედ მიმაჩნია, თუ ღმერთი მხარში გიდგას. და თუ მზად ხარ შენი სიცოცხლე მას მიანდო. მაგრამ ბევრი ჯარისკაცი ძალზე მიამიტურად ირჯება.

რობერი. (დაკობილი) მიამიტურად? გინახავს კი ოდესმე, როგორ იბრძვიან ინგლისელები?

ჟანა. ისინი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ღმერთმა ისინიც ჩვენებრივ შექმნა, მაგრამ თავიანთი ქვეყანა მისცა და თავიანთივე ენაც უბოძა. ახლა კი ღმერთს ის არ უნებებია, რომ ინგლისელები ჩვენს ქვეყანაში მოსულიყვნენ და ჩვენთვის ჩვენი ენა წაერთმიათ.

რობერი. ვინ გამოგიტენა თავი მაგ აბდაუბდით? არ იცი განა, რომ ჯარისკაცები ტავიანთ ბატონს ემორჩილებიან და მათთვის თუ შენთვის არაფერს ნიშნავს ვინ იქნება ეს ბატონი, ბურგუნდიის მთავარი, ინგლისის მეფე თუ საფრანგეთისა.

რა მნიშვნელობა აქვს, რა ენაზე ილაპარაკებენ ისინი?

ჟანა. ეგ რაღაც არ მესმის. ჩვენ ყველანი ციური მეუფის ქვეშევრდომები ვართ და მან გვიბოძა ყველას ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ენა და შთაგვინერგა ლტოლვა მათი შენარჩუნებისაკენ. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ბრძოლაში ინგლისელის მოკვლა კაცისკვლა იქნებოდა და თქვენ, სკვაირო, დიდ საფრთხეში იქნებოდით, რადგან თქვენი ბოლო ჯოჯოხეთის გენა იქნებოდა. თქვენ ამქვეყნიური ბატონის მორჩილებაზე კი არ უნდა ფიქრობდეთ, არამედ უნდა ზრუნავდეთ თქვენს მოვალეობაზე ციური მეუფის წინაშე.

პულანჟი. დაყარე ფარ-ხმალი, რობერ, ხომ ხედავ, გჯობნის.

რობერი. მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს. (ჟანას) ჩვენ აქ ღმერთზე არ ვსაუბრობთ. ჩვენ ნამდვილ საქმეებზე გვაქვს ლაპარაკი. კიდევ გეკითხები, გოგო, გინახავს ოდესმე თუ არა, როგორ იბრძვიან-მეთქი ინგლისელები? გინახავს თუ არა.

ოდესმე როგორ აპარტახებენ, ბუგავენ და ყველაფერს ატიალებენ და ავერანებენ ხოლმე? ან არაფერი გსმენია მაინც.

შავ პრინცზე, რომელიც თვით ტარტაროსზე უფრო შავია ან ინგლისელთა მეფის მამაზე?

ჟანა. ეგრე არ უნდა გეშინოდეთ, რობერ...

რობერი. აი, დაგწყევლა... მე არაფრისაც არ მეშინია. ვინ მოგცა ნება, რომ მე რობერი დამიძახო?

ჟანა. თქვენ ასე გიწოდეს ეკლესიაში, როცა ღვთის სახელით გნათლავდნენ. ყველა სხვა დანარჩენი სახელი კი მამათქვენისაა ან ძმისა ან სხვა ვიღაცისა.

რობერი. ამას ვერ უყურებთ!

ჟანა. მომისმინეთ, სკვაირო. დომრემიდან ჩვენ გაქცევა დაგვჭირდა მეორე სოფელში, რათა ინგლისელი ჯარისკაცებისაგან დაგვეღწია თავი. სამი მათგანი უკან დარჩა, დაჭრილი. მე კარგად შევისწავლე ის სამი საცოდავი.

წყეული. ღონეც კი ჩემზე ნაკლები ჰქონდათ.

რობერი. იცი კი, რად ეძახიან წყეულებს?

ჟანა. არა. ყველა წყეულს კი უწოდებს მათ.

რობერი. იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის თავიანთ ღმერთს მოიხმობენ, როდესაც სურთ სულების სამუდამოდ დაღუპვა.

ეს კი იმათებურად წყეულს ნიშნავს. ამაზე რაღას იტყვი?

ჟანა. ღმერთი შეეწიოთ იმათაც და ისინიც ისე გაირჯებიან როგორც მისი შვილები, როდესაც გაბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში, რომელიც უფალმა მათთვის შექმნა და რომლისთვისაც ისინი გააჩინა. გაგონილი მაქვს ზღაპრები შავ პრინცზე. როგორც კი მან ჩვენს მიწა-წყალს ფეხი დააკარა, მაშინვე ეშმაკი ჩაუსახლდა გვამში და ალქაჯად იქცა. მაგრამ შინ ღმერთის მიერ მისთვის მიჩენილ ადგილზე ისიც კეთილი იყო. ეს კი ყოველთვის ასეა. თუ ინგლისში წავალ.

უფლის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ვეცდები დავიპყრო იგი, დავსახლდე იქ და მათს ენაზე ავლაპარაკდე, ეშმაკი მეც შემიჩნდება. და სიბერის ჟამს ჟრუანტელს მომგვრიდა იმ სიბოროტის გახსენება, რასაც ჩავიდენდი.

რობერი. ეგ შესაძლოა, მაგრამ, რაც უფრო მეტად შემოგიჩნდებოდა ავი სული, მით უკეთესად იომებდი. ჰოდა, წყეულნიც სწორედ ამიტომ გამოგვაცლიან ხელიდან რლენს. ახლა იმათ ვერც შენ შეაჩერებ და ვერც ათასი შენისთანა.

ჟანა. ათას ჩემნაირს ძალუმს მათი შეცერება. ათი ჩემნაირიც შესძლებს მათს შეჩერებას, თუ ღმერთი ჩვენს მხარეზე იქნება (ფიცხლად წამოდგება და რობერს მიაშურებს, რადგან მშვიდად ჯდომა აღარ ძალუმს). თქვენ ერთი რამ ვერ გაგიგიათ, სკვაირო. ჩვენი ჯარისკაცები იმიტომ მარცხდებიან, რომ ისინი მხოლოდ თავიანთი ტყავის გადასარჩენად იბრძვიან და საუკეთესო საშუალება კი თავის გადარჩენისათვის გაქცევაა. ჩვენი რაინდები მარტო იმის ფიქრში არიან,

როგორ მოიხვეჭონ მეტი ფული გამოსასყიდლებით. იმას კი არა ფიქრობენ, თავად მოკავენ სხვას თუ სხვა მოკლავს მათ,

არამედ იმას, თვითონ გადაიხდიან თუ მათ გადაუხდიან ფულს. მე მათ ვასწავლი ბრძოლას, რათა აღსრულდეს ნება ღვთისა ფრანგთა ქვეყანაში; მაშინ კი ცხვრებივით გარეკავენ ამ საბრალო წყეულებს. თქვენცა და პოლიც მოესწრებით იმ დღეს, როდესაც აღარც ერთი ინგლისელი არ გაიჭაჭანებს ჩვენს მიწა წყალზე და გვეყოლება ერთადერთი ხელმწიფე, ფეოდალთა მეფე კი არა, არამედ ღვთით კურთხეული ფრანგთა მეფე.

რობერი. (პულანჟის) ეს ყველაფერი მაგარი სისულელეა, პოლ, მაგრამ მეომრებმა კი მართლა შეიძლება დაიჯერონ, თუმცა, მგონი, რაც არ უნდა უთხრა, მათ საბრძოლველად ხელს მაინც ვერ გააქნევენ, იქნებ დოფინმაც დაიჯეროს.

თუკი ეს კუდრაჭა ბრძოლის ჟინს გაუღვიძებს მას, მაშინ ალბად ყველასაც აიყოლიებს.

პულანჟი. მე მგონი, არაფერი დაშავდება, თუ ვცდით. რას იტყვი? მგონი ამ გოგოში რაღაც ასეთი გამოსჭვივის.

რობერი. (მიუბრუნდება ჟანას) აბა, ერთი ყური დამიგდე. და სასოწარკვეთილი ნუ შემომეჩხირები, დამაცადე ცოტა დავფიქრდე.

ჟანა. (უცბად სკამზე ჩამოსკუპდება მორჩილ მოწაფესავით) დიახ სკვაირო.

რობერი. გიბრძანებ, წახვიდე შიიონში ამ აზნაურისა და სამი მისი მეგობრის თანხლებით.

ჟანა. (სახეგაბადრული ტაშს შემოჰკრავს) ოჰ, სკვაირო! აგერ, თავს ნათელი დაგადგათ წმინდანით.

პულანჟი. მერედა, როგორ უნდა შეაღწიოს მეფის სასახლეში?

რობერი. (შეშინებული ზევით იყურება რკალის ძიებაში) ეგ მე არ ვიცი. აქ, ჩემთან, როგორ შემოაღწია? თუ დოფინმა შეძლო და ახლოს არ გაიკარა გამოდის უფრო მაგარი ბიჭი ყოფილა, ვიდრე მეგონა. (წამოდგება) მე ამას შიიონს გავგზავნი. დაე, უთხრას, რომ მე გავგზავნე, მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია. მეტის გაკეთება არ შემიძლია.

ჟანა. სამოსელი? ხომ შემიძლია ჯარისკაცური სამოსელი ჩავიცვა, სკვაირო?

რობერი. რაც გინდა, ჰქენი. მე კი ხელი დამიბანია.

ჟანა. (საშინლად გაბრაზებული ამ წარმატებით) წამო, პოლ (გავარდება გარეთ).

რობერი. (ხელს ართმევს პულანჟს) კარგად იყავი, ჩემო კარგო. მაგარ საქმეში კი გავები. ბევრი ვერ იკისრებდა ამას. მაგრამ, შენი არ იყოს, მაგ გოგოს თავს მართლაც რაღაც ამბავია.

პულანჟი. ჰო, მაგის თავს მართლაც რაღაც ხდება. მშვიდობიტ (გადის) რობერი ჯერ კიდევ ექვებშია, ხომ არ გამაბრიყვა ამ გადარეულმა ქალმაო, და თანაც ახალბედამო, კეფას იფხანს და ნელა შორდება კარს.

მსახური შემორბის კალათით ხელში.

მსახური. პულანჟი, ბატონო!

რობერი. რა მოგელანდა?

მსახური. ქათმები დაგიჟებულევივით ყრიან კვერცხებს. უკვე ხუთი დუჟინი დაგროვდა.

რობერი. (ადგილზე გაქვავდება, პირჯვარს იწერს და ტუჩების კანკალით წარმოთქვამს) ღმერთო დიდებულო! (ხმამაღლა, მაგრამ სუნთქვაშეკრული) მართლა ღვთის მოგზავნილი ყოფილა.

სურათი მეორე.

შიიონი ტურენში. სატახტო ოთახის ერთ ბოლო ციხე-სიმაგრეში, რომელიც ფარდებითაა გამოყოფილი და მისაღებად გადაქცეული. 50 წელს მიახლოებული, რეიმსის არქიეპისკოპოსი, კარგად ნაკვები პრელატი, რომელსაც გარეგნობაზე არაფერი ეტყობა სასულიერო წოდებისა, გარდა თავდაჭერილობისა და ლორდ-კანცლერი, მუსიე დე ლა ტრემუი, საშინლად გაფხორილი, ღვინის ტიკად გადაქცეული ადამიანი, ელოდებიან დოფინს. კედელში, ამ ორი ადამიანის მარჯვნივ კარია. 1429 წლის 8 მარტი, ნაშუადღევი. არქიეპისკოპოსი დგას ღირსეულად, კანცლერი კი მის მარცხნივ, აგზნებული დადის.

ლა ტრემუი. მაინც რას ფიქრობს ეს ჩვენი დოფინი, ასე რომ გვალოდინებს? ვერ გამიგია, როგორ გყოფნით მოთმინება, აგრე რომ დაყუდებულხართ და დგახართ ქვისგან გამოთლილი კერპივით?

არქიეპისკოპოსი. მე, როგორც მოგეხსენებათ, მღვდელთმთავარი ვარ და მღვდელთმთავარი კი ერთგვარი კერპიც გახლავთ. ყოველ შემთხვევაში, მას უნდა შეეძლოს ხმაამოუღებლად ყოფნა და ბრიყვების მოთმინებით ცქერა. გარდა ამისა, ჩემო ძვირფასო ლორდ-კანცლერო, დოფინი რისი დოფინია, თუ ცოტა მაინც ცარ გვაცდევინა, ჰა, თქვენ რას იტყვით?

ლა ტრემუი. ჯანდაბას მაგის თავი და ტანი! ბოდიშს ვიხდი ამ ნათქვამისთვის, მაგრამ ის თუ იცით, რამდენი მართებს ჩემი?

არქიეპისკოპოსი. ალბათ უფრო მეტი, ვიდრე ჩემი. ეჭვი არ მეპარება, რადგან თქვენ ჩემზე შეძლებული კაცი ბრძანდებით. მაგრამ იმდენი, რამდენის მიცემაც თქვენ შეგეძლოთ, სწორედ მე მივეცი.

ლა ტრემუი. ოცდაშვიდი ათასი, ბოლოს ეს თანხა გამომართვა. ოცდაშვიდი ათასი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. არქიეპისკოპოსი. მაინც ნეტა სად მიაქვს ამდენი ფული? ტანზეც არაფერი აცვია ისეთი, რომ სხვისთვის გაიმეტოს.

ლა ტრემუი. სადილადაც მარტო წიწილას შეექცევა ან ცხვრის ხორცის ნაჭერს, მე კი უკანასკნელი გროში მესესხა, და ეშმაკმა იცის, სად ქრება ეს ფული. (კარის ზღურბლზე პაჟი გამოჩნდება) აგერ, გვეღირსა!

პაჟი. არა, ბატონო. მისი უდიდებულესობა არ გახლავთ. ბატონი დე რე მობრძანდება.

ლა ტრემუი. ლურჯწვერა ჭაბუკი? მაგას რა გამოცხადება უნდა?

პაჟი. კაპიტანი ლა ირი ახლავს. მგონი, რაღაც მოხდა.

ჟილ დე რე, 25 წლის ახალგაზრდა კაცი. შემოდის მკვირცხლად, თავდაჯერებულად. ექსტრავაგანტურობის მოყვარულს პაწია დახუჭუჭებული წვერი ლურჯად აქვს შეღებილი, რაც ერთგვარად ეწინააღმდეგება სასახლის წესებს, სადაც ყველა სუფთად გაპარსული დადის. სურს დამყოლი იყოს, მაგრამ აკლია ბუნებრივი სილაღე. 18 წლის წინ საშინელ დანაშაულობათა ჩადენის გამო ეკლესიას დაუპირისპირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახრჩობელას გადაურჩა. იგი მხიარულად მიდის არქიეპისკოპოსთან. პაჟი გადის.

ლურჯწვერა. თქვენს ერთგულ კრავად მიგულეთ, არქიეპისკოპოსო.

ლა ტრემუი. სალამი თქვენდა, ბატონო ჩემო. ხედავთ, რა დაემართა ლა ირს?

ლურჯწვერა. ყიამყრალ ფრენკს, ერთადერთ კაცს, მთელ ტურინში, რომელიც უფრო მაგრა იგინება, ვიდრე ლა ირი, ერთმა ჯარისკაცმა უთხრა, ავსიტყვაობა არ გმართებს, როცა სიკვდილის პირას დდახარო.

არქიეპისკოპოსი. ავსიტყვაობა არასოდეს არის მართებული. მერედა, ყიამყრალი ფრენკი მართლა სიკვდილის პირას იყო?

ლურჯწვერა. მაშ! იგი ეს-ეს არის ჭაში ჩავარდა და დაიხრჩო. ლა ირს შიშით ლამის სული გასძვრეს.

შემოდის კაპიტანი ლა ირი, ნამდვილი მეომარი ქოფაკი უხეში მანერებით.

ლურჯწვერა. მე სწორედ კანცლერსა და მღვდელთმთავარს ვუამბე, რაც მოხდა. მღვდელთმთავარი ამბობს, რომ შენი საქმე წასულია.

ლა ირი. (უკნიდან შემოუვლის ლურჯწვერას და ლა ტრემუის და არქიეპისკოპოსის წინ შეჩერდება) ამ ამბავს მასხრად ასაგდები არაფერი სჭირს. საქმე უფრო ცუდად არის, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ეს ჯარისკაცი კი არა, ანგელოზი იყო ჯარისკაცად გადაცმული.

არქიეპისკოპოსი.

ლა ტრემუი. ანგელოზიო?!

ლურჯწვერა.

ლა ირი. დიახ, ანგელოზი. მან შამპანიდან გზა ექვსიოდე კაცის თანხლებით გამოვლო და რა დავიდარაბას აღარ გადაურჩა; ბურგუნდიელებს, წყეულებს, დეზერტირებს, ყაჩაღებსა და ღმერთმა იცის, კიდეც რას. ამათ კი გზად არავინ შემოჰყრიათ, გარდა სოფლელი ხალხისა. ერთ-ერთი მათგანი ვიცი, ვინც არის: დე პულანჟი. სწორედ მან მითხრა, ეგ გოგო ანგელოზიაო. თუ რამე წყევლა-კრულვა დამცდა პირიდან, დაე ჯოჯოხეთის უკუნეთმა შთანთქას ჩემი სული.

არქიეპისკოპოსი. ისე კი, მაგ დასაწყისს არა უშავს რა, კაპიტანო.

ლურჯწვერა და ლა ტრემუი დასცინიან. პაჟი ბრუნდება.

პაჟი. მისი უდიდებულესობა.

ისინი უხალისოდ დგებიან სმენაზე. დოფინი, 26 წლის შარლ მეშვიდე, მამის გარდაცვალების შემდეგ ჯერ კიდეც უგვირგვინო მეფე, შემოდის ფარდებს შორის, ქაღალდით ხელში. ეს არის ფზიკურად საცოდავი შეხედულების ქმნილება, მოდის მიხედვით სუფთად გაპარსულს თმის ყოველი კულული თავსაბურავის ქვეშ აქვს დამალული. რაც მის გარეგნობას უფრო უარესს ხდის. მას პაწია, ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი წვრილი თვალები აქვს, გრძელი ცხვირი კი ტუჩებამდე ჩამოკიდებული. მართალია, წიხლისკვრას ჩვეულ ლეკვს ჩამოჰგავს, მაგრამ იგრძნობა ხასიათიცა და დაუდგრომლობა. არც ვულგარულია, არც სულელი და არც იუმორის გრძნობას მოკლებული, რაც უფლებას აძლევს დაიცვას თავის აზრი საუბარში. ახლა იმ ბავშვივით აფორიაქებულია, რომელსაც ახალი სათამაშო აჩუქეს. ის არქიეპისკოპოსს მარცხნიდან მიუახლოვდა, ხოლო ლურჯწვერა და ლა ირი ფარდებისაკენ იხევენ.

შარლი. აჰ, მღვდელთმთავარო, იცით, ვის მიგზავნის რობერ დე ბოდრიკური ვოკულერიდან?

არქიეპისკოპოსი. (ამრეზილი) მე თქვენი ახალ-ახალი სათამაშოები არ მაინტერესებს.

შარლი. (მძულვარედ) ეს არ გახლავთ სათამაშო. (გაბუტვით) თუმცა, უთქვენოდაც იოლად გავალ.

არქიეპისკოპოსი. თქვენს უმაღლესობას არ ეკადრება აგრე რიგად განაწყენება.

შარლი. მადლობელი ვარ თქვენ ოღონდ შეგონება გათქმევინათ კაცმა. სხვა აღარაფერი გინდათ, ხომ?

ლა ტრემუი. (უხეშად) გეყოფათ ღრიჭინი. ეგ რა მიიღეთ?

შარლი. თქვენ რა გესაქმებათ?

ლა ტრემუი. სწორედ ჩემი საქმე გახლავთ ვიცოდეთ ყველაფერი, რაც თქვენსა და ვოკულერს გარნიზონს შორის.

მოხდება. (დოფინს ხელიდან ქაღალდს გამოსტაცებს და იწყებს კითხვას გაჭირვებით, თითს აყოლებს და მარცვალ-მარცვალ კითხულობს.).

შარლი. (წყენით) ყველას ისე გგონიათ, რომ შეგიძლიათ ისე მომეპყრათ, როგორც გაგეხარდებათ, რადგან თქვენი ფული მმართველს, და კიდევ იმიტომ, რომ ბრძოლაში არ ვვარგოვარ. მაგრამ მარღვებში მეფური სისხლი მიდღულს.

არქიეპისკოპოსი. ეგ ამბავიც კი კითხვის ქვეშაა დასმული, თქვენო უმაღლესობავ. ვერავინ გცნობთ შარლ ბრძენის შვილიშვილად.

შარლი. აღარ მინდა ვისმინო რამე პაპაჩემზე. ის ისეთი ბრძენი იყო, რომ მთელი ჩვენი გვარის ხუთი თაობის სიბრძნე მიითვისა და მე კი საწყალ ბრიყვად დამტოვა თქვენს ხელთ შარიანობისა და შეურაცხყოფისათვის.

არქიეპისკოპოსი. თავს მოერიეთ, ბატონო ჩემო. ბოლმის ასე ნთხევა არ გეკადრებათ.

შარლი. კიდევ შეგონება! მადლობელი ვარ. რაოდენ საწყენია, რომ, თუმცა არქიეპისკოპოსი ბრძანდებით, მაგრამ წმინდანები და ანგელოზები თქვენს სანახავად როდი მოდიან!

არქიეპისკოპოსი. მაგით რის თქმა გნებავთ?

შარლი. აგერ, იმ ჩხუბისთავს ჰკითხეთ (მიუთითებს ლა ტრემუიზე).

ლა ტრემუი. (მრისხანედ) ენა გააჩერე, გესმის თუ არა?

შარლი. მესმის, ეგრე ნუ ყვირით. მთელ სასახლეს ესმის თქვენი ყვირილი. რატომ არ წახვალთ და ინგლისელებს არ უყვირით ეგრე და არ ამარცხებთ ხოლმე?

ლა ტრემუი. (მუსტს აღმართავს) უდღეურო..

შარლი. (არქიეპისკოპოსს ეფარება) ხელს ნუ მიქნევთ, თორემ სახელმწიფო დალატად ჩაგითვლით, იცოდეთ.

ლა ირი. დაწყნარდით. მთავარო, დაწყნარდით-მეთქი!

არქიეპისკოპოსი. (მტკიცედ) კარგით, იკმარეთ. ეგრე არ ივარგებს, ბატონო კანცლერო, გთხოვთ, ნუ იწებებთ. ერთგვარ წესრიგს ხომ მაინც უნდა ვიცავდეთ. (დოფინს) თქვენ კი, სირ, თუ სამეფოს მართვა არ შეგიძლიათ, თქვენს თავს მაინც მოუარეთ.

შარლი. კიდევ ჭკუას მასწავლით, არა? მადლობა მომიხსენებია.

ლა ტრემუი. (წერილს გადასცემს არქიეპისკოპოსს) ნახეთ ერთი. წამიკითხეთ ეგ დაწყველილი ბარათი. მე თავში ამივარდა. ასოებს ერთმანეთისგანაც კი ვერ ვარჩევ.

შარლი. (უკნიდან შემოუვლის და ლა ტრემუის, მარცხენა მხარიდან ჩაიჭყიტება) მე წაგიკითხავთ, თუ გნებავთ. მე ხომ კითხვა ვიცი, მოგეხსენებათ.

ლა ტრემუი. (ზიზღით, სულაც არ იმჩნევს მწარე დაცინვას) შენ მარტო კითხვისათვის ვარგიხარ. შეგიძლიათ, გაარჩიოთ რამე, არქიეპისკოპოსო?

არქიეპისკოპოსი. უფრო მეტს მოველოდი დე ბოდრიკურისგან. ვიღაც დამთხვეულ სოფლის გლეხუჭა გოგოს გვიგზავნის თურმე.

შარლი. (გააწყვეტინებს) არა, იგი წმიდანს გზავნის, ანგელოზს და ეს ანგელოზი ჩემთან მოეშურება, ჩემთან, მეფესთან და არა თქვენთან, არქიეპისკოპოსო, თუმცა, წმიდანი კი ბრძანდებით. ის ცნობს მეფურ სისხლს, თუ თქვენ ვერ გიცვნიათ (ამაყად მიდის ფარდისკენ ლურჯწვერასა და ლა ირს შუა).

არქიეპისკოპოსი. თქვენ ნება არა გაქვთ, მიიღოთ ეს გადარეული სოფლელი გომბიო.

შარლი. (შემობრუნდება) მეფე ვარ და მე ასე მნებავს.

ლა ტრემუი. (უხეშად) მაშინ მას არ დავრთავთ თქვენი ნახვის ნებას. ეგეც თქვენ!

შარლი. მე გეუბნებით, რომ ასე მსურს-მეთქი. ფეხებზე მკიდია თქვენი აზრი.

ლურჯწვერა. (დასცინის) ბიჭბუჭური ჯიუტობაა! რას იტყოდა ამაზე ბრძენი პაპათქვენი, ა?

შარლი. ეგ თქვენი უმეცრების მაჩვენებელია, ლურჯწვერავ. პაპაჩემს ჰყავდა ერთი წმიდანი, რომელიც ჰაერში დალივლივებდა, როცა იგი ლოცულობდა, და იმას ასწავლიდა, რის ცოდნასაც ის ისურვებდა. საცოდავ მამაჩემს ორი წმიდანი ჰყავდა, მარიამი მაიედან და გასკი ავინიონიდან. ასე მომდინარეობს ჩვენს გვარში. ყურსაც კი არ გავიბერტყავ თქვენს ბოდიალზე. მე ჩემი წმიდანი მინდა მყავდეს.

არქიეპისკოპოსი. ის არ არის წმიდანი. ის არც თავმოყვარეა და არც ქალურად იცვამს. ჯარისკაცის ტანისამოსს ატარებს და დაჭენაობს აქეთ-იქეთ მათთან ერთად. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი პიროვნება შეუძლია მიიღოს თქვენმა უმაღლესობამ?

ლა ირი. მოითმინეთ (არქიეპისკოპოსთან მიდის) თქვენ იმ ქალიშვილზე ლაპარაკობთ, აბჯარი რომ აცვია ჯარისკაცივით?

არქიეპისკოპოსი. ასე იწერება დე ბოდრიკური.

ლა ირი. მაგრამ, ეშმაკმა წამიღოს. ოჰ ღმერთო, მაპატიე, რას ვამბობ? ღვთისმშობელსა და ყველა წმიდანს გეფიცებით, ეგ ის ანგელოზი უნდა იყოს, ყიამყრალი ფრენკი რომ დალუპა გინებისათვის.

შარლი. (გამარჯვებული) აჰა, ხედავთ? აი, ნამდვილი სასწაული!

ლა ირი. მას ბევრი ხალხის დალუპვა შეუძლია, თუ წინააღმდეგი ვიქნებით. ღვთის გულისათვის, არქიეპისკოპოსო, გაფრთხილდით!

არქიეპისკოპოსი. (მკაცრად) მიჰქარავს! არავინაც არ დაუღუპავს. ერთი ლოთი ავყია თუ ათასგზის გალანძღეს ავსიტყვაობისთვის, ის კი ჭაში ჩავარდა და დაიხრჩო, ეს უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი.

ლა ირი. მე არ ვიცი, რა არის დამთხვევა. ვიცი, რომ კაცი მოკვდა, როცა უთხრა, რომ ის სიკვდილის პირას იყო.

არქიეპისკოპოსი. ჩვენ ყველანი დავიხოცებით, კაპიტანო.

ლა ირი. (პირჯვარს იწერს) მე კი მგონია, არა (იგი თავს ანებებს საუბარს).

ლურჯწვერა. ჩვენ ადვილად შევიტყობთ ანგელოზია თუ არა. ისე მოვაწყობთ საქმე, როდესაც მოვა, მე დოფინის ნაცვლად დავხვდები და ვნახავთ, მიხვდება თუ არა.

შარლი. დიახ, მე თანახმა ვარ. თუ ვერ გამოიცნობს მეფურ სისხლს, საქმეს მასთან აღარ დავიჭერ.

არქიეპისკოპოსი. წმიდანად შერაცხვა მართო ეკლესიას შეუძლია. დაე, ბოდრიკურმა თავის საქმეს მიხედოს და ნუ ჩაერევა მღვდლის ფუნქციებში, მე გეუბნებით, რომ იმ გოგოს მიღება არ შეიძლება.

ლურჯწვერა. მაგრამ, არქიეპისკოპოსო ...

არქიეპისკოპოსი. (მკაცრად) მე გელაპარაკებით ეკლესიის სახელით. (დოფინს) გაბედავთ იმის თქმას, რომ უნდა მოვიდეს?

შარლი. (შემდრკალი, მაგრამ მაინც ბრაზით) ოჰ, თუ შემრაცხავთ, რაღა მეთქმის.

თქვენ წერილის დაბოლოება თუ წაიკითხეთ. დე ბოდრიკური ამბობს, რომ ეს გოგო მოხსნის ორლენის ალყას და ინგლისელებს გარეკავს.

ლა ტრემუი. ბოდვაა!

შარლი. მაშ, კარგი, თქვენ გადაგვირჩინეთ ორლენს ლანძღვა-გინებით?

ლა ტრემუი. (გამხეცებული) მეტი აღარ გაბედოთ მაგის თქმა, გასაგებია? მე თქვენზე მეტი მიბრძოლია უწინაც და ახლაც. მაგრამ არ შემიძლია ყველგან ვიყო.

შარლი. ახლა კი გასაგებია.

ლურჯწვერა. (მოდის და დგება არქიეპისკოპოსსა და შარლს შუა) თქვენ ჯეკ დიუნუა გყავთ ორლენის რაზმების სათავეში. მამაცი დიუნუა, ლამაზი დიუნუა, გასაოცარი, უძლეველი დიუნუა, ყველა ქალის საყვარელი, მშვენიერი ბუში. განა შესაძლოა, რომ სოფელმა გოგომ გააკეთოს ის, რასაც ვერ აკეთებს დიუნუა?

შარლი. მაშ, რატომ ვერ ხსნის ალყას?

ლა ირი. ქარი უშლის ხელს.

ლურჯწვერა. როგორ უნდა უშლიდეს ხელს ქარი ორლენთან. იქ ხომ ზღვა არ არის?

ლა ირი. მდინარა ლუარა ხომ არის; ინგლისელებს კი ხიდის თავი უკავიათ. მან თავისი ხალხი გემებით უნდა გადაიყვანოს მდინარეზე დინების საწინააღმდეგოდ, თუ აპირებს მტერს ზურგიდან დასცხოს. ჰოდა, არ შეუძლია, რადგან ეშმაკი ქარს მოპირდაპირე მხრით უბერავს. ის დაიღალა მღვდლების ხვეწნით, რომ ილოცონ ქვენა ქარისთვის. მას სასწაული სჭირდება. თქვენ მეუბნებით, რომ რაც ამ გოგომ გაუკეთა ყიამყრალ ფრენკს, სასწაული არ იყო. ამან ბოლო მოუღო ფრენკს. თუ იგი შეცვლის ქარს დიუნუასთვის, არც ეს იქნება სასწაული; მაგრამ ეს ბოლოს მოუღებს ინგლისელებს. ჰოდა, აბა, მაშ, რატომ არ უნდა ვცადოთ?

არქიეპისკოპოსი. (მოათავა წერილის კითხვა და ჩაფიქრდა.) დე ბოდრიკური, მართლაც, განსაკუთრებით არის შთაბეჭდილების ქვეშ.

ლა ირი. დე ბოდრიკური ნამდვილი ვირია, მაგრამ ჯარისკაცია. და თუ ის ფიქრობს, რომ ჟანას შეუძლია ინგლისელების დამარცხება, ჯარიც ამასვე იფიქრებს.

ლა ტრემუი. (არქიეპისკოპოსს, რომელიც ყოყმანობს) ოჰ, დაე, მათ თავისი გზა მონახონ. დიუნუას ხალხი დათმობს ქალაქს, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა ვაჟკაცობისკენ მოუწოდო მათ.

არქიეპისკოპოსი. ეკლესიამ უნდა შეამოწმოს ეგ გოგო, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას გამოიტანდეს. მაგრამ, რაკი მის უდიდებულესობას სურს მისი ნახვა, ნება მიეცით ამ გოგოს ეახლოს მას სასახლეში.

ლა ირი. მოვნახავ და ვეტყვი (გადის).

შარლი. წამოდი ჩემთან. ლურჯწვერავ. ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ ვერ მიხვდეს ვინა ვარ. თქვენ უნდა ჩემმაგივრობა გასწიოთ (გადის).

ლურჯწვერა. ამის მაგივრობა? ო. ღმერთო (უკან მისდევს დოფინს)!

ლა ტრემუი. ნეტავი თუ მართლა მიხვდება!

არქიეპისკოპოსი. რასაკვირველია, მიხვდება.

ლა ტრემუი. რატომ? როგორ უნდა მიხვდეს?

არქიეპისკოპოსი. მისთვის, ალბათ, ცნობილია ის, რაც შიიონში ყველამ იცის, ის, რომ დოფინი ფრიად შეუხედავია და ყველაზე ცუდად ჩაცმული მთელს სასახლეში, ხოლო კაცი, ხოლო კაცი რომელსაც ლურჯი წვერი აქვს ჟილ დე რეა.

ლა ტრემუი. მაგაზე არასოდეს მიფიქრია.

არქიეპისკოპოსი. თქვენ არა ხართ შეჩვეული სასწაულებს ისე, როგორც მე. ეს ცემი საქმიანობის ნაწილია.

ლა ტრემუი. (გაოცებული და, ცოტა არ იყოს, დამფრთხალი) მაგრამ ეგ ხომ სულაც არ იქნება სასწაული?

არქიეპისკოპოსი. (მშვიდად) რატომაც არა?

ლა ტრემუი. კარგით ერთი! აბა, არ არის სასწაული?

არქიეპისკოპოსი. სასწაული, ჩემო კარგო, არის შემთხვევა, რომელიც გვინერგავს რწმენას. ეს არის სასწაულის მიზანი და ბუნება. ეს შეიძლება საოცრებად მოეჩვენოს მათ, ვინც კი ამის მოწმე გახდება, ხოლო ჩვეულებრივ ამბად მათ, ვისაც მისი შესრულება მოეწადინება. ისინი, რომლებიც რწმენით ქმნიან, თავად არიან ჭეშმარიტი სასწაულები.

ლა ტრემუი. თუ ეს სიცრუეა?

არქიეპისკოპოსი. მატყუარები ცრუობენ. შემთხვევა, რომელიც რწმენას გინერგავს, არ ტყუის. ამიტომ ეს ტყუილი კი არა, სასწაულია.

ლა ტრემუი. (კეფას იფხანს დაბნეული) კარგი, დავუშვათ მართალი ხართ, რადგანაც არქიეპისკოპოსი ბრძანდებით. თუმცა, ცოტა კი მეეჭვება. მაგრამ მე ეკლესიის მსახური არა ვარ და ამისთანა რამეები არ მესმის.

არქიეპისკოპოსი. თქვენ ეკლესიის მსახური არა ხართ, მაგრამ დიპლომატი და ჯარისკაცი კი ხართ. შესძლებდით თუ.

არა, დაგერწმუნებინათ მოდავეები ეხადათ ჯარის გადასახადი ან ჩვენს ჯარისკაცებს გაეწირწით სიცოცხლე, თუკი ეცოდინებოდათ სინამდვილე, რომ ყველაფერი ისე არ არის როგორც ჩანს?

ლა ტრემუი. არა, წმინდა დენისს ვფიცავ. ეს ჯიბესქელები მაშინვე გადასაყრელნი გახდებიან.

არქიეპისკოპოსი. მაშ, უფრო ადვილი არ იქნება სიმართლის თქმა მათთვის?

ლა ტრემუი. აბა, რას ბრძანებთ! კაციშვილი არ დაიჯერებს.

არქიეპისკოპოსი. ზუსტად მასეა. ეკლესია ზრუნავს ხალხის სულიერი გადარჩენისათვის, ისევე, როგორც თქვენ უნდა იფიქროთ მათი სხეულის

გადარჩენისათვის. ამის გასაკეთებლად ეკლესია აკეთებს, რასაც თქვენ. მათ რწმენას პოეზიით უმასპინძლებს.

ლა ტრემუი. პოეზია? სრული უაზრობაა.

არქიეპისკოპოსი. სცდებით, ჩემო კარგო, იგავ-არაკები უაზრობა როდია. ისინი აღწერენ ამბებს, რომლებიც არასოდეს მომხდარა.

სასწაულები ხშირად ხდება, ეს ჭეშმარიტებაა! მე ყოველთვის არ ვამბობ ამას... ძალზე უბრალო და უწყინარი.

მონათხრობითაც კი, მღვდელი თავის მრევლს რწმენას უმტკიცებს. როდესაც ის გოგო გამოარჩევს დოფინს კარისკაცთაგან, ამას სასწაულად არ ჩავთვლი, რადგან მეცოდინება როგორ ხდება ეს და რწმენამით არ მომემატება.

მაგრამ, რაც შეეხება დანარჩენებს, თუ დაივიწყებენ, რომ ისინი მიწის შვილები არიან და ამას ღვთის წყალობად ჩათვლიან, თქვენ ნახავთ, იმ გოგოზე უფრო მეტად იმოქმედებს ეს, ვიდრე სხვა ვინმეზე. მას დაავიწყდება კიდეც, სინამდვილეში დოფინი როგორ გამოარჩია. შესაძლოა ეგ თქვენც მოგივიდეთ.

ლა ტრემუი. ნეტავი თქვენსავით ჭკვიანი ვიყო. აბა, წავიდეთ, თორემ დავაგვიანებთ მასხრობაზე. მინდა, ვნახო სასწაულია ეს თუ არა.

არქიეპისკოპოსი. (შეაჩერებს ერთი წუთით) ნუ იფიქრებთ, რომ მრუდე გზების მოყვარული ვარ. ახლა ახალი სული იჩენს თავს ადამიანებში. ჩვენ უფრო დიდი ეპოქის წინ ვდგავართ. მე რომ უბრალო მონაზონი ვიყო და ხალხის წინამძღოლობა არ მეკისრებოდეს, ჩემი სულის სიმშვიდისათვის უფრო არისტოტელესა და პითაგორას მივმართავდი, ვიდრე წმინდანებსა და მათ სასწაულებს.

ლა ტრემუი. ვინ ოხერია ეგ პითაგორა?

არქიეპისკოპოსი. ბრძენი, რომელსაც მიაჩნდა, რომ დედამიწა მრგვალია და მზის გარშემო ბრუნავს.

ლა ტრემუი. რა სისულელეა! თვალები სად ჰქონდა?

გადიან. ფარდა გაიხსნა და გამოჩნდება სატახტო ოთახის მთელი სიღრმე და შეგროვილი დიდებულები. მარჯვნივ.

შემალეებულ ადგილზე ორი ტახტი დგას, თეატრალურად შემალეებულ ადგილზე ლურჯწვერა დგას მეფესავით და სხვათა მსგავსად ხარობს მოსალოდნელი ხუმრობით. შემალეებული ადგილის უკან კედელი მოჩანს, დაფარული ფარდით, ოთახის მეორე მხარეს მთავარ კარს ორი შეიარაღებული კაცი იცავს; ოთახის შუაგულში თავისუფალი გასასვლელია დატოვებული, დიდებულები და ბანოვანები რიგრიგობით დგანან. შარლი ოთახის ცენტრში დგას, ლა ირი მის მარჯვნივ. მღვდელთმთავარს თავისი ადგილი უკავია მარცხნივ, ლა ტრემუის კი მეორე მხარე. მთავარის მეუღლე,

მღვდელმთავრის უკან დედოფალივით დამჯდარა კონსორტის ტახტზე
ქალბატონებთან ერთად და ელოდება სეირს.

კარისკაცები ისე ხმაურობენ, რომ ვერავინ ამჩნევს პაჟის გამოჩენას კართან.

პაჟი. მთავარი ვან... (არავინ უგდებს ყურს). მთავარი ვან... (ხმაური არ წყდება.
გულმოსული თავისი მარცხით, ის გამოსტაცებს ალებარდას თავის ახლომდგომ
შეიარაღებულ კაცს, და დაჰკრავს მას იატაკს, ხმაური წყდება და ყველანი მას
შეჰყურებენ მდუმარედ). ყურადღება! (ის უბრუნებს ალებარდს პატრონს). მტავარი
ვანდომისა წარმოუდგენს ქალწულ ჟანას მის უდიდებულესობას.

შარლი. (თითს მიიღებს ტუჩზე, შშ!) იმალება უახლოვესი ჯარისკაცის ზურგსუკან და
იყურება რა მოხდება შემდეგ).

ლურჯწვერა. (დიდებულად) დაე, იგი მოუახლოვდეს სამეფო ტახტს.

ჟანა. ჯარისკაცურად არის ჩაცმული, მოკლედ შეკრეჭილი თმა თვალეზამდე აქვს
ჩამოშლილი, გაუბედავად და ხმაამოუღებლად შემოჰყავს კეთილსობილ კაცს,
რომლისაგანაც იგი ითავისუფლებს თავს და დოფინის ძებნაში ირგვლივ იყურება.

მთავრის მეუღლე. (ახლომდგომ ბანოვანს) ღმერთო ჩემო! მისი თმები!

ყველა ბანოვანს აღმოხდება თავშეუკავებელი სიცილი.

ლურჯწვერა. (თავადაც ცდილობს და სხვებსაც ანიშნებს, შეიკავონ სიცილი) შშ-შშ!
მანდილოსნებო! მანდილოსნებო!

ჟანა. (სრულიადაც არ არის დაბნეული) მე თმას ასე იმიტომ ვატარებ, რომ ჯარიკაცი
ვარ. სად არის დოფინი?

ხითხითი გაურბენს კარისკაცთა მწკრივს შემალლებულ ადგილას.

ლურჯწვერა. (შემწყნარებლურად) შენ დგახარ დოფინის წინაშე.

ჟანა. (მას ეჭვის თვალით უყურებს, ყურადღებით შეათვალიერებს თავით ფეხამდე,
რომ დარწმუნდეს. სრული სიჩუმე,

ყველა მას შესცქერის. შემდეგ ღიმილი ეფინება სახეზე) კარგი ერთი, ლურჯწვერავ! ვერ
გამამასხარავებ. სად არის დოფინი?

ხარხარი ატყდება, როდესაც ჟილი დანებების ნაცვლად ხელს ჩაიქნევს და საერთო
მხიარულებას შეუერთდება და.

ლა ტრემუის უკან შემალლებული ადგილიდან ჩამოხტება. ჟანაც ღიმილით
შემობრუნდება, შეათვალიერებს დიდებულთა მწკრივს, უცბად ჩაყვინთავს მათს
რიგებში და გამოათრევს შარლს ხელით.

ჟანა. (ხელს უშვებს მას და თავს უკრავს) ჩემო კარგო. საყვარელო დოფინ, მე გამოგზავნილი ვარ შენთან, რათა ინგლისელები გავრეკო ორლენიდან და საფრანგეთიდან და მეფის გვირგვინი დაგადგა თავზე რეიმსის ტაძარში, სადაც.

ყველა კანონიერ მეფეს ადგამენ გვირგვინს.

შარლი. (გამარჯვებული კარისკაცებს) აჰა, ხომ ხედავთ. მან იცნო მეფური სისხლი. ვინ გაბედავს ამის შემდეგ თქვას, რომ მამაჩემის შვილი არა ვარ? (ჟანას) შენ კი, რეიმსში გვირგვინის დადგმა თუ გინდა ჩემთვის მღვდელმთავარს უნდა მიმართო და არა მე. აგერ, ის (ის მის უკან დგას).

ჟანა. (სწრაფად შეტრიალდება გრძნობისგან გაცბუნებული) ოჰ, ჩემო ბატონო! (ორთავე მუხლზე დაეცემა მის წინ).

თავდახრილი, ვერ ბედავს მაღლა ახედვას) ბატონო ჩემო, მე ერთი უბრალო გლეხის შვილი ვარ, თქვენ კი ღვთით კურთხეული და ღმერთის დიდებით მოსილი. ხომ დამლოცავთ და ხელითაც შემეხებით?

ლურჯწვერა. (უჩურჩულებს ლა ტრემუს) დახე, ბებერი მელა წითლდება.

ლა ტრემუი. კიდევ ერთი სასწაული!

არქიეპისკოპოსი. (აღელვებული) ხელს დაადებს თავზე, ჩემო შვილო, შენ შეყვარებული ხარ რელიგიაზე.

ჟანა. (გაოცებული ახედავს) მართლა? ამაზე არ მიფიქრია. განა ეს საზიანოა?

არქიეპისკოპოსი. არა, ჩემო შვილო. მაგრამ საშიში კია.

ჟანა. (წამოდგება, სახეზე უსაზღვროდ ბედნიერი გამომეტყველება აქვს) საშიში ყველაფერია, განსაკუთრებით აქ, დედამიწაზე, გარდა ზეცისა. ოჰ, ჩემო ბატონო, თქვენ ისეთი ძალა და სიმამაცე მომანიჭეთ. ალბათ ძალზე დიდად გასაოცარი რამაა მღვდელმთავრად ყოფნა.

კარისკაცები იღიმებიან, ხითხითიც კი ისმის.

არქიეპისკოპოსი. (ძალას იკრებს და სწორდება) ბატონებო, თქვენი თავქარიანობა საყვედურის ღირსია ამ ასულის წინაშე. მე, ღმერთმა შემინდოს, სრულიად უღირსი ვარ, მაგრამ თქვენი სიცილი მომაკვდინებელი ცოდვაა.

ყველა გაქვავდება, სრული სიჩუმე.

ლურჯწვერა. ბატონო ჩემო, ცვენ გავიცინეთ მასზე და არა თქვენზე.

არქიეპისკოპოსი. რა ბრძანეთ? არა ჩემს უღირსობაზე, არამედ მის რწმენაზე, ხომ? ჟილ დე რე, ამ გოგომ იწინასწარმეტყველა, რომ ღვთისმგმობელს დაადრჩობდამისი ცოდვა...

ჟანა. (შემფოთებული) არა! არა-მეთქი!

არქიეპისკოპოსი. (ხელით ანიშნებს, რომ გაჩუმდეს) მე კი გიწინასწარმეტყველებთ ახლა, რომ სახრჩობელაზე დაამთავრებთ სიცოცხლეს, თუ არ ისწავლით, როდის გაიცინოთ და როდის ილოცოთ.

ლურჯწვერა. ბატონო ჩემო, ღირსი ვარ თქვენი საყვედურისა. ვწუხვარ, მაგრამ მეტს ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ თუ თქვენ მიწინასწარმეტყველებთ ჩამოხრობას, მე ვერ შევძლებ გაუმკლავდე ცთუნებას, რადგან ყოველთვის ჩემს თავს ვეტყვი, რომ ჯანდაბას, თუკი ჩამომახრობენ, გინდა ცხვარი მყოლია და გინდა ბატკანი, სულერთია ცოდვები მაინც მაქვს.

დიდებულები ისევ გულს მოიცემენ. ისმის ხითხითი.

ჟანა. (აღშფოთებული) სულელი ხარ, ლურჯწვერავ, და თავხედობა გყოფნის, რომ მღვდელმთავარს ეპასუხო.

ლა ირი. (გემრიელად ხითხითებს) კარგია, ჩემო გოგონი, კარგი ნათქვამია.

ჟანა. (მოუთმენლად არქიეპისკოპოსს) ოჰ, ბატონო ჩემო, თქვენი ჭირიმე, ეს ტუტუცი ხალხი გაუშვით, დოფინთან მარტო დალაპარაკება რომ შევძლო.

ლა ირი. (უწყინარად) ჩემთვის გასაგებია ეს მინიშნება (აძლევს სალამს, შეტრიალდება ქუსლებზე და გადის).

არქიეპისკოპოსი. წავიდეთ, ბატონებო. ქალწული ღვთის კურთხევით არის მოსული და უნდა დავმორჩილდეთ.

დიდებულები გადიან, ზოგი თაღის ქვეშ, დანარჩენები საწინააღმდეგო მხარეს. არქიეპისკოპოსი კარისკენ.

მიაბიჯებს დამ ას უკან მიჰყვება ლა ტრემუსის მეუღლე. როდესაც არქიეპისკოპოსი ჩაუვლის ჟანას, ეს უკანასკნელი მუხლებზე ეცემა დად ა მისი ანაფორის კალთას მგზნებარედ კოცნის. ის კი თავს იქნევს პროტესტის ნიშნად, აიკრეფს კალთას და გადის. ჟანა დაჩოქილია სწორედ მთავრის მეუღლის გზაზე და აფერხებს მას.

მთავრის მეუღლე. (ცივად) ხო მარ ინებებთ, გამატაროთ?

ჟანა. (წამოხტება და უკან დადგება) მომიტევეთ, ქალბატონო, ბოდიშს გიხდით.

მთავრის მეუღლე გადის. ჟანა უკან მისჩერებია, შემდეგ უჩურჩულებს დოფინს..

ჟანა. ეგ დედოფალია?

შარლი. არა, თავად ფიქრობს მაგას.

ჟანა. (ისევ მთავრის მეუღლეს გასცქერის. ოო-ოო-ოოჰ!) (მისი უნებლიე აღტაცება არაჩვეულებრივად ჩაცმული ქალბატონის დანახვისას სრულიადაც არ იყო კომპლიმენტი.).

ლა ტრემუი. (ძალზე კუშტად) მე ვთხოვ თქვენს უმაღლესობას, არ დასცინოთ ჩემს მეუღლეს (გადის. სხვები უკვე გავიდნენ).

ჟანა. (დოფინს) ვინ არის ეგ უხეში და ბუზღუნა კაცი?

შარლი. ეგ არის ლა ტრემუის მთავარი.

ჟანა. რას საქმიანობს?

შარლი. მაგას ჰგონია, რომ ჩემი ჯარის მეთაურია. და როგორც კი გამომიჩნდება ვინმე გულითადი მეგობარი უმაღლესობას მას.

ჟანა. მერე, ნებას რატომ რთავ?

შარლი. (ფიცხლად მიდის ტახტისაკენ, თითქოს სურს თავი დააღწიოს მის მაგნიტურ ველს) როგორ შევუშალო ხელი? შარს მდებს მაშინვე. ყველანი შარზე არიან.

ჟანა. გეშინია?

შარლი. დიახ, მეშინია. ლოცვა ვერ დამიცავს. ეგ ყველაფერი ამ ჯაჭვისპერანგიანი ოტროველების საქმეა. ჩემთვის კი მიმიმეა, ვერც მათ მახვილებს ვერევი, ვერც მათ კუნთებს, ვერც ყვირილსა და ჩირთი-ფირთს ვეგუები. მაგათ ბრძოლა უყვართ. როცა არ იბრძვიან, თავი გაბრიყვებული ჰგონიან. მე კი წყნარი და გონიერი კაცი ვარ. არავის მოკვლა არ მსურს. მარტო ის მინდა, რომ თავი გამანებონ და ჩემს ნებაზე მიმიშვან. მე ხომ არასოდეს მითხოვია მეფობა. ძალით მომახვიეს თავზე. ასე რომ, შენ თუ გინდა მითხრა: -,ძეო წმიდისა ლუდოვიკოსი, შეიბ მახვილი შენი წინაპრებისა და გაგვიძებ გამარჯვებისაკენ გირჩევ, ტყუილად ნუ გაირჯები, რადგან არ მძალუმს. ამისთვის არ ვარ გაჩენილი და გათავდა.

ჟანა. (ქირდვითა და მბრძანებლურად) სისულელეა და მეტი არაფერი. თავიდან ყველანი ასე ვფიქრობთ. მე შენ უფრო მამაცს გაგხდი.

შარლი. ჰო, მაგრამ სულაც არ მსურს მამაცი ვიყო. მინდა, ტკბილად მეძინოს საწოლში და გამუდმებით არ მეშინოდეს, რომ მომკლავენ ან დამჭრიან, სხვები გაამამაცე და დაე, იომონ, რამდენიც გაეხარდებათ, მე კი დამეხსენით.

ჟანა. არაფერი გამოვა, შარლ. უნდა შეეგუო იმას, რაც ღმერთმა დაგიწესა. თუ მეფობას ვერ შესძლებ, მაშინ მათხოვარი გახდები. სხვა რისთვის ივარგებ? მოდი, დაჯექი ტახტზე და მეჩვენე მეფედ. მე ხომ ამისაკენ მოვისწრაფოდი.

შარლი. რა აზრი აქვს ტახტზე ჯდომას, თუ ყველა ბრძანებას სხვები იძლევიან? თუმცა, მოიცა! (ჯდება ტახტზე მოკრუნჩხული) აჰა, ესეც შენი მეფე! მიყურე და გაძეხი ცქერით.

ჟანა. შენ ჯერ კიდევ არა ხარ მეფე, ყმაწვილო. შენა ხარ დოფინი. ტყუილუბრალოდ თავს ნუ აბრიაყვებინებ ამ ხალხს. არც ტანსაცმლის გამოცვლა გიშველის რამეს. მე ვიცნობ ხალხს. ნამდვილი ხალხი ისაა, ვინც შენ ჰურს გაჭმევს, ამასაც გეტყვი, რომ ის არასოდეს მიიჩნევს ფრანგთა მეფედ კაცს, ვიდრე მას არ აპკურებენ წმიდა ზეთს თმაზე, არ აკურთხებენ და გვირგვინს არ დაადგამენ რეიმისის ტაძარში. შენ კი ახალი სამოსელი გჭირდება, შარლ. რატომ არ ზრუნავს დედოფალი ამაზე?

შარლი. ჩვენ ძალიან ხელმოკლედა ვართ. იგი მთელ შემოსავალს, თავის თავს ახმარს. გარდა ამისა, მიხარია, როცა მორთულ-მოკაზმულს ვხედავ. მე კი არ მანაღვლებს რა მაცვია ტანზე. სულ ერთია უშნო გამოვჩნდები, რაც უნდა მეცვას.

ჟანა. შენში რაღაც არის კარგი, შარლ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეფის სადარი.

შარლი. ვნახოთ. მე ისეთი სულელი არ ვარ, როგორც ვჩანვარ. მე ყურადღებადა ვარ გადაქცეული; იმასაც გეტყვი, რომ ერთი კარგი ზავი სჯობს ათ კარგ ბრძოლას. ეს მეომარი ყმაწვილები ზავით კარგავენ ყველაფერს, რასაც ბრძოლით იგებენ. ჩვენ რომ შეგვეძლოს ზავის მიღწევა, ინგლისელები ამით ნამდვილად ვერ იხეირებენ., რადგან ისინი ბევრად უკეთესად იბრძვიან, ვიდრე აზროვნებენ.

ჟანა. თუ ინგლისელები მოგვიგებენ ბრძოლას, ეს ნიშნავს, რომ ზავს ისინი დაგვადებინებენ! მაშინ ღმერთმა დაიფაროს საცოდავი საფრანგეთი!

გინდა თუ არა, უნდა იბრძოლო, შარლ! წინ მე გავიჭრები, შენ რომ გული მოგეცეს. ჩვენ ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ. დიახ, და ვილოცოთ კიდევ ამისთვის.

შარლი. (ჩამოდის ტახტიდან და კვლავ გადადის მეორე მხარეს, რათა გაექცეს მის აღტკინებას) ჰო, კარგი, მორჩი ლაპარაკს ღმერთსა და ლოცვაზე. ვერ ვიტან ხალხს, სულ რომ ლოცვაში არიან. არ კმარა ამის კეთება გარკვეულ დროს?

ჟანა. (შეცოდებით) საბრალო ბავშვო, შენ ჯერ ცხოვრებაში არასდროს გილოცნია. მე გასწავლი თავიდან.

შარლი. მე ბავშვი არა ვარ. მოზრდილი ადამიანი ვარ და თან მამაც გახლავარ, არც სხვისი სწავლება არა მჭირია.

ჟანა. დიახ, გყავს პაწია შვილი. ის იქნება ლუი მეთერთმეტე, როცა შენ აღარ იქნები. არ გინდა იბრძოლო მისთვის?

შარლი. არა, სამაგელი ბავშვია, ვძულვარ. მას ყველა სძულს, თავკერძა პატარა ბიჭს. არ მინდა, ვზრუნავდე ბავშვებისათვის. არ მინდა ვიყო მამა. არ მინდა ვიყო შვილი, მით უმეტეს, წმიდა ლუის შვილი. მე არც ის მინდა, რომ ვიყო ერთი იმ საუცხოო საგანთაგანი, რომლებითაც თავი გაქვთ გამოტენილი. მინდა ვიყო ის, რაც ვარ. რატომ არ გინდათ თავი დამანებოთ, აკეთეთ თქვენი საქმეები, მე კი დამეხსენით.

ჟანა. (კვლავ ზიზღნარევი ხმით) შენ რომ თავს მიხედო, ეს იმას ნიშნავს, შენს სხეულზე იზრუნო. ეგ არის უმოკლესი გზა, რომ თავი დაისნეულო. რა არის ჩემი საქმე?

დედაჩემს მოვეხმარო სახლში. შენი საქმე რაღაა? პაწია ლეკვებს ეთამაშო და შაქარყინული წუწნო? ამას მე სისაძაგლეს ვეძახი. გეუბნები. რომ ჩვენ აქ ღვთის საქმისთვის ვართ და არა ჩვენი საქმისათვის. მე შენთან ამბავი ღმერთისაგან მომაქვს. შენ კი უნდა ისმინო იგი, თუნდაც შიშისგან გული გაგისკდეს.

შარლი. არ მინდა არავითარი ამბავი. შენ შეგიძლია სასწაულების ახსნა? შეგიძლია ვინმეს უმკურნალო? შეგიძლია ტყვია ოქროდ აქციო ან სხვა რამ ასეთი?

ჟანა. მე სემიძლია მეფედ გაქციო, რეიმისის ტაძარში. მოგეხსენება, ეს არც თუ ისე იოლი სასწაული იქნება.

შარლი. თუ ჩვენ რეიმისს წავალთ და მეფედ კურთხევა მომიწევს, ანას ახალი კაბები დასჭირდება. მე კი არ შემიძლია მათი ყიდვა. მე მხოლოდ ისა ვარ, რაც ვარ.

ჟანა. რაც ხარ! და რა ხარ? მამაჩემის ულატაკეს მეცხვარეზე ლატაკი. შენ კანონიერად არც კი ფლობ საკუთარ ქვეყანას, ვიდრე არ გაკურთხებენ.

შარლი. ბოლოს და ბოლოს არ მსურს ვიყო ჩემი ქვეყნის კანონიერი მფლობელი. განა ვალებს გადამიხდის მეფედ კურთხევა? მე ჩემი მიწის უკანასკნელი აკრი არქივისკოპოსსა და იმ ქონით გატენილ ბუზღუნა კაცს დავუთმე. ლურჯწვერასაც კი მართებს ჩემი ფული.

ჟანა. (სერიოზულად) შარლ, მე სოფლიდანა ვარ და იმიტომაც ვარ ძლიერი, რომ მიწაზე მუშაობა მიწევდა; გიმეორებ, რომ ეს მიწა შენი კუთვნილებაა, შენ უნდა მართო, მშვიდობა დაამყარო მასზე და არ დააგირაო, როგორც ლოთი დედაკაცი აგირავებს თავისი შვილის ძონძებს. როგორც ღმერთის წარმოგზავნილმა, მინდა გითხრა, რომ უნდა დაუჩოქო მას ტაძარში და გადასცე შენი სამეფო სამუდამოდ და გახდე მისი უდიდესი მეფე მსოფლიოში და მისი მმართველი, მისი ჯარისკაცი და მისი მსახური. საფრანგეთის უბრალო თიხაც კი წმიდა გახდება. ჯარისკაცები ღვთის მეომრები იქნებიან; მეამბოხე მთავრები კი მეამბოხენი ღმერთის წინააღმდეგ, ინგლისელები დაგიჩოქებენ და შეგვედრებიან, ისინი სახლებში მშვიდობიანად გაუშვა. ხომ არ გვიღალატებ იუდასავით მეც და მას, ვინც შენთან გამომგზავნა?

შარლი. (საბოლოოდ) ოჰ, ნეტა გამაბედვინა!

ჟანა. მე კი გავბედავ, ათასჯერაც გავბედავ ღვთის სახელით! მხარს დამიჭერ თუ არა?

შარლი. (აგზნებული) ვცდი, აბა, ბედს, გაფრთხილებ, დიდხანს ვერ გავუძლებ ამ შემოტევას. მაგრამ ბედს კი ვცდი. აი, ნახავ. (მიიღებს მთავარ კართან და გასძახის, ჰეი! დაბრუნდით ყველანი. უკან გამობრუნებული ჟანას მიმართავს: იცოდე, გვერდში მედექი და არ მისცე მათ ჩემი შეურაცხყოფის ნება. (თაღში) შემოდით, ყველანი, გესმით! (ჯდება სამეფო ტახტზე, როდესაც დიდებულები გამალებით შემოდიან და იკავებენ წინანდელ ადგილებს, თან გაოცებულები ჩურჩულებენ) მზადა ვარ, რაც არ უნდა მოხდეს. (პაჟს) უხმე სიჩუმეს შე პაწია მხეცო!

პაჟი. (სტაცებს ხელს შუბს და ურტყამს იატაკს რამდენიმეჯერ) სიჩუმე, მისი უდიდებულესობა, მეფე ბრძანებს! იქნებით ჩუმი თუ არა? (სიჩუმე).

შარლი. (წამოდგება) მე ჯარის მეთაურობა ღვთის ქალწულს ვუბოძე, იგი ამ უფლებას ისე გამოიყენებს, როგორც მოისურვებს. (ჩამოდის შემადლებული ადგილიდან) დარბაზი გაოგნებულია. ლა ირი, სახეგაბადრული ირტყამს ხელთათმანიან ხელს თეძოზე, მახვილზე.

ლა ტრემუი. (შემობრუნდება მუქარით შარლისკენ), რაო, რაო? ჯარის უფროსი მე ვარ. ჟანა სწრაფად ადებს ხელს შარლს მხარზე, როგორც კი ის უკან იხევს. შარლი გროტესკული ძალდატანებით ატკაცუნებს თითებს კანცლერის ცხვირწინ.

ჟანა. ეგეც შენ, ბებერო ბუზღუნავ (მოულოდნელად იძრობს ხმალს ქარქაშიდან, რადგან გრძნობს, რომ დადგა მისი დრო) ვინ უჭერს მხარს ღმერთსა და მის ქალწულს? ვინ მომყვება ორლენის გასათავისუფლებლად?

ლა ირი. (გატაცებით, იძრობს ხმალს) ღვთისა და მისი ქალწულისათვის!

ყველა რაინდი. (გატაცებით აჰყვებიან მას. ისმის შემახილები) ორლენისკენ!

ჟანა, გაბრწყინებული, მუხლებზე დაეცემა და სამადლობელ წირვას აღუვლენს ღმერთს. ყველანი იჩოქებენ, გარდა არქიეპისკოპოსისა, რომელიც დარბაზს ლოცავს და ლა ტრემუსა, რომელიც, მარცხგანცდილი, წყევლა-კრულვაშია.

სურათი მესამე.

ორლენი, 29 აპრილი 1429, დიუნუა, 26 წლისა, აქეთ-იქით დააბიჯებს შემადლებულ მიწაყრილზე ვერცხლისფრად მოელვარე ლუარის სამხრეთ ნაპირზე და გასცქერის მდინარის ორივე მხარეს. მას თავისი შუბი, ზედ პაწია ალმით, ჩარჭობილი აქვს მიწაში, რომელიც აღმოსავლეთის ძლიერი ქარის მიმართულებით ფრიალებს. მისი ფარი, დახრილი ზოლით, იქვე დევს. მას ხელში უჭირავს ჯარის უფროსის კვერთხი. იგი ბრგეა, თავისუფლად ატარებს ჯავშანს. გრძელი და გამოკვეთილი წარბები მჭერმეტყველებას ანიჭებს მის სამკუთხოვან სახეს, რომელსაც უკვე ეტყობა ერთგულება, პასუხისმგებლობა, კეთილი ბუნება და იმ ადამიანის იერი, რომლისთვისაც არაბუნებრივი გრძნობები და სულელური ილუზიები უცხოა. მისი პაჟი მუხლებზე ხელემშემოხვეული ჩამჯდარა მიწაზე და ლოყები მუჭებზე აქვს დაყრდნობილი და ზანტად გაჰყურებს მდინარეს. საღამო ხანია, ორივე მდინარის მშვენიერებით ტკბებიან.

დიუნუა. (წუთით შესცქერის მოფრიალე ალაძს, თავს იქნევს გაბეზრებით და წინ და უკან დადის) ქარო დასავლეთისაო, ქარო, ქარო, ქვენა ქარო, შე მრუშო: სიცოცხლით

სავსე, როდესაც უნდა ადგილზე იდგე, და უმოძრაო, როდესაც აქეთ-იქით უნდა ეხლებოდე. ვერცხლისფერი ლუარის ქვენა ქარო. რა ერთმეზა ლუარას? (კვლავ ახედავს ალამს და მუსტს მოუღერებს მას) იცვალე მხარი, წყეულიმც იყავ, იცვალე მეთქი-მხარი, ინგლისელო აშაღლარო ქარიანივით. დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ, მე შენ გეუბნები. (ბუზღუნით განაგრძობს სიარულს, სდუმს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ იწყებს) ქვენა ქარო, ჟინიანო ქარო, ჯიუტო ქარო, ქალაჩუნა ქარო, მატყუარავ, ნუთუ არასოდეს შეიცვლები?

პაჟი. (წამოხტება) არიქა! აგერ! აგერ, იქით გამოჩნდა!

დიუნუა. (უცბად გამოფხიზლდება, გაფაციცებით) სად! ვინ? ქალწული?

პაჟი. არა, ბოლოქანქარა. ელვასავით გაიქროლა. აგერ, იმ ბუჩქს შეეფარა.

დიუნუა. შე ბრიყვო, შენა. ავდგები და თავდაყირა გადაგიშვებ მაგ მდინარეში.

პაჟი. (არ უშინდება, რაკი კარგად იცნობს თავის პატრონს) ნამეტანი ლამაზი იყო, გეგონება რაღაცამ იელვაო. უჰ! აგე, კიდევ!

დიუნუა. (მდინარეს მიაშურებს სირბილით) საით? საით?

პაჟი. (უჩვენებს) აგერ, იმ ლერწმებთან მიფრინავს.

დიუნუა. (გახარებული) ვხედავ. (თვალს აყოლებენ ჩიტის ფრენას, ვიდრე თვალს არ მიეფარება).

პაჟი. აკი გუშინ იმისათვის გამლახეთ, რომ ვეღარ მოასწართ მაგათი დანახვა.

დიუნუა. შენ კარგად იცოდი, რომ ქალწულს ველოდი, როცა ჭყვიღს მოჰყევ. ახლა მეც მოგაყოლებ გვერდებში და ერთი კარგა გაჭყვიღებ.

პაჟი. ლამაზები არ არიან განა? ნეტავ ერთი მაინც დამაჭერინა.

დიუნუა. თუ მაგათ კაკანათს დაუგებ, მე შენ რკინის გალიაში ჩაგვამ ერთი თვით და განახებ, რას ნიშნავს გალიაში ჯდომა, შე სამაგელო, შენა.

პაჟი. (იცინის და კვლავ ჩაცუცქდება) ეიჰ!

დიუნუა. (ბოლთის ცემით) ლურჯო ფრინველო, ჰეი, ლურჯო ფრინველო, თუკი შენი ძმობილი ვარ, შეცვალე ეს ქარი ჩემთვის. არა, ასე არ ვარგა, რითმაში ვერ ხვდება. (პაჟის გვერდით აღმოჩნდება) ჰაიტ, შე სამაგელო! (ზურგს შეაქცევს) მაგრამ, ლურჯლენტიანო, ბოლოქანქარასავით. ნუთუ ზენა ქარს დამამადლი?

დარაჯის ხმა. (დასავლეთის მხრიდან) შესდექ! მანდ რომელი ხარ?

ჟანას ხმა. ქალწული.

დიუნუა. გამოატარე, აქეთ, ქალწულო! ჩემკენ!

ჟანა დიდებული საჭურვლით მორთული შემოვარდება განრისხებული. ქარი ჩადგება; ალამი უნიათოდ დაეკიდება შუბზე, მაგრამ დიუნუა ვერ ამჩნევს ამას, რადგან მთელი გულისყური ჟანაზე აქვს მიპყრობილი.

ჟანა. (მოკლედ მოსჭრის) შენა ხარ ორლენელი ბასტარდი?

დიუნუა. (გულგრილად და მკაცრად, ფარზე მიუთითებს) ხედავ ამ დახრილ ზოლს? შენ ქალწული ჟანა ხარ?

ჟანა. მაშ.

დიუნუა. ლაშქარი რაღა უყავ?

ჟანა. შორს დავტოვე აქედან. აკი მომატყუეს. მდინარის იმ მხარეს როდი გადმომიყვანეს, სადაც საჭირო იყო.

დიუნუა. ეს ჩემგან ჰქონდათ ნაბრძანები.

ჟანა. ეგ რამ გაბრძანებინა? ინგლისელები ხომ იქითა ნაპირზე არიან?

დიუნუა. ინგლისელები იქითა ნაპირზეც არიან და აქეთაზედაც.

ჟანა. ორლენი ხომ იქითა ნაპირზეა? ინგლისელებს ჩვენ იქ უნდა გავუმართოთ ბრძოლა. როგორ უნდა გადავლახოთ მდინარე?

დიუნუა. (კუმტად) ხიდი არის.

ჟანა. მაშ, ღვთის მადლით, ნულარ ვაყოვნებთ, გადავიდეთ ხიდზე და თავს დავესხათ.

დიუნუა. იოლი კი ჩანს, მაგრამ ე გარ მოხდება.

ჟანა. მაგას ვინ ამბობს?

დიუნუა. მე ვამბობ, ჩემზე უფროსი და ჭკვიანი ხალხიც მაგავე აზრისაა.

ჟანა. (მძაფრად) მაშ, იმ შენზე უფროსებსა და ჭკვიანებს არაფერი უყრიათ ცარიელ გოგრებში. გაუბრიყვებინართ. ახლა კი ჩემი გაბრიყვებაც დაუპირებიათ, რაკი ამ ნაპირზე გადმომიტყუეს, მაგრამ ვერ მივართვი. განა არ იცი, რომ ისეთ დახმარებას შემოგაწევ, როგორც ჯერ არც სარდალსა და ქალაქს არ ღირსებია.

დიუნუა. (დინჯად იღიმება) შენს საკუთარს?

ჟანა. არა, ზეციური ხელმწიფის დახმარებასა და რჩევას. საით არის ხიდი?

დიუნუა. მოუთმენელი ყოფილხარ, ქალწულო.

ჟანა. რა დროს მოთმენაა! მტერი კარს მოგვდგომია, ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია და ბუხსაც არ ვიფრენთ. მითხარი ერთი, მაინც რატომ არ იბრძვი? იცი რა? მე შენ შიშისაგან გაგათავისუფლებ.

დიუნუა. (გულწრფელად იცინის) არა, არა, ჩემო გოგონავ. შენ რომ შიშისაგან გამათავისუფლო, მაშინ ზღაპრების რაინდად უფრო გამოვდგები და ლაშქარს კი დიდ ვერაფერ სარდლობას გავუწევ. კმარა! ახლა კი მოდი, ჯარისკაცის ხელობას გასწავლი. (ხელს მოავლებს და წყლის პირას მიიყვანს) ხედავ, აგერ, იმ ორ ციხე-სიმაგრეს ხიდის ბოლოს? აგერ, იმ დიდ კიბეებს?

ჟანა. ჰო. ჩვენებისაა თუ იმ წყეულებისა?

დიუნუა. ნუ ჩქარობ და ყური მომაპყარი. მე რომ მარტო ვიდგე თან ათ კაცზე მეტი არ მყავდეს, მაინც მთელ ლაშქარს გავუმკლავდები, ინგლისელებს კი ათჯერ ათზე მეტი ღვთით შექებული მეომარი ჰყავთ იმ ციხეებში ჩვენს წინააღმდეგ.

ჟანა. ეგენი ღმერთს ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას. ღმერთს მაგათთვის არ მიუცია მაგ კოშკების გარშემო მდებარე მიწა-წყალი. მაგათ მოიპარეს. ღმერთმა კი ჩვენ გვიწყალობა. მე დავიბრუნებ მაგ მიწებს.

დიუნუა. ცარიელი ხელით?

ჟანა. ჩვენი ვაჟკაცები წაართმევენ, მე კი წინ გავუძღვები.

დიუნუა. უკან რომ არავინ გამოგყვება?

ჟანა. უკან ცქერას არ მოვყვები იმის გასაგებად, მომდევს ვინმე თუ არა.

დიუნუა. (მის ხმაში ფოლადს გრძნობს და მხიარულად მხარზე არტყამს ხელს) კეთილი. შენში ბევრი მონაცემია ჯარისკაცისა. შენ შეყვარებული ხარ ომზე.

ჟანა. (შემკრთალი) ოჰ! არქიეპისკოპოსმა კი მითხრა, რომ რელიგიაზე ვარ შეყვარებული.

დიუნუა. ღმერთმა მომიტევეს და ცოტა არ იყოს, მეცა ვარ შეყვარებული ომზე, ამ უმნო კუდიანზე. მე ორცოლიანი ვარ. შენა? შენ კი ორქმრიანი ქალივით გინდა იყო?

ჟანა. (საქმიანად) მე არასოდეს მეყოლება ქმარი. ერთმა კაცმა ტულიდან ჩემზე საჩივარი შეიტანა სასამართლოში, ვითომდა პირობა დავურღვრე. მაგრამ მისთვის არასოდეს მიმიცია პირობა. მე ჯარისკაცი ვარ. არ მინდა, რომ ჩემზე იფიქრონ, როგორც ქალზე. მე არც კი ჩავიცვამ ქალურად, არც იმ საგნებზე ვიწუხებ, რაზედაც ქალებს გული მიუდით. ისინი სულ საყვარლებზე და ფულზე დარდობენ. მე კი ოცნებადა მაქვს გადაქცეული, როდის წავუძღვები იერიშს წინ და როგორ განვალაგებ ზარბაზნებს. თქვენ ჯარისკაცებმა არც კი იცით ზარბაზნების გამოყენება. გგონიათ, რომ ბრძოლას დიდი ხმაურითა და კვამლით მოიგებთ?

დიუნუა. (მხრებს აიჩეჩავს) ეგ მართალია. ნახევარი დრო არტილერიას სჭირდება, და ეს უფრო სადარდებელია, ვიდრე სასარგებლო.

ჟანა. ეგ კი ეგრეა, ყმაწვილო, მაგრამ, ქვის კედლებს ვერსა დააკლებ ცხენოსანთა შეტევით. უნდა გქონდეს ზარბაზნები, თანაც უფრო დიდები, ვიდრე გაქვთ.

დიუნუა. (გაუცინებს მას) მართალია, მაგრამ მაგარი გული და მტკიცე კიბე ყოველგვარ ქვის კედელს მოერევა.

ჟანა. მე პირველი ავალ კიბეზე, როცა მივადგებით სიმაგრეს, ბასტარდო, და შენ მოგიწოდებ, რომ უკან მომყვე.

დიუნუა. არ შეიძლება მთავარსარდალს მოუწოდო, ჟანა. მხოლოდ ასეულთა ოფიცრებსა აქვთ უფლება თავს ნება მისცენ და პირადი სიმამაცე გამოიჩინონ. გარდა ამისა, ისიც კარგად იცი, რომ მოგესალმები, როგორც წმინდანს, და არა როგორც ჯარისკაცს. ბევრი მყავს თავზე ხელაღებული, საქმეს რომ შველიდეს.

ჟანა. მე არ გახლავარ თავზე ხელაღებული ვინმე. ღვთის მსახური ვარ. ჩემი მახვილი წმიდაა. მე იგი ვნახე წმ. ეკატერინეს ეკლესიაში, საკურთხეველის უკან, სადაც გადანახული ჰქონდა ჩემთვის. მე არ შემიძლია მისი დარტყმა ადამიანისათვის. გული სიმამაცით მაქვს სავეს და არა ბრაზით. მე გავუძღვები მათ და შენი ხალხი კი უკან გამომყვება. ეს არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემიძლია. მაგრამ მე უნდა გავაკეთო ეს და შენ ვერ შემაჩერებ.

დიუნუა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩვენი ხალხი ჯერ წყლით უნდა შემოვიდნენ და ინგლისელებს ზურგიდან დაჰკრან.

ჟანა. (თანდათან უფრო ამტკიცებს თავის სამხედრო უნარს) მაშინ გააკეთეთ ტივები და ზედ დადგით დიდი ზარბაზნები, დაე, თქვენი ხალხი ჩვენთან გადმოვიდეს.

დიუნუა. ტივები მზად არის და ხალხიც, მაგრამ მათ ღვთის ნებას უნდა უცადონ.

ჟანა. მაგთი რის თქმა გნებავს? პირიქით, ღმერთი უცდის მაგათ.

დიუნუა. მაშინ გამოგვიგზავნოს ქარი. ჩემი ნავები დინების მიმართულებით დგანან. მათ არ შეუძლიათ არც ქარის წინააღმდეგ და არც დინების წინააღმდეგ სვლა. უნდა ველოდოთ, ვიდრე ღმერთი შეუცვლის ქარს მიმართულებას. წავიდეთ, ეკლესიაში წაგიყვან.

ჟანა. არა, მე მიყვარს ეკლესია, მაგრამ ინგლისელები არ დაემორჩილებიან ჩვენს ვედრებას. არაფერი ესმით ქარისა და დინების გარდა. არ წამოვალ ეკლესიაში, ვიდრე ჩვენ არ დავცხებთ მათ.

დიუნუა. უნდა წამოხვიდე. მე მაქვს საქმე იქ შენთან.

ჟანა. რა საქმე?

დიუნუა. ილოცე, რათა დასავლეთის ქარი ამოვარდეს. მე ვილოცე და ვუბოძე ორი ვერცხლის შანდალი. მაგრამ ჩემი თხოვნა არ იქნა შესმენილი. შეიძლება შენმა ლოცვამ გაჭრას. შენ ყმაწვილი ხარ და უცოდველი.

ჟანა. ჰო, მართალი ხარ. ვილოცებ: შევეთხოვ წმ. ეკატერინეს, ის გამოაგზავნინებს ღმერთს ჩემთვის დასავლეთის ქარს. აბა, მალე, გამიძებნე ეკლესიისაკენ.

პაჟი. (ხმამაღლა აცემინებს) აჰ-ჩხი!!!

ჟანა. ხეირი, ყმაწვილო! წავიდეთ, ბასტარდო.

ისინი გადიან. პაჟი წამოდგება მათ გასაყოლად. იღებს ფარს და აპირებს შუბის აღებას, რომ ამ დროს შეამჩნევს ალამს, რომელიც აღმოსავლეთისაკენ ფრიალებს.

პაჟი. (დააგდებს ფარს და უძახის მათ აგზნებული) ბატონო, ბატონო! ქალბატონო!

დიუნუა. (მორბის უკან) რა დაგემართა? კიდევ ბოლოქანქარა? (მონდომებით მდინარეს გაჰყურებს).

ჟანა. (უერთდება მათ) ვაიმე, ბოლოქანქარა! აბა, სად არის?

პაჟი. არა, ქარი, ქარი, ქარი-მეთქი (უთითებს ალამზე) ამოვარდა. სწორედ იმიტომაც დამაცემინა.

დიუნუა. (უყურებს ალამს) ქარმა მხარი იცვალა (პირჯვარს იწერს) ღმერთმა თავისი ნება გვამცნო (დაიჩოქებს და თავის კვერთხს ჟანას უწვდის) აწ შენ უწინამძღვრე მეფის ლაშქარს. მე კი შენს ჯარისკაცად მიგულე.

პაჟი. (გასცქერის ქვემოთ მდინარეს) აგერ, როგორ მიარღვევენ დინების საწინააღმდეგოდ.

დიუნუა. (წამოდგება წინ) ახლა კი იმ კოშკებს მივაშუროთ. შენ გაბედულება გეყო, უკან მომყოლოდი. გაბედავ წინ გაძლოლას?

ჟანა. (ცრემლები წამოსცვივდება, დიუნუას მოეხვევა და ორთავე ლოყაზე კოცნის) დიუნუა, ჩემო ძვირფასო, თანამებრძოლო, შემომეშველე, თორემ ცრემლებმა ლამის დამაბრმავოს. შემადგმევინე ფეხი კიბეზე და მითხარ: - „აბა, მიდი, ჟანა !

დიუნუა. (ლამის თან გაიყოლოს) ეგ ცრემლები არაფერია. ახლა ქვემეხთა ცეცხლის ენებზე ვიფიქროთ.

ჟანა. (გულანთებული) აჰ!

დიუნუა. (თან მიჰყავს იგი) ღმერთი და წმიდა დენისი იყვნენ ჩვენი შემწე!

პაჟი. (ჭყვილით) ქალწული! ქალწული-მეთქი! ღმერთი და ქალწული იყვნენ ჩვენი შემწე! ვაშააა! (მიწიდან ამოაძრობს ფარ-შუბს და შლეგიანივით ხტუნვა-ხტუნვით დაედევნება მათ).

სურათი მეოთხე.

კარავი ინგლისელთა ბანაკში. მსხვილკისრიანი ინგლისელი კაპელანი ზის დაბალ სკამზე მაგიდასთან და მონდომებით წერს. მაგიდის მეორე მხარეს 46 წელს მიტანებული, წარმოსადეგი ინგლისელი დუდებული, ჩამჯდარია ლამაზ სავარძელში და ფურცლავს ფერად მინიატურებიან ჟამნს. დიდებული ერთობა: კაპელანი ებრძვის დაოკებულ ბოლმას. დიდებულის ხელმარცხნივ მოჩანს ტყავგადაკრული თავისუფალი სკამი. მაგიდა მის მარცხნივ დგას.

დიდებული. აი, მესმის ოსტატობა. ამქვეყნად არაფერია საუცხოო წიგნზე უფრო მშვენიერი, რომელიც ლამაზადაა ჩაწიკწიკებული შავი მდიდრული ასოებითა და კარგად არის დასურათებული, მაგრამ ახლა, ნაცვლად იმისა, რომ ათვალთქონეს ეს წიგნები, ხალხი მათ კითხულობს და წიგნებზე შეიძლება ისევე გაიზარდოს მოთხოვნილება, როგორც შებოლილ ხორცსა და ქატოზე.

კაპელანი. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ თქვენ არაფრად აგდებთ შექმნილ ვითარებას და გულს არ აკარებთ არაფერს.

დიდებული. (ქედმაღლურად) რაო, რა მოხდა?

კაპელანი. რაღა რა მოხდა, ბატონო, დაგვჯაბნეს ინგლისელები და ეგ არის.

დიდებული. რას იზამთ, ეგეც ხდება, ჩემო კარგო, მარტო ისტორიულ თხზულებებსა და ბალადებში როდი მარცხდება მტერი ყოველთვის.

კაპელანი. კი, მაგრამ, ზედიზედ რომ გვამარცხებენ? ჯერ იყო და ორლენთან ...

დიდებული. (ამრეზით) ოჰ, ორლენი!

კაპელანი. ვიცი, რის თქმასაც ინებებთ, მილორდ. ეგ ხომ პირწმინდა ჯადოქრობა და თვალთმაქცობა იყო. ჰო, მაგრამ, მაინც რომ გვასროლინებენ კუდიტ ქვას. ეს ჟარგო, მენი თუ ბოჟანსიც ხომ ორლენივით გამოგვეცალა ხელიდან. ახლა პატესთან გაგვავლეს მუსრი და თვიტ სერ ჯონ ტალბოტიც ტყვედ იგდეს (ლამის ტირილით). მაწუხებს ეს ამბავი, მილორდ, სწორედ რომ დიდად მაწუხებს. აბა, რა გული გამიძლებს, როცა ვხედავ ერთი მუჭა გადამთიელები რა დღეს აყრიან ჩემს თანამოძმეთ.

შემოდის კომონი, სამოციოდე წლისა, პაჟი გადის. ორთავე ინგლისელი წამოდგება.

დიდებული. (გადაჭარბებული თავაზიანობით) ძვირფასო ეპისკოპოსო, რაოდენ დიდი სიკეთეა თქვენგან, რომ კეთილ ინებეთ და მობრძანდით! ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: რიჩარდ დე ბიჩემი, ვარვიკის გრაფი, მიგულეთ თქვენს მსახურად.

კომონი. თქვენი ულორდესობის განთქმული სახელი ჩემთვის კარგად არის ცნობილი.

ვარვიკი. ეს ღირსეული სასულიერო პირი კი ბატონი ჯონ დე სტოგამბერი გახლავთ.

კაპელანი. (ბეჯითად) ჯონ ბაურ სპენსერ ნევილ დე სტოგამბერი, მზად გახლავართ გემსახუროთ, მილორდ, ბაკალავრი თეოლოგიისა და მისი უსამღვდელოესობის კარდინალ ვინჩესტერის პირადი ბეჭდის მცველი.

ვარვიკი. (კომონს) თქვენ მას, ვგონებ, ინგლისის კარდინალს უწოდებთ, თუ არ ვცდები. ჩვენი მეფის ბიძა გახლავთ.

კომონი. მესირ ჯონ დე სტოგამბერ! მე ყოველთვის საუკეთესო მეგობარი ვიყავი, მისი უსამღვდელოესობისა (ხელს გაუწვდის კაპელანს, რომელიც მის ბეჭედს ეამბორობა).

ვარვიკი. დამდეთ პატივი და დაბრძანდით, თუ შეიძლება (ვარვიკი თავის სავარძელს უდგამს მაგიდის თავში).

კომონი საპატიო ადგილს დარბაისლური თავის დახრით ღებულობს. ვარვიკს ტყავგადაკრული სკამი მოაქვს დაუდევრად და ჯდება თავის ადრინდელ ადგილზე, კაპელანი თავის სკამს უბრუნდება.

თუმცა ვარვიკი მეორე ადგილს იკავებს ეპისკოპოსისადმი პატივისცემის ნიშნად, ის მაინც თავად საქმიანად საუბრობს. მისი ხმა კვლავ გულითადად ჟღერს, მაგრამ კილოზე უკვე ეტყობა, რომ პირდაპირ საქმეზე გადადის.

ვარვიკი. რა გითხრათ, ბატონო ეპისკოპოსო, რაც მართალია, მართალია, მაინცა და მაინც დალხინებულნი ვერ გხვდებით ამჟამად. შარლი რეიმსში გვირგვინის დადგმას აპირებს და თანაც იმ ლოტარინგიელი ყმაწვილი ქალის ხელით; და-სიმართლე უნდა მოგახსენოთ, და ვერც მტლედ დავედები თქვენს სასოებას-ჩვენ ამას წინ ვერ აღვუდგებით. მე ისიც მგონია, რომ ეს ამბავი შარლის მდგომარეობას დიდ სიმტკიცეს შესძენს.

კომონი. რა თქმა უნდა. ეს მაგ ქალწულის ძალზე მარჯვე სვლა გახლავთ.

კაპელანი. (ისევ აბორგებული) ჩვენ ვაჟკაცური შეტაკებით არ დავუძლევით, მილორდ. ჯერ არც ერთი ინგლისელი არ დამარცხებულა ვაჟკაცურ ბრძოლაში.

კომონი კვლავ აწვიპავს წარბებს და მერე ისევ დაიბრუნებს თავის ჩვეულებრივ გამომეტყველებას.

ვარვიკი. ჩვენს მეგობარს გამჯდარი აქვს აზრი, რომ ყმაწვილი ქალი კუდიანიაო. თუ ეგ აგრეა, მაშინ თქვენი ღირსეული უსამღვდელოესობის მოვალეობა იქნებოდა მისი ინკვიზიციისათვის გადაცემა და მკრეხელობისათვის კოცონზე დაწვა.

კოშონი. ჩემს ეპარქიაში თუ დაატყვევეს, დიახაც.

ვარვიკი. (გრძნობს, რომ საუბარი მისთვის ხელსაყრელ ხასიათს იღებს) სწორედ, სწორედ. ახლა, თუ მკითხავთ, საექვოც აღარაფერია, რომ იგი მართლაც ჯადოქარია.

კაპელანი. რაღა კითხვა უნდა, აშკარა ჯადოქარია.

ვარვიკი. (რბილად აირიდებს მის სიტყვას) ჩვენ ეპისკოპოსს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა, მესირ ჯონ.

კოშონი. ჩვენ აქ მარტო ჩვენი საკუთარი აზრი როდი გვაქვს გასათვალისწინებელი, არამედ ფრანგთა სამსჯავროს თვალსაზრისიც თუ გნებავთ, მისი ცრურწმენებიც.

ვარვიკი. (შეუსწორებს) კათოლიკური სამსჯავროსი, ბატონო ჩემო.

კოშონი. კათოლიკურ სამსჯავროსაც ისევე, როგორც სხვა სამსჯავროებს, მოკვდავი ადამიანები შეადგენენ, რაოდენ წმინდაც არ უნდა იყოს მათი მოვალეობა და ზემთაგონება. და თუ ეს ადამიანები ფრანგები იქნებიან, როგორც მათ ახლა უწოდებენ, ვაითუ მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ ინგლისელთა ლაშქარი ძლეულ იქნა ფრანგებისაგან, ვერ დაარწმუნოს ისინი, რომ ამ ამბავში რაღაც ჯადოქროქრობასა აქვს ადგილი.

კაპელანი. რაო! ვერც იმან, რომ თვით სახელგანთქმულმა სერ ჯონ ტალბოტმა განიცადა დამარცხება და ტყვედაც კი ჩაუვარდა ხელში ლოტარინგიულ წუმპედან ამოთრეულ, ხელიდან წასულ გომბიოს?

კოშონი. ყველამ ვიცით, რომ სერ ჯონ ტალბოტი მრისხანე და უშიშარი მეომარია, მესირ; მაგრამ, ნეტავ ასეთივე ნიჭიერი სარდალიც იყოს. და თუმცა კი ამტკიცებთ, რომ ამ გოგუცუნამ აგემა დამარცხება, ზოგი ჩვენგანი მაინც ვარაუდობს, რომ ამ საქმეში ცოტაოდენი წვლილი დიუნუასაც მიუძღვის.

კაპელანი. (ამრეზით) ორლენელ ნაბიჭვარს!

კოშონი. ნება მომეცით, შეგახსენოთ...

ვარვიკი. (სიტყვას ჩამოართმევს) ვიცი, რის თქმასაც აპირებთ, ბატონო ჩემო. დიუნუამ მე მონტარჟისთან დამამარცხა.

კოშონი. (თავს დაუკრავს) ეგ მე იმის დასტურად მიმაჩნია, რომ სენიორ დიუნუა მართლაც ფრიად შესანიშნავი მხედართმთავარი გახლავთ.

ვარვიკი. თქვენი უსამღვდელოესობა თავაზიანობის განსახიერება ბრძანდება. მე კი, ჩემდა თავად, მიმაჩნია, რომ ტალბოტი ბრძოლის ჟინმორეული პირუტყვი უფროა და ახია კიდევ მასზე, პატესთან ტყვეობაში რომ ამოჰყო თავი.

კაპელანი. (გაცოფებული) ბატონო ჩემო, ორღეანთან ამ დედაკაცს ყელი ინგლისური ისრით განუგმირეს, და იმის მნახველებიც მოიძევებიან, თუ როგორ ტიროდა ბავშვივით ტკივილისაგან. ეს სასიკვდილო ჭრილობა გახლდათ, მთელი დღე მაინც ბრძოლაში გაატარა, და როდესაც ჩვენმა ვაჟკაცებმა ყველა მისი შემოტევა უკუაგდეს, როგორც ეს ჭეშმარიტ ინგლისელთ შეჰფერით, იგი მარტო მოადგა ჩვენი ციხე-სიმაგრის კედელს და ხელთ მხოლოდ თეთრი ალამი ეპყრა; ჩვენს მეომრებს ხელები მოუდუნდათ, აღარც სროლა შეეძლოთ და აღარც ხმლის ხმარება მაშინ, როდესაც ფრანგები თავს დაესხნენ მათ და დაირეკეს ხიდისკენ, რომელიც უმაღლეს ცეცხლის ალში გაეხვია, ჩაინგრა და ყველანი თან ჩაიყოლა მდინარეში, სადაც ისინი წყალმა დაახრჩო ერთიანად. აი, ეს იყო თქვენი ნაბიჭვრის სარდლობა, თქვენ რომ ბასტარდად ნათლავთ? ეგებ ის ალი ჯოჯოხეთის ალი უფრო იყო, იმ კუდიანის ჯადოქრობით აგიზგიზებული?

ვარვიკი. შეუძნდეთ მესირ ჯონს ეს სიფიცხე, მილორდ. მან ხომ საქმის ვითარება მოგახსენათ. დიუნუა; რა თქმა უნდა, თვალსაჩინო სარდალია, მაგრამ რატომ ვერაფერი გააწყო იმ ჯადოქრის მოსვლამდე?

კოშონი. მე როდი ვამბობ, თითქოსმის მხარეზე არ ყოფილიყვნენ ზებუნებრივი ძალები. მაგრამ იმ თეთრ ალამზე წარწერილი სახელები არ ყოფილა სატანისა და ბელზებელის სახელები, არამედ ჩვენი უფლისა და წმიდა ღვთისმშობლის სახელები გახლდათ, და თქვენი მეთაური, რომელიც დაიხრჩო-გლას დე, ასე ეძახით, ვგონებ...

ვარვიკი. გლასდეილი, სერ უილიამ გლასდეილი.

კოშონი. გლას-დეილი, გმადლობთ. ის ხომ წმიდანი არ იყო და ბევრი ჩვენთაგანი ფიქრობს, იმიტომ დაიხრჩო, რომ ქალწულს ღვთისმგმობელი სიტყვებით მიმართავდა.

ვარვიკი. (ეჭვის თვალით იყურება) მერედა, რა დასკვნა გნებავთ გავაკეთოთ მანდედან, ბატონო ჩემო? იქნებ ქალწულმა თქვენც მოგაქციათ?

კოშონი. ეგ რომ აგრე ყოფილიყო, მილორდ, მაშინ ასე ადვილად თავს არ შემოგატყუებინებდით ხაფანგში და ხელში არ ჩაგივარდებოდით.

ვარვიკი. (ხელებს გაასავსავებს) აჰ, რას ბრძანებთ ბატონო ჩემო! როგორ გეკადრებათ!

კოშონი. თუ ავუ სული ამ გოგოს იყენებს, და მე დარწმუნებული გახლავართ, რომ ასეც არის.

ვარვიკი. (დამშვიდებული) ააჰ, გესმით, მესირ ჯონ? ვიცოდი, თქვენი უსამღვდელოესობა იმედს არ გაგვიმტყუნებდა. მომიტევეთ, სიტყვა შეგაწყვეტინეთ, განაგრძეთ, გეთაყვა.

კოშონი. თუ ეს ასეა, ეშმაკი უფრო შორს იყურება, ვიდრე თქვენ გგონიათ.

ვარვიკი. მართლა? მაინც საით? უსმინეთ, სერ ჯონ.

კომონი. თუ ეშმაკს ამ სოფლელი გოგოს წაწყმედა სურდა, ნუთუ გგონიათ, ასეთი იოლი მიზნის მისაღწევად მას ექვსჯერ მაინც უნდა გაემარჯვებინებინა ქალწულისათვის? არა, ჩემო ბატონო, ნებისმიერი მატრაბაზი ჭინკაც კი მოახერხებდა მაგას, თუკი იმ გოგოს წაწყმედა საერთოდ შესაძლებელია. ბნელეთის მოციქულს დიდად არ ეპიტნავება მსგავსი იაფფასიანი ხრიკი. მისი შოლტი ყოველთვის ხვდება კათოლიკეთა ეკლესიას, რომელის საუფლო მთელ სულიერ სამყაროს მოიცავს. თუ ვინმეს წაწყმედას უპირებს, მთელ კაცთა მოდგმას უტევს. ამ საშინელ ზრახვებს ეკლესია ყოველთვის დარაჯად უდგას. მე კი, ამ ეშმაკური ზრახვის ერთ-ერთი იარაღი ის გოგო მგონია. მას აქვს შთაგონება, მაგრამ ეს შთაგონება სატანისეულია.

კაპელანი. აკი გითხარით, ჯადოქარია - მეთქი.

კომონი. (მკაცრად) ჯადოქარი არ გახლავთ. მწვალელებელია.

კაპელანი. რა განსხვავებაა?

კომონი. თქვენ, ხუცესი, მისვამთ მაგ შეკითხვას? თქვენ, ინგლისელებს, საოცრად ბლაგვი გონება გაქვთ. ყველაფერი, რასაც ჯადოქრობად ნათლავთ, ბუნებრივად შეიძლება აიხსნას. ამ დედაკაცის სასწაულების ანკესზე არავინ წამოეგებოდა. მას ხომ თავადვე არ მიაჩნია თავისი ნამოქმედარი სასწაულად. განა სხვას რას ამტკიცებს მის მიერ მოპოვებული გამარჯვებები, გარდა იმისა, რომ მხრებზე უფრო საღად მოაზროვნე გოგრა აზია, ვიდრე თქვენ ენაბილწ გლას-დელისსა თუ თუ ფეთიანი ხარივით ტალბოტს, და რომ რწმენის სიმტკიცე, თუნდ ეს რწმენა ყალბიც იყოს, ყოველთვის დასჯაბნის რისხვას.

კაპელანი. (ეს რა მეყურება) მაშ, თქვენი უსამღვდელოესობა სერ ჯონ თალბოტს, ირლანდიის სამგზის გამგებელს, ფეთიან ხარს ადარებს?!

ვარვიკი. ეს, ალბათ, თქვენის მხრით არ იქნებოდა მართებული, მესირ ჯონ, ვინაიდან მთელი ექვსი ხარისხითა ხართ დაშორებული ბარონის ტიტულისაგან, მაგრამ მე, რაკი გრაფი გახლავართ, და ტალბოტი კი მხოლოდ რაინდთა წოდებას ეკუთვნის, უფლება მაქვს თავს ნება მივცე დავყაბულდე ამ შედარებას. (ეპისკოპოსს) ბატონო ჩემო, რაც შეეხება ჯადოქრობას, ახლა მასზე საუბარი არ მსურს. მიუხედავად ამისა, ის ქალი უნდა კოცონზე დავწვათ.

კომონი. მე მას ვერ დავწვავ. ეკლესიას არ ძალუძს სიცოცხლის ხელყოფა. და ჩემი უპირველესი მოვალეობაა, შევეცადო იმ გოგოს გადარჩენას.

ვარვიკი. რა თქმა უნდა. მაგრამ ზოგჯერ მაინც ხომ წვავთ ხოლმე ვიღაც ვიღაცეებს.

კომონი. არა. როდესაც ეკლესია მოიკვეთს რომელიმე გაკერპებულ მწვალეებელს, ვითარცა ხის მკვდარ, გამხმარ ტოტს,

მწვალელებელი გადაეცემა საერო სამსჯავროს, ეკლესიას კი აღარაფერი ესაქმება ყოველივე იმასთან, რასაც საერო სამსჯავრო მიიჩნევს მართებულად.

ვარვიკი. ჭეშმარიტებას ბრძანებთ. მა საქმეში მე ვიქნები საერო მსჯავრის გამომტანი. კაი, ბატონო, გადმოგვეცით თქვენი გამხმარი ტოტი, და თავად ვიზრუნებ იმისათვის, რომ უმაღლეს ცეცხლს შევუკეთო იგი. თუ თქვენ ეკლესიის გასაკეთებელ საქმეს მოგიგვარებთ, საერო მსჯავრი გამოტანას მე მოვუვლი.

კომონი. (დაოკებული წყრომით) მე ვერაფერსაც მოგიგვარებთ. თქვენ, დიდკაცობას, თვალი სულ იმაზე გიჭირავთ, ეკლესია როგორმე თქვენს პოლიტიკურ ახირებას ანაცვალოთ.

ვარვიკი. (ღიმილით და შემრიგებლური გამომეტყველებით) ოღონდ, ინგლისში არა, დამერწმუნეთ.

კომონი. ინგლისში უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან. არა, მილორდ, ამ სოფელს გოგონას სულს მამაზეციერის ტახტის წინაშე იგივე ფასი ადევს, რაც თქვენსას ან თქვენი მეფისას; ჩემი უპირველესი მოვალეობა კი მისი ხსნაა. არ.

მოვითმენ ჩემს სიტყვებზე თქვენი ულორდესობის ქილიკს, თითქოს უაზროდ ვიმეორებდე ცარიელ სიტყვებს და სინამდვილეში თითქოს იმ გოგოს მოტყუებით ჩაგიგდებთ ხელში. მე უბრალოდ ოდ პოლიტიკას ადევნებული სასულიერო პირი როდი ვარ. ჩემი რწმენა ჩემთვის იგივეს ნიშნავს, რასაც თქვენი ღირსება თქვენთვის; და თუ სადმე თავდასამკრერი გამოჩნდა რამე, საიდანაც ამ ღვთისშვილს თავის დაღწევა შეეძლება, თავად წაუძღვები იმ ადგილთან.

დდდდდ კაპელანი. (წამოხტება გახელებული) თქვენ მოღალატე ხართ!

კომონი კომონი. (ფეხზე წამოიჭრება) სტყუი, ხუცესო. (რისხვით ანთებული) თუ შენ იმასვე გაბედავ, რაც ამ ქალმა მოიმოქმედა და შენს ქვეყანას წმინდა კათოლიკურ ეკლესიაზე მალა დააყენებ მასთან ერთად შენც აბრძანდები კოცონზე.

კაპელანი. ბატონო ჩემო! - მე - მე. მეტი მომივიდა. მე - (ჯდება მორჩილი იერით).

ვარვიკი. (წამოდგება შეცბუნებული) ბატონო ჩემო! ბოდიშს გიხდით იმ სიტყვის გამო, მესირ ჯონ დე სტოგამბერს რომ დასცდა. ეს სიტყვა ინგლისში იმასვე როდი ნიშნავს, რა მნიშვნელობითაც მას საფრანგეთში ხმარობენ. თქვენს ენაზე მოღალატე ნიშნავს გამცემს, მუხანათს, ფიცის გამტეხს, გაუტანელს, ორგულს. ჩვენთან კი ასე უწოდებენ კაცს, რომელიც მთელი არსებით მხარს არ უჭერს ინგლისის მისწრაფებებს.

კომონი. (მაპატიეთ, ეგ არ ვიცოდი (ღირსეული სახით ჩაეშვება სავარძელში)).

ვარვიკი. (კვლავ თავის ადგილს მიუბრუნდება დაშოშმინებული) მეც, ჩემდათავად, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, თუ ზერელე დამოკიდებულება გამოვხატე საბრალო გოგოს დასჯისადმი. მაგრამ, როდესაც საკუთარი თვალით ხედავთ ცეცხლში გახვეულ სოფლებს, რაც ომიანობის დროს არად ჩასაგდებ წვრილმანად მიგვაჩნია, რა თქმა უნდა, თანაგრძნობის უნარი თანდათან უნდა ჩაიხშო, თორემ შეიძლება ჭკუიდან შეიშალო, ყოველ შემთხვევაში, მე შევიშლებოდი. შემიძლია ვიფიქრო, რომ თქვენი უსამღვდელოესობაც, რაკი დროდადრო მომსწრეა თუ როგორ იწვის ამდენი

მწვალელებელი კოცონზე, იძულებულია შეეგუოს ასეთ სანახაობას, რაც სხვაფრივ თავზარდამცემი სანახაობა იქნებოდა.

კომონი. დიახ, ეგ დიდი ტანჯვის მომგვრელი რამ გახლავთ. თქვენი არ იყოს, თავზარდამცემი კი. მაგრამ მწვალობლობისსაშინელებასთან შედარებით ეგ რა მოსატანია. მე მაგ გოგოს სხეული არ მადარდებს, რომლის ტანჯვა მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანს, და ბოლოს მტანჯველი სიკვდილის მსხერპლი გახდება. მე მისი სული უფრო მადარდებს, რომელიც შეიძლება უკუნითი უკუნისამდე იტანჯებოდეს.

ვარვიკი. ეგ მართალია. ღმერთმა ქნას, რომ მისი სული ცხონდეს! მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, როგორ ვიხსნათ მისი სული ისე, რომ სხეული დაისაჯოს. არადა, ამას ვერსად გავექცევით, ბატონო ჩემო! თუ ქალწულის აღზევებას ბოლო არ მოვუღებთ, წასულია ჩვენი საქმე.

კაპელანი. მხოლოდ ეს მინდა გითხრათ: იქნებ ვცდები კიდევ, მაგრამ ის გოგო სიცრუით არის სავსე: თავი ღვთისმოსაობით მოაქვს, მის ლოცვა-ვედრებასა და აღსარებებს ბოლო არ უჩანს. როგორ უნდა დასძალოთ მას მწვალელობა, თუკი ყველა იმ წეს-ჩვეულებას იცავს, რაც ეკლესიის ერთგულ ასულს მოეთხოვება?

კომორი. (წამოპილპილდება) ეკლესიის ერთგულ ასულს! თვით რომის პაპიც კი, რა ზვიადობაც არ უნდა გამოიჩინოს, ვერ გაბედავს იმას, რასაც ეს ქალი ბედავს. იგი ისე იქცევა, თითქოს თავად იყოს ეკლესია. შარლს მან უბოძა ღვთის დანაბარები, ეკლესია კი განზე დატოვა. იგი რეიმისის ტაძარში აპირებს შარლისათვის გვირგვინის დადგმას. იგი-მეთქი, და არა ეკლესია! თავად უგზავნის ბარათებს ინგლისის მეფეს, აქაოდა, ღმერთი ჩემის მეოხებით გიბრძანებთ, დაბრუნდეთ თქვენს კუნძულზე, თორემ ღვთის რისხვა არ აგცდებათო და თავი უფლის შურისგების აღმასრულებლად მიაჩნია. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ასეთი წერილების წერა ჩვევად ჰქონდა დაწყვეტილ მაჰმადს, ანტიქრისტეს. ან უხსენებია კი თავის გამოსვლებში თუნდ ერთი სიტყვით ეკლესია? არასოდეს. მარტო ღმერთი და თავისი თავი ახსოვს მუდამ.

ვარვიკი. განა რას ელით მისგან? მათხოვარი ტაიჭზე შეჯდა და თავში აუვარდა.

კომონი. მერედა, ვინ მიიყვანა მაგ დღემდე?/// სატანამ. ახლა ნახეთ, რა შორს უმიზნებს. ამ მკვრეხელობას ყველგან ავრცელებს. ვიღაც ჰუსმა, რომელიც სულ რაღაც ცამეტი წელია, რაც კოცონზე დასწვეს კონსტანცაში, მთევ ბოჰემიას მოსდო ეს სენი. ერთმა კი, ვიკლიფი რომ ერქვა, ამ ჭირითმთელი ინგლისი მოწამლა, არადა ხელდასხმული მღვდელი გახლდათ. თქვენ კი, თქვენადა სამარცხვინოდ, საშუალება მიეცით თავის სარეცელში გარდაცვლილიყო. ჩვენ აქ, საფრანგეთშიც მოგვეძევა მსგავსი ხალხი. ვიცნობ მაგათ ჯიშს. კიბოს სნებასავით არის. თუ არ ამოკვეთე, არ ამოძირკვე, არ ამოსწვი, არ გაჩერდება, ვიდრე საზოგადოების მთელ გვამს არ მოედება, არ დაშლის და არ გაათიანებს. ამ სენით იყო, რომ ვიღაცარაბმა აქლემების მეჯოგემ ქრისტე და მისი საყდარი იერუსალიმიდან გამოაძევა, და მტაცებელი ნადირივით შეუტია დასავლეთს, თან გზადაგზა ყველაფერს სპობდა და აოხრებდა, ვიდრე პირენეის მთები და ღვთის წყალობა წინ არ აღუდგა და ამრიგად არ იხსნეს საფრანგეთი საუკუნო შეჩვენებისგან. მაინც რას სჩადიოდა ის აქლემების მეჯოგე ამ ჩვენს მწყემს გოგოზე მეტს? გაბრიელ ანგელოზის ხმა ესმოდა. ამას კი სულ წმინდა ეკატერინესი, წმინდა მარგარიტასი და

კურთხეული მიქაელის ხმები ესმის ერთთავად. იმ მეჯოგემ თავი მამაზეციერის მაცნედ გამოაცხადა და მისი სახელით შეთხზული წერილებითა და ეპისტოლეებით შეუჩნდა მეფეთა ამა ქვეყნისათა. ამ ქალის ბარათები, დღე არ გავა, რომ სადმე არ გამოტყვრეს. ახლა თურმე ღვთისმშობელს კი აღარ უნდა ვევედროთ მფარველობისათვის, არამედ ქალწულ ჟანას. ჰოდა, რას დაემგვანება ქვეყნიერება, თუ ერთად შენივთებული სიბრძნე, ცოდნა და გამოცდილება ეკლესიისა, სწავლულთა, ღირსეულ, ღვთისმოსავ ადამიანთა საკრებულონი სადმე წუმპეში მოისროლოს რომელიმე უვიცმა გლეხუჭამ ან ნახირს ადევნებულმა ცინგლიანმა მერძევე გოგომ, რომლისთვისაც ეშმაკს ჩაუსმენია ეს საშინელი კადნიერება, თითქოსდა იგი ზეციდან იყოს შტაგონებული? ქვეყანა სისხლით დაიტბორება, გამძვინვარდება და გაპარტახდება, ყოველი ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვისღა თუ გამოიღებსხელს, დაბოლოს ისევ ბარბაროსულ სამყაროდ გადაიქცევა. ახლა თქვენ მხოლოდ მაჰმადი და მისგან გადაბირებულნი გიდგანან წინ და მათ, აქ, ქალწულისგან გაბრიყვებულნიც დაემატნენ; მაგრამ, მაშინ რა იქნება, როცა ყოველ ლაწირაკ გოგოს თავი იოანა ეგონება და ყოველ მუტრუკს კიდევ მაჰმადი? მთელი ტანი მიცახცახებს, როდესაც ამაზე ვფიქრობ. მთელი ჩემი დღე და მოსწრება ამას ვებრძოდი და ვიბრძოლებ კიდევ კუბოს კარამდე. დაე, ამ ქალწულს ეპატოს ყველა შეცდომა, გარდა ამ ერთადერთი ცოდვისა; რამეთუ ეს არის ცოდვა, ჩადენილი თვით სული წმინდის წინააღმდეგ, დაუკეთუ არ შეინანებს თავის ფეხთა მტკვერში ქვეყნიერების წინაშე და თავისი სულის უმცირესი ნაწილაკითაც კი არ მინებდება ეკლესიას, მაშინვე მის თავს ცეცხლს შტავანთქმევიანებ, როგორც კი ხელში ჩამივარდება.

ვარვიკი. (გულის გარეთ) გასაგებია, რომ მეტისმეტად ახლოს მიგაქვთ გულთან ეგ ამბავი.

კაშონი. თქვენ კი არა?

ვარვიკი. მე ჯარისკაცი გახლავართ და არა ხუცესი. ჩემი მომლოცველობის ჟამს მინახავს მაჰმადიანული წეს - ჩვეულებანი. ისინი არც თუ ისე ურიგოთ არიან აღზრდილნი, როგორც მარწმუნებდნენ. ზოგიერთ საკითხში კი ჩვენზე უკეთესადაც ისჯებოდნენ.

კოშონი. (უკმაყოფილოდ) მე ადრეც შემიმჩნევია, წავა ხალხი აღმოსავლეთში, ურწმუნოთა მოსარჯულებლად, და ჯვაროსნებად წასულნი უკან თითქმის სარკინოზებად გვიბრუნდებიან.

კაპელანი. მილორდ, გეყურებათ? (ბარვიკს ეაჯება) ინგ;ისელებს წყალებლობას გვაწამებენ!!! და ეს უნდა ავიტანოთ? მისი უსამრვდელოესობა თავს ვეღარ ერევა. როგორ შეიძლება, მწავლებელი იყოს ის, რაც ინგლისელს სწამს. ან ამ ორი ცნების აღრვევა ვინ გაიგონა.

კოშონი. შემინდვიხართ, მესირ დე სტოგამბერ, რამეთუ ვერაფერი დაძლევს თქვენს უმცრებას. თქვენი ქვეყნოს ბურუსი ვერ წარმოშობს ჭეშმარიტ ღვთისმეტყველთ.

ვარვიკი. თქვენ მაგის თქმას არ ინებებდით, ბატონო ჩემო, ჩვენი კამათი რომ მოგესმინათ რწმენის თაობაზე! სამწუხაროდ თქვენ გჯერათ, რომ მე ან მწვალებელი

უნდა ვიყო, ან რეგენი, რაკი მე, ნამოგზაურებმა კაცმა, ვიცი რაოდენ დიდ პატივს მიაგებენ მაჰმადის მიმდევარნი ჩვენს მეუფეს. უფრო მზადაც გახლავან მიუტევონ წმინდა პეტრეს მეთევზედ ყოფნა, ვიდრე თქვენს უსამრვდელოესობას განუზრახავს შეუნდოს მაჰმადს მეჯოგეობა. მაგრამ, ჩვენ ბრმა აღტკინების გარეშეც შეგვიძლია მივხედოთ საქმეს.

კოშონი. როდესაც ქრისტიანული ეკლესიის თავგამოდებას ფანატიზმს უწოდებენ, მე აღარ ვიცი, რა ვთქვა.

ვარვიკი. ეს შეხედულებანი მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთის შეხედულებანია ერთსა და იმავე საკითხზე.

კოშონი. (გესლიანად) მხოლოდ აღმოსავლური და დასავლური? მხოლოდ!!

ვარვილი. ო, უფალო ეპისკოპოსო, მე თქვენ არ გეპაქრებით. ღქვენ ეკლესიისათვის გამოიდებთ თავს და ბევრსაც მიიმხრობთ, მაგრამ დიდგვაროვანნიც ხომ მხარში უნდა გედგნენ. როგორც მგონია, ქალწულის ბრალი გაცილებით მძიმეა, ვიდრე ის, რაც თქვენ ასე გულდაგულ წარმოგვიდგინეთ. გულახდილად რომ გითხრათ, მე ამ გოგოს მეორე მაჰმადად გახდომა სულაც არ მაშინებს და, მით უმეტეს, მისი ეკლესიაზე მაღლა დგომა თავისი მკვრეხელობით. მე მგონი თქვენ მეტისმეტი მოგდით. მაგრამ ის თუ შენიშნეთ, რომ თავის მიმართებებში იგი ევროპის ყველა მეფეს ურჩევს ისევე, როგორც შარლს უკვე ჩააგონა, გამონახონ ერთმანეთში საერთო ენა, რაც მთელი საქრისტიანოს საზოგადოებრივ წყობას თავზე დაგვამხობს.

კოშონი. მოგვიშლის ეკლესიას, მილორად. აკი გითხარით.

ვარვიკი. (მოთმინება ელევა) ბატონო ჩემო, მცირე ხნით მაინც გამოიგდეთ თავიდან ეგ თქვენი ეკლესია. და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამქვეყნად არსებობს საერო დაწესებულებანიც ისევე, როგორც სასულიერონი. თავადაზნაურობა წარმოვადგენთ ფეოდალურ არისტოკრატიას, როგორც თქვენ ეკლესიას. ხვდებით, სად გვიმიზნებს ამ გოგოს განაზრახი?

კოშონი. განა მარტო თქვენ? ჩვენ ყველას, და ეკლესიისათვის ძირის გამოთხრით გვემუქრება.

ვარვიკი. მისი აზრით, მეფეებმა თავიანთი სამეფოები უფაღს უნდა გადააბარონ და მერე მართონ ვითარცა ღვთისმძიერმა გამგებლებმა.

კოშონი. (უხალისოდ) სავსებით საღი აზრია ღვთისმეტყველთა გაგებით, მილორდ. მეფეები კი არას დაგიდევენ, ოღონდ იმეფონ. ეგ სრულიად განყენებული აზრია. ერთად თავმოყრილი უაზრო სიტყვები და მეტი არაფერი.

ვარვიკი. რა მოგახსენოთ. ეგ დიდი ეშმაკური ფანდია, რათა თავზე დაასხდნენ არისტოკრატიას და მეფე გაგვიხადონ ერთადერთ და აბსოლოტურ ბატონ - პატრონად. ნაცვლად იმისა, რომ იყოს პირველი თანასწორთა შორის, როგორც არის კიდეც, ის იქნება ყველას მბრძანებელი. ჩვენ კი მაგის მომმთმენნი არ გახლავართ. არავის გავიხდით ბატონად. ქალაღღაღ, დე, ეწეროს, რომ ჩვენი მიწები და ჩვენი წოდებები

მეფის ნაბობდვარია, რაკი ადამიანთა საზოგადოების თაღს საყრდენად უნდა ედგას რაიმე ქვაკუთხედი. მაგრამ ჩვენი მიწები საკუთარი ხელით გვიპყრია და მათ ჩვენი ხმლით და ჩვენი ქვეშევრდომების იარაღით ვიცავთ. იმ ქალწულის ნაქადაგარის მიხედვით კი მეფე წაიღებს ჩვენს მიწებს, ჩვენს მიწებს მეთქი! - და მიუძღვნის უფალს; ღმერთი კი მთლიანად მეფეებს გადაულოცავს ამ მიწა-წყალს.

კოშონი. და ეგ აგრე რიგად გაშინებთ? განა თქვენი გავლენის ქვეშ არ არიან მეფენი იორკისა და ლანკასტერისა ინგლისში, ლანკასტერისა და ვალუასი საფრანგეთში. ისინი ქვეყანას ხომ თქვენი ნება-სურვილისამებრ მართავენ.

ვარვიკი. დიახაც, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე ხალხი თავიანთ ფეოდალ მეზატონეთ გაპყვებიან, მეფე კი მოხეტიალე თოჯინად ეყოლებათ მიჩნეული, რომელსაც არაფერი ეკუთვნის, გარდა შარაგზებისა, რაც ისედაც საყოველთაო საკუთრებას წარმოადგენს. და თუ ხალხის ფიქრები და გულისთქმა მეფეს დაუწყებს ლოლიაობას, და მეზატონეები მხოლოდ მეფისმსახურებად გადაიქცევიან მათ თვალში, მეფეები ერთიმეორის მიყოლებით გადაგვიტვრევენ ხერხემალს. რაღანი ვიქნებით მაშინ, ვივლით მათ დარბაზებში სამეფო ლივრეებით შემოსილ კარისკაცებად.

კოშონი. მაინც არაფერი გჭირთ სამაგისო, მილორდ. ზოგი მეფედ იზადება, ზოგი კი სახელმწიფო მოღვაწედ. იშვიათად თუ იქნება ვინმე ერთიცა და მეორეც. მაშ, სადღა მოძებნის მეფე მრჩევლებს თავისი პოლიტიკის დამგეგმავად და აღმასრულებლად?

ვარვიკი. (არცთუ თავაზიანი ღიმილით) იქნებ ეკლესიის წიაღში, მამაო?

კოშონი. (ასეთივე დამჟავებული სახით მხრებს იჩეჩავს და საწინააღმდეგოს არას ამბობს).

ვარვიკი. ჩამოჰყარეთ ბარონები და კარდინალები და თავისებურად დაატრიალებენ ყველაფერს.

კოშონი. ბატონო ჩემო, ჩვენ ქალწულს ვერ მოვერევით, თუ ასე მოვყვებით ერთმანეთში კინკლაობას. კარგად ვიცი, რომ ქვეყნად ბოგინობს ძალაუფლებისადმი ლტოლვა. და ვიდრე ეს არსებობს, იქნება ბრძოლა იმპერატორსა და რომის პაპს შორის, მთავრებსა და საპოლიტიკოდ ატეხილ კარდინალთა შორის, ბარონებსა და მეფეებს შორის. ეშმაკი გვთიშავს ერთმანეთისგან და მბრძანებლობს ჩვენზე. ვხედავ, რომ თქვენ არა ხართ ეკლესიის მოყვასთაგანი. თქვენ წმინდა წყლის გრაფი ბრძანდებით, მე კი ჭემმარიტი მღვდელი გახლავართ, მაგრამ, განა რა გვიშლის ხელს განზე მივაგდოთ ჩვენი ქიშპობა საერთო მტრის წინაშე?

ახლა კი ვხედავ, თქვენ ტვინს ის კი არ გიღრღნით, რომ იმ გოგოს ერთხელაც არ უხსენებია ეკლესია და მარტო ღმერთი და საკუთარი თავი აქვს ამოჩემებული, არამედ ის, რომ არასოდეს ახსენებს თქვენებრ დიდკაცობას და ერთთავად სულ მეფე და საკუთარი ტავი უტრიალებს ფიქრებში.

ვარვიკი. ოღონდაც. მის ამ ორ რწმენას ერთი და იგივე საფუძველი აქვს, და თანაც ძალზე ღრმა, ჩემო ბატონო. ე სარის ერთი პიროვნების სულის ამბოხი საკუთრივ ადამიანისა და მისი ღმერთის ურთიერთობაში მღვდლისა თუ მეზატონის ჩარევის

წინააღმდეგ და თუ ამას რაიმე სახელი შეიძლება დაერქვას, მე ამას პროტესტანტობას ვუწოდებ.

კომონი. (ჯიქურ შეამტერდება) თქვენ თურმე შესანიშნავად გაგეგებათ ეს მდგომარეობა, მილორდ. შემოაცალეთ ინგლისელს ჩენჩო და პროტესტანტი შეგრჩებათ ხელში.

ვარვიკი. (იშვიათი თავაზიანობით) მგონი, თქვენ საერო ხელისუფლებისადმი ქალწულის მკრეხელური დამოკიდებულების მიმართ თანაგრძნობას მოკლებული არ უნდა იყოთ.

კომონი. (ცდებით, მილორდ. მე არ თანავუგრძნობ მის პოლიტიკურ ხუნტრუსს. მაგრამ რაკი სასულიერო პირი გახლავართ, მდაბიო ხალხის გულისთქმა კარგადა მაქვს გათვითცნობიერებული. იქ ბევრ რამეს ნახავთ უფრო საშიშსა და საფრთხილოს. მე ეს შემძლია გამოვხატო მხოლოდ ისეთი სიტყვებით, როგორც არის საფრანგეთი-ფრანგებისათვის, ინგლისი-ინგლისელთათვის, იტალია-იტალიელებისათვის, ესპანეთი-ესპანელებისათვის და ასე შემდეგ. სოფლის მკვიდრთათვის ზოგჯერ ეს ისე ვიწრო და მწვავე სახეს ღებულობს, რომ გაოცებულიც კი ვარ, როგორ შესძლო ამ სოფელმა გომბიომ ისეთ სიმალლეზე ასვლა, რომ არ გაიძახეს სოფელი-სოფელებისათვისო. მაგრამ შეძლო ღია. ხომ ხედავთ, როდესაც იმუქრება ფრანგთა მიწა-წყლიდან ინგლისელების გარეკვით, ექვი არ შეგეპაროთ, გულისხმობს ყველა მხარეს, სადაც კი ფრანგულად მეტყველებენ. მისთვის ფრანგულად მოლაპარაკე ხალხი იგივეა, რაც საღმრთო წერილში ერად მოიხსენება. უწოდეთ მის ამ მკრეხელურ ახირებას ნაციონალიზმი, თუ გნებავთ. უკეთეს სახელს მე ვერ მოგიძებნით. მხოლოდ შემძლია გითხრათ, რომ ეს ყოველივე თავისი შინაარსით ანტიკათოლიკურია და ანტიქრისტიანული, რამეთუ კათოლიკური ეკლესია საუფლოა და ეს საუფლო ქრისტეს სასუფეველი გახლავთ. დაჰყავით ეს სასუფეველი ერებად და გამოაცლით კიდევ ტახტს ქრისტეს. გამოაცალეთ ტახტი ქრისტეს, და ვილა აგვარიდებს ყელზე მობჯენილ მახვილს? ქვეყნიერება დაინთქმება ომის ორომტრიალში.

ვარვიკი. კი. ბატონო. თუ თქვენ მას დასწვავთ, როგორც პროტესტანტს, მე მას დავწვავ, როგორც ნაციონალისტს, თუმცა, ბატონ ჯონს, აქ რომ ბრძანდება, ამ საქმეში ალბათ ვერ ავიყოლიებ. მისთვის ინგლისი ინგლისელთათვის უფრო სანუკვარია.

კაპელანი. რა თქმა უნდა, ინგლისს ინგლისელთათვის წყალი არ გუავა. დიახაც. ამას უბრალოდ ბუნება მოითხოვს. მაგრამ ეს დედაკაცი ინგლისს იმაზედაც უარს ეუბნება, რაც ინგლისმა კანონიერი ძალით დაიპყრო, რაც მას ღმერთმა უბოძა მისი განსაკუთრებული უნარისათვის, მართოს ნაკლებ ცივილიზებული ხალხები მათდა სასიკეთოდ. არ მესმის, რას გულისხმობენ თქვენი ულორდესობანი პროტესტანტიზმსა და ნაციონალიზმში. თქვენ ფრიად განსწავლულნი ბრძანდებით ჩემისთანა უბირი ბერისათვის. მაგრამ, ის კი კარგად ვიცი, ჩემი მდაბიო, სარი აზრი მკარნახობს, რომ ეგ ქალი შფოთისთავია, ჩემთვის ესეც საკმარისია. იგი უჯანყდება ბუნებას, როცა იცვამს მამაკაცის სამოსელს და საბრძოლველად გადის. იგი უჯანყდება ეკლესიას, როდესაც ცდილობს ღვთაებრივი უფლებამოსილება გამოსწიროს რმის პაპს. იგი უჯანყდება თვით მამაზეციერს, როდესაც შეჩვენებულ კავშირს ამყარებს

სატანასთან და მის ავსულებთან ჩვენი ლაშქრის საწინააღმდეგოდ და ყველა ეს აშლილობანი მხოლოდ საბაზია იმისა, რომ გაამართლონ ამბოხება თვით ინგლისის წინააღმდეგ. ამის მოთმენა კი დაუშვებელია. დე, დაილუპოს. დასწვით კოცონზე. ნუ წახდენინებთ მთელ სამწყსოს. მთელი ხალხის დალუპვას ერთი ქალის სიკვდილი სჯობს.

ვარვიკი. (წამოდგება) ბატონო ჩემო, ვგონებ მოვრიგდით.

კოშონი. (ისიც წამოდგება, მხოლოდ პროტესტის ნიშნად) მე სულს ვერ დავიმძიმებ. ვეცდები ხელი შევაშველო ეკლესიის მსჯავრს. ყველაფერს გავაკეთებ ამ ქალის დასახსნელად.

ვარვიკი. მეცოდება საბრალო გოგო. ვერ ვიტან მკაცრ ზომებს. რომ შემეძლოს, გადავარჩენდი.

კაპელანი. (დაუნდობლად) მე საკუთარი ხელით შევაგდებდი ცეცხლში.

კოშონი. (პირჯვარს გადასახავს) შანეტა შიმპლიციტას.

სურათი მეხუთე.

რეიმსის ტაძრის ეკვდერი, საცავის შეასვლელთან ერთ-ერთ სვეტზე ჯვარცმაა გამოსახული. ორგანის ხმაზე ხალხი გადის მეფედ კურთხევის ცერემონიის დამთავრებისთანავე. ჟანა ჯვარცმის წინ მუხლმოყრილი ლოცულობს. მას დიდებული მამაკაცური ტანსაცმელი აცვია. ორგანის ხმები წყდება, როდესაც ეკვდერში საცავიდან გამოდის მდიდრულად ჩაცმული დიუნუა.

დიუნუა. კმარა, ჟანა! გეყოფა ლოცვა გულამოსკვნილი მოთქმით. გაცივდები, თუ კიდევ შერჩები აქ. ყვრლაფერი დამთავრდა, ტაძარი დაცარიელდა, ქუჩები ხალხით გაიჭედა. ერთთავად გაჰყვირიან, ქალწული გვაჩვენეთო. ჩვენ ვუთხარით, რომ შენ აქ დარჩი, მარტო, სალოცავად, მაგრამ მათ სურთ ერთხელ კიდევ დაენახვო.

ჟანა. არა, დეე, მთელი ქება-დიდება მეფეს ხვდეს წილად.

დიუნუა. ის საცოდავი მარტო სანახაობას აფუჭებს. არა, ჟანა, გვირგვინი შენ დაადგი და შენვე უნდა გაართვა თავი ყველაფერს.

ჟანა. (უგულოდ გააქნევს თავს).

დიუნუა. (ფეხზე წამოაყენებს) წამო, წამო! ორიოდ საათში ყველაფერი მოთავდება. ორლენის ხიდზე ყოფნას ეს არ გვირჩევია?

ჟანა. ოჰ, ძვირფასო დიუნუა, ნეტავ ახლა ისევ ორლენის ხიდზე გამიყვანა. ნამდვილი სიცოცხლე იქ იყო, იმ ხიდზე.

დიუნუა. ჰო, და სიკვდილიც. ზოგი ჩვენთაგანისთვის.

ჟანა. განა უცნაური არ არის, ჟაკ, მე ასეთი მშიშარა, ბრძოლის დაწყებამდე ლამის გავთავდე შიშისაგან, მაგრამ მერე, როცა აღარაფერი გვემუქრება, ისე მოსაწყენი ხდება ყველაფერი, ყველაფერი! ყველაფერი!

დიუნუა. უნდა მიეჩვიო თავდაჭერილობას ომში, როგორც ეს ჭამა-სმამი გჩვევია, ჩემო პაწია წმინდანო.

ჟანა. ძვირფასო ჟაკ! შენ, ალბათ, ისევე გიყვარვარ, როგორც ჯარისკაცს უყვარს თავისი ამხანაგი, არა?

დიუნუა. შენ ეს გჭირდება, საბრალო, უმანკო ღვთისშვილო. შენ სასახლეში ბევრი მეგობარი არ გაგაჩნია.

ჟანა. ამისთვის ვძულვარ ყველა ამ კარისკაცს, რაინდსა და მღვდელს? ვის რა დავუშავე? მე ხომ ჩემთვის არაფერი მითხოვია, გარდა იმისა, რომ ჩემი სოფელი გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინათ, და ისიც იმიტომ, რომ ამ გადასახადებს ვერ ავუდივართ. მე მათ ბედნიერება და გამარჯვება მოვუტანე. ისინიც სწორ გზაზე დავაყენე მაშინ, როდესაც ათასგვარ სისულელეს სჩადიოდნენ. მე შარლს გვირგვინი დავადგი და ნამდვილ მეფედ გავხადე. ყველა პატივი ასე მოწყალებად რომ ურიგებს ხალხს, მაგათ დარჩათ. მაშ, რაღას მერჩიან, რატომ არა ვარ მათი სიყვარულის ღირსი?

დიუნუა. (გახუმრებით) სუ-ლე-ლო! გინდა უყვარდე ბრიყვებს, რომელთა ჭკუნაკლებობა ამკარა გახადე? განა გამოთავყვანებულ, ჩამოწერილ სარდლებს შეიძლება უყვარდეთ ახალგაზრდა, ძლევამოსილი მხედართმთავრები, რომლებიც წარმატებას აღწევენ და მათ სჯობნიან? განა პატივმოყვარე პოლოტიკოსებს ეყვარებათ ისინი, ვინც წინ მიისწრაფიან და მოწინავე ადგილებს ართმევენ მათ? ან არქიეპისკოპოსებს განა გულზე ეფონებათ, რომ გაბრიყვებულებს ამორებენ თავიანთ საკურთხევლებს, თუნდ წმინდანები? ეგ კი არადა, მეც კი შემშურდებოდა შენი, საკმაო პატივმოყვარეობა რომ გამაჩნდეს სამაგისოდ.

ჟანა. შენ აქ ყველას სჯობიხარ, ჟაკ. ერთადერთი მეგობარი მყავხარ მთელ ამ დიდკაცობაში, ეჭვი არ მეპარება, დედაშენი სოფლის ქალი იქნებოდა; მე მაშინვე ჩვენს ფერმას დავუბრუნდები, როგორც კი პარიზს ავიღებ.

დიუნუა. მე აგრე დარწმუნებული არა ვარ, დაგანებებენ თუ არა პარიზის აღებას.

ჟანა. (შემკრთალი) რაო?

დიუნუა. მე მას თავადვე ავიღებდი აქამდეც, ყველა რომ საღად აზროვნებდეს. ზოგ მათგანს ურჩევნია კიდევ, პარიზმა თავად მოგიგდოს ხელში. ასე, რომ ფრთხილად იყავი.

ჟანა. ჟაკ, ვიცი ამ ხალხის უკეთურებას ვერ გავუძლებ. თუ წყეულები და ბურგუნდიელები არ მომიღებენ ბოლოს, ფრანგებს ვერ გადავურჩები. მე მარტო ჩემი ხმები მინარჩუნებენ სიმტკიცეს, უიმათოდ აღარაფრის თავი მექნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ჩუმად გამოვიპარე აქ, რათა მარტომყოფს მელოცა კურთხევის შემდეგ. რაღაც უნდა გითხრა, ჟაკ. ჩემო ხმები მე ზარების რეკვაში მესმის. ოღონდ დღეს არა, როცა ყველას არისხებდნენ. ეს ჩვეულებრივი ჟღარა-ჟღური იყო. მაგრამ აქ, ამ კუთხეში, სადაც ზარების ჟღერა ზეციდან ჩამოგესმის და მათი გამომახილიც გეყურება, ან მინდვრად, სადაც მათი ჟღერა შორიდან მოდის და მთელ არემარეს ეფინება, მათი მეშვეობით ვისმენ ჩემს ხმებს(ტაძრის საათი მეოთხედს რეკავს). ჩუ! (სახეზე აღმაფრენა ეხატება) გესმის? - „ღმერთის საყვარელო ბავშვო როგორც შენ თქვი. ნახევარს რომ დარეკავს, იტყვიან - „იყავ მამაცი, წინ გასწი ! სამ მეოთხედზე ამბობენ: - „მე ვარ შენი მშველელი , მაგრამ საათი რომ შესრულდება, დიდი ზარი მაშინ დასძახებს - „ღმერთი იხსნის საფრანგეთს ! სწორედ მაშინ ამბობენ წმ. მარგარიტა და წმ. ეკატერინეც, და ზოგჯერ კურთხეული მიქაელი ისეთ რამეებს, რასაც წინასწარ ვერ ვიტყვი. შემდეგ კი, ო, შემდეგ...

დიუნუა. (აწყვეტინებს ალერსიანად, მაგრამ თანაგრძნობის გარეშე) შემდეგ, ჩემო ჟანა, ზარის ბუბუნში გვესმის ის, რის.

მოსმენასაც გონება გვთხოვს. მე მაშფოთებს შენი ლაპარაკი მაგ ხმებზე. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, ცოტა შერეკილი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ მაშინვე მახსენდება შენი გონივრული მოსაზრებანი, შენს ნამოქმედარს რომ ამართლებს, თუმცა, ისიც არაერთხელ მომისმენია, სხვებისთვის რომ გითქვამს, რომ მხოლოდ წმინდა ეკატერინეს ემორჩილები.

ჟანა. (მწყრალად) კარგი, შენთვისაც გამოვძებნი ჩემი სიტყვების გასამართლებელ საბუთს, რაკი ეგრე არა გჯერა ჩემი ხმებისა. მაგრამ ჯერ ხმები მესმის , და მერე ვუძებნი მათ გამართლებას. გინდ დაიჯერე, გინდ არა.

დიუნუა. გაბრაზდი?

ჟანა. დიახაც. (ღიმილით) არა, შენზე არა. ნეტავ ერთი სოფლის ბიჭუნა მაინც იყო.

დიუნუა. რატომ?

ჟანა. ცოტას მაინც მოგეფერებოდი ძიძასავით.

დიუნუა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ქალი ხარ მაინც.

ჟანა. არა. სულაც არა. ჯარისკაცი ვარ და სხვა არაფერი. ჯარისკაცები ყოველთვის ეფერებიან ბავშვებს, როგორც კი საშუალება მიეცემათ.

დიუნუა. ეგ მართალია (ივინის).

მეფე შარლი მარცხნიდან და მარჯვნიდან ამომდგარ ლურჯწვერასთან და ლა ირთან ერთად გამოდის საცავიდან,

სადაც ის საზეიმო სამოსელს იხდიდა. ჟანა სვეტის უკან მიიყუჩება. დიუნუა შარლს და ლა ირს შორის აღმოჩნდება.

FB.COM/GROUPS/ELLIB